საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემია

„მაცნეს“ ბიბლიოთეკა
ისტორიის სერია

ლევან თოიძე

# როგორ შეიქმნა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი

თბილისი
„მეცნიერება“
1991

წიგნში საარქივო მასალასა და პერიოდული პრესის მონაცემებზე დაყრდნობით ობიექტურად არის გადმოცემული ქართველი და ოსი ხალხების ურთიერთობა, ნაჩვენებია, რომ დღემდე დამკვიდრებული ოფიციალური შეხედულება, რომლის თანახმად ოსი ხალხი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918—1921 წწ.) მთავრობის მიერ ეროვნულ ჩაგვრას განიცდიდა, არის ჭეშმარიტების გაყალბება. მკითხველი მრავალრიცხოვანი დოკუმენტური მასალის მეშვეობით, გაეცნობა სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნის პროცესს, ნათლად დაინახავს, რომ ამ ადმინისტრაციული ერთეულის შექმნის დროს გათვალისწინებული არ ყოფილა ადგილობრივი ქართველი მოსახლეობის ინტერესები. წიგნს ახლავს რეზიუმეები რუსულ და ინგლისურ ენებზე.

რედაქტორი: გ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე

თ $\frac{0503020906}{M\ 607(08)—90}$ რეზ. 91

ISBN 5—520—0108—9

თავი პირველი

## ქართველ და ოს ხალხთა ურთიერთობის ისტორიიდან (1917—1920 წწ.)

ჩვენს ისტორიოგრაფიაში ბოლო დრომდე თითქმის დამკვიდრებული იყო აზრი, რომ ამიერკავკასიის კომისარიატისა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის პერიოდისათვის დამახასიათებელი იყო ქართველთა მიერ ეროვნულ უმცირესობათა უფლებების შელახვა, მათი განუსაზღვრელი ჩაგვრა. ამის შესახებ ბევრს წერდნენ ქართველი და არაქართველი ბოლშევიკები, ქართველი და არაქართველი საბჭოთა ისტორიკოსები. ამასვე ამტკიცებდა ი. ბ. სტალინი, რომელიც გაზეთ „პრავდაში" 1921 წლის 10 თებერვალს გამოქვეყნებულ სტატიაში — „პარტიის მორიგ ამოცანებზე ნაციონალურ საკითხში. თეზისები რკპ (ბ) X ყრილობისათვის, დამტკიცებული პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ" — აღნიშნავდა: „...კერძო საკუთრებაზე და კლასობრივ უთანასწორობაზე დაფუძნებულ ახალ ნაციონალურ სახელმწიფოებს არ შეუძლიათ არსებობა:

ა) თუ თავიანთ ნაციონალურ უმცირესობებს არ დაჩაგრავენ (პოლონეთი, რომელიც ჩაგრავს ბელორუსებს, ებრაელებს, ლიტველებს, უკრაინელებს; საქართველო, რომელიც ჩაგრავს ოსებს, აფხაზებს, სომხებს; იუგოსლავია, რომელიც ჩაგრავს ხორვატებს, ბოსნიელებს და სხვ.);

ბ) თუ მეზობლების ხარჯზე თავიანთ ტერიტორიას არ გააფართოებენ, რაც იწვევს კონფლიქტებსა და ომებს (პოლონეთი ლიტვის, უკრაინის, რუსეთის წინააღმდეგ; იუგოსლავია — ბულგარეთის წინააღმდეგ; საქართველო — სომხეთის, თურქეთის წინააღმდეგ და სხვ.);

გ) თუ არ დაემორჩილებიან „დიდ" იმპერიალისტურ სახელმწიფოებს ფინანსურ, ეკონომიურ და სამხედრო დარგებში"[1]. ამ თეზისების საბოლოო რედაქტირებაში მონაწილეობა მიიღო ვ. ი. ლენინმაც[2].

მაშასადამე, ი. ბ. სტალინსაც მიაჩნდა, რომ დამოუკიდებელ საქართველოში იჩაგრებოდნენ ოსები, აფხაზები, სომხები და მას ბუნებრივადაც თვლიდა,

---

1 ი. ბ. სტალინი, თხზულებანი, ტ. 5, გვ. 19.

2 იქვე, გვ. 443, მე-5 შენიშვნა.

რადგან კერძო საკუთრებასა და კლასობრივ უთანასწორობაზე დაფუძნებულ ახალ ეროვნულ სახელმწიფოებს (მათ შორის საქართველოსაც), მისი აზრით, არ შეეძლოთ ეროვნული უთანასწორობისა და ეროვნული ჩაგვრის მოსპობა. მისივე აზრით, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა მეზობლების — სომხეთისა და თურქეთის ხ ა რ ჯ ზ ე ცდილობდა თავისი ტერიტორიის გაფართოებას. რა დავარქვათ ამას, განსაკუთრებით უკანასკნელ დებულებას? ისტორიის უცოდინარობა თუ სხვა რამ მიზნით განპირობებული პოლიტიკური სვლა? მკითხველი თვითონ განსჯის.

ერთი კი ცხადია. გადაუდებელ ამოცანად უნდა მივიჩნიოთ ამ პრობლემის ღრმა და ობიექტური კვლევა, მისი საფუძვლიანი შესწავლა სიმართლისა და მხოლოდ სიმართლის დადგენის მიზნით. სიმართლისა, რომელსაც დაგვიჯერებს ქართველიც, რუსიც, აფხაზიც, ოსიც და სხვ. დღეს არც ერთი არ გვიჯერებს. ეს კი რამდენადმე ჩვენი (ისტორიკოსების) ბრალიც არის. ჩვენი ისტორიოგრაფია ხომ გარკვეული პოლიტიკური მოსაზრებების გამო საკითხს, უმთავრესად, ცალმხრივად ამუშავებდა, რითაც სცოდავდა ისტორიის და არა მარტო ისტორიის წინაშე. ჩვენ ხომ 1918—1920 წლებში ქართველებსა და არაქართველებს შორის წარმოქმნილ კონფლიქტებს მხოლოდ და მხოლოდ კლასობრივი ბრძოლის კუთხითა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ეროვნული პოლიტიკის კრიტიკის ნიშნით განვიხილავდით (იყო, რასაკვირველია, გამონაკლისიც). სამხრეთ ოსეთის შეიარაღებულ გამოსვლებში, მაგალითად, ჩვენ მხოლოდ და მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების, ოსთა ეროვნული უფლებების გაფართოების, მათი ნორმალური სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარებისათვის სამართლიან ბრძოლას ვხედავდით. ყურადღება არ ექცეოდა იმას, რომ აჯანყებულთა მესვეურები ფაქტობრივად საქართველოს ამ განუყოფელი ნაწილის საქართველოდან ჩამოცილებას მოითხოვდნენ და ასეთ საფრთხეს რეალურადაც ქმნიდნენ. წარმოიდგინეთ რა დღეში ჩავარდებოდა საქართველო, თუ მასში მოსახლე სხვა ეროვნული უმცირესობებიც მსგავს მოთხოვნებს წამოაყენებდნენ და შეასრულებდნენ კიდეც. სხვას ეს, შეიძლება, ეროვნული საკითხის დემოკრატიულ გადაწყვეტად, ერთა თვითგამორკვევის უფლების იდეალურ განხორციელებად მიეჩნია. საქართველოსთვის კი ეს დიდი უსამართლობა და ფაქტობრივად დაღუპვა იქნებოდა. უსამართლობა იქნებოდა იმიტომ, რომ საქართველოს მის ტერიტორიაზე მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობათა მიწები კი არ დაუპყრია, სხვისთვის კი არ წაურთმევია, არამედ, სხვადასხვა დროს თვით ეროვნული უმცირესობები დასახლდნენ ამ ისტორიულ ქართულ მიწებზე, რაც რიგი პოლიტიკური, ეკონომიკური და საერთაშორისო ფაქტორებით იყო განპირობებული (აფხაზეთისა და აფხაზების პრობლემა, ცხადია, სხვა კუთხით უნდა განვიხილოთ, რადგან აფხაზები საქართველოს უძველესი ბინადარნი არიან).

არაქართველებით დასახლებული ქართული ტერიტორიების საქართველო-

დან ჩამოცილება და სხვა სახელმწიფოებთან შეერთება დანაშაული იქნებოდა და არა ერთა თვითგამორკვევის უფლების იდეალური რეალიზაცია. სწორედ ეს მიიყვანდა საქართველოს დაღუპვამდე.

ამიტომ ეროვნულ უმცირესობათაგან არავინ უნდა იკადროს, თუ გნებავთ, არავინ უნდა გაბედოს ქართული მიწების ბედის ცალმხრივი, თავისი სურვილისდა მიხედვით გადაწყვეტა, სხვა სახელმწიფოებთან მათი შეერთების მცდელობა. და თუ ვინმე მაინც იკადრებს, მას სწორედ რომ საკადრისი პასუხი უნდა გაეცეს. ეს უნდა იყოს საქართველოში მცხოვრებ არაქართულ მოსახლეობასთან ქართველი ხალხის ურთიერთობის ამოსავალი წერტილი. ეროვნულ უმცირესობათა მხრივ ქართული მიწების სხვა სახელმწიფოებისათვის გადაცემის მოთხოვნის გამართლება არ შეიძლება არც კლასობრივ--პოლიტიკური, არც ეკონომიკური, არც მორალურ-ზნეობრივი (განსაკუთრებით, მადლისა და ამაგის დაფასების) და არანაირი თვალსაზრისით.

ეროვნულმა უმცირესობამ, ქართული ენისა და კულტურისადმი პატივისცემასთან ერთად, ბუნებრივია, უნდა იზრუნოს თავისი სოციალურ-ეკონომიკური აღორძინების, ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებისა და ეროვნული კულტურის განვითარებისათვის. ამაში მას ხელი უნდა შეუწყოს ყველამ, უწინარეს ყოვლისა, თვით ქართველმა ხალხმა, მისმა მთავრობამ. ქართველ ხალხს ამ მხრივ, ალბათ, ნაკლებად მოეძებნება სასაყვედურო. ავიღოთ თუნდაც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის პერიოდი, რომელსაც ჩვენი ისტორიოგრაფია ეროვნულ უმცირესობათადმი ქართველი ხალხისა და მისი მთავრობის დამოკიდებულების თვალსაზრისით ერთობ ოდიოზურად წარმოაჩენს. დავიმოწმოთ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია, რომლის მეთოთხმეტე თავი — „ეროვნულ უმცირესობათა უფლებანი“ — 9 მუხლს შეიცავს:

### მუხლი 129

არ შეიძლება შეიზღუდოს საქართველოს რესპუბლიკის რომელიმე ეროვნული უმცირესობის თავისუფალი სოციალ-ეკონომიური და კულტურული განვითარება, განსაკუთრებით მისი დედა-ენით სწავლა-აღზრდა და ეროვნულ-კულტურულ საქმეთა შინაური მართვა-გამგეობა.

ყველას აქვს უფლება სწეროს, ჰბეჭდოს და ილაპარაკოს დედა-ენაზე.

### მუხლი 130

ეროვნულ უმცირესობისაგან შემდგარი ადგილობრივ თვითმმართველობის ერთეულებს (თემი, ერობა, ქალაქი) უფლება აქვთ შე-

ერთდნენ და დააარსონ ეროვნული კავშირი თავის კულტურულ-განმანათლებელი საქმეების უკეთ მოსაწყობად და გასაძლოლად კონსტიტუციისა და კანონის ფარგალში.

ეროვნულ უმცირესობას, რომელსაც ასეთი თვითმმართველობის ორგანოები არ მოეპოვება, შეუძლია ამის გარეშეც შეადგინოს ეროვნული კავშირი ამ მუხლში აღნიშნული უფლებითა და კომპეტენციით.

ეროვნულ კავშირში შესვლა ხდება სალაპარაკო ენის მიხედვით.

ეროვნულ უმცირესობათა კულტურულ-განმანათლებელ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად სახელმწიფო და თვითმმართველობათა ბიუჯეტიდან გადაიდება ფინანსიური საშუალებები პროპორციულად მცხოვრებთა რაოდენობისა.

### მუხლი 131

არ შეიძლება შეიზღუდოს ვისიმე პოლიტიკური და მოქალაქეობრივი უფლება ეროვნულ კავშირში მონაწილეობისათვის.

### მუხლი 132

ყოველ ეროვნულ კავშირს შეუძლია აღძრას და დაიცვას სასამართლოს წინაშე ის საქმე, რომელიც ეხება კონსტიტუციითა და კანონით მინიჭებულ ეროვნულ უმცირესობის უფლების დარღვევას.

### მუხლი 133

საქართველოს რესპუბლიკის ყოველ მოქალაქეს თანასწორი უფლება აქვს მიიღოს სახელმწიფო, სამოქალაქო, სამხედრო და საქალაქო თუ საერობო სამსახური.

### მუხლი 134

ეროვნულად ნარევი ადგილობრივი მმართველობა ვალდებულია სწავლა-განათლებისათვის გადადებული თანხით დააარსოს საკმაო რიცხვი სკოლების და კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულებისა მოქალაქეთა ეროვნულ შემადგენლობის პროპორციის მიხედვით.

### მუხლი 135

ეროვნულ უმცირესობის სკოლაში სწავლება იწარმოებს ბავშვის სალაპარაკო ენაზე.

### მუხლი 136

ადგილობრივ მმართველობის ფარგლებში, სადაც ერთი რომელიმე ეროვნული უმცირესობა აღემატება ყველა მოქალაქეთა 20%-ს, ამ ეროვნულ უმცირესობის მოთხოვნით მსჯელობა და საქმის წარმოება სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებაში შემოღებულ უნდა იქნეს სახელმწიფო ენასთან ერთად მის დედა-ენაზედაც.

### მუხლი 137

არაქართველ დეპუტატს, რომელმაც სახელმწიფო ენა საკმაოდ არ იცის, შეუძლია პარლამენტში სიტყვა წარმოსთქვას დედა-ენით, რომლის სწორ თარგმანს წინასწარ წარუდგენს პარლამენტის პრეზიდიუმს.

დაწვრილებით წესს განსაზღვრავს კანონი"[3].

ციტირებულ მუხლთა შინაარსი უთუოდ მიგვანიშნებს, რომ საქმე გვაქვს ცივილიზებული ხალხისა და ქვეყნის კონსტიტუციასთან, რომლისთვისაც უცხოა ეროვნულ უმცირესობათა ინტერესების შელახვა. აქ აშკარად ჩანს კონსტიტუციის შემოქმედთა ზრუნვა ეროვნულ უმცირესობათა სოციალურ-ეკონომიკური და ეროვნულ-კულტურული განვითარებისათვის.

შეიძლება გვითხრან, ეს მხოლოდ კონსტიტუციაში ჩაწერეს ასე, თორემ პრაქტიკულად კონსტიტუციას არავინ იცავდა და სინამდვილეში ქართველები ეროვნულ უმცირესობებს ჩაგრავდნენო. კონსტიტუციის დაცვისათვის, მართლაც, აღარ დარჩა დრო დამოუკიდებელ საქართველოს, რადგანაც იგი 25 თებერვლამდე მხოლოდ რამდენიმე დღით ადრე მიიღეს. ხოლო რაც შეეხება ეროვნულ უმცირესობებისადმი ქართველთა იმდროინდელ დამოკიდებულებას, ამას ქვემოთ ოსების მაგალითზე დავინახავთ.

ოსები საქართველოში ჩრდილოეთიდან ჩამოვიდნენ. საუკუნეთა მანძილზე ოსთა მასა თანდათანობით იკავებდა ქართულ მიწებს და ალაგ-ალაგ ოსთა კომპაქტურ დასახლებასაც ქმნიდა. საქართველოს ტერიტორიაზე ოსთა ჩამოსახლების თეზისი საკამათო არ უნდა იყოს. კამათი შეიძლება მხოლოდ იმაზე, თუ პირველად როდის, რომელ საუკუნეში და რა რაოდენობით დაიკავეს ოსებმა ქართული მიწები*.

ოსების მიერ დაკავებული ქართული მიწები ქართული ეთნოსის ერთ-ერთი უძველესი კერა იყო. ქართული ეთნოსი აქ ჩამოყალიბდა და ვითარდებოდა ჯერ

---

3 საქართველოს კონსტიტუცია, მიღებული საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ 1921 წლის თებერვლის 21, ბათომი, 1921, გვ. 36—37.

* ამ საკითხზე დაწვრილებით იხ. ჯ. გვასალია «к вопросу переселения осетин в Картли». — წიგნში: Библиотека общества Руставели. გამომცემლობა «სარანგი», 1990, თბ., გვ. 29—39; მისივე. ქართველი და ოსი ხალხების ურთიერთობის საკითხისათვის (საქ. მეცნ. აკად. «მაცნე». ისტორიის სერია. 1990, № 3, გვ. 7—16).

კიდევ ძველი წელთაღრიცხვის საუკუნეებიდან, რა დროიდანაც შეიძლება საქართველოს ტერიტორიაზე ეთნო-კულტურული პროცესებისათვის კონკრეტულად თვალის მიდევნება[4].

საქართველოში დასახლებული ოსები საუკუნეების მანძილზე საერთო ქართული ცხოვრებით ცხოვრობდნენ. ემორჩილებოდნენ საქართველოში მოქმედ კანონებს, საქართველოს ლხინი თუ გასაჭირი, ძირითადად, მათი ლხინიც და გასაჭირიც იყო. ყოფითს საკითხებზე ყველა დროისა და ხალხისათვის დამახასიათებელ ცალკეულ უთანხმოებებს, რასაც, უნდა ვიგულისხმოთ, ვერც ოსები და ქართველები ასცდებოდნენ, იშვიათად თუ მიუღიათ ეროვნული შეფერილობა. სადავო საკითხები უომრად წყდებოდა. ამ საერთო ვითარებას ვერ ცვლიდა ოსი გლეხისა და ქართველი მემამულის ურთიერთდამოკიდებულება, რადგანაც ქართველი მემამულე იმდროინდელი, შეიძლება ითქვას, უკანონო კანონებით მინიჭებულ უფლებებს ერთნაირად იყენებდა როგორც ოსი, ისე ქართველი გლეხების მიმართ. თუმცა არც ის არის სავსებით გამოსარიცხავი, რომ ამ ორი ერის ურთიერთობის ფსიქოლოგიურ ასპექტს გარკვეულ დაღს მაინც ასვამდა საზოგადოებაში სოციალურ-კლასობრივი ადგილების ასეთი განაწილება: გლეხი — ოსი, მემამულე — ქართველი (ცხადია, იგულისხმება ოსებით დასახლებული შიდა ქართლის რაიონები). ე. ი. ოს გლეხს ქართველი და მემამულე, შესაძლოა, ადეკვატურ ცნებებად წარმოესახებოდა. მაგრამ ამაში ხომ ქართველთა დადანაშაულება საერთოდ აბსურდულია. ქართველ თავადებს ხომ ოსები თავიანთ მამულებზე ძალით არ დაუსახლებიათ. ეს ურთიერთობა ხომ თვით ოსებმა აირჩიეს, იგი ხომ თვით ცხოვრებამ განსაზღვრა. ამიტომ ოსი გლეხები უნდა შერიგებოდნენ იმ ხვედრს (შეურიგდნენ კიდეც), რომელიც მათ ცხოვრებამ არგუნა. სოციალური სამართლიანობისათვის კი მათ ქართველ გლეხებთან ერთად უნდა ებრძოლათ. ოსი გლეხების კლასობრივი მოძრაობის მესვეურებს, უწინარეს ყოვლისა, იმაზე უნდა ეზრუნათ, რომ სოციალური თავისუფლებისათვის მათს ბრძოლას ანტიქართული ხასიათი არ მიეღო. ეს იქნებოდა საკითხის იდეალური გადაწყვეტა.

ოსებს შესაძლებლობა ჰქონდათ საუკუნეების მანძილზე ზიარებოდნენ მდიდარ ქართულ კულტურას (თუმცა ამ შესაძლებლობას ბოლომდე როდი იყენებდნენ), განუწყვეტლივ ეზრუნათ მშობლიური ენის, კულტურის განვითარებისათვის, ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებისათვის, არსად დედამიწის ზურგზე ოსებს მსგავსი შესაძლებლობანი სხვაგან არა ჰქონიათ. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ მათ საკუთარი წვლილი შეჰქონდათ ქვეყნის საერთო განვითარებაში.

ქართველები არასოდეს გამოსულან ოსების მიმართ ძალმომრეობის, მათ წინააღმდეგ ბრძოლის პირველდამწყების როლში. ეს რეალობაა.

---

4 იხ. ა პ ო ლ ო ნ ს ი ლ ა გ ა ძ ე, შ ო თ ა ბ ა დ რ ი ძ ე, როდემდე, კატილინა?! — გაზ. „სახალხო განათლება“, 1989 წლის 25 ოქტომბერი.

ქართველთა და ოსთა საუკუნეობრივი მეგობრობა სერიოზულად შეილახა 1918—1920 წლებში. სწორედ ამ დროს დაიღვარა სისხლი მათ შორის. ყველამ უწყის, რომ ეს მოხდა არა ქართველთა ინიციატივით. მაშინდელი ჭრილობები დღესაც მოუშუშებელია. ესეც რეალობაა.

აღნიშნულ პერიოდში ქართველთა და ოსთა ურთიერთობას საბჭოური ისტორიოგრაფია არაობიექტურად აშუქებდა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ შიდა ქართლში მოსახლე ოსთა ბრძოლას იგი ყალბად გაგებული კლასობრივი პოზიციებიდან განიხილავდა. ამ ბრძოლაში დაღვრილი სისხლისთვის პასუხისმგებლობას მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობასა და მის შეიარაღებულ ძალებს აკისრებდა. იგივე ითქმის აფხაზების აჯანყების შესახებაც. საქმე ის გახლავთ, რომ აჯანყებული ოსებიცა და აფხაზებიც საბჭოთა ხელისუფლებისათვის იბრძოდნენ. მათ სწამდათ, რომ ეს ხელისუფლება არსებულზე უფრო პროგრესული იყო. ამის უფლებას მათ ვერავინ წაართმევდა. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ამ ბრძოლას კომუნიზმის იდეების ფანატიკურად ერთგული ქართველი ბოლშევიკები წარმართავდნენ, არც ის, რომ აფხაზ და ოს მეამბოხეთა შორის ქართველი გლეხებიც ერივნენ. აჯანყებულთა სოციალური და ეროვნული შემადგენლობა სპეციალური შესწავლის საგანი უნდა გახდეს. ამჟამად კი ჩვენი მსჯელობისათვის მთავარი ის არის, რომ აჯანყებულებმა პირველებმა აღმართეს ხელი საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ ესეც ისეთი რეალობაა, რომელსაც ვერავინ უარყოფს. ასეთ ვითარებაში განა ამიერკავკასიის კომისარიატს, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობასა და მათს შეიარაღებულ ძალებს აღარა ჰქონდათ თავდაცვის უფლება? ჰქონდათ, რასაკვირველია, გამოიყენეს კიდეც. ამას ის მოჰყვა, რომ ოსთა მიერ დაღვრილ ქართულ სისხლს, შემდეგ ქართველთა მიერ დაღვრილი ოსური სისხლიც მიემატა. არ აღმოჩნდა გონიერი ორგანიზებული ძალა, რომელიც ხალხებს ამ უბედურებას აიცდენდა. თავიდათავი ის იყო, რომ ოსი გლეხების კლასობრივი ბრძოლის ფორმით მოვლენილ დრამატულ (ფაქტობრივად ანტიქართულ) აქციებს მესვეურობდნენ პოლიტიკურ სიბრძნეს მოკლებული პირები, რომლებმაც, უწინარეს ყოვლისა, საკუთარ ხალხს ავნეს.

როგორც ითქვა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ არაქართული მოსახლეობის აჯანყებებს ჩვენი ისტორიოგრაფია ამ ასპექტით არ განიხილავდა. ეს აჯანყებები სავსებით სამართლიანად შეფასებულია როგორც კლასობრივი ბრძოლის, სამოქალაქო ომის გამოვლენა, რომლის საბოლოო მიზანი იყო სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება. მაგრამ, ამასთან ერთად, ეს აჯანყებები რომ ფაქტობრივად საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ მიმართული და, ამდენად, გაუმართლებელი იყო, ამის აღიარებას ჩვენი ისტორიოგრაფია ერიდებოდა. ეს იყო პოლიტიკა, რომელიც მიზნად ისახავდა, როგორმე არ გაემწვავებინათ ეროვნული შუღლი, რაც 1918—1920 წლებ-

ში დაითესა, როგორმე დაეშოშმინებინათ აჯანყებების გამო თავის დროზე რეპრესირებული არაქართული მოსახლეობა. მიზანი კეთილშობილურად ჩაითვლებოდა. თუკი მას მოვლენათა ყოველმხრივი და ობიექტური შეფასების საფუძველზე მიაღწევდნენ. რეპრესიები, თანაც ისეთი მკაცრი, როგორიც, მაგალითად, 1920 წელს აჯანყებული ოსების წინააღმდეგ განახორციელეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებულმა ძალებმა, ცხადია, არ შეიძლება არ იწვევდეს ისტორიკოსის, უწინარესად, ქართველი და ოსი ისტორიკოსების გულისტკივილს. ვინ ვინ და ისტორიკოსმა კარგად იცის, რომ დაღვრილ სისხლს, მით უფრო თუ ეს ეროვნული კონფლიქტის დროს მოხდა, საუკუნეობით არ ივიწყებენ თაობები.

ამიტომ მთელი ყურადღება ექცეოდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ლანძღვა-გინებასა და აჯანყებულთა წინააღმდეგ მის მიერ განხორციელებული რეპრესიების დაგმობას. ამ რეპრესიებში კი მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს მთავრობას ამტყუნებდნენ. მცდარი აღმოჩნდა ეს გზა. მან მიზანს ვერ მიაღწია. ზიანი კი დიდი მოგვაყენა. დროა, დიდი ხანია დროა, დაიწეროს მხოლოდ სიმართლე.

ანალოგიური მდგომარეობა გვქონდა წითელი არმიის მიერ 1921 წელს საქართველოში განხორციელებული აქციის შეფასებაშიც. მთელ მსოფლიოს ვარწმუნებდით, რომ 1921 წლის თებერვალ-მარტში საქართველო აღსდგა საკუთარი მთავრობის დასამხობად და საბჭოთა ხელისუფლების დასამყარებლად. ვიშველიებდით დოკუმენტებსაც, რომელთა სანდოობის შესამოწმებლად თავს არავინ იწუხებდა.

ნაცვლად იმისა, რომ დაედასტურებინა წითელი არმიის მიერ დამოუკიდებელი საქართველოს დაპყრობისა და მისი ძალით გასაბჭოების ფაქტი, ჩვენი ისტორიოგრაფია ამკვიდრებდა საქართველოს მშრომელებისათვის წითელი არმიის უანგარო დახმარების, აჯანყებულთა (?!) წინაშე წითელი არმიის მიერ ინტერნაციონალისტური მოვალეობის მოხდისა და საქართველოში წითელი არმიის განმათავისუფლებელი მისიის ყალბ თეზისს. ყოველივე ეს პარტიის პოლიტიკისაგან გამომდინარეობდა. ან კიდევ, რამდენი შრომა დაიწერა საბჭოთა საქართველოსადმი საბჭოთა რუსეთის უანგარო დახმარების შესახებ (ფულით, სურსათით, ყველაფრით). არადა ყველასათვის ცნობილი იყო, რომ სამოქალაქო ომისა და უცხოეთის სამხედრო ინტერვენციის შედეგად, დანგრევის პირას მიყვანილ რუსეთს სხვებისათვის უანგარო დახმარება მაშინ (მაგალითად, 1921 წელს) ნამდვილად აღარ შეეძლო. ეს ის პერიოდია, როცა სწორედ რუსეთს გაუჭირდებოდა, ვთქვათ, უკრაინის, ამიერკავკასიისა და სხვა რეგიონთა მატერიალური რესურსების გარეშე. ჩვენ კი საქმეს ისე წარმოვაჩენდით, თითქოს საბჭოთა რუსეთი იმიტომ იპყრობდა ქვეყნებს, რომ შემდეგ თვითონ ერჩინა ისინი. კურიოზულია ნამდვილად.

შედეგად ის მივიღეთ, რომ ზოგიერთებმა მართლა ირწმუნეს ჩვენს მიერვე

გაყალბებული ჩვენი ისტორია და ახლა აქეთ გვსაყვედურობენ: ყველაფერში უანგაროდ გეხმარებოდით, ჩვენ გაგაძლებინეთ და არ გვიფასებთო. ამას გვეუბნებიან ცენტრში გამართულ ლიტერატურულ თუ სხვა ფორუმებზე, იგი გვსმენია ზოგიერთთაგან თბილისშიც, სხვაგანაც. უცოდინართა უტაქტობას ნუ გამოვედევნებით, ვაპატიოთ, მაგრამ ძირითადად მათი გამტყუნება არ შეიძლება. ისინი ხომ ისტორიის მკვლევარები არ არიან და ამიტომ იმეორებენ იმას, რასაც ჩვენ თვითონ ათეული წლების მანძილზე ვწერდით და ვასწავლიდით. ცუდი ის არის, რომ მათ საკუთარი ისტორიული ცოდნის გადასინჯვა არ სურთ. მაგალითად, როცა გარდაქმნამ, საჯაროობამ და ეროვნული მოძრაობის არნახულმა აზვირთებამ ისტორიკოსებს ძველი სტერეოტიპების დაძლევა გაუადვილეს და ზოგიერთმა ქართველმა ისტორიკოსმა მართლაც სცადა სანდო დოკუმენტების საფუძველზე მართალი ისტორია დაეწერა, ზემოთ აღნიშნული კატეგორიის ხალხი მაინც ძველი წარმოდგენების ტყვეობაში დარჩა. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი გაზეთ „ლენინსკოე ზნამიას" ჟურნალისტებმა, რომლებიც 9 აპრილის ტრაგედიის ორგანიზატორთა ქომაგებად და ანტიქართული ისტერიის გამჩაღებლებად მოგვევლინენ. ყველაზე საკვირველი მაინც ის იყო, რომ ჟურნალისტებმა თ. კოსტენკომ, ლ. ლევიტინამ და სხვებმაც, საქართველოს 1918—1921 წლების ისტორიის ცოდნა დაიჩემეს და უცოდინარის თავხედობით შეუტიეს ქართველ მკვლევარებს, რომლებმაც, მართალია, მოგვიანებით, მაგრამ მაინც სცადეს თავიანთი წვლილი შეეტანათ ისტორიული სიმართლის დადგენაში. მოტივი? მავანისა და მავანის ადრინდელ გამოცემულ წიგნებში სხვანაირად წერია და ისაა სწორი, ახლა რასაც წერთ (მაგალითად, 1921 წელს საქართველოს ოკუპაციის შესახებ), სულ ტყუილიაო.

1989 წლის 10 ივნისს გაზეთ „კომუნისტში" გამოვაქვეყნეთ სტატია „ოკუპაცია, ინტერვენცია, ძალდატანებითი გასაბჭოება თუ...", რომელშიც მცირეოდენი კომენტარებით გადმოცემული იყო ი. ბ. სტალინის, ლ. დ. ტროცკის, ფ. ე. მახარაძისა და გ. კ. ორჯონიკიძის გამონათქვამები წითელი არმიის მიერ საქართველოში 1921 წელს განხორციელებული აქციის შესახებ. მკითხველს ახსოვს, ი. ბ. სტალინი ამ აქციას ოკუპაციას უწოდებდა, ლ. დ. ტროცკი — ინტერვენციას; ფ. ე. მახარაძე აღნიშნავდა, რომ 1921 წლის თებერვალ-მარტში არათუ არავითარი აჯანყება არ ყოფილა საქართველოში, არამედ ადგილობრივად მომუშავე კომუნისტებმაც კი არაფერი იცოდნენ წითელი არმიის შემოსვლის თაობაზეო; გ. კ. ორჯონიკიძემ აღიარა, რომ 1921 წლის თებერვალში თითქმის მთელი საქართველო აღსდგა ჩვენს (ე. ი. წითელი არმიის) წინააღმდეგო. ამ ოთხი მოღვაწის გამონათქვამები ბრჭყალებში ჩასმული, ყოველგვარი ცვლილებების გარეშე იქნა გამოქვეყნებული. ასე რომ, გამომცემელთან შემოდავებისათვის არავითარი საფუძველი არ რჩებოდა. ციტატები ზუსტად იყო მოყვანილი. მაგრამ ლენინსკოეზნამიელებმა ამაზე თვალი დახუჭეს და ციტირებულ დოკუმენტთა სანდოობის შეუმოწმებლად აღნიშნულ პუბლიკაციას „გრუ-

ბაია ფალშივკა“ უწოდეს (იყო სხვა ეპითეტებიც). ამ პრობლემაზე პერსონალურად ლენინსკოეზნამიელებთან სპეციალური კამათის გამართვა, ალბათ, დროს დაკარგვა იქნებოდა. მით უფრო, რომ გაზეთ „კომუნისტის“ ფურცლებზე 1989 წლის ნოემბრის პირველ ნახევარში გამოქვეყნებული წერილების სერია სათაურით „მხოლოდ სიმართლე“ სწორედ იმ პოზიციისა და არგუმენტების დოკუმენტურ კრიტიკას ისახავდა მიზნად, რომლებსაც „ლენინსკოე ზნამიაც“ ეფარება. სხვათა შორის, რედაქციასთან მცირე დიალოგის გამართვაც ვცადეთ. ვთხოვეთ გამოეყოთ მაქსიმუმი ერთი საათი, ბოლოს 20 წუთითაც ვკმაყოფილდებოდით. იმედი გვქონდა, ადვილად დავარწმუნებდით იმაში, რომ დოკუმენტები ზუსტად არის გამოქვეყნებული, სიყალბე არავის ჩაუდენია, და თუ მათ, მართლაც, ჭეშმარიტება აინტერესებთ, მაშინ ჩვენს ხელთ არსებული დოკუმენტების გაცნობის შემდეგ. ვფიქრობდით, პოზიციას შეიცვლიდნენ, ბოდიშსაც მოიხდიდნენ და „კონფლიქტიც“ ამოიწურებოდა, მომავალში იმას მაინც გააკეთებდნენ, რომ ქართველ მკვლევართა შეურაცხმყოფელი სტატიების გამოქვეყნებას მოერიდებოდნენ. ამაოდ დავშვრით. სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ მეტად თავაზიანად მიგვიღეს, მაგრამ თანამშრომლებთან საუბარზე მავანთა და მავანთა „მოუცლელობისა“ თუ თბილისში „არყოფნის“ გამო, რედაქცია ვერაფრით დავითანხმეთ. ისე, მოცლილი კაცი შეურაცხყოფისათვის ოფიციალურ პასუხსაც მოსთხოვდა გაზეთის მესვეურებს, მაგრამ, ალბათ, ესეც უნაყოფო და მიამიტური საქციელი იქნებოდა.

სტატიაში „ველიკორუსების ეროვნული სიამაყის შესახებ“ (1914 წ.) ვ. ი. ლენინი წერდა: „არავინ არის დამნაშავე იმაში, თუ ის მონად დაიბადა; მაგრამ მონა, რომლისთვისაც არა თუ უცხოა მისწრაფება თავისი თავისუფლებისაკენ, არამედ კიდეც ამართლებს და აფერადებს თავის მონობას (მაგალითად, პოლონეთის, უკრაინის და სხვათა ჩახშობას უწოდებს ველიკორუსთა „სამშობლოს დაცვას“), ასეთი მონა არის გულისწყრომის, ათვალწუნებისა და ზიზღის კანონიერი გრძნობის გამომწვევი ტუტუცი და ხეპრე[5]. ვ. ი. ლენინის ეს გამონათქვამი უმთავრესად, დამპყრობელი ერის რეაქციულ-შოვინისტურ ფრთას ეხება, მისი ადრესატი დაპყრობილ ერებშიც მოიძებნება. ამჯერად ამით დავკმაყოფილდეთ. ჩავთვალოთ, რომ ჩვენს ნაცვლად თვით ვ. ი. ლენინმა გასცა პასუხი იმ კატეგორიის ხალხს, რომელსაც ჩვენ ლენინსკოეზნამიელებსაც მივაკუთვნებთ.

მივუბრუნდეთ ოსთა შეიარაღებულ გამოსვლებს. წინასწარ ვთქვათ, რომ მათს გამომწვევ მიზეზთა შორის ეროვნულ და სოციალურ მოტივებთან ერთად მთავარი ადგილი ეკავა ოს ექსტრემისტთა პოლიტიკურ ავანტიურიზმს, რაც ოსთა მოძრაობას სეპარატისტულ ხასიათს აძლევდა.

---

[5] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 21, გვ. 112—113.

შიდა ქართლში მცხოვრები ოსების ერთ ადმინისტრაციულ ერთეულში გაერთიანებისათვის მოძრაობას 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ მიეცა გასაქანი. თავდაპირველად ცალკე სამაზრო ადმინისტრაციული ერთეულის შექმნას მოითხოვდნენ. ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის თავმჯდომარისადმი 1917 წლის 10 აპრილს გაგზავნილ წერილში ნიკოლოზ ზურაბის ძე ჯიოევი სწორედ ასეთ მოთხოვნას აყენებდა. ის აღნიშნავდა:

> «В протокол заседания съезда представителей исполнительных комитетов Закавказья внесено мое заявление, как представителя осетинского населения Закавказья, о нежелательности ограничения устройства местных исполнительных комитетов пределами, ныне существующих уездов. Это заявление я уполномочен сделать от имени всего осетинского населения горной полосы Закавказья, отнесенной современным административным делением к Душетскому, Горийскому, Рачинскому уездам и Владикавказскому округу Терской области, а также уполномочен отметить, что оставлять впредь такое дробление этой полосы не возможно.
>
> Весь этот район, как цельная географическая и этнографическая компактная единица является совершенно обособленным краем, как в отношении устройства поверхности... так и в отношении населения с своеобразными бытовыми условиями, земельными отношениями между собою и к помещикам (из осетинов нет помещиков. Помещиками их являются грузины) видами своего хозяйства (скотоводства и земледелия), а равно и назревшими к данному времени культурно-просветительными задачами.
>
> Представляя одну цельную, неразрывную культурно-экономическую территорию, ее только насильственно, с целью дезорганизации, можно дробить на районы 3 или 4 уездов и нескольких округов. В сущности нет ни малейшего основания к такому дроблению столь компактной культурной единицы. Царская власть была заинтересована в дезорганизации и раздроблении на мелкие части, обособленых районов в целях ослабления развития культурной мощи населения и стравливания двух соседних дружеских народов (имею ввиду докладную записку Наместника Воронцова к Николаю I-му в 1852 г., коим уничтожено сенатское решение, присудившее земли в 5-ти ущельях в пол-

ную собственность жителей этих ущелий и вызвало восстание осетин, а равно провокационные стравливания старой властью горцев в 1905—1906 годах). Но в настоящее время, когда все силы Временного правительства и самого народа направлены к осуществлению культурно-просветительных задач, на развитие нравственной мощи народа, о намеренном дроблении культурно-экономических единиц, каковою является горно-осетинский район, не может быть и речи.

Теперь в целях скорейшего осуществления здесь самых лучших начинаний, в целях проведения в жизнь начал свободы и регулирования всей жизни в этом захолустном малопроходимом крае, нужно непременное и скорейшее объединение в одну административную единицу сельских исполнительных комитетов этого района. ... **Необходимо выделить этот район в особую административную единицу, соответствующую по схеме своей административной организации уезду** (ხაზგასმა ჩვენია — ლ. თ.) Эта же полоса при введении земства составит особый земский район»[6].

წერილის ავტორის ზოგიერთი არგუმენტი შეიძლება დასაზუსტებელი იყოს, მაგრამ ამჯერად მკითხველის ყურადღება მხოლოდ იმას გვინდა მივაქციოთ, რომ 1917 წლის აპრილში ოსი მოსახლეობისათვის მოითხოვდნენ განსაკუთრებულ (ცალკე) ადმინისტრაციული ს ა მ ა ზ რ ო ერთეულის შექმნას. ისიც უნდა ითქვას, რომ ოსი გლეხური მოსახლეობა მაშინ ჯერ კიდევ არ იყო ჩაბმული ამ მოძრაობაში. საამისოდ მას გარკვეული დრო სჭირდებოდა. ყურადღებას იპყრობს ისიც, რომ ამ წერილში მეფის რუსეთი ოსებსა და ქართველებს შორის (ამ „ორ მეზობელ და მეგობარ ხალხს შორის“) მტრობის ჩამოგდებით დაინტერესებულ ძალად არის მიჩნეული.

გორისა და დუშეთის მაზრებში მცხოვრებ ოსთა პოლიტიკური დონის თაობაზე გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის შემდეგი დოკუმენტი:

«В Тифлисский Губернский Исполнительный Комитет.

Население Южной Горной Осетии, живущее в нагорной полосе Горийского и Душетского уездов, до настоящего времени остается вневоздействия революционных сил; население знает и переворот, но не имеет никакого понятия

---

6 საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი (შემდგომში — სუიცსა), ფ. 2060, აღწ. 1, საქ. 648, ფურც. 2—3.

ни о тех новых началах, которые выдвинула великая революция, ни о тех благодетельных последствиях, которые ожидаются от нее в случае ее благополучного завершения. Население слышало здесь об объявленных гражданских свободах, но составило о них превратное представление, толкуя их или узко, или распространительно; отсюда — уродливые и крайне нежелательные формы проявления взаимоотношения общественных элементов. Причина этому — полное отсутствие пропаганды, отсутствие надлежащего освещения свершающих событий. Правда, в самом начале переворота была сменена старая власть, но на ее место очутились те же служители старого порядка, только под новым названием. В интересах революции необходимо обратить надлежащее внимание на темное население Южной Осетии. Тифлисский Осетинский Комитет, составленный из безусловно революционно-демократических элементов Осетии, и поставивший себе целью пропаганды организацию и подготовку Осетии к восприятию идей великой революции, а также к выборам в учредительное собрание, уполномочил меня просить Тифлисский Губернский Исполнительный Комитет о ходатайстве перед Особым Закавказских Комитетом, чтобы последний снабдил Осетинский Комитет средствами и полномочием для всесторонней работы в осетинской деревне»[7].

უთუოდ აღსანიშნავია ოსური კომიტეტის ზრუნვა მთის ზოლის ოსთა კულტურული და პოლიტიკური დონის ამაღლებისათვის. სწორედ ამ მიზნით გაიგზავნა თბილისიდან 20 კაცი. ეს საქმე რომ ბოლომდე მიეყვანათ, ვინ იცის, იქნებ 1918 წლის მარტის ტრაგედიაც არ დატრიალებულიყო.

1917 წლის 15—17 დეკემბერს ქ. ცხინვალში გაიმართა სამხრეთ ოსეთის დელეგატთა მეორე ყრილობა, რომელმაც აირჩია სამხრეთ ოსეთის ეროვნული საბჭო. მიმდინარე მომენტის შესახებ ყრილობის მიერ მიღებულ რეზოლუციაში ვკითხულობთ:

«Принимая во внимание, что гражданская война окончательно подорвала экономическую жизнь России и еще больше усилила анархию и тем способствовала образованию отдельных республик и автономий, что только Учре-

---

[7] სუიცსა, ფ. 1844, აღწ. 1, საქ. 90, ფურც. 14.

дительное Собрание может объединить эти отклонившиеся республики, заключить почетный мир и разрешить наболевшие вопросы революции, съезд постановил: всемерно поддержать Учредительное Собрание и стать в его защиту, если это потребуется. Поручить избираемому Южно-Осетинскому Национальному Совету составить наказ депутатам. В разрешении национального вопроса в Учредительном Собрании держаться общероссийской ориентации; поддержать Краевую власть на Кавказе. Совет должен работать в полном контакте с демократией соседних наций. Съезд находит неотложным проведение в жизнь национализации школы, администрации, суда, войска, **выделения Южной Осетии в одну Земскую административную единицу** (ხაზგასმა ჩვენია—ლ. თ.). Окончательную разработку и проведение в жизнь национальной программы поручить упомянутому выше национальному совету»[8].

ამრიგად, ყრილობამ იმსჯელა სამხრეთ ოსეთისათვის ფართო თვითმმართველობის მინიჭების თაობაზე და დაადგინა, რომ ჩამოყალიბებულიყო იქ საერობო ადმინისტრაციული ერთეული.

ახლად შექმნილმა სამხრეთ ოსეთის ეროვნულმა საბჭომ 1918 წლის 4 იანვარს ოფიციალური ბარათით აცნობა საქართველოს ეროვნულ საბჭოს, რომ იგი უკვე შეუდგა მუშაობას და ამიერიდან ყველა საკითხზე, რომელიც ოს ერს ეხება, ჩვენ მოგვმართეთო. ბარათში ისიც იყო ნათქვამი, რომ სამხრეთ ოსეთის ეროვნული საბჭო სამხრეთ ოსეთის საქმეთა უმაღლეს ხელმძღვანელ ცენტრს წარმოადგენს[9].

1918 წლის 10 იანვარს კი სამხრეთ ოსეთის ეროვნულმა საბჭომ ამიერკავკასიის კომისარიატს წარუდგინა პროექტი, რომელშიც ნაჩვენები იყო, თუ რა ფორმით და რა საზღვრებში უნდა ჩამოყალიბებულიყო სამხრეთ ოსეთის ერობა. დავიმოწმოთ რამდენიმე ადგილი ამ პროექტიდან:

«Опираясь на ясную и определенно выраженную волю Южно-осетинского народа, мы находим, что справедливое осуществление земского дела в Закавказье немыслимо без образования особого уездного административного давления из нагорных частей Рачинского, Горийского и Душетского уездов, сплошь занятых южно-осетинским населением».

---

[8] სუისა, ფ. 1636, აღწ. 1, საქ. 55, ფურც. 5.

[9] სუისა, ფ. 1636, აღწ. 1, საქ. 55, ფურც. 4.

«...Становится понятным естественное стремление осетин образовать по крайней мере в той полосе, где они живут компактной массой, одну административную единицу, с органами управления, специально для них созданными. Так как эта полоса по пространству... и численности населения вполне удовлетворяет норму, необходимую для образования уездов, то целесообразнее всего выделить всю эту территорию, населенную осетинами, в особую уездную организацию... Только объединив эту однородную по происхождению, языку и культурному развитию массу южно-осетинского населения в один горный уезд или округ с национальной администрацией, возможно провести в учреждениях применение родного осетинского языка».

«...В начале владычества русских в Закавказье интересующая нас нагорная полоса вся составляла один южно-осетинский военно-административный округ, причем в состав этого округа входило и Нарское ущелье, отнесенное потом к Терской области».

«Логический вывод из этих положений — настоятельная необходимость выделения горно-осетинского района в самостоятельную уездную земскую единицу... Это будет содействием скорого и в то же время, быть может, безболезненному переходу осетин от патриархально-родового строя и архаических пережитков обычного права к усвоению культурных завоеваний нашей эпохи».

«Если закавказская демократия заинтересована в экономическом развитии горно-осетинского района она должна всемерно содействовать выделению этого района в особую уездную земскую единицу. Для южно-осетинского народа такое образование самостоятельного осетинского уездного земства упрощает, наконец, проблему национального самоопределения...».

«Создание южно-осетинской уездной административно-земской единицы подсказывается жизненной необходимостью, потому, что при наличности такой единицы возможно 1) построить систему административного управления применительно к психологии осетинского народа, 2) провести последовательно во всех учреждениях применение осетинского языка, 3) заложить прочную основу для культурно-экономического развития горно-осетинского района,

4) в сильной степени упростить разрешение национального вопроса в условиях южно-осетинской действительности».

«Без Цхинвала горно-осетинское население потеряет естественный выход на плоскость и в значительной степени проиграет в культурно-экономическом отношении»[10].

როგორც ეს ვრცელი ამონაწერები მოწმობენ პროექტის ავტორები მოითხოვდნენ, რომ სამხრეთ ოსეთში შემოეღოთ განსაკუთრებული (ცალკე) სამაზრო ადმინისტრაციული დაყოფა; შექმნილიყო განსაკუთრებული (ცალკე) სამაზრო ორგანიზაცია, მთის მაზრა ან ოკრუგი ეროვნული ადმინისტრაციით, დამოუკიდებელი სამაზრო საერობო ერთეული, განსაკუთრებული (ცალკე) საერობო ერთეული, დამოუკიდებელი სამაზრო ერობა და სხვ.

ყველა ეს მოთხოვნა, არსებითად, ერთი და იგივეა და შეიძლება ჩამოვაყალიბოთ, როგორც სამხრეთ ოსეთის ცალკე (განსაკუთრებული) სამაზრო საერობო ადმინისტრაციული ერთეულის შექმნის მოთხოვნა. იმ დროს, 1918 წლის დამდეგს, უფრო შორს არ მიდიოდნენ, ამაზე უფრო ფართო ავტონომიის საკითხს არ აყენებდნენ. ცხინვალს კი თავიდანვე სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციულ ერთეულში გულისხმობდნენ.

1918 წლის 2—4 მარტს ცხინვალში გაიმართა სამხრეთ ოსეთის ეროვნული საბჭოს პირველი სესია. იგი საბჭოს თავმჯდომარემ გ. გაგლოევმა გახსნა. ეს ის დრო იყო, როცა თურქეთი წარმატებით უტევდა რუსეთისაგან მიტოვებულ საქართველოს, რომელსაც ჯერ სრული დამოუკიდებლობაც ვერ მიეღო და მტრის მოგერიებაც ძალზე უჭირდა. თავდაცვის ორგანიზაციას აძნელებდა რევოლუციის შედეგად გამწვავებული სოციალური და ეროვნული ურთიერთობებიც. რა პოზიცია დაიკავა ამ საკითხში სამხრეთ ოსეთის ეროვნულმა საბჭომ? მოვუსმინოთ სესიის მონაწილეებს:

«Враг у ворот, он покушается на нашу свободу и мы достойно должны отразить его» (Г. Гаглов).

«Нам не страшны никакие угрозы извне, свобода наша в безопасности если мы вместо гражданской войны и национальных распрей, все силы наши направим к отражению врага» (П. Ефремидзе).

«Турецкий режим нам не сулит ничего отрадного. Мы попадем в условия более тяжелые, чем при Николае втором. Поэтому весь Кавказ, как один человек, должен стать на защиту добытой свободы» (тот же Г. Гаглоев).

«Чтобы не упустить революцию и избегнуть рабства — пусть каждый смело идет в полк» (К. Дзебисов).

---

10 სცსსა, ფ. 1818, აღწ. 1, [illegible] ფურცლ. 4—5.

«Лучше погибнуть в борьбе за свободу, чем влачить позорную жизнь под ярмом рабства» (Г. Дзасохов).

«Рать павших героев зовет нас к победе, к борьбе. Да не допустим турецкую пяту попирать могилы» (А. Кецховели).

დელეგატთა პოზიციას წუნს ვერ დავდებთ. იგი ისეთია საერთო მტრის ნოგერიების ამოცანებს რომ შეეფერება. ასეთივე იყო სესიის დადგენილებაც:

«Обьявить во всеуслышание, что осетинский народ, в единении с демократией республики готов, как один человек, восстать на защиту свободы и революции, откуда бы им не грозила опасность».

სესიის გადაწყვეტილებით გაგრძელებულ იქნა მუშაობა სამხრეთ ოსეთის პოლკის ფორმირებისათვის. სესიაზე ითქვა, რომ სამხრეთ ოსეთის პოლკი არა მარტო სამხედრო ერთეულია, არამედ რევოლუციური ორგანიზაციაც, რომელიც დაიცავს რევოლუციის მონაპოვარს.

სესიამ მოისმინა გ. გაგლოევის ინფორმაცია სამხრეთ ოსეთსა და ჩრდილო ოსეთს შორის გადასასვლელი გზის (перевальная дорога) მშენებლობის მიმდინარეობის შესახებ. მან თქვა: „Совет с самого начала своей деятельности прилагает свои усилия к тому, чтобы голодающая Южная Осетия соединилась с хлебородным Севером, чтобы Север и Юг приобщились к общей культуре". გზის მშენებლობისათვის დაიწყეს ფულის შეგროვებაც.

სესიაზე უყურადღებოდ არ დარჩენილა ერობის შემოღების საკითხი. ითქვა: „...Введение земства и выделение всей Южной Осетии в особую административную единицу в стадии своего осуществления"[11].

ასე დაიწყო მუშაობა სამხრეთ ოსეთის ეროვნულმა საბჭომ, რომელმაც იმთავითვე აუცილებლად მიიჩნია სამხრეთ ოსეთის ცალკე სამაზრო საერობო ადმინისტრაციული ერთეულის შექმნა, ჩრდილოეთ ოსეთთან სამხრეთ ოსეთის დამაკავშირებელი გზის მშენებლობის დამთავრება, სამხრეთ ოსეთის პოლკის ჩამოყალიბება და სხვ.

მიუხედავად იმისა, რომ სამხრეთ ოსეთის ცალკე ადმინისტრაციული ერთეული ოფიციალურად არ არსებობდა (იგი საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ გაჩნდა მხოლოდ), ჩვეულებრივ საუბარსა და ოფიციალურ დოკუმენტებშიც ოსებით დასახლებული შიდა ქართლის ტერიტორია სამხრეთ ოსეთად მოიხსენიებოდა. ამ ტერმინს ვხვდებით არა მარტო სამხრეთ ოსეთის ეროვნული საბჭოს სახელწოდებაში, მის ოფიციალურ ქაღალდებში (ბლანკი, მიმოწერა და სხვ.), არამედ სხვა დაწესებულებების, კერძოდ, თვით საქართველოს

---

[11] სუისა, ფ. 1818, აღწ. 1, საქ. 118, ფურც. 6—7.

ეროვნული საბჭოს მიმართვებშიც. ტერმინს — „სამხრეთ ოსეთი“ რევოლუციამდეც ხმარობდნენ. იაკობ გოგებაშვილის „ბუნების კარში“ ვკითხულობთ: „ოსები არიან მთის ხალხი. მათ უჭირავთ შუა წელი კავკასიონის ქედისა ხევსურეთიდგან დაწყებული სვანეთამდე. ზოგი მათგანი სცხოვრობენ ქედს იქით, ქედის ჩრდილო კალთებზე, ზოგნი — აქეთ, სამხრეთ კალთებზე. ამის გამო ოსეთი ორ ნაწილად განიყოფება: ჩრდილო ოსეთად და სამხრეთ ოსეთად. აქეთა ოსებში თითქმის ყველამ იცის ქართული ენა, და ბევრი ქართული ზნე და ჩვეულება შეთვისებული აქვთ. იქით ოსებში კი უფრო რუსული ენა და ჩვეულებაა გავრცელებული... მაინც ოსეთი ღარიბი ქვეყანაა... სხვაფრივ კი ოსები არიან მხნე და ნიჭიერი ხალხი, სალისა და წარმოსადეგი აგებულების პატრონნი“[12]. და მაინც ტერმინი „სამხრეთ ოსეთი“ პირობითია, რადგან საქართველოში შეიძლება არსებობდეს, და არსებობს კიდეც, ოსებით დასახლებული ტერიტორია და არა ოსეთი.

სამხრეთ ოსეთის ეროვნულმა საბჭომ ერთი შეხედვით საქმიანი, კეთილი ურთიერთობა დაამყარა საქართველოს ეროვნულ საბჭოსთან. ეს უკანასკნელი მიესალმა სამხრეთ ოსეთის ეროვნული საბჭოს შექმნას, თავის წარმომადგენლებს გზავნიდა ოსთა ყრილობებზე და სხვ.

თითქოს არაფერი ჩანდა ისეთი, რაც ქართველებისა და ოსების საუკუნოებრივ თანადგომას სერიოზულ საფრთხეს შეუქმნიდა და მათ შორის სისხლისღვრას გამოიწვევდა. ეს ასე ჩანდა 1918 წლის მარტის დამდეგსაც, ტრაგედიის დაწყებამდე სულ რამდენიმე დღით ადრე. თუმცა უთანხმოების გარკვეული გამოვლენანი, მაგალითად, ტყით სარგებლობის საკითხებზე წამოჭრილი დავა თუ ცალკეული შეხლა-შემოხლაც კი, ადრიდანვე შეინიშნებოდა.

ცოტა რამ ადრინდელი ისტორიიდან: ბატონყმობის გაუქმების შემდეგ საქართველოს გლეხობა, ძირითადად, ორ კატეგორიად — დროებით ვალდებულ გლეხებად და ხიზნებად დაიყო. დროებით ვალდებულმა გლეხებმა მიწა მიიღეს. თითო კომლს 6 დესეტინა ერგო, მაგრამ მათ სრულ გამოსყიდვამდე ისინი ვალდებული იყვნენ მოსავლის $^1/_4$ მიწათმფლობელისათვის ეძლიათ. ამასთან განსაკუთრებული კანონის გამოცემამდე ყოფილი მიწათმფლობელის ტყითა და საძოვრებით სარგებლობის წესები ძველებური დარჩა. კანონის გამოცემას მთავრობა აჭიანურებდა, რაც ხელს აძლევდა მემამულეებს. დროებით ვალდებულ გლეხთა მდგომარეობა თანდათან უარესდებოდა უმთავრესად მიწის უკმარისობის გამო. ოჯახთა გაყოფის შედეგად თითოეული კომლის სანადელო მიწებით უზრუნველყოფის ნორმა, მაგალითად, 1907 წლისათვის $1^1/_2$ დესეტინამდე დავიდა.

სულ სხვა მდგომარეობაში აღმოჩნდნენ ხიზნები, რომლებიც ფაქტობრივად არამკვიდრ მოსახლეობას წარმოადგენდნენ. დიდი ნაწილი თავისუფალი

---

[12] იაკობ გოგებაშვილი, ბუნების კარი, მესამე და მეოთხე წლისათვის, ოცდამეერთე გამოცემა, თბ., 1912, გვ. 540.

მიწებისა, რაც ბატონყმობის გაუქმების შედეგად გაჩნდა, სწორედ მათ მიიღეს იჯარით. სახნავ მიწებს ხიზნები ტყის გაჩეხვის ხარჯზე აფართოებდნენ.

ქართლში ჩამოსახლდნენ კავკასიონის ქედზე მცხოვრები ოსები, რომლებმაც დაიკავეს გორისა და დუშეთის მაზრების საგრძნობი ტერიტორია, ადრე რომ უღრანი ტყეებით იყო დაფარული. მიწათმფლობელებიც ყოველ ზომას იღებდნენ ახალმოსახლეთა (მოიჯარეთა) მოსაზიდად. წახალისების მიზნით ტყით სარგებლობის უფლებებს აძლევდნენ მათ, ეხმარებოდნენ საცხოვრისის მოწყობაშიც. პირველ ხანებში გართულებები არა ჰქონიათ. მოიჯარე უკონტროლოდ სარგებლობდა ტყით და გასამრჯელოსაც წესიერად იხდიდა. გამოხდა ხანი და ბევრი რამ შეიცვალა. მოიჯარეთა მიერ ტყის გაჩეხვა წამგებიანი გახდა მიწათმფლობელისათვის. გამეჩხერებული ტყე თანდათან ძვირდებოდა. მოიჯარეს კი უკვე მძიმედ ეჩვენებოდა იჯარის პირობები. ამ ნიადაგზე ბევრი უთანხმოება წარმოიშვა. მთავრობა იძულებული გახდა ჩარეულიყო საქმეში და 1893 წელს გამოიცა სპეციალური დებულება, რომელიც ხიზნებს ეხებოდა. იმ მოიჯარეებს, რომლებსაც „წერილობითი ხელშეკრულება“ არ ჰქონდათ გაფორმებული, ხიზნის უფლებები მიეცათ. ასეთები კი ბევრნი იყვნენ, რადგან ძველად „წერილობით ხელშეკრულებებს“ არ აფორმებდნენ. თავიანთ მოვალეობებს ორივე მხარე უამისოდაც პირნათლად ასრულებდა. მეფის მთავრობამ განუმტკიცა ხიზნებს მიწით, ტყითა და საძოვრებით სარგებლობის უფლება. შეძლებული ხიზნები ეპატრონებოდნენ იმ მიწებსაც, რომლებიც იჯარით ჰქონდათ მიღებული ადგილობრივ, აბორიგენ დროებით ვალდებულ გლეხებს. ხიზნები თავიანთ შთამომავლებსაც შესყიდულ მიწებზე ასახლებდნენ. გორის მაზრაში ხიზანთა აბსოლუტურ უმრავლესობას ოსები შეადგენდნენ. აქედანვე განსახლდნენ ისინი საქართველოს სხვადასხვა მაზრაში.

ტყით სარგებლობის პრაქტიკა გარკვეულ საბაბს ქმნიდა ქართველთა და ოსთა დაპირისპირებისათვის. მაგალითად, სოფ. ავლევში მცხოვრებ ოსებს, რომლებიც ხიზნის უფლებებით იყვნენ აღჭურვილი, შეეძლოთ უფასოდ ესარგებლათ ტყით. აბორიგენი, ქართველი გლეხები კი ამ უფლებას მოკლებული იყვნენ. ტყის მოვლა-პატრონობისათვის საჭირო თანხის გამონახვის მიზნით, სოფლის აღმასკომმა 1917 წლის ზაფხულში დაადგინა, რომ ტყით სარგებლობისათვის (მაგალითად, შეშის გამოტანისათვის) თითოეულ ქართულ კომლს 5 მანეთი უნდა გადაეხადა, ოსებს კი, როგორც ხიზნებს, გადასახადი არ დააკისრეს. და ეს მაშინ, როცა თვით მიწათმფლობელებსაც აღარ ჰქონდათ უპირატესობა ტყით სარგებლობაში. ქართველთა პროტესტმა ნაყოფი ვერ გამოიღო, რადგან სოფლის აღმასკომში უმრავლესობას ოსები შეადგენდნენ.

მდგომარეობა კიდევ უფრო გართულდა ფრონტიდან ჯარისკაცების დაბრუნების შემდეგ (1918 წლის იანვრიდან). მათ შექმნეს შეიარაღებული რაზმი (დაახლოებით 300 კაცამდე), რომლის აბსოლუტურ უმრავლესობას ოსები შეადგენდნენ და დაიწყეს „წესრიგის დამყარება“, რასაც, მართლაც, რომ დიდი

უწესრიგობა და ანარქია მოჰყვა გორის მაზრაში. შეიარაღებული ექსტრემისტები, ვითომცდა იარაღის ჩამორთმევის მიზნით, თავს ესხმოდნენ მემამულეთა ოჯახებს, ძარცვავდნენ მათ (დაწვრილებით იხ. კ. მ. ამირაჯიბის სტატიები: „აგრარული რეფორმა“ და „რევოლუციური წელი სოფლად“. — გაზ. „ვოზროჟდენიე“, 1918 წლის №№ 122, 136). სწორედ ამ გამოსვლების თაობაზეა ლაპარაკი სამხრეთ ოსეთის ეროვნული საბჭოს პირველი სესიის (1918 წლის 2—4 მარტი) შემდეგ საოქმო ჩანაწერში:

> «Далее Г. А. Гаглоев выступает с речью об анархии в плоскостных районах Южной Осетии. Вся вина в этом падает на вернувшихся с фронта некоторых солдат. Они выступают против существующих революционных организаций и тем усиливают анархию. Ужасы, творимые ими в Горийском уезде свидетельствуют, что тут перед нами не идейный большевизм, а обречество, грабеж. Необходимо приложить все силы к успокоению умов, разъяснять народу современное положение республики и вообще вести систематическую революционную пропаганду, создать демократические организации в деревнях и тем изолировать преступные элементы от революционной демократии. Необходимо также отобрать имеющееся у ненадежных элементов оружие и образовать крестьянскую красную гвардию»[13].

ამ აღიარებას დიდი მნიშვნელობა აქვს შემდეგ განვითარებულ მოვლენათა სწორი შეფასებისათვის.

მაინც რამ განაპირობა ოსთა და ქართველთა სისხლიანი შეტაკება 1918 წლის მარტში, მაშინ, როცა საქართველოს თურქეთი დაპყრობით ემუქრებოდა? რა მოხდა ისეთი, რომ საერთო მტრის წინააღმდეგ ერთიანი ფრონტით გალაშქრების ნაცვლად ოსებმა ომი გამოუცხადეს თვით საქართველოს?

აქვე ვთქვათ, რომ ბოლშევიკების ხელმძღვანელობით შეიარაღებული გამოსვლები ამ დროს სხვაგანაც ეწყობოდა და მათში მონაწილეობდნენ არა მარტო არაქართველი, არამედ ქართველი გლეხებიც. ამჯერად მხოლოდ ცხინვალის ამბებს შევეხოთ.

რუსეთის მიერ ბედის ანაბარად მიტოვებული საქართველო მაშინ თურქეთს ვერ გაუმკლავდებოდა. საქართველოს არმია ჯერ კიდევ არ ჰყავდა. შექმნილი იყო მხოლოდ წითელი (სახალხო) გვარდია, რომელიც რასაკვირველია, ვერ მოერეოდა მტერს. გაჩაღდა მუშაობა მეფის არმიის ქართველი ჯარის-

---

13 სცსსა. ფ. 1818, აღწ. 1, საქ. 113. ფურც. 7.

კაცების მობილიზაციისა და მათგან ქართული ჯარის ნაწილების შესაქმნელად. იმედებს ამყარებდნენ ქართულ პოლკებზე, მაგრამ გაირკვა, რომ ზოგიერთი მათგანი ბოლშევიზმის გავლენას განიცდიდა. ამიერკავკასიის კომისარიატი მათ, ცხადია, ვერ დაეყრდნობოდა. უფრო მეტიც, საჭირო გახდა მათი განიარაღება. ამ საქმეს ხელი მოჰკიდა სახალხო გვარდიამ. განიარაღება ხდებოდა 1918 წლის იანვარ-თებერვალში. მთავრობის ორგანოები არასანდო ნაწილებს კი შლიდნენ და იარაღსაც იძენდნენ, მაგრამ უკმაყოფილებას ვერ სპობდნენ. განიარაღებული ჯარისკაცები სოფლებში დაბრუნდნენ და მთავრობის წინააღმდეგ საბრძოლველად ამხედრებდნენ გლეხებს.

განსაკუთრებით გართულდა მდგომარეობა გორის მაზრის ცალკეულ სოფლებში, სადაც გლეხობა აშკარად დაუპირისპირდა მთავრობასა და თავადაზნაურობას. თავადაზნაურობას გლეხობა ფიზიკურად უსწორდებოდა. დახოცეს თავადები ციციშვილები, ვეზირიშვილი და სხვ.

გორის პოლკის განიარაღების შემდეგ, ჯარისკაცები სოფლებში გაიფანტნენ. სახალხო გვარდია გლეხობის განიარაღებას შეუდგა. გვარდიელებმა შეიპყრეს ციციშვილების და ვეზირიშვილის მკვლელი გლეხები და ადგილზევე დახვრიტეს, რამაც კიდევ უფრო გაზარდა გლეხთა უკმაყოფილება. აღმოჩნდნენ დემაგოგები, რომლებიც ავრცელებდნენ ხმებს, რომ სახალხო გვარდია თავადაზნაურობამ მოისყიდა და მის ინტერესებს იცავსო. უკმაყოფილო ელემენტებმა თავი მოიყარეს ცხინვალსა და ჯავაში, სადაც ოსი მოსახლეობა შეუდგა მზადებას გვარდიისათვის წინააღმდეგობის გასაწევად. გვარდია კი ნამდვილად აპირებდა არა მარტო ოსი, არამედ ყველა გლეხის განიარაღებას.

და მაინც განიარაღება არ იყო მთავარი მიზეზი ოსთა შეიარაღებული გამოსვლისა. აქ ერთმანეთში იყო გადახლართული სოციალური, ეროვნული და სეპარატისტული მოტივები. დავიმოწმოთ ადგილები გაზეთ „სახალხო საქმის" 1918 წლის 30 მარტის ნომერში გამოქვეყნებული რ. ბ-ლის კორესპონდენციიდან „ცხინვალის ამბები". კორესპონდენტი წერს: „სურათი ცხინვალის აოხრებისა ამნაირად იშლება ჩვენს თვალწინ:

16 მარტს დილით ცხინვალს მოდის ოსთა დელეგაცია, რომელსაც მოაქვს პაკეტი, დაწერილი გორის აღმასრულებელი კომიტეტის სახელზე.

რადგანაც დელეგატები დაუყოვნებლივ პასუხს თხოულობენ, პაკეტს ხსნიან აქაური ორგანიზაციების წარმომადგენელნი: რაჟდენ გაგუა და პორფილე ეფრემიძე. შიგ ასეთი მოთხოვნილებაა: 1) დაუყოვნებლივ დაგვიყავით მიწები; 2) გორის მაზრიდან გააძევეთ რევოლუციონურ ორგანიზაციაში მომუშავე შემდეგი პირნი: კოსტა კაზიშვილი, სოსიკო გოგინოვი, შაქრო კასრაძე და ილია მაისურაძე; 3) გორის მაზრიდან გააძევეთ ყველა თავადი და აზნაური; 4) მოგვეცით სიტყვისა და კრების თავისუფლება. პასუხისათვის უკანასკნელი ვადა არის იმავ დღის (16 მარტის) ნაშუადღევის 3 საათი.

ცხინვალის მუშათა და გლეხთა საბჭო და აღმასრულებელი კომიტეტი სა-

გონებელში ვარდება: მოთხოვნილებათა მუხლები მათი განხილვის საგანს არ შეადგენს და დროც ძალიან ცოტა აქვთ. მაინც იმართება საბჭოს და კომიტეტის საჩქარო შეერთებული კრება, თუმცა თითონაც არ იციან რა უნდა გადაწყვიტონ. მართლაც რა გადაწყვიტონ? თავად-აზნაურობის გაძევება მათი საქმე არ არის. რაც შეეხება მიწების დაყოფას, შესაფერი მუშაობა უკვე სწარმოებს თანახმად ახალი მთავრობის მიერ გამოცემული სააღგილმამულო დეკრეტისა. სიტყვის და კრების თავისუფლება ხომ უკვე განხორციელებულია?

საბჭოს და კომიტეტის კრებას ჯერ არაფერი არა აქვს დადგენილი, რომ უკვე სამ საათზე მეტია. ამ დროს მთებიდან სროლა იწყება და კრებაც წყდება.

სხვა გზა არ არის და სანდრო კეცხოველის მეთაურობით დელეგაცია მიდის ოსებთან. დელეგაციაში არიან: რაჟდენ გაგუა, პორფილე ეფრემიძე, გრიშა ოქროპირიძე, ალექსი ჩოხელი და ვასო იარალოვი. მათთან ერთად მიდის ოსთაგან გამოგზავნილი დელეგაციის წევრი ჩოჩიევი.

დგვრისის მოედანზე ოსები მაღლიდან სროლით ეგებებიან დელეგაციას, რომელსაც თეთრი ბაირაღები აქვს გამოფენილი. დელეგატები იძულებული არიან თხრილში დაიმალონ. ჩოჩიევი მაინც ახერხებს ოსებთან ასვლას და იმათ გაჩერებას. მათთან ადიან სანდრო კეცხოველი და ვასო იარალოვი. სანდრო მათ არიგებს და ჰპირდება, რაც შესაძლებელია ყველაფერს აგისრულებთო. ამ დროს სანდროს იცნობს ვიღაც გამოქცეული ჯარისკაცი... იგი ლანძღვას დაუწყებს სანდროს, შენ არ იყავი, რომ ქართულ პოლკს იარაღი აჰყარე და ჩვენს ოფიცრებს შეურაცხყოფა მიაყენეო. სანდროს სიკვდილისგან იხსნის ოსი ჩოჩიევი.

მეორე დღეს, 17 მარტს ცხინვალში ამოდის კორის წითელი რაზმი სამაზრო კომისრის გიორგი მაჩაბლის მეთაურობით. იმართება მოლაპარაკება, ოსებს ყველა მოთხოვნილების დაკმაყოფილებას ჰპირდებიან გარდა თავად-აზნაურობის გაძევებისა. ისინი თხოულობენ რომ დაპირება დადასტურებულ იქნას საჯაროდ, მიტინგზე, რომელსაც ნიშნავენ 18 მარტისათვის.

დიდხანს არის დავა იმაზე, თუ სად გაიმართოს მიტინგი. ოსები მიტინგისთვის არჩევენ დგვრისის მოედანს, რომელიც ცხინვალს იქით მდებარეობს, ყორნისის მიმართულებით. მიტინგს მაინცდამაინც ბევრი ხალხი არ ესწრება, რადგანაც ყველანი შეშინებულნი არიან. ოსები თავიანთ მოთხოვნილებებს ადასტურებენ. მათაც ჰპირდებიან დაკმაყოფილებას. გიორგი მაჩაბლის შემდეგ ლაპარაკობს ცხინვალის კომისარი კულუმბეკოვი (ოსი), რომელიც ოსთა მოთხოვნილებებს უფრო მწვავე ხასიათს აძლევს. ამ მიტინგზე მიდიან ტფილისიდან მოსულნი კირილე ნინიძე და გიორგი გაგლოევი. ოსები ახალ მოთხოვნილებას აყენებენ. ისინი თხოულობენ, რომ დაუყოვნებლივ განთავისუფლებულ იქნან ხარებოვი და მთავრობის მამასახლისად ნამყოფი ფილიშვილი, რომლებიც დაპატიმრებული არიან ამასწინათ მოწყობილ ოსთა . . . აჯანყებისათვის (ამ-

ჟამად ხარებოვი უკვე განთავისუფლებულია საგუბერნიო კომისრის კ. ჯაფარიძის განკარგულებით და სად იმყოფება იგი, არავინ იცის).

უკანასკნელად კიდევ ლაპარაკობს ცხინვალის კომისარი კულუმბეკოვი და ამბობს: დაპირება კმარა, საჭიროა დაპირებულის დაუყოვნებლივ ასრულებაო, მოთმინება კმარაო. ამ ბოლო სიტყვების დროს ორივე ხელს მაღლა აიქნევს და იწყება კიდეც ამ ნიშნის შემდეგ სროლა ორი მხრიდან: ზღუდრის კალთიდან და ნაცარ-გორიდან. თავზარდაცემული ხალხი იშლება და მუცელზე ხოხვით შორდება საბედისწერო მოედანს. დაბინდებისას სროლა წყდება. ცხინვალში სამარისებური სიჩუმეა. დაღამებისას ცხინვალის ვენახებს ოთხივ კუთხით ცეცხლი ედება, რომელიც უფრო დიდდება, მაგრამ შეუძლებელია რაიმე ღონისძიების მიღება ბრბოს მხეცობის წინააღმდეგ.

ცხინვალის შტაბში ამ დროს ბჭობაა და მოუთმენლად ელიან გათენებას. დილის ხუთ საათზე შესაძლებელი ხდება ბრბოსთან შებრძოლება. სხვადასხვა მხრისკენ იგზავნებიან რაზმელები, რომლებიც მედგარ წინააღმდეგობას უწევენ ბრბოს. სროლა მხოლოდ ნაშუადღევს ოთხ საათზე წყდება. ამის მიზეზი ის არის, რომ წითელ რაზმელებს ტყვია-წამალი შემოაკლდათ და შეუძლებელია ბრძოლა, საჭიროა თავის გადარჩენა.

ცოტა ხნის შემდეგ საზარელი სურათი იშლება. ოთხივ კუთხიდან ცხინვალში შემოიჭრება გამხეცებული ბრბო ველურის ღრიალით და განგაშით, იწყება ძარცვა-რბევა, ღრიალი, დუქნების მტვრევა, ყუმბარების სროლა (წითელ რაზმელების მხრით). ისმის ყვირილი: დაარტყით, მოკალით. ბრბო შეიარაღებულია. აქვთ „ვინტოვკები" და ბერდენის თოფები. ბევრს სისხლიანი ხანჯლები. დანები და ხიშტები აქვს გაკეთებული ჯოხებზე. ძარცვა-რბევაში მონაწილეობას იღებენ ერედველი ქართველები.

ალაგ-ალაგ ბრბოს უმკლავდებიან გიორგი მაჩაბელი, კოსტა კაზიშვილი, ილია მაისურაძე და სხვები, მაგრამ გადარჩენის იმედი მაინც არ არის, რადგანაც მავთულები გორსა და ცხინვალს შუა წინათვე გადაჭრილია და მაშასადამე გორიდან მაშველი ჯარის მოლოდინი არავის აქვს. ხიდის ყურზე ტყვიამფრქვევი მუშაობს. აქ მძიმედ დაჭრიან გიორგი მაჩაბელს და შემდეგ საავადმყოფოს წინ კლავენ. ჩქარა იმავ ადგილას გიორგისავით მოვალეობის მსხვერპლი ხდება და სახელოვან სიკვდილს პოვებს კოსტა კაზიშვილი. სანდრო კეცხოველიც ხიდის ყურზე დგას და, ალბათ, მისი გული საზარლად იგმინება ძვირფასი ამხანაგების დაკარგვით. იგი მაინც მხნეობას არ კარგავს და ხალხს ანუგეშებს იმ დრომდე, სანამ ურცხვად არ შეეხება ბრბო მის ჭაღარას და ტყვიით არ გაუგმირავს პატიოსანს და კაცთმოყვარე გულს. ბრბო ამით არ კმაყოფილდება. გაციებულ გვამს საშინლად ასახიჩრებენ.

19 მარტი ასე საზარლად ღამდება ცხინვალელთა და იქ მისულ წითელგვარდიელებისათვის. გამარჯვება რჩება ბრბოს და სრული ბატონ-პატრონი ხდება მთელის ცხინვალისა. ხალხი ამ დროს დამალულია, სადაც მოასწრო. მე-

ორი დღის 20 მარტს, ატყვევებენ კ. ნინიძეს, გ. გაგლოევს და პ. ეფრემიძეს. მთელს ცხინვალში იმ დროს გამეფებულია შიში და ძრწოლა, უიმედობა და სასოწარკვეთილება. ხალხს ემუქრებიან თუ ხელი არ შეუშალეთ გორიდან ჯარის ამოსვლას, ყველას ამოგწყვიტავთო. ახლავე შეუთვალეთ, რომ აქ ჯარი საჭირო არ არისო.

20 მარტს ხალხი უკვე გახიზნულია ცხინვალიდან და ბრბოც თავისუფლად ეზიდება აქედან სხვის სარჩო-საბადებელს. მათი ბატონობა ცხინვალში გრძელდება 22 მარტის შუადღემდე, როდესაც გაიგებენ გორიდან წამოსული ჯარის მოახლოებას ლაჩრულად სტოვებენ აოხრებულ ქალაქს... 23 მარტის სროლის დროს მოკლულ იქნენ შემდეგი წითელგვარდიელები: ვასო გელაშვილი, ვარლამ მამალაძე, არჩილ მარგველაშვილი და ვასო ქობულაშვილი. დაიჭრნენ: მიხეილ ღვინერია. ვერასიმე ბაშნიევი, ნიკოლოზ გამდლიშვილი, გიორგი ბაზაკაშვილი და ალექსანდრე ბასინაშვილი. რბევა-ძარცვის დროს მიყენებული ზარალი ცხინვალისა სულ ცოტა ათ მილიონ მანეთს უდრის. ცხინვალის კომისარი კულუმბეკოვი ამჟამად დაპატიმრებულია შიგ ცხინვალში".

კომენტარს თავს ვარიდებთ. მკითხველი თვით განსჯის. ოღონდ დამატებით ცნობებს მივაწვდით მას კვლავ იმდროინდელი პრესიდან.

გაზეთი „ალიონი", 1918 წლის 5 აპრილი. კორესპონდენცია „ქართლში". ხელს აწერს დ.-ლი. „...შტაბში გავიგე ვერაგულად მოკლული გ. მაჩაბელი, ს. კეცხოველი და სხვა გვარდიელები ჩამოასვენესო... სანახავათ წავედი. როცა მეუბნებოდნენ თუ რანაირათ იყვნენ ისინი დასახიჩრებულნი არ მჯეროდა, მეგონა ძალიან გადამეტებულია-მეთქი... საშინელი, გულშემზარავი სურათი იყო. ჩემდა მოულოდნელად, რაც გამეგონა ყველაფერი გამრავლებული აღმოჩნდა. გ. მაჩაბელი ტყვიებით დაცხრილული იყო მუხლებში. მერე ხანჯლით დაჩხვლეტილი მთელ ტანზე. საფეთქლის ზევით ხანჯლის წვერით თავის ქალა თითქმის აგლეჯილი, და ერთი უმსგავსო ველური სხეულის დამახინჯება... აუხსნელია ჩემთვის ადამიანი ასეთ გამხეცებამდის როგორ მივა.

ს. კეცხოველს მარჯვენა მხრიდან მუცელში ტყვია ჰქონდა მოხვედრილი, რამაც მას სიცოცხლე მოუსპო ალბათ, შემდეგ ველურებს თავი მოეჭრათ, მაგრამ კისერში კი არა, მკერდიდან ჰქონდა აკეპილი, თავის ქალა დამსხვრეული. სახეზე წვერების მეტი არაფერი სჩანდა. ამბობდენ მოკვლის შემდეგ სხეული ქუჩაზე ეგდო და ზედ ფაიტონებით დადიოდნენო... გაბრუებული, დაბნეული გამოვედი საავადმყოფოდან..."

ცხინვალის ამბებთან დაკავშირებული ველურობისა და სადიზმის ფაქტებს ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფია გვერდს უვლიდა. ამას შეგნებულად აკეთებდა, რადგან რეალობას უწევდა ანგარიშს. რეალობა კი ის იყო და არის, რომ ქართველმა და ოსმა ხალხებმა კვლავინდებურად ერთად უნდა იცხოვრონ. ქართველი ხალხი ოსებით დასახლებულ ქართულ მიწებს თავისი სხეულიდან ვერ მოიკვეთს. ოსებს კი ნორმალური ეროვნულ-კულტურული განვითარების სრუ-

ლი გარანტია ჰქონდათ და უნდა დარჩეთ კიდეც. ამ საკითხის გადაწყვეტის სხვა დემოკრატიული გზა პრაქტიკულად არ არსებობს და ვერც ვერავინ გამონახავს მას. აქედან გამომდინარე ქართული ისტორიოგრაფია ცდილობდა ყურადღება გაემახვილებინა ქართველთა და ოსთა ურთიერთობაში არსებულ არა ისეთ მოვლენებზე, რომლებიც კიდევ უფრო დააპირისპირებდნენ ამ ხალხებს, არამედ ისეთებზე, რომლებიც ხელს შეუწყობდნენ სამარცხვინო ისტორიული ფაქტების დავიწყებას და ახალი, ცივილიზებული ერებისათვის შესაფერისი კავშირურთიერთობის დამყარება-განმტკიცებას. არნახული სადიზმის ზემოაღნიშნულ ფაქტებზე ყურადღების გამახვილებას კი, შეიძლება კიდევ უფრო გაეღრმავებინა ქართველ და ოს ხალხებს შორის, ძირითადად, გაუგებრობის შედეგად გაჩენილი უფსკრული, გაეღვივებინა მათ შორის უნდობლობა (არა და ქართველ და ოს ხალხებს ისე სჭირდებათ ურთიერთთანადგომა, როგორც, ალბათ, არავის ამ ქვეყანაზე).

მართალია, ისტორიისადმი ასეთი დამოკიდებულება პოლიტიკის დანამატად აქცევს მას, მაგრამ ამ ტენდენციის დაგმობა, ვერ დავმალავ, ახლაც მიჭირს. უფრო მეტი. მოკლული ს. კეცხოველის სხეულის დასახიჩრებასთან დაკავშირებული ვანდალიზმის ფაქტს სხვა ვითარებაში, ალბათ, დღესაც არ მოვიხსენიებდი, რადგან ჩვეულებრივ პირობებში, თუ ერთმანეთის გაღიზიანება არ გვინდა, იგი. მართლაც. დასავიწყებელია. მაგრამ დღეს სხვა ჟამი დაგვიდგა. კონფრონტაციამ ორ ერს შორის კულმინაციას მიაღწია. ასე რომ, მოსარიდებელი თითქმის აღარაფერი დაგვრჩა. ამ ფაქტების გამომზეურება კი, სხვა რომ არაფერი ვთქვათ, დაგვეხმარება ქართველთა მხრივ მოგვიანებით (1920 წელს) ჩადენილი საპასუხო სისასტიკის (ოსური სოფლების გადაწვის) ახსნასა და შეფასებაში (და არა გამართლებაში).

მივუბრუნდეთ ცხინვალის ამბებს. გაზეთი „ერთობა", 1918 წლის 23 მარტი. კორესპონდენცია „ცხინვალის ამბები". „გუშინ, 21 მარტს ცხინვალიდან დაბრუნდა ამხ. კირილე ნინიძე და შემდეგი გვიამბო... გაძარცულთა რიცხვის გამორკვევა შეუძლებელია. ძარცვავდნენ ყველას, ვისაც კი მოასწრებდნენ, მიპქონდათ საათები, ფულები, მანუფაქტურა, კოვზები, საცვლები; ქალებს ბეჭდებს აძრობდნენ თითებიდან. იყო შემთხვევა, რომ წაიღეს აკვანი. მტაცებლობა ხდებოდა აშკარათ: ცალ ხელში ვინტოვკა ეჭირათ სალდათებს, ზურგზე სავსე ტომარა ჰქონდათ წამოკიდებული ან რაიმე ავეჯი და ისე მიდიოდნენ. მომიხდა ლაპარაკი ეგრეთწოდებულ „იდეურ" სალდათებთან. ესენი აღშფოთებული იყვნენ ძარცვით, ამბობდენ — ჩვენ მხოლოდ თავადებსა და წითელ გვარდიას ვებრძვით და ხალხს ვიცავთო. ეტყობა ღრმად არიან დარწმუნებულნი, რომ გვარდია თავადებისაგან არის მოსყიდული..." (აი, ასეთი საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა მაშინ ქ. ცხინვალში. ამ თეზისს სადავოდ გახდიან, მაგრამ ფაქტებს რა ვუყოთ?).

გაზეთი „ერთობა". 1918 წლის 24 მარტი. კორესპონდენცია „ცხინვალის

ამბები“. „გუშინ, 23 მარტს ცხინვალიდან ამიერკავკასიის მთავრობას შემდეგი დეპეშა მოუვიდა ვალ. ჯუღელისაგან: 22 მარტს ჩვენმა წითელმა გვარდიამ ცხინვალი და მისი ახლო-მახლო ადგილები ხელში ჩაიგდო. მოწინააღმდეგემ ბრძოლა არ მიიღო და ჩვენს მისვლამდე მთებში გაიქცა. მთელი მათი ძალა გროვდება ჯავის ხეობაში. მთელი დღე სამი სოფლის დაპყრობას და გაწმენდას მოვანდომეთ... ჩვენმა არტილერიამ სოფლები დაზოგა და სოფლიდან გამოსულ მოწინააღმდეგეს ყუმბარები დაუშინა. დღეს დილიდანვე ჩვენი გვარდია მაღალ მთებს შეუდგა ბრძოლით ჩრდილო აღმოსავლეთისაკენ. ფედერალისტთა რაზმი და ტფილისიდან ჩამოსული წითელი გვარდიელები გავიდა მდ. ლიახვში და დასავლეთიდან ცხინვალს ალყა შემოარტყა. ცხინვალი სამწუხარო სურათს წარმოადგენს: ყველაფერი განადგურებულია, ქუჩებზე ჩვენი ამხანაგების დანთხეული სისხლია დამხმარი. მცხოვრებნი აღტაცებით შეგვხვდნენ. ჯერჯერობით გავათავისუფლეთ 150 ტყვე. ჯავის რაიონის ტყვეები ჯერ არ გაგვითავისუფლებია. დიდის სიფრთხილით, რომ ჩვენს და მათ შორის პროვოკაციის მიერ შექმნილი უფსკრული კიდევ უფრო არ გავაღრმავოთ, ხვალ მივიღებთ საჭირო გადამჭრელ ზომებს. მომხდარი ამბები მეტად რთულია და ტრაღიკულია. ყველა მამაკაცი სოფლიდან გაიქცა, ზოგიერთი სოფელი სულ დაიცალა. დამნაშავეები სასტიკათ დაისჯებიან“.

ოსთა 1918 წლის მარტის აჯანყება ქართულმა სახალხო გვარდიამ ჩააქრო. მდგომარეობა, ცხადია, კვლავ დაძაბული რჩებოდა.

ამ აჯანყებამ მთელი ქართული საზოგადოებრიობა შესძრა. დიდი ადგილი დაუთმო მას იმდროინდელმა ქართულმა პრესამ. სპეციალურად იმსჯელა ამ საკითხზე საქართველოს ეროვნულმა საბჭომ. ოსთა საკითხისადმი ქართველ პოლიტიკოსთა დამოკიდებულება არაერთგვაროვანი იყო. საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა გრიგოლ ვეშაპელმა საქართველოს ეროვნული საბჭოს 1918 წლის 2 აგვისტოს სხდომაზე განაცხადა: „დასასრულს, მე მსურს მოვიყვანო ერთი ქართველი მწერლის აზრი, იგი... დედით ნაოსარია და კარგად იცის ოსთა ყოფა-ცხოვრება. ეს გახლავთ ბატონი ია ეკალაძე. იგი შემდეგს წერს ოსურ საფრთხეზე გაზეთ „ჩვენს ქვეყანაში“ — „როდესაც საქართველოს მიწა-წყალზე, ქართველი ხალხის წინააღმდეგ ამხედრებს ჩვენში სამადლოდ ჩამოსახლებულ ოსებს მათი ინტელიგენციის ერთი ნაწილი, ეს არამც თუ უმადურობაა, არამედ დიდი უსამართლობაც, რომელიც დაიწყო ოცი-ოცდაათი წლის წინათ. ინიციატორებად შეიქმნენ ჯერ რუსის მოხელეები, ცნობილი ვოსტორგოვის მეთაურობით და მერე ოსის ნასწავლი ახალგაზრდობა, რომელიც გამოიზარდა რუსის სკოლებში, როგორც რუსეთის სტიპენდიანტები. ვოსტორგოვმა და ამ ახალგაზრდებმა მოწამლეს საქართველოს ოსების მასა და ეს შხამი არ გადაერეცხებათ გულიდან იქამდე, ვიდრე თავისუფალი საქართველო არ ალაგმავს ხალხის მტრებს და არ დაანახვებს საქართველოს ოსებს მათ შეცდომებს. ჯერ სად იყო რევოლუცია, როდესაც საქართველოს ოსების ინტელიგენციამ მთელი გეგმა შეადგინა რუსეთის პოლი-

ტიკითა და ასი წლის მონობით დაბეჩავებული ქართველი ხალხის დაჩაგვრა-დაპყრობისა. ლიახვის ხეობაში მიბრძანდით, თუნდ ცხინვალში, თვალი შეავლეთ იმ რკალს, რომელიც შეიქმნა ოსი მოსახლეობით, დაუკვირდით მარტო ცხინვალსა და დგვრისში ახლად, ჩემის დროს ჩამოსახლებულ ოს ვაჭართა მოხელეობა-მოქმედებას. ამ ხეობიდან გამოსულ ამ ვაჭარ „ბურჟუების" შვილებს, მოზარდ თაობას, სტუდენტ მოსწავლეთა წრეებს, მათ კავშირებს, განზრახვებს და თქვენ დამეთანხმებით, არც ეს ვაჟბატონები დაიხევენ უკან თუ კი ცოტა რამეს მაინც ჩამოგლეჯენ ყველასაგან დაბრიყვებულ საქართველოს, თუ კი შეძლება მიეცემათ ხელი მოითბონ საქართველოს უბედურებაზე"[14].

გრიგოლ ვეშაპელმა, რომელიც გამოირჩეოდა ოსთა საკითხისადმი თავისი რადიკალური დამოკიდებულებით, აღნიშნა: „საქართველოს ტერიტორიაზე აქაიქ დასახლებული ოსები მე მიმაჩნია უცხო სახელმწიფოს მოქალაქეებად მანამდის, სანამ არ იტყვიან ერთად ვიყოთ თუ არა, სანამ ფედერაციული სახელმწიფოს ეს ნაწილი არ განაცხადებს, რომ იგი არ შედის რუსეთის ფედერაციაში". და კიდევ: „საქართველოში არიან მხოლოდ ოსები და არა ოსეთი, საქართველოში შეიძლება ოსებზე ლაპარაკი და არა ოსეთზე"[15].

უფრო შემრიგებლური პოზიცია ეკავათ ქართველ სოციალ-დემოკრატებს. მათი აზრი მკაფიოდ ჩამოაყალიბა ეროვნული საბჭოს სხდომაზე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრმა, სოციალ-დემოკრატმა ნოე რამიშვილმა, რომელმაც ეროვნულ-დემოკრატთა საყურადღებოდ აღნიშნა: „ჩვენ ხშირად გვითქვამს და ეხლაც ვიმეორებთ, რომ თქვენი პოზიცია, მართლაც, აუარესებს საქართველოს მდგომარეობას. დიახ, ამაში უნდა დამეთანხმოთ თუ დაინტერესებული ხართ, რომ საქართველოს რესპუბლიკა დამშვიდდეს, საჭიროა ყველა ელემენტთან შერიგება. ჩვენ ვიცით, რომ ოს დემოკრატთა ერთი ნაწილი არის ბოლშევიკური ნაწილი, მაგრამ ოსთა დემოკრატიის შორის არის მეორე ნაწილი, რომელიც დარწმუნებულია, რომ საჭიროა მჭიდრო შეკავშირება საქართველოსთან. თქვენი შეკითხვა იმის მაგიერ, რომ ხელს უწყობდეს ამ ნაწილების შეკავშირებას, მისი მიზანია შერყევა ჩვენი შინაური სიმტკიცისა. თქვენგან ხშირად გვესმის მთლიან საქართველოზე ლაპარაკი და თუ თქვენ საქმითაც დაინტერესებული ხართ, უნდა ემსახუროთ ყველა ნაწილის შემოკრებას. თქვენ კი ამის მაგიერ თქვენს ისარს მიმართავთ ერთი ერის წინააღმდეგ, თუმცა იგი იმდენადვე დამნაშავეა, რამდენადაც დამნაშავეა ქართველი ერი რაჭა-ლეჩხუმის აჯანყებაში"[16].

ასეთივე ინტერნაციონალურია სოციალ-დემოკრატიის მეორე წარმომადგენლის ალექსანდრე ლომთათიძის სიტყვაც: „თუ ჩვენ დავაკმაყოფილებთ ოსებს, ისევე როგორც ქართველ გლეხებს, შეიძლება ჩვენ მათში უფრო გულ-

---

14 გაზ. «საქართველოს რესპუბლიკა», 1918 წლის 27 აგვისტო.

15 იქვე.

16 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 1918 წლის 28 აგვისტო,

მოღვინე მოქალაქეები შევიძინოთ. ჩვენი პოლიტიკა ოსებისადმი ისეთივე უნდა იყოს, როგორც ქართველებისადმი. ამნაირი პოლიტიკით შეიძლება ადგილობრივი წესების დამყარება. არა, ჩვენ სხვაგვარ გზას ვერ დავადგებით. სახელმწიფოში ყველა მოქალაქე უნდა იყოს კანონიერი შვილი და არა გერი"[17].

აი, ასე მსჯელობდნენ ოსთა საკითხზე „მენშევიკური საქართველოს" სოციალ-დემოკრატი ლიდერები, რომლებიც თავიანთი პარტიის, რესპუბლიკის მთავრობის აზრს გამოხატავდნენ. როგორ არ თავსდება ყოველივე ეს იმ სტერეოტიპში, რომელსაც საბჭოური ისტორიოგრაფია ამკვიდრებდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული პოლიტიკის შეფასებისას.

## 1919—1920 წწ.

1919 წელი. ამ წელსაც არ ყოფილა სიმშვიდე შიდა ქართლში. სამხრეთ ოსეთის ეროვნული საბჭო (არჩეული 1918 წლის დეკემბერში), რომელიც იმ დროს ბოლშევიკური იყო, არ ცნობდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას, უგულებელყოფდა მის კანონებს და მოქმედებდა როგორც ერთადერთი დამოუკიდებელი პოლიტიკური ხელისუფლება სამხრეთ ოსეთში. 1919 წლის იანვარში მან მიიღო გადაწყვეტილება სამხრეთ ოსეთში დროებითი საგანგებო სასამართლოების შემოღების შესახებ, შეიმუშავა დებულების პროექტი, რომელიც არ დაამტკიცა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტრომ, რადგანაც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედებდნენ მხოლოდ სახელმწიფოებრივი სასამართლოები, და ოსებით დასახლებულ ადგილებში ჩადენილ დანაშაულთა განსჯადობაც საერთო წესით მათ უნდა დაქვემდებარებოდა. სამხრეთ ოსეთის ეროვნულმა საბჭომ უარი თქვა როგორც გორის მაზრის ერობის, ისე საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნებში მონაწილეობაზე.

როგორი პოზიცია ეკავათ თბილისელ ოსებს ამ ვითარებაში? 1919 წლის 26 თებერვალს გაიმართა თბილისელ ოს მუშათა კრება (დაესწრო ასამდე კაცი), რომელზეც მომხსენებელმა ვ. გაგლოევმა თქვა: „...ერთადერთი სწორი გზა ოსეთის დემოკრატიის წინაშე არის თავისუფალი საქართველო, რომლის შემადგენელი ნაწილიც არის ოსეთი". კრებამ საჭიროდ მიიჩნია: „შეიქმნას მტკიცე კავშირი სოფელთან და გამოუცხადოს სასტიკი ბრძოლა ოსების კონტრრევოლუციურ შავბნელ ძალებს, რომელნიც ცდილობდენ ჩაითრიონ ოსეთის მშრომელი ხალხი ჩრდილოეთ ოსეთის ავანტურაში, ნაციონალურ და სამოქალაქო ომში"[18].

სეპარატისტებმა ყურად არ იღეს ძმათა სადი ძახილი.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას ბევრი დოკუ-

---

[17] გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 1918 წლის 30 აგვისტო.

[18] გაზ. „ერთობა", 1919 წლის 1 მარტი.

მენტი ჩაუვარდა ხელთ, რომლებიც ცხადყოფენ, რომ სამხრეთ ოსეთის ეროვნული საბჭო მიზნად ისახავდა სამხრეთ ოსეთის შეერთებას რუსეთთან, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ აჯანყებისაკენ მოუწოდებდა სამაჩაბლოს მოსახლეობას. სამხრეთ ოსეთის ეროვნულმა საბჭომ 1919 წლის მაისში მიატოვა შტაბბინა და მთებში გაიხიზნა. მისი წარმომადგენლები სოფელ-სოფელ დადიოდნენ, კრებებს მართავდნენ და ბარის გლეხებს მოუწოდებდნენ დახმარებოდნენ ჯაველ აჯანყებულებს, რომლებსაც თავიანთ განკარგულებაში თითქოს ოსთა 3 პოლკი ჰყავდათ. დამახასიათებელია ოსი გლეხობის ერთი ნაწილის პასუხი, რომელიც გაზეთ „ერთობის" 1919 წლის 5 ივნისის ნომერში გამოქვეყნდა: „ისინი არევ-დარევენ საქმეს და შემდეგ მთებში მიიმალებიან. ყოველგვარი ვაი-ვაგლახი და მთავრობის რისხვა კი ჩვენ უნდა გადაგვხდეს თავს და მერე რისთვის, ჩვენ ქართველებთან რა გვაქვს საჩხუბი, მათთან ვცხოვრობთ ძმურად და კვლავაც ასე ვიცხოვრებთ. ჯაველები კი, ვისთანაც უნდათ, იმათთან წავიდნენო".

იგივე გაზეთი წერდა: „სამხრეთ ოსეთის ეროვნულმა საბჭომ, უკუაგდორა ჩვენი მთავრობის განკარგულებები და ზოგიერთი უკვე ცხოვრებაში გატარებული კანონები, მოინდომა ძალაუფლების ხელში ჩაგდება, რამაც ადგილობრივ ცხოვრებაში არევ-დარევა შეიტანა და ამით ფართო ნიადაგი მოუმზადა ძარცვა-გლეჯას და ანარქიას. ამიტომ მთავრობა იძულებული გახდა სასწრაფო ზომები მიეღო და შესაფერისი ნაბიჯიც გადადგა ამ მხრივ"[19].

სამხრეთ ოსეთის დელეგატთა მე-7 ყრილობამ (1919 წლის მაისი) დაგმო „სამხრეთ ოსეთის მეოთხე ეროვნული საბჭოს მოქმედება, რომელიც მიმართული იყო წინააღმდეგ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის განკარგულებათა და ჯავის მეხუთე ყრილობის რეზოლუციისა, რომლითაც ოსეთი შედის საქართველოში ფართო ტერიტორიული თვითმმართველობის სახით"[20]... ყრილობამ წინადადება მისცა ეროვნულ საბჭოს არ ჩაერიოს ადმინისტრაციულ საქმეებში.

სამხრეთ ოსეთის ეროვნულმა საბჭომ შეიმუშავა და 1919 წლის ივნისში საქართველოს დამფუძნებელი კრების ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის კომისიას წარუდგინა „სამხრეთ ოსეთის კატონის კონსტიტუციის პროექტი", რომლის მიხედვით სამხრეთ ოსეთი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ავტონომიურ ნაწილად ცხადდებოდა. მას ეკრძალებოდა უცხო სახელმწიფოებთან სახელშეკრულებო ურთიერთობაში შესვლა. პროექტში წინა პლანზე იყო წამოყენებული ოსთა ეროვნული პრობლემები, არ იყო გათვალისწინებული ქართველთა და სხვა ეროვნებათა წარმომადგენლების ინტერესები. იგი ცდილობდა ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომიის ფარ-

---

19 გაზ. „ერთობა", 1919 წლის 5 ივნისი.
20 იქვე.

ვლებს და საქართველოს ტერიტორიის ნაწილზე ფაქტობრივად ცალკე სახელმწიფოს ქმნიდა.

1919 წლის ივლისში სამხრეთ ოსეთის ეროვნულმა საბჭომ საქართველოს მთავრობას სამხრეთ ოსეთის ტერიტორიული თვითმმართველობის ახალი პროექტი წარუდგინა. ამ პროექტის თანახმად სამხრეთ ოსეთის ტერიტორიული ერთეული მოიცავდა გორის, დუშეთის, რაჭისა და შორაპნის მაზრათა იმ ნაწილებს, რომლებიც ოსებით იყო დასახლებული. სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციულ ცენტრად კი ცხინვალი იყო აღიარებული.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ არ მოიწონა ეს პროექტი. მან თვითონ შეიმუშავა სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციული მოწყობის პროექტი, რომელიც გულისხმობდა „ჯავის მაზრის“ შექმნას. ამ მაზრაში საქმის წარმოება განხორციელდებოდა დედაენაზე, ხოლო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობასა და მის ორგანოებთან ურთიერთობა — მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფო, ე. ი. ქართულ ენაზე.

სამხრეთ ოსეთის ეროვნული საბჭოს დელეგაციამ ძირითადად მოიწონა ეს პროექტი, თუმცა არსებითი ხასიათის შემდეგი შესწორებებიც შეიტანა: „ჯავის მაზრას“ ეწოდოს „ოსეთის მაზრა“, მის ადმინისტრაციულ ცენტრად მიჩნეულ იქნას ცხინვალი, ენის საკითხის გადაწყვეტა მხოლოდ და მხოლოდ ოსი ხალხისთვის მიენდოთ.

ხაუწყებათაშორისო კომისიამ უარყო აღნიშნული შესწორებები. მისი აზრით, სამხრეთ ოსეთის ეროვნულ საბჭოს არ ჰქონდა უფლება თვითონ გადაეწყვიტა „ჯავის მაზრის“ ადმინისტრაციული ცენტრის საკითხი (მით უფრო, რომ იგი ქართულ დაბა ცხინვალს ეხებოდა), რადგან ეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების კომპეტენციას განეკუთვნებოდა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ შექმნა სპეციალური კომისია, რომელსაც უნდა ჩაეტარებინა გორის, დუშეთის, რაჭისა და შორაპნის მაზრებში ახალი სტატისტიკური აღწერა, გაერკვია ამ მაზრებში მცხოვრები ოსების სურვილი ცალკე გამოყოფის შესახებ. კომისიამ შეუძლებლად მიიჩნია გორის მაზრის დაყოფა.

ოქტომბრის რევოლუციის მეორე წლისთავისათვის ბოლშევიკები მთელ საქართველოში ამზადებდნენ აჯანყებას საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ. აჯანყების საკითხი განიხილეს რკპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტმა 1919 წლის 15 აგვისტოს და კავკასიის საერთო პარტიულმა თათბირმა 1919 წლის 9 სექტემბერს. აჯანყების თაობაზე სპეციალური დადგენილება მიიღო რკპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტმა 1919 წლის სექტემბრის დამლევს. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისათვის ცნობილი გახდა ბოლშევიკური გამოსვლების გეგმა და მან აჯანყების დათქმულ ვადამდე ორი დღით ადრე დააპატიმრა ბოლშევიკთა სამხედრო-რევოლუციური

შტაბისა და საგარნიზონო საბჭოს წევრები. რკპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტი იძულებული გახდა გადაედო აჯანყება, მაგრამ ვერ მოასწრო ამის შესახებ გაეფრთხილებინა პარტიული ორგანიზაციები. ამიტომ საქართველოს ზოგიერთ რაიონში აჯანყება ადრე დანიშნულ დღეს მოეწყო. სამხრეთ ოსეთში, კერძოდ, როკის რაიონში, იგი 1919 წლის 23 ოქტომბერს დაიწყო. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ შედარებით ადვილად ჩააქრო ეს აჯანყებები.

დაპირისპირებამ, რაც კლასობრივ სამოსელში იყო გახვეული, კულმინაციურ წერტილს 1920 წელს მიაღწია. ქართველი და ოსი ხალხები ახალი განსაცდელის წინაშე აღმოჩნდნენ. ყოველივე დაიწყო რკპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტის 1920 წლის 23 მარტის დადგენილებით, რომელშიც ნათქვამია:

«1. Организовать Ревком в Южной Осетии. Назначить членами Юго-Осетинского Ревкома т.т. Гаглоева, Джатиева и Санакоева. Задачи 1) Распустить Национальный Совет старого состава; 2) объявить Советскую власть. Временно вся власть находится у Ревкома; 3) Немедленно сформировать вооруженный отряд; 4) войти в связь с Сев. Осетией и селениями Горийского уезда. Центр движения желателен Цхинвал. В распоряжение Ревкома отпустить 100 тысяч рублей (сто тысяч рублей)»[21].

ჩრდილო კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, როცა საქართველოს საზღვარს უშუალოდ მოადგა წითელი არმია, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ, როკის უღელტეხილის დაცვის მიზნით, საჯარისო შენაერთები გაგზავნა სამხრეთ ოსეთში. ეს, ბუნებრივია, შეუმჩნეველი არ დარჩათ არც ადგილობრივ და არც ჩრდილო ოსეთში მყოფ ბოლშევიკებს. აჯანყებისათვის მაინც გამალებით ემზადებოდნენ.

1920 წლის 6 მაისს სამხრეთ ოსეთის რევკომის წევრთა და ადგილობრივ პასუხისმგებელ პარტიულ მუშაკთა თათბირმა (ესწრებოდნენ რკპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტის წარმომადგენლებიც: გაიოზ დევდარიანი და გრამიტონ მოწონელიძე) ერთხმად დაადგინა:

«Ввиду сложившихся условий когда, с одной стороны, население (частью) выступило, с другой, принимая во внимание и то, что продвижение груз[инских] правительственных] войск к перевалам сильно укрепляет их позицию,

---

21 Борьба за победу Советской власти в Грузии. Документы и материалы, 1917—1921 гг., Тб., 1958, გვ. 552—553.

а также подчиняясь приказу Кав[каэского] Кр[аевого] К[омитета], признаем необходимым объявить Советскую власть, пока в Рокском районе, закрыть ущелье, обороняясь от врага трудового народа, присоединиться к РСФСР, о чем известить Москву и демократическую Грузию. А. Джатиев, Г. Девдариани»[22].

1920 წლის 8 მაისს საბჭოთა ხელისუფლება, მართლაც გამოაცხადეს როქის რაიონში. აჯანყებულებს დახმარება გაუწიეს თერგის ოლქიდანაც. ამასთან დაკავშირებით ვ. სანაკოევი ა. ჯათიევს სწერდა:

«О провозглашении Советской власти в Рокском районе сообщено в Москву, высказано пожелание принять меры дипломатические, чтобы Грузия не приняла агрессивных мер широких размеров против рокского восстания, чтобы она отозвала свои войска на определенное расстояние»[23].

მოსკოვმა უპასუხოდ არ დატოვა აჯანყებულთა თხოვნა. რსფსრ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა გ. ჩიჩერინმა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს ე. გეგეჭკორს გამოუგზავნა ნოტა, რომელშიც ვკითხულობთ:

«...Мы с тревогой узнали, что в Южную Осетию, где провозглашена Советская республика, направлены для уничтожения таковой власти грузинские войска. Мы настаиваем, если это верно, отозвать свои войска из Осетии, ибо считаем, что Осетия должна иметь у себя ту власть, которую она хочет. Вмешательство Грузии в дела Осетии было бы ничем неоправдываемым вмешательством в чужие внутренние дела»[24].

გ. ჩიჩერინის ეს ნოტა (იმ ნაწილში, რომელიც სამხრეთ ოსეთს ეხება) საერთაშორისო ურთიერთობის ნორმების უგულებელყოფად და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საშინაო საქმეებში უხეში ჩარევის ცდად უნდა მივიჩნიოთ. ნოტა დაიწერა არა უადრეს 1920 წლის 17 მაისისა. ამ დროს უკვე ხელმოწერილია (1920 წლის 7 მაისიდან) სამშვიდობო ხელშეკრულება რუსეთის სფს რესპუბლიკასა და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის, რომლის ძალით რუსეთმა ცნო საქართველოს დამოუკიდებლობა. ამავე ხელ-

---

22 Борьба за победу Советской власти в Грузии. Документы и материалы, 1917—1921 гг, გვ. 552.

23 Борьба трудящихся Юго-Осетии за Советскую власть в 1917—1921 гг., Документы и материалы, 1957, გვ. 83.

24 Борьба за победу Советской власти в Грузии. Документы и материалы, 1917—1921 гг., გვ. 573.

შეკრულებით სამხრეთ ოსეთი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ნაწილად არის აღიარებული. მაშ, რის საფუძველზე მიიჩნევდა გ. ჩიჩერინი სხვის საქმეებში „ყოვლად გაუმართლებელ ჩარევად" საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ აჯანყებულ ოსებთან საბრძოლველად ქართული ჯარის გაგზავნას? ნუთუ იმის გამო, რომ ოსები საბჭოთა ხელისუფლებისა და საბჭოთა რუსეთთან შეერთებისათვის იბრძოდნენ, საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას მისი განუყოფელი ნაწილი (შიდა ქართლი) უნდა დაეთმო? უფრო სამართლიანი იქნებოდა გ. ჩიჩერინს დაეტუქსა ადგილობრივი ბოლშევიკები, რომლებმაც ანგარიში არ გაუწიეს რუსეთ-საქართველოს სამშვიდობო ხელშეკრულებას და განაგრძეს საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ ბრძოლა. განა რუსეთი, თვით საბჭოთა რუსეთი დათმობდა (ან დაუთმია ოდესმე) რუსეთის დამოუკიდებლობის წინააღმდეგ აჯანყებულ თავის განუყოფელ ნაწილს?

გ. ჩიჩერინის ნოტას დამაჯერებელი პასუხი გასცა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ე. გეგეჭკორმა. 1920 წლის 20 მაისს იგი აცნობებდა გ. ჩიჩერინს: „კმაყოფილებით აღვნიშნავ რა თქვენს ნოტაში გამოხატულ ტენდენციას, ხელი შეუწყოს საქართველოს აღდგენას მის ისტორიულ საზღვრებში, საქართველოს მთავრობა უკიდურესად შეშფოთებულია თქვენი ნოტის იმ ნაწილით, რომელშიც ლაპარაკია საქართველოს განზრახვაზე იარაღით ჩაახშოს საბჭოთა რესპუბლიკა სამხრეთ ოსეთში. ჩემს მოვალეობად ვთვლი თქვენი ყურადღება გავამახვილო იმაზე, რომ საქართველოს საზღვრებში არის არა სამხრეთ ოსეთი, არამედ საქართველოში მყოფი ოსური დასახლებები მდებარეობენ არასადავო ტერიტორიაზე ტფილისის გუბერნიის ძველი საზღვრის სამხრეთით, იმ სასაზღვრო ხაზის სამხრეთით, რომელიც დადგენილია საქართველოსა და რუსეთს შორის. მთელს ამ რაიონში საქართველოს ხელისუფლება ფუნქციონირებს ადგილობრივი დემოკრატიული ორგანოების სახით. თქვენი ცნობა საბჭოთა სამხრეთ ოსეთში ხელისუფლების არსებობაზე, ჩანს, ეხება უღელტეხილზე როკის დასახლებას, სადაც, როგორც ჩვენ უკვე გატყობინებდით, თერგის ოლქიდან შემოაღწია საბჭოთა ჯარების რაზმმა 2 ზარბაზნით... ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ თქვენს მიერ სასწრაფო ზომები იქნება მიღებული როკიდან იქ მყოფი საბჭოთა რაზმის გასაწვევად. მას შემდეგ, რაც საბჭოთა რუსეთმა მშვიდობიანი ხელშეკრულებით იკისრა თავის ტერიტორიაზე არ დაუშვას ორგანიზაციები, რომელთა მიზანიცაა საქართველოში არსებული მმართველობის წესების წინააღმდეგ ბრძოლა, ჩვენ გაუგებრად და გაუგებრობაზე დაფუძნებულად მიგვაჩნია თქვენი გამოსვლა საქართველოს ერთ-ერთ პროვინციაში ვითომცდა არსებული საბჭოთა ხელისუფლების დასაცავად. იმის

გამო. რომ ამ გარემოებას ურთიერთუნდობლობის ატმოსფეროს შექმნა შეუძლია. მე დიდად მადლიერი ვიქნებოდი ამ საკითხზე თქვენი განმარტებისა“[25].

ე. გეგეჭკორის ნოტას აუცილებელი თავაზიანობა არ აკლდა, მაგრამ იგი მაინც გაანაწყენებდა გ. ჩიჩერინს, რომელსაც განუმარტეს, რომ სამხრეთ ოსეთი საბჭოთა რუსეთის მიერ აღიარებული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის განუყოფელი ნაწილია (ამის შეხსენება მას არ უნდა დასჭირებოდა), მოუწოდეს, რომ საქართველოსთან დადებულ ხელშეკრულებას პატივისცემით უნდა მოეპყრას და როქის რაიონიდან ჯარი საქართველომ კი არა, თვით საბჭოთა რუსეთმა უნდა გაიყვანოს.

შეიცვლიდა კი გ. ჩიჩერინი პოზიციას ამის შემდეგ? ერთი კია — სამხრეთ ოსეთის 1920 წლის მაის-ივნისის აჯანყების „ლიკვიდაცია“ საბოლოოდ მაინც საბჭოთა რუსეთის მთავრობამ მოახდინა, რასაც ცოტათი ქვემოთ ცხადვყოფთ.

ოსთა აჯანყების გაგრძელება ამჯერად რკპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტმაც მიზანშეუწონლად მიიჩნია. ახალი ვითარების შესაბამისად, რაც საქართველო-რუსეთის 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებას მოჰყვა, იგი იძულებული გახდა თავად ეზრუნა ოსთა შეიარაღებული გამოსვლების შეწყვეტისათვის. მაგრამ აჯანყების მეთაურებს საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის წინააღმდეგ ბრძოლის შეწყვეტის შესახებ სიტყვის გაგონებაც არ სურდათ. სამხრეთ ოსეთს (შიდა ქართლს) კი უკვე საბჭოთა რუსეთთან შეერთებულად აცხადებდნენ. ზემოთქმული მტკიცდება დოკუმენტურად. კერძოდ:

სამხრეთ ოსეთის რევკომის 1920 წლის 8 ივნისის ბრძანებაში ნათქვამია:

> «Восставшими крестьянами из Юго-Осетии изгнаны меньшевистские войска Грузии и объявляется Советская власть на указанной территории от Они до Душета. Вся власть на указанной территории подчиняется Ревкому всей Юго-Осетии, местонахождение которого в г. Цхинвале. Сообщить наркоминделу РСФСР волю Юго-Оеситии о присоединении к Советской России. Политком — Н. Гадиев, Председатель Ревкома — В. Абаев»[26]».

1920 წლის 18 ივნისი. რკპ (ბ) სამხრეთ ოსეთის საოკრუგო კომიტეტის დეპეშა:

> «Москва, ЦК РКП(б), товарищу Ленину и Чичерину. Согласно приказу Кавказского Краевого комитета РКП(б)

---

[25] ციტირებულია ავთანდილ მენთეშაშვილის სტატიიდან «სამხრეთ ოსეთის 1920 წლის მაის-ივნისის შეიარაღებული აჯანყება». — გაზ. სახალხო განათლება“, 1989 წლის 20 დეკემბერი.

[26] Борьба за победу Советской власти в Грузии, Документы и материалы, 1917—1921, გვ. 578—579.

от 23 марта, подтвержденному особыми курьерами того же Комитета тт. Моцонелидзе и Девдариани, прибывшими на повстанческий фронт 6 мая, 8 июня в Южной Осетии провозглашена Советская власть. У коммунистических отрядов Южной Осетии истощились все патроны. Большой недостаток в пулеметах, нет ни одного орудия. Между тем, если бы у повстанцев было бы достаточно названных материалов, похабное правительство Грузии было бы быстро и решительно ликвидировано. Трудовая Южная Осетия с первых дней Октябрьской революции состоит с правительством меньшевистской Грузии в состоянии открытой борьбы. **В состав меньшевистской Грузии Южная Осетия никогда не входила и не входит, считая себя неотъемлемой частью Советской России** (ხაზგასმა ჩვენია — ლ. თ.) Озверевшие банды меньшевиков под предводительством Джугели сожгли до тла селения Корнис, Цунар, Тбет, Хеит и т. д. Всего сожжено 25 крупных сел, не считая мелких. Жители от мала до велика истребляются. Таков гнусный приказ грузинского правительства. Трудовая Южная Осетия вконец истекая кровью, в неравной тяжелой борьбе, ждет решающей помощи. Предсеатель Южно-Осетинского окружного комитета РКП(б) Санакоев. Члены комитета: Джатиев, Гаглоев, Плиев, Козаев»[27]».

1920 წლის 8 ივლისი. «Телеграмма Юго-Осетинского окружного комитета РКП(б) Третьему Интернационалу, ЦК РКП(б), В. И. Ленину, Г. В. Чечерину и редакции газеты «Правда»: «Юго-Осетинская группа красных повстанцев революционной Южной Осетии вместе с женщинами и детьми, свыше 15.000 человек, обороняются в Егровских лесах, истекая кровью в неравной борьбе с войсками правительства Грузии. Все села и деревни Южной Осетии, где была провозглашена Советская власть, сожжены. Старики, дети и женщины, оставшиеся в некоторых селах, частью истреблены, частью скрываются в лесах, где, лишенные пищи, питаются лишь дикой зеленью. Правительство Грузии, располагая прессой и радио, сеет по всему миру самую злостную провокацию, искажая действительную обстановку ве-

[27] Борьба за победу Советской власти в Грузии. Документы и материалы, 1917—1921, გვ. 581—582.

щей. Восставшая Южная Осетия — это часть Советской России. В шовинистическую меньшевистскую грузинскую республику никогда не входила и не желает входить (ხაზგასმა ჩვენია — ლ. თ.) Протестуя перед трудящимися всего мира против небывалых в истории примеров зверства и дикой расправы с революционной беднотой и с беззащитными и невооруженными мирными жителями — стариками, женщинами и детьми — революционная Советская Южная Осетия требует защиты и назначения комиссии для констатирования ужасных деяний грузинского правительства. Председатель Южно-Осетинского окружного парткома Санакоев»[28].

ამ დოკუმენტებში ძირითადად სწორად არის ასახული აჯანყებულ ოსთა მძიმე ხვედრი. აჯანყებულთა რაზმებმა, მართლაც, არასახარბიელო მდგომარეობაში ჩაიგდეს თავი. მოთმინების ფიალაავსებულმა ქართულმა მხედრობამ საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ სამ წელიწადში სამჯერ აჯანყებული ოსების მიმართ, მართლაც, სასტიკი ულმობლობა გამოიჩინა. სხვა რომ არაფერი ვთქვათ სოფ. ყორნისის, როგორც აჯანყების ერთ-ერთი კერის „სრულიად მოსპობის" თაობაზე, სპეციალური დადგენილება იქნა მიღებული[29]. ყოველივე ეს ქართული წყაროებითაც მტკიცდება. 70 წელი გავიდა მას შემდეგ, მაგრამ ამ ტრაგედიის დროს ქართველებისა და ოსებისათვის მიყენებული ჭრილობები ჩვენს ხალხებს დღესაც მოუშუშებელი აქვთ. ამბობენ, ჭრილობებს სიმართლე კურნავსო. არა ურთიერთსაყვედურისათვის, არამედ სიმართლის დასადგენად და სამომავლო გაკვეთილების გამოსატანად ობიექტური ისტორიის მოხმობაა საჭირო.

სწორედ მთელი ობიექტურობით უნდა ითქვას, რომ სამხრეთ ოსეთის 1920 წლის მაის-ივნისის აჯანყების ბოლშევიკ ხელმძღვანელთა მიზანი იყო სამხრეთ ოსეთის ეროვნული თვითგამორკვევა, საბჭოთა ხელისუფლების დამყარება და სამხრეთ ოსეთის საბჭოთა რუსეთთან შეერთება. უფრო მეტიც. სამხრეთ ოსეთს ისინი უკვე საბჭოთა რუსეთის განუყოფელ ნაწილად მიიჩნევდნენ. ეს კარგად ჩანს ზემოთ დამოწმებული დოკუმენტებითაც.

თავიანთი მიზნების მისაღწევად მათ იარაღს მოჰკიდეს ხელი, სხვა ქვეყნებიდან მაშველი ძალაც მოიხმეს და ფაქტობრივად ნამდვილი ომი გამოუცხადეს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას, რომელსაც ამ დროს მეორე ფრონტი ჰქონდა გახსნილი: აზერბაიჯანის მხრიდან მას წითელი არმიის ნაწილები უტევდნენ (სხვათა შორის, ასე მოხდა 1918 წელსაც: სამხრეთ ოსეთი

---

[28] Борьба за победу Советской власти в Грузии, Документы и материалы, 1917—1921 гг., გვ. 589—590.

[29] იხ. სუიცსა, ფ. 1863, აღწ. 1, საქ. 320, ფურც. 241.

მაშინ აჯანყდა, როცა თურქეთმა საქართველოს თავისი ჯარი შემოუსია). ისევე როგორც წინა ორ წელს, 1920 წელსაც ქართველთა და ოსთა შორის სისხლისღვრის პირველდამწყების როლში ოსთა მხარე გამოვიდა (არც იმის დავიწყება გვმართებს, რომ აჯანყებულთა რაზმებში ქართველებიც ერივნენ). ასეთია რეალობა, რომელსაც ვერავითარი ძველი კლასობრივ-იდეოლოგიური სტერეოტიპი (სამოსელი) ვერ შეცვლის.

როგორ მოიქცეოდა ამ ვითარებაში ნებისმიერი, თავის თავის პატივისმცემელი დამოუკიდებელი სახელმწიფო? უეჭველია, ისე, როგორც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა მოიქცა — იარაღით დაიცვა თავისი დამოუკიდებლობა.

ჩვენში მცხოვრები ოსების ეროვნულ უფლებებს ვინ გახდის სადავოდ. არც დავობდნენ, მაგრამ საკითხს შესწავლა სჭირდებოდა და მისი გადაწყვეტის ორივე მხარისათვის მისაღებ ფორმას ეძებდნენ. ამ საკითხის იარაღით გადაჭრის მცდელობა კი ოსთა და ქართველთა ისტორიული ურთიერთობის შებღალვა იყო, მით უმეტეს, რომ ოსებმა სხვებზე კარგად იცოდნენ, თუ რა პირობებში გაჩნდა საქართველოში ოსთა კომპაქტური დასახლება.

ჩვენებური ოსები რომ საბჭოთა ხელისუფლებისათვის იბრძოდნენ, ესეც გასაგებია. ხელისუფლების არჩევანი მხოლოდ ხალხს ეკუთვნის. საბჭოთა ხელისუფლების ლოზუნგებმა მაშინ ბევრი ქართველიც მოხიბლა, მაგრამ ისიც ხომ ფაქტია, რომ ქართველი ხალხის უმრავლესობა მაშინ საბჭოთა ხელისუფლებისათვის არ იბრძოდა. ყოველ შემთხვევაში, ეს საკითხი თვით ქართველ ხალხს უნდა გადაეწყვიტა და საქართველოს ძალდატანებითი გასაბჭოებისათვის უცხო ძალების მოწვევა, რბილად რომ ვთქვათ, გაუმართლებელი იყო. ეს ასე ჩანს არა მარტო დღევანდელი გადასახედიდან, არამედ გონიერი, შორსმჭვრეტელი პოლიტიკოსებისათვის მაშინაც აშკარა იყო. ყოველ შემთხვევაში, ამ საკითხზე დავა, დისკუსია, კამათი, ასე თუ ისე, დასაშვები იყო. აქ, შეიძლებოდა, საერთო ენაც გამოენახათ. მაგრამ რა ენაზე უნდა ელაპარაკო იმათ, ვინც ტერიტორიას გართმევს და სხვა სახელმწიფოს უერთებს? სამხრეთ ოსეთის აჯანყების მესვეურები კი, როგორც ვნახეთ, სწორედ ასე იქცეოდნენ. მათ ყურად არ იღეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის გაფრთხილებები, არ შეასრულეს რკპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტის მითითება აჯანყების შეწყვეტის შესახებ და ამით დიდი უბედურება დაატეხეს თავს თავიანთ ხალხს. ყოველივე ეს უნდა გავითვალისწინოთ სამხრეთ ოსეთის აჯანყებისა და მისი შედეგების შეფასებისას. უნდა ვაღიაროთ, რომ ეს აჯანყება არა თუ შეცდომა, არამედ ქართველი და ოსი ხალხების წინაშე ჩადენილი დიდი დანაშაულიც იყო, რომლისთვის პასუხისმგებლობა მთლიანად აჯანყების მოთავეებს ეკისრებათ. ამ აჯანყებამ ქართველ ბოლშევიკებსაც გაურთულა საქმე. 7 მაისის ხელშეკრულების შემდეგ ქართველ ბოლშევიკებს ლეგალური მუშაობის საშუალება მიეცათ, მაგრამ სამხრეთ ოსეთის აჯანყებას მათი დევნა მო-

ჰყვა. 1920 წლის 28 ივნისს ს. კიროვი სწერდა გ. ჩიჩერინს: „ძალიან მწვავედ დგას კომუნისტების საკითხი. მთელ საქართველოში დაპატიმრებები მიდის, რა თქმა უნდა, ყოველგვარი საფუძვლის გარეშე, მაგრამ ფორმალურად სამხრეთ ოსეთის აჯანყებაში მონაწილეობას, ჯარებისადმი დაუმორჩილებლობის მოწოდებას აბრალებენ და ა. შ.“[30].

აჯანყების ხელმძღვანელთა ფანატიზმსა და ავანტიურიზმზე კიდევ უფრო კარგად მეტყველებს „მშრომელი სამხრეთ ოსეთის მემორანდუმი რევოლუციური მოძრაობის შესახებ“, რომელიც 1920 წლის 28 მაისს განიხილა და დაამტკიცა რკპ (ბ) სამხრეთ ოსეთის საოკრუგო ორგანიზაციის II კონფერენციამ (შეიკრიბა ქ. ვლადიკავკავში). მემორანდუმი ვ. სანაკოევის მიერ იყო დაწერილი. იგი გაუგზავნეს რკპ (ბ) ცენტრალურ კომიტეტს, სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს, სახალხო კომისართა საბჭოს, რკპ (ბ) ჩრდილოეთ ოსეთის სამხარეო კომიტეტს, კავკასიის ფრონტის სამხედრო-რევოლუციურ საბჭოს, მე-10 არმიის პოლიტკომს და სარდალს.

რაზდენ კოზაევის მოგონებიდან:

«Я вместе с тов. Рамоновым выехал в Москву. Тов. Санакоев Лади вручил нам меморандум с письменным наказом: представить меморандум в ЦК РКП (б) и лично товарищу Ленину; твердо отстаивать, что Юго-Осетия — это неотделимая часть Советской России и ничего общего не имеет и не желает иметь с меньшевистской Грузией, ввиду чего необходимо ее немедленно занять Красной Армией, — согласно воле трудящихся Юго-Осетии, объявивших у себя Советскую власть... По мандату Юго-Осетинской парторганизации я получил делегатский билет от имени коммунистических организаций горцев Кавказа на Второй Конгресс Коминтерна... На четвертый или пятый день Конгресса... в момент перерыва я подал тов. Ленину записку — уделить мне две-три минуты. Тов, Ленин принял меня тотчас же... Я передал ему меморандум и кратко, как мог, рассказал о восстании в Юго-Осетии против гнета меньшевистской Грузии, зверских методах подавления ею восстания, а также о решении юго-осетинских трудящихся масс — присоединиться к Советской России. Выслушав меня внимательно и прочитав меморандум, тов. Ленин сказал любезно: «Дорогой товарищ горец! Не волнуйтесь... Езжайте обратно. Южно-Осетинской боевой организации пере-

* ციტირებულია ა. მენთეშაშვილის დასახ. სტატიის მიხედვით.

дайте мой привет». При этом он крепко пожал мне руку. Я поблагодарил его и ушел весьма обрадованным»[31].

„მშრომელი სამხრეთ ოსეთის მემორანდუმში“ ვკითხულობთ: „ამჟამად ჩვენ უშუალოდ მოგვიახლოვდა ძლევამოსილი წითელი არმია, რომელმაც დაიკავა მთელი თერგის ოლქი. მშრომელმა პროლეტარულმა და ნახევრადპროლეტარულმა სამხრეთ ოსეთმა, რომელიც ჩრდილოეთიდან მთლიან ტერიტორიად ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიებს, აგრეთვე საბჭოთა თერგის ოლქს ეხება, პარტიის სამხარეო კომიტეტის დირექტივით 1920 წლის 23 მარტის საყოველთაო დადგენილებით დაამხო ქართველი მენშევიკების საცოდავი ხელისუფლება, რომელიც ჩვენ ძალით გვქონდა თავს მოხვეული და ჩვენში მხოლოდ ზიზღს იწვევდა.

ვაგრძელებდით რა რევოლუციურ ბრძოლას, ჩვენ მივმართეთ ჩვენს ამხანაგებს, იმავე სამხარეო კომიტეტის წევრებს, მხარი დაეჭირათ დაწყებული აჯანყებისათვის სამხრეთ ოსეთში, თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებში, სადაც გადატრიალებისათვის ყველაფერი არათუ მომწიფებული, არამედ გადამწიფებულიც კია. სამხარეო კომიტეტის წევრებმა რომლებიც ვლადიკავკავში ჩავიდნენ, მოლაპარაკება განიზრახეს ამხანაგ ორჯონიკიძესთან, ჩვენ კი გარკვევით გვიპასუხეს, რომ საქართველოში აჯანყების მოწყობა აკრძალულია. სამხრეთ ოსეთში დაწყებული აჯანყება კი ლიკვიდირებული უნდა იქნეს, რომ ახლა უკვე აღიარებულია საქართველოს დამოუკიდებლობა, და მალე გვექნება „ჩვენი“ ქართული კომუნისტური პარტია, რომელიც თვითონ მოაწყობს აჯანყებას და ა. შ. რა არის ეს? გამცემლობა, შარლატანობა ან სიგიჟე? ნუთუ კომუნისტები კონტრრევოლუციური საქართველოს მიმართ ის აღარ არიან, რაც ყოველთვის იყვნენ და უნდა იყვნენ. ჩვენ, როგორც კომუნისტებს, კარგად გვესმის, თუ რას ნიშნავს საბჭოთა რუსეთის მშვიდობა ისეთ კონტრრევოლუციურ კუთხეებთან, როგორიცაა ესტონეთი, ლატვია, საქართველო და ა. შ. ეს არ ნიშნავს მათში რევოლუციური მოძრაობის შეჩერებას და მხარეებში არსებული კონტრრევოლუციური ხელისუფლების განმტკიცებისათვის ხელის შეწყობას. ცხადია, ჭეშმარიტ რევოლუციონერს ოფიციალურ ხელშეკრულებებში სტრიქონებს შორის კითხვაც უნდა შეეძლოს და ყველგან და ყოველთვის კომუნიზმის იდეების ერთგულ, რევოლუციონერ ბოლშევიკად უნდა რჩებოდეს. იმას, რაც სამხარეო კომიტეტის წევრებს სურთ გვიკარნახონ, ჩავაქროთ სამხრეთ ოსეთში დაწყებული ხანძარი, ჩვენ აღშფოთებით უარვყოფთ. ამგვარი რამ შეიძლება მოდიოდეს მხოლოდ ჟორდანიას მთავრობის მომხრისაგან, ცრუსოციალისტებისაგან და ფსევდოკომუნისტებისაგან, მენშევიკთა ამ ნაფიცი ვექილებისაგან, ლიკვიდატორებისაგან. ჩვენი აჯანყების ლიკვიდაციას ამ მოტი-

---

[31] Известия Ю.-Осетинского научно-исследовательского института краеведения, выпуск II, Сталинир, 1935, გვ. 119—120.

ვით გვირჩევენ, რომ „ძლიერმა" საქართველომ არ გაგვანადგუროს, რომ შეიძლება მენშევიკურმა საქართველომ ომი დაუწყოს ინგლისს, მაშინ კი სამხარეო კომიტეტის რეცეპტით — ჩვენ მოგვიწევს „მენშევიკთა გვერდით ვიომოთ", მაგრამ მენშევიკები არ ომობდნენ და არც იომებენ ინგლისელებთან. ჩვენ კარგად ვიცით, რომ საქართველოს მთავრობა ევედრება ინგლისის ჯარებს არ წავიდნენ საქართველოდან. ჩვენ აგრეთვე კარგად ვიცით, რომ ჟორდანია, ისევე როგორც ინგლისელი იმპერიალისტები, ერთნაირად სპობდნენ და სპობენ ბოლშევიკებს. მაშ, სადღაა განსხვავება ორ კონტრრევოლუციურ ძალას შორის. .... მაგრამ დავდგეთ მენშევიკების გვერდით, როგორც ამას ჩვენი გუშინდელი ამხანაგები გვთავაზობენ, თანაც კონტრრევოლუციონერი შოვინისტების მეთაურობისა და ხელისუფლების ქვეშ, ჩვენ არ შეგვიძლია. ჩვენ არ დავუშვებთ, რომ ორგანიზებული რაზმები იბრძოდნენ ქართველი მენშევიკების ხელმძღვანელობით, რომლებიც არაფრით განსხვავდებიან ანტანტისაგან.

ვრჩებით რა ჩვენი რევოლუციური მოვალეობისა და სინდისის ერთგული, ვაცხადებთ: ჩვენ არ შეგვიძლია ველოდოთ რაღაც ახალი სეპარატიული ორგანიზაციების შექმნას; შეუძლებელია დაწყებული წმინდა საქმე ჟორდანიასა და კომპანიის ინტერესებს შეეწიროს.

ჩვენ დავამხეთ ჩვენში მენშევიკთა ხელისუფლება და საბჭოების ხელისუფლება გამოვაცხადეთ. ჩვენ ვიმეორებთ და ვადასტურებთ მშრომელი სამხრეთი ოსეთის ურყევ ნებას, რომელიც ჯერ კიდევ 1918 წელს იქნა გამოთქმული:

1) სამხრეთ ოსეთი საბჭოთა რუსეთის განუყოფელი ნაწილია.

2) სამხრეთ ოსეთი საბჭოთა რუსეთის შემადგენლობაში შედის პირდაპირ, საერთო საფუძველზე.

3) უშუალოდ საბჭოთა რუსეთში შესვლას საქართველოს ან სხვა რესპუბლიკის მეშვეობით, თუნდაც იგი საბჭოთა რესპუბლიკა იყოს, ჩვენ არავითარი სახით არ ვუშვებთ იმ მოსაზრებიდან გამომდინარე, რომ წვრილი ეროვნული რესპუბლიკები, მაგალითად, ქართული, რომელიც თვითონ 60—70%-ით დასახლებულია სხვა ეროვნებებით — სომხებით, თათრებით, რუსებით, ებრაელებით, აფხაზებით, ოსებით და სხვა, თავისთავში ინარჩუნებენ ყველა მონაცემს, რათა მასში განვითარდეს ნაციონალიზმის ბუდეები, აქედან გამომდინარე დამღუპველი შედეგებით. მაგალითად, რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკაზე მითითება (რომელიც თითქოს რუსი ხალხის და რუსეთის სახელითაა გამოცხადებული) უეჭველია, მიუღებელია, ამიერკავკასიის წვრილი რესპუბლიკებისათვის, მაგალითად, საქართველოსათვის, რადგანაც რუსეთის პროლეტარიატი მთელ მსოფლიოს აძლევს ტონს და რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკაში უშუალოდ შესვლა ფსიქოლოგიურად ახარებს და შთააგონებს თითოეული ერის მშრომელ ელემენტებს. ხოლო ისეთი რესპუბლიკების შემადგენლობაში შესვლას, როგორიც საქართველოა (თუნდაც იგი საბჭოთა იყოს) შეუძლია ფსიქოლოგიურად მო-

ჰკლას თითოეული, ვინც ამ ერს არ ეკუთვნის და მენშევიკური სეპარატიზმის დანაშაულებრივ ტაქტიკას არ იზიარებს. ამ ჭეშმარიტებაზე თვალი არ უნდა დავხუჭოთ, ის, რასაც საქართველო ჰქვია, ჩვენი რწმენით უნდა შევიდეს საბჭოთა რუსეთის შემადგენლობაში უშუალოდ, საერთო საფუძველზე, როგორც ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიები.

ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ ნამდვილი რევოლუციური კომუნისტები ქართველი ამხანაგებიდან, მშრომელთა წრიდან რომ არიან გამოსული, ამაში სოლიდარობას გაგვიწევენ, ხოლო ისინი, ვინც ჩვენ სოლიდარობას არ გაგვიწევს, კომუნისტი-სეპარატისტები, გუშინდელი მენშევიკები არიან და ჯერ კიდევ ვერ განკურნებულან ნაციონალიზმის სენისაგან. ეს გადაღებილი მენშევიკები ცენტრებში უნდა ვეძიოთ. ისინი იქ ჩასხდნენ და კომუნიზმს ეროვნულ სეპარატიზმად აქცევენ და რევოლუციური მასების ნების ფალსიფიცირებას ახდენენ.

ჩვენ სავსებით ფხიზლად და მართებულად გვესმის საბჭოთა ხელისუფლების არსი და კონსტრუქცია, რომელიც ვისი სახელითაც არ უნდა იყოს გამოცხადებული, ყველგან და ყოველთვის კომუნიზმის დიადი იდეების გამტარებელი უნდა იყოს. მიუხედავად ამისა, მისწრაფებას, წვრილი სეპარატიული რესპუბლიკებისადმი ჩვენ არ ვესალმებით. სეპარატიზმი პლუსი კი არა, მინუსია საბჭოთა მშენებლობაში. ერთიანი რუსეთის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა, როგორც ეტაპი მსოფლიო სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკისაკენ, ყველა ჭეშმარიტ, გონიერ კომუნისტს უნდა აკმაყოფილებდეს, თუ ის ნაციონალიზმის შავი ლაქით არ არის მოწამლული. ჩვენ მხარს ვუჭერთ და მივესალმებით საბჭოთა მშენებლობას ამ იდეალური მიმართულებით.

4) სამხრეთ ოსეთის ორგანიზაცია ისეთივე სახით რჩება, როგორიც აქამდე იყო. რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) დროშის ქვეშ ჩვენ არ გვინდა ნაბიჯის უკან გადადგმა, პლუსიდან მინუსისაკენ. არ გვინდა შესვლა სეპარატიულ ქართულ, ან სხვა რომელიმე კომუნისტურ პარტიაში.

ამჟამად ჩვენ მიტოვებული ვართ და ქართველ შოვინისტებთან ბრძოლაში სისხლისაგან ვიცლებით. ჩვენ მივმართავთ ამხანაგ კომუნისტებს და ძლევამოსილ წითელ არმიას დაგვეხმარონ, რათა მთელს ამიერკავკასიაში საბოლოოდ დავამხოთ ყველა რანგის შოვინისტები და მენშევიკები და ყველგან აღვმართოთ კომუნიზმის წითელი დროშა. დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენი გამოწვდილი ხელი პარალიზებული არ იქნება და რუსი ამხანაგები დიდხანს არ დაგვტოვებენ ძმური დახმარების მოლოდინში.

ჩვენ ვესალმებით რუსეთის პროლეტარიატს, მათ ბელადებს — ამხ. ლენინს, ტროცკის, ჩიჩერინს და სხვებს, აგრეთვე წითელარმიელებს, რომელთაც ყველა ჩაგრულისათვის ხსნა მოაქვთ.

ძირს დანაშაულებრივი სეპარატიზმი. გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას, მსოფლიო სოციალისტურ რევოლუციას და კომუნიზმის ზეამს"[32].

მემორანდუმს ხელს აწერდნენ რკპ (ბ) სამხრეთ ოსეთის საოკრუგო კომიტეტის თავმჯდომარე ვ. სანაკოევი, თავმჯდომარის ამხანაგი ს. გაგლოევი, კომიტეტის წევრები: ა. პლიევი, ა. აბაევი, მდივანი ა. ჯათიევი, რკპ (ბ) სამხრეთ ოსეთის ორგანიზაციის 17 რაიონული კომიტეტის წარმომადგენლები.

ჩვენ უკვე ვიცით, რომ მემორანდუმი ვ. ი. ლენინს გადასცეს. მიიღო იგი გ. ჩიჩერინმაც. მკვლევარი ვ. ცხოვრებოვი აღნიშნავს, რომ მემორანდუმს ყურადღებით გასცნობია გ. ორჯონიკიძეც, რომელსაც ტექსტის არეებზე თავისი მინაწერები გაუკეთებია. მემორანდუმი დაცულია გ. ორჯონიკიძის პირად ფონდშიც, რომელიც სკკპ ცკ-თან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალურ პარტიულ არქივში (ფ. 85, აღწ. 18, საქ. 41, ფურც. 6—9) ინახება[33]. მემორანდუმის ტექსტი ნაწილობრივ ავთანდილ მენთეშაშვილმა გააცნო გაზეთ „სახალხო განათლების" მკითხველებს თავის ზემოდასახელებულ სტატიაში. უფრო ვრცლად (არა მთლიანად) გამოქვეყნებულია იგი ვ. ცხოვრებოვის ნარკვევში „ვლადიმერ სანაკოევი"[34].

„მშრომელი სამხრეთ ოსეთის მემორანდუმი რევოლუციური მოძრაობის შესახებ" ზუსტად ასახავს იმდროინდელ ადგილობრივ ოს (და არა მარტო ოს) ბოლშევიკ-ხელმძღვანელთა ფსევდო-რევოლუციურ განწყობილებებს, მათს მცდარ წარმოდგენებს ინტერნაციონალიზმზე, სეპარატიზმზე, ერთა თვითგამორკვევის უფლებებზე და ა. შ.

სწორად მიუთითებს ავთანდილ მენთეშაშვილი სამხრეთ ოსეთის აჯანყების მესვეურთა შეცდომებზე: მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის იდეების ყალბად გაგება, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპების მცდარად დაპირისპირება თითოეული ერის თვითგამორკვევის, თვით სახელმწიფოებრივი გამოყოფისა და დამოუკიდებელი, თავისუფალი განვითარების იდეებისადმი, ყოველივე ამის შენიღბვა ფსევდორევოლუციური ლოზუნგებით, მოვლენათა კონკრეტულ-ისტორიული ვითარებისაგან მოწყვეტა, მარტოოდენ გარეშე სამხედრო ძალაზე იმედის დამყარება და ა. შ.[35]. აქვე დავძენთ, რომ ეს შეცდომები სათავეებს თვით რკპ (ბ) პრაქტიკიდანაც იღებდა.

მემორანდუმში გულისწყრომაა გამოთქმული იმ რეპრესიების გამო, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ რომ მიმართა აჯანყებულთა წინააღმდეგ. აჯანყების მონაწილეთა არასახარბიელო მდგომარეობის

---

32 ციტირებულია ა. მენთეშაშვილის დასახელებული სტატიიდან.

33 В. Д. Цховребов, Из истории Юго-Осетинской организации КП Грузии (1917—1925 гг.). Цхинвали, 1981, გვ. 54, 112.

34 В. Д. Цховребов, Владимир Санакоев (биографические разыскания), Цхинвали, 1983, გვ. 119—129.

35 იხ. გაზ. „სახალხო განათლება", 1989 წლის 20 დეკემბერი.

შესახებ უკვე ითქვა. იგი, მართლაც, ძნელად დასავიწყებელია. მაგრამ ნუთუ არავითარი მნიშვნელობა არ აქვს იმის აღიარებას, რომ ეს რეპრესიები პასუხი იყო აჯანყებულთა იმჟამინდელ და ადრინდელ მოქმედებებზე. აჯანყების ხელმძღვანელებს ნუთუ თავიანთი დანაშაულიც არ უნდა დაენახათ ყოველივე ამაში. ეს აჯანყება ხომ თავიდანვე განწირული ავანტიურა იყო. რკპ (ბ) სამხრეთ ოსეთის საოკრუგო კომიტეტს ხომ არაერთგზის განუმარტეს ზემდგომმა პარტიულმა ინსტანციებმა, აჯანყებას არავითარი პერსპექტივა არ აქვს, იგი უნდა შეწყვიტოთ, რადგან „სუსტნი" ხართ, „ძლიერი" მოწინააღმდეგე დაგამარცხებთ, შექმნილ ვითარებაში ვერც ვერავინ დაგეხმარებათო. მემორანდუმის ავტორებმა (იმავე აჯანყების ხელმძღვანელებმა) კი პარტიული კოლეგების ამჯერად გონივრული რჩევა „გამცემლობად, შარლატანობად ან სიგიჟედ" მონათლეს. მემორანდუმის ავტორებმა ამ დოკუმენტშიც განაცხადეს, სამხრეთ ოსეთი საბჭოთა რუსეთის განუყოფელი ნაწილიაო. კი მაგრამ რა უფლებით? სხვა რომ არაფერი ვთქვათ, იქაური, მკვიდრი ქართული მოსახლეობის აზრი აღარ აინტერესებდათ? კიდევ უფრო აღმაშფოთებელი და ქართველი ხალხის შეურაცხმყოფელია მემორანდუმის ავტორთა შემდეგი განცხადება: „ის, რასაც საქართველო ჰქვია, ჩვენი რწმენით, უნდა შევიდეს საბჭოთა რუსეთის შემადგენლობაში უშუალოდ, საერთო საფუძველზე, როგორც ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიები". ამასთან, „მშრომელი სამხრეთ ოსეთის" ეს „ურყევი ნება", როგორც თვითონ მიუთითებენ, თურმე „ჯერ კიდევ 1918 წელს იქნა გამოთქმული". 1918 წელს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა მემორანდუმის ავტორებს მიაჩნიათ დანაშაულებრივ სეპარატიზმად, საქართველოს ტერიტორიიდან სამხრეთ ოსეთის (შიდა ქართლის) „ჩამოჭრა" და რუსეთთან შეერთება კი ეროვნული საკითხის სამართლიან გადაწყვეტად. ქართული მიწა-წყლის ეს ნაწილი მემორანდუმის ავტორებს რუსეთში სამხრეთ ოსეთის სახელწოდებით შეჰყავთ, ხოლო „ის, რასაც საქართველო ჰქვია" თბილისისა და ქუთაისის გუბერნიების სახით უნდა შევიდესო რუსეთში.

განვაგრძოთ კიდევ? ისედაც ხომ ნათელია, რომ ასეთი ავანტიურისტული ლოზუნგებით აჯანყებულთა და სისხლისღვრის პირველდამწყებთა წინააღმდეგ რესპუბლიკის კანონიერი მთავრობა რეპრესიებს მიმართავდა. სამწუხაროა, რომ ამ აჯანყებას ორივე მხრიდან უდანაშაულო ადამიანთა მსხვერპლიც მოჰყვა.

სამხრეთ ოსეთის 1920 წლის აჯანყების შეწყვეტა მიზანშეწონილად მიიჩნია რკპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმაც. 1920 წლის 7 ივლისს მან დაამტკიცა ინსტრუქცია, რომელშიც ჩამოყალიბებული იყო საბჭოთა რუსეთის პოლიტიკის ძირითადი პრინციპები კავკასიაში. ამ დოკუმენტში ვკითხულობთ: „...დაწყებული აჯანყება, მაგალითად, სამხრეთ ოსეთში უმტკივნეულოდ უნდა იქნეს ლიკვიდირებული"[36]. 1920 წლის 19 ივლისს კი გ. ჩიჩერინი გ. ორჯონიკიძეს

[36] ციტირებულია აკაკი ირემაძის წიგნიდან „განთიადის სათავეებთან", თბ., 1984, გვ. 247.

სწერდა: „საჭიროა ოსეთის აჯანყების უმტკივნეულოდ ლიკვიდაცია, კიროვის მხრივ დიპლომატიური ხელისშეწყობით მოსახლეობისათვის საქართველოს მთავრობისაგან მიღწეულ უნდა იქნას ამნისტია და დახმარება მათი დანგრეული სახლების აღსადგენად“[37].

მკითხველის ყურადღება გვინდა გავამახვილოთ ერთ მნიშვნელოვან ფაქტზე. 1920 წლის 16 ივნისს რკპ (ბ) თერგის საოლქო ბიუროსა და რევკომის ორგანომ გაზეთმა „კომუნისტმა“ გამოაქვეყნა მასალა „აჯანყება საქართველოში“, რომელშიც დადასტურებული იყო სამხრეთ ოსეთის აჯანყებაში რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და მისი კავბიუროს თანამონაწილეობა. ამ პუბლიკაციის გამო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ განმარტება მოსთხოვა რსფსრ მთავრობას. რსფსრ სრულუფლებიანი წარმომადგენელი საქართველოში ს. კიროვი ამასთან დაკავშირებით საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს ე. გეგეჭკორს ატყობინებდა: „ჩემს მიერ თქვენდამი უკვე მითითებული იყო, რომ რუსეთის კომუნისტურ პარტიას, მისი ცენტრალური კომიტეტისა და რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სახით, კავკასიაში გადაჭრით არავითარი ურთიერთობა არ ჰქონია და არც შეიძლება ჰქონოდა სამხრეთ ოსეთის აჯანყებასთან. იგივე უნდა ითქვას კავკასიის ფრონტის სარდლობაზე, ვინაიდან ჯერ კიდევ რუსეთსა და საქართველოს შორის ზავის ნორმალურ დადებამდე გაცემულ იქნა კატეგორიული ოპერატიული ბრძანება ყოველგვარი სამხედრო მოქმედება შეეწყვიტათ საქართველოს ჯარების წინააღმდეგ. შესაძლებელი სასაზღვრო გაუგებრობები კი მოლაპარაკებებით გადაეწყვიტათ. ამრიგად, რკპ თერგის საოლქო ბიუროსა და რევკომის ორგანოში 16 ივნისს გამოქვეყნებული შენიშვნა მხოლოდ რედაქტორს უნდა მიეწეროს.

ჩემს მიერ დამატებით მოკითხული ცნობებით აღმოჩნდა, რომ რკპ ცენტრალურმა კომიტეტმა არ იცის არავითარი სამხრეთ ოსეთის საოკრუგო კომიტეტი და, გასაგებია, რომ თუ ასეთი ორგანიზაცია არსებობდა, მას მოქმედებისა და რკპ სახელით გამოსვლის უფლება არ ჰქონდა. შენიშვნის ეს ნაწილი, რომელიც უპასუხისმგებლო სფეროებიდანაა გამოსული, ირკვევა, რომ რედაქტორის მიერ იქნა გაშვებული დაუდევრობის მიზეზით. ამის შედეგად, რედაქტორი მოხსნეს და კანონიერ პასუხისგებაში ეძლევა დაუდევრობისათვის სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს.

დარწმუნებული იყავით ჩემს სრულ პატივისცემაში. რსფსრ სრულუფლებიანი წარმომადგენელი საქართველოში ს. კიროვი“[38].

როგორც ვხედავთ, სამხრეთ ოსეთის ამ ავანტიურისტულ საწყისებზე მოწყობილ აჯანყებას თვით კომუნისტური პარტია და საბჭოთა რუსეთის მთავრო-

---

[37] ციტირებულია ავთანდილ მენთეშაშვილის დასახელებული სტატიიდან.
[38] იქვე.

ბაც გაემიჯნენ, რაც ერთობ ძნელი გასაგები აღმოჩნდა აჯანყების მომწყობთათვის.

ამრიგად, სამხრეთ ოსეთის 1918—1920 წლების აჯანყებები მიმართული იყო საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ. მათს მიზანს შეადგენდა საბჭოთა ხელისუფლების დამყარება, სამხრეთ ოსეთის გამოყოფა საქართველოდან და საბჭოთა რუსეთთან შეერთება. ეროვნული მომენტი ამ აჯანყებათა ერთ-ერთი მთავარი მამოძრავებელი ფაქტორია (ამ თეზისს სოციალ-დემოკრატ-მენშევიკთა ზოგიერთი წარმომადგენელი მაშინ საკამათოდ ხდიდა).

ისიც უეჭველია, რომ ამ აჯანყებების გამომწვევ მიზეზთა შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა კლასობრივ-იდეოლოგიურ, სოციალურ ფაქტორებსაც. საქმე ის არის, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ თავისი ხანმოკლე არსებობის მეტად რთულ საშინაო და საგარეო პირობებში, ბუნებრივია, ვერ მოასწრო საჭირბოროტო სოციალური პრობლემების საბოლოოდ გადაჭრა. ეს მოსახლეობის გარკვეული ფენების უკმაყოფილებას იწვევდა, რასაც ოსტატურად იყენებდნენ მთავრობის მოწინააღმდეგე პოლიტიკური ძალები, უწინარეს ყოვლისა, ბოლშევიკები, რომლებიც მომხიბვლელი ლოზუნგების მეშვეობით ახერხებდნენ უკმაყოფილო გლეხთა ნაწილის თავიანთ მხარეზე გადაბირებას და მთავრობის საწინააღმდეგო მოძრაობაში ჩაბმას. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ასე ხდებოდა არა მარტო, ვთქვათ, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში, არამედ საქართველოს სხვა რეგიონებშიც: რაჭა-ლეჩხუმში, სამეგრელოში, დუშეთში და სხვ. საქართველოს მთავრობა რეპრესიებს მიმართავდა ქართველ აჯანყებულთა წინააღმდეგაც.

თავი მეორე

# სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნა

1921 წლის თებერვალ-მარტში, როცა საქართველოს ძალდატანებითი გასაბჭოება ხდებოდა, საქართველოდან ჩრდილო კავკასიაში 1920 წელს გადასული ოსთა შეიარაღებული რაზმები დაბრუნდნენ და წითელი არმიის ნაწილებთან ერთად (მათს შემადგენლობაში) აქტიურად იბრძოდნენ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების წინააღმდეგ. მათ შორის იყვნენ რევოლუციურ ლოზუნგებს ამოფარებული ექსტრემისტებიც, რომელნიც თავს სოციალიზმისათვის მებრძოლებად ასაღებდნენ, სინამდვილეში კი „რევანშისტულ“ მიზნებს ისახავდნენ და სოციალიზმს დროშად იყენებდნენ.

წითელი არმიის ნაწილებს საქართველოდან 1920 წელს გახიზნული ყველა ოსი არ შემოჰყოლია, ნაწილი ჩრდილო კავკასიაში დარჩა. გავეცნოთ ორ დოკუმენტს, რომლებითაც ირკვევა, თუ როგორ მოხდა მათი დაბრუნება. 1921 წლის 14 მარტს გ. კ. ორჯონიკიძემ ქ. ვლადიკავკავიდან მიიღო თერგის ოლქის ჯარების სარდლის სმირნოვისა და გენშტაბის უფროსის შავროვის შემდეგი დეპეშა:

«В связи с советизацией Грузии наблюдается стремление эмигрантов Южной Осетии вернуться домой, дабы не пропустить срока весенних работ. Южно-Осетинский окружной комитет РКП(б) просит предоставить ему право разрешения на проезд в Южную Осетию отдельным эмигрантам, особенно сохранившим инвентарь, дабы скорейшим образом восстановить хозяйственную жизнь Южной Осетии и переход этот разрешить безболезненно. Прошу разрешить этот вопрос»[1].

აი, გ. ორჯონიკიძის საპასუხო დეპეშაც:

«Командвойск Теробласти т. Смирнову, копия т. Такоеву. Тифлис 17/III—21 г.

Абсолютнейшая свобода возвращения всех выселенных меньшевиками осетин само собой решается провозглашени-

[1] სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალური პარტიული არქივი (შემდგომში — მლი ცპა), ფ. 85, აღწ. 15, საქ. 261, ფურც. 2.

см Советской Грузии. Нет больше осетинского вопроса, осетины являются полными хозяевами своей судьбы. Грузсовправительством ассигновано миллиард рублей на помощь разоренных меньшевиками осетин Южной Осетии. Передайте пожалуйста всем осетинам Южной Осетии, что ничто решительно не мешает их возвращению к себе. Орджоникидзе»[2].

ოსების დაბრუნების შემდეგ კიდევ უფრო გამწვავდა ოსთა და ქართველთა ურთიერთობა. ოსები ეპატრონებოდნენ საქონელს, რომელიც, მათი აზრით, ქართველებს დარჩათ ოსთა 1920 წლის ივნისის აჯანყების ჩაქრობისა და აჯანყებულთა ჩრდილო კავკასიაში გახიზვნის შემდეგ. თუმცა საქართველოს სსრ საგანგებო კომისიაში მიაჩნდათ, რომ ამ დავაში არც ერთი მხარე არ იყო ბოლომდე მართალი[3].

სათანადო ორგანოებმა ვერ გაითვალისწინეს ის სავალალო შედეგები, რაც საქართველოში ოსთა არაორგანიზებულად დაბრუნებას უნდა მოჰყოლოდა. დავიმოწმოთ ადგილები სოფლების: სვერის, ქემერტის, მინდიანის, ყაფლანის, კასრანის და მონასტრის მცხოვრებთა მიერ 1921 წლის 25 აპრილს დაწერილი ერთობლივი განცხადებიდან, რომელიც საქართველოს სსრ ოქტომბრის რევოლუციისა და სოციალისტური მშენებლობის ცენტრალური სახელმწიფო არქივის ფონდების მცველმა ნონა ხუციშვილმა გააცნო გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ მკითხველებს: „...გვაქვს მეტად ცუდი მდგომარეობა, დღეს ჩვენ ვიმყოფებით ლტოლვილებად, ვართ ჩვენს სახლებს მოწყვეტილნი. ოსების შემოსვლის შემდეგ გვიხდება 3 თვე (ასეა დედანში — ლ. თ.), რაც გამოქცეული ვართ სახლებიდან... ცხინვალში დაგვიწვეს 78—80 სახლი და რაც გადარჩა საქონელი და ავეჯი და ჰირნახული წაიღეს ჯავის რაიონისაკენ... როცა ვთხოვთ, ცემითა და მუქარით გვიპასუხებენ. ამ დროს ამოხოცეს 32 კაცი, მათში ზოგი დაწვეს და ზოგიც ცემით დახოცეს, გაუპატივრეს ქალები, დედები, პატარები... გთხოვთ უმორჩილესად მოგვცეთ იარაღი, რომ დავიცვათ ჩვენი თავი და მივიდეთ ჩვენს სახლებში ან მოგვცეთ ქართული ჯარი, რომელიც ჩადგება სამძღვარზედა, თორემ არ შეგვიძლიან ჩვენ იქ ცხოვრება, რადგანაც მუდამდღე ხდება დაცემა, იტაცებენ თუ რამე დარჩა ამ აოხრებულს სოფლებში, ანგრევენ სახლებს და მიაქვთ ოსებისაკენ... შეგვაწუხეს ჯარმა, რომელიც დგას დღეს ცხინვალში. მოდიან სახლებში და გვაწუხებენ. გვთხოვენ ჰირნახულევს, საკლავს და აფუჭებენ ჰირნახულს და ვენახებს და არ გვაქვს

---

2 მლი ცპა, ფ. 85, აღწ. 15, საქ. 261, ფურც. 1.

3 სუიცსა, ფ. 281, აღწ. 1, საქ. 92, ფურც. 123.

4 გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1990 წლის 20 იანვარი. სტატია „შიდა ქართლი — ისტორია და თანამედროვეობა. საარქივო დოკუმენტები გვამცნობენ“.

ღამე ძილი. მუდამ ღამე ხდება დაცემა. მასთან საქონელი გვყამს მუდამ სახლში, რადგანაც გვეშინიან მოტაცების. თუ წავიყვანთ საძოვრად, მოდიან და იტაცებენ, რადგანაც არ ეშინიათ"[4].

ასეთმა ძალადობამ კიდევ უფრო დაამძიმა ქართველი ხალხის გულისტკივილი, საქართველოს ოკუპაციით რომ იყო გამოწვეული. პირველ ხანებში უმართავი გახდა ოსთა და ქართველთა ურთიერთობა. საჭირო შეიქნა განსაკუთრებული დანიშნულების ნაწილების გაგზავნა დედაქალაქიდან.

საქმეს ისიც ართულებდა, რომ ზუსტად გამიჯნული არ იყო გორის მაზრის და ცხინვალის რევკომების სამოქმედო სფეროები. თვით ცხინვალში არსებობდა ორი რევკომი: სამხრეთ ოსეთისა და ცხინვალის. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ 1921 წლის 23 მაისს მიზანშეუწონლად ცნო ცხინვალში ორი რევკომის არსებობა[5], მაგრამ საქმეს მაინც არა ეშველა რა. ხშირად ხდებოდა შეხლა-შემოხლა იმის თაობაზე, თუ ვისი მმართველობა უნდა გავრცელებულიყო ამა თუ იმ რაიონზე.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე დადგა სამხრეთ ოსეთისათვის ავტონომიის მინიჭების საკითხი, რაც ერთობ ძნელი გადასაწყვეტი შეიქმნა. ამას თავისი ობიექტური მიზეზები ჰქონდა. ჯერ ერთი, გასარკვევი იყო რომელ ტერიტორიაზე და რა სახის ავტონომია უნდა მიენიჭებინათ სამხრეთ ოსეთისათვის. მეორე, რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კავბიუროს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და რევოლუციურ კომიტეტს, რომელთაც ვერაფრით ვერ დავწამებთ არაინტერნაციონალიზმს, გაუჭირდათ სამხრეთ ოსეთის რევოლუციური კომიტეტისა და პარტიული კომიტეტის მიერ წამოყენებული მოთხოვნების დაკმაყოფილება (სამხრეთ ოსეთის რევოლუციური კომიტეტი, ზუსტად ამ სახელწოდებით, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე შეიქმნა, თუმცა, მაშინ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ერთეული თავისი სტატუსითა და ტერიტორიით ჯერ კიდევ არ იყო ჩამოყალიბებული).

და, აი, 1921 წლის 6—8 სექტემბერს გაიმართა სამხრეთ ოსეთის რევოლუციური კომიტეტისა და პარტიული კომიტეტის გაერთიანებული სხდომა სამხრეთ ოსეთის პასუხისმგებელი პარტიული მუშაკების მონაწილეობით, რომელმაც განიხილა „სამხრეთ ოსეთის თვითგამორკვევისა და პოლიტიკური მოწყობის საკითხი". სხდომამ დაადგინა:

> «1. Признать необходимым образование социалистической советской республики Юго-Осетии с центром в Цхинвали; 2) Социалистическая Советская Республика Юго-Осетии добровольно вступает в федеративную связь с социалистической Советской Республикой Грузии; 3) При

---

[5] იხ. მლისფპა, ფ. 14, აღწ. 1, საქ. 11, ფურც. 26.

выработке формы федеративной связи между обеими республиками гарантируется трудящимся Юго-Осетии максимум политических прав; 4) Социалистическая Советская республика Юго-Осетии обязуется в границах, соответствующих наличным этнографическим, географическим и экономическим условиям, гарантировать свободное экономическое и культурное развитие трудящихся Юго-Осетии согласно прилагаемому проекту; 5) Настоящее постановление представить объединенному заседанию Кавбюро Р. К. П., Ц. К. К. П. Грузии и Ревкома Юго-Осетии для окончательного разрешения данного вопроса»[6].

ამ დადგენილებაში სამი ისეთი საკითხია დაყენებული, რომელთაც არ შეიძლებოდა ქართველი ხალხის გულისწყრომა არ გამოეწვია. ეს გახლავთ თვითგამორკვევის ფორმის (სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა), რესპუბლიკის დედაქალაქის (ცხინვალი) და ტერიტორიის საკითხები (სამხრეთ ოსეთის საზღვრებში, ამ დადგენილების დანართის მიხედვით, მრავალი ქართული სოფელი უნდა შესულიყო).

მაშასადამე, უნდა შექმნილიყო სამხრეთ ოსეთის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა. საქართველოში ამ დროს უკვე ჩამოყალიბებული იყო აფხაზეთისა და აჭარის რესპუბლიკები.

მოკლედ მათ შესახებ.

საქართველოს ტერიტორიის მთლიანობის ხელყოფად აღიქვა ჩვენმა საზოგადოებრიობამ არა მარტო ის, რომ ქართული მიწების ნაწილი მეზობელ საბჭოთა რესპუბლიკებსა და თურქეთს გადაეცა, ან კიდევ მათს მფლობელობაში იყო და დარჩა, არამედ ისიც, რომ საქართველოს ერთიან ტერიტორიაზე მაშინ რამდენიმე ავტონომიური ერთეული შეიქმნა. ავტონომიური ერთეული კი არა და აფხაზეთში საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა გამოაცხადეს (ყოველგვარი ავტონომიურის გარეშე). თითქოს უცნაურ ფაქტთან გვაქვს საქმე — საქართველოში ორი თანაბარუფლებიანი (სახელწოდებით ასე იყო) საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა ჩამოყალიბდა.

ამ „უცნაურობის" ახსნა გაგვიადვილდება, თუ გავიხსენებთ რა პირობებში აარსებდნენ რესპუბლიკებს ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ.

რევოლუციას მომხრეები სჭირდებოდა და ლოზუნგებიც ისეთი უნდა ჰქონოდა ფართო მასების მხარდაჭერას რომ უზრუნველყოფდა. იმპერიის არარუს მოსახლეობაში ერთ-ერთ ასეთ ლოზუნგად ერთა თვითგამორკვევის მოთხოვნა ითვლებოდა და ამიტომაც კომუნისტური პარტიის მიერ ამ ადრიდანვე აღიარებულმა ლოზუნგმა რევოლუციის პერიოდში წინა პლანზე წამო-

6 სუიცსა, ფ. 281, აღწ. 2, საქ. 3, ფურც. 164.

იწია. დამოუკიდებლობის იდეამ მოიცვა დიდი თუ მცირე ერები და ეროვნებები. თქვენ წარმოიდგინეთ, ეს იდეა ერთობ პოპულარული გახდა თვით რუსულ ოლქებშიც კი. 1918 წელს შეიქმნა დონის საბჭოთა მთავრობა, ყუბანშავიზღვისპირეთის რესპუბლიკა და ა. შ. მოსკოველ მუშაკთა ჯგუფმა საბჭოების მესამე ყრილობის შემდეგ 14 გუბერნიის გაერთიანება მოიწადინა და 1918 წლის 20 მარტს ამ გაერთიანების სახკომსაბჭოც შეიქმნა. პეტროგრადში ფუნქციონირებდა ჩრდილოეთის ოლქის სახკომსაბჭო. მალე გაჩნდა მსგავსი გაერთიანება ურალის ოლქის სახალხო კომისართა საბჭოს სახით. მასში შედიოდა უფის, ვიატკის, ორენბურგისა და პერმის გუბერნიები. ასეთი ხელოვნური საოლქო „დამოუკიდებელი" წარმონაქმნები 1918 წლის დამლევამდე რუსეთის სხვა რეგიონებშიც არსებობდა[7].

ბუნებრივია, დამოუკიდებლობის იდეამ დიდი გასაქანი ჰპოვა არარუს მოსახლეობაში, კერძოდ კავკასიის ხალხებში. ქართველმა ერმა თვით განახორციელა ეს იდეა — 1918 წლის მაისში დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობა აღიდგინა. გაიშალა მუშაობა საქართველოში მცხოვრები ეროვნული უმცირესობებისათვის გარკვეული ავტონომიური მმართველობის დასაწესებლად. ცნობილია, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობასა და ეროვნულ უმცირესობებს შორის ცალკეული შეხლა-შემოხლაც ხდებოდა ამ ნიადაგზე. რთული იყო საკითხი. ყოველმხრივი შესწავლა და საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებაც აუცილებელი ჩანდა.

ზოგიერთ ეროვნულ უმცირესობასთან საქართველოს მთავრობის გართულებულ ურთიერთობას მოხერხებულად იყენებდნენ ქართველი ბოლშევიკები, რომლებიც ყოველგვარ დახმარებას აღუთქვამდნენ ეროვნულ უმცირესობებს მთავრობასთან ბრძოლაში, გამარჯვების შემთხვევაში ავტონომიასაც ჰპირდებოდნენ მათ. ხელისუფლებისათვის ბრძოლის პოლიტიკით იყო ეს განპირობებული. ეროვნული უმცირესობები მენშევიკების წინააღმდეგ მებრძოლ არმიაში ეგულებოდათ ბოლშევიკებს და ამიტომაც გულუხვ დაპირებებსაც არ აკლებდნენ მათ. დაპირებები გულწრფელი იყო. ხელისუფლების სათავეში ქართველი ბოლშევიკების მოსვლისთანავე დაპირებები საქმედ იქცა. 1921 წლის მარტში, მაგალითად, აფხაზეთი საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად გამოცხადდა. მოსკოვის, ლენინგრადის, დონის, ყუბან-შავიზღვისპირეთისა და სხვათა „დამოუკიდებელ" გაერთიანებათა მაგალითის დამოწმებით გვინდოდა გვეჩვენებინა, რომ „სამოსტიინური" ხასიათის „უცნაურობები" არცთუ ისე იშვიათი იყო თვით სუფთა რუსულ ოლქებშიც კი. რა გასაკვირია, რომ მას ადგილი ჰქონდა აფხაზეთშიც.

არა, საკამათო ის როდია, ერგებოდა თუ არა აფხაზეთს ავტონომია. საუბარია იმაზე, რომ საბჭოთა სინამდვილეში იმ დროსაც ეროვნული სახელ-

---

7 იხ. ჯ. გ. ფედოროვი. სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში (1917—1920) (რუს.), მ., 1957, გვ. 88—89.

მწიფოებრიობის უმაღლესი ფორმა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა იყო. შემდეგ მოდიოდა სამი ტიპის ავტონომიური ერთეული: ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, ავტონომიური ოლქი და შრომითი კომუნა. რუსეთის ყოფილი იმპერიის ტერიტორიაზე შეიქმნა ბაშკირეთის, თათრეთის, ყირგიზეთის, თურქესტანის, მთის, დაღესტნის, ყირიმის, იაკუტიის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკები და ჩუვაშეთის, მარის, ყალმუხეთის, ვოტის, კომის, ყაბარდო-ბალყარეთის, ბურიატ-მონღოლეთის, ყარაჩაი-ჩერქეზეთის, ოირატის (ალტაის), ადიღეს (ჩერქეზეთის) ავტონომიური ოლქები, აგრეთვე კარელიისა და ვოლგისპირეთის გერმანელთა შრომითი კომუნები. აქ ჩამოთვლილ ხალხთაგან ზოგიერთები მოსახლეობის რაოდენობითა და მათ მიერ დაკავებული ტერიტორიის მოცულობით ჭარბობდნენ აფხაზებსა და აფხაზეთს (ზოგიერთი, აფხაზეთის მსგავსად, საზღვრისპირა, ზღვისპირა მდებარეობითაც გამოირჩეოდა), მაგრამ მაშინ ვერც ერთი მათგანი ვერ ჩამოყალიბდა საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად. მხოლოდ აფხაზები და აფხაზეთი ჩათვალეს ასეთი სახელმწიფოებრივი სტატუსის ღირსად. არ არის აქ რაღაცნაირი საგანგებო ვითარება? რაღა თქმა უნდა არის. საკითხი ნაჩქარევად გადაწყდა. განა საკამათოა, რომ ქართველ და აფხაზ ხალხებს შორის იმ დროს მათდაუნებურად არსებული რთული ურთიერთობის მოწესრიგება აფხაზეთისათვის შედარებით უფრო დაბალი ტიპის ავტონომიის მინიჭებითაც შეიძლებოდა? მაგრამ მაშინ საქართველო ხომ ნაკლებად „დასჯილი" იქნებოდა. საქართველოს „დასჯა" კი აუცილებელი იყო, რადგან მან გაბედა და 1918 წელს თავისი დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობა აღიდგინა, ამასთან საქმესაც არა უშავს რა უძლვებოდა. თავიდათავი ის იყო, რომ რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კავბიურო და ქართველ კომუნისტთა საგრძნობი ნაწილი საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივ მშენებლობაში მაშინ წინდახედულობას ვერ იჩენდნენ. მსოფლიო სოციალისტური რევოლუციის იდეებით გატაცებულნი და მის მოლოდინში ნაკლებმნიშვნელოვნად თვლიდნენ საქართველოს სახელმწიფოებრივი ტერიტორიის მთლიანობის დაცვას. ამ საკითხზე ზრუნვას დასაგმობ ნაციონალიზმად და კომუნისტისათვის შეუფერებელ საქციელად მიიჩნევდნენ. არა, სუბიექტურად ქართველი ხალხის მტრობა კი არ ჰქონდათ გულში ჩადებული, მაგრამ ეგონათ, რომ რევოლუციის ინტერესებთან შედარებით ეს ისეთი მეორეხარისხოვანი საქმეა, რომლისთვისაც არ ღირდა არაქართულ რეგიონთა „რევოლუციური მასების" განაწყენება.

ამიტომაც მოხდა, რომ მთელი 10 წლის მანძილზე აფხაზეთი საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად იწოდებოდა. ამიტომაც იყო, რომ ამ ხნის მანძილზე საქართველოს სსრ და აფხაზეთის სსრ სპეციალური ხელშეკრულებით (1921 წლის დეკემბრისა) იყვნენ დაკავშირებული (მსგავსი სახელშეკრულებო კავშირი რუსეთის სფს რესპუბლიკასაც ჰქონოდა სხვა საბჭოთა რესპუბლიკებთან).

საქართველოსა და აფხაზეთის რესპუბლიკებს შორის სპეციალური ხელშეკრულების დადებაც აფხაზეთის მხრიდან გარკვეულ წინააღმდეგობას წააწყდა. საკითხი საბოლოოდ გადაწყვიტა რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კავბიურომ, რომელმაც 1921 წლის 1 ნოემბერს ორჯონიკიძის, კიროვის, მიასნიკოვის, ნაზარეტიანის, ფიგატნერის, მავრინის, მრავიანისა და ეშბას მონაწილეობით იმსჯელა საქართველოსა და აფხაზეთის ურთიერთდამოკიდებულებაზე და დაადგინა:

> «1. Считать необходимым приступить к выработке проекта договора о взаимоотношениях между Грузией и Абхазией. 2. Для разработки проекта договора выбрать комиссию в составе т.т. Эшба, Элиава, Леграна под председательством тов. Леграна. 3. Разработанный проект договора представить на утверждение Президиума Кавбюро ЦК РКП. 4.Работа комиссии должна быть закончена к 10-му ноября»[8].

მკითხველმა უნდა იცოდეს, რომ იყო აფხაზეთის პრობლემის გადაჭრის სხვა, კიდევ უფრო მიუღებელი ვარიანტიც. 1921 წლის 16 ნოემბერს რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კავბიურო, რომლის სხდომას ესწრებოდნენ ორჯონიკიძე, ფიგატნერი, ნაზარეტიანი, ელიავა, მდივანი, მარკოვი, მირონოვი, ეგოროვი, ადნო, ეშბა და ლოლობერიძე, იძულებული გახდა მიეღო ასეთი გადაწყვეტილება:

> «1. Считать экономически и политически нецелесообразным существование независимой Абхазии; 2. Предложить тов. Эшба представить свое окончательное заключение о вхождении Абхазии в состав федерации Грузии на договорных началах или на началах автономной области в РСФСР»[9].

ქართველ ხალხს ახლაც არაფერს ეკითხებოდნენ. რაც შეეხება საქართველოს „ფედერაციაში" აფხაზეთის დარჩენას, ეს, საფიქრებელია, საბოლოოდ იმან გადაწყვიტა, რომ თუ აფხაზეთი რუსეთის სფს რესპუბლიკაში შესვლას მოისურვებდა, მას, როგორც ვნახეთ, მხოლოდ ავტონომიური ოლქის უფლებებს ანიჭებდნენ.

მცირე მნიშვნელობა როდი ჰქონდა რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კავბიუროს 1921 წლის 24 ნოემბრის დადგენილებასაც, რომელიც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და აფხაზეთის პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელი ორგანოს — ორგბიუროს ურთიერთდამოკიდებულებას ეხებოდა. ამ დღეს კავბიურომ დაადგინა:

---

[8] მლი ცპა, ფ. 64, აღწ. 1, საქ. 2, ფურც. 85.

[9] იქვე. გვ. 89.

«1. Оргбюро Абхазии организационно связывается с ЦК КПГ, сохраняя название РКП; 2. Тов. Эшба вводится в ЦК КПГ на правах полноправного члена»[10].

კავბიუროს ამ სხდომას ესწრებოდნენ: ორჯონიკიძე, ელიავა და ნაზარეტიანი. გამოკითხვის წესით ეს დადგენილება მიზანშეწონილად ცნეს კიროვმა, მდივანმა და ფიგატნერმა[11].

ერთი კია, აფხაზეთის სახელშეკრულებო რესპუბლიკას საკავშირო, ცენტრალური ხელისუფლება ფაქტობრივად ავტონომიური რესპუბლიკების მწკრივში განიხილავდა (ათავსებდა) და ეს აისახა სსრ კავშირის 1924 წლის კონსტიტუციაშიც, სადაც აფხაზეთი ავტონომიურ რესპუბლიკად არის მოხსენიებული. „აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკები, — აღნიშნულია კონსტიტუციაში, — და სამხრეთ ოსეთის, მთიანი ყარაბახისა და ნახიჩევანის ავტონომიური ოლქები ეროვნებათა საბჭოში გზავნიან თითო წარმომადგენელს"[12].

აფხაზეთი ფაქტობრივად ავტონომიურ რესპუბლიკად არის ნაგულისხმევი ზოგიერთ იმდროინდელ პარტიულ დოკუმენტშიც. 1922 წლის 27 თებერვალს, მაგალითად, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა განიხილა საკითხი:

«О числе мест в ЦИК, представляемом Центру, автономным республикам, Армии...»

და დაადგინა «Предоставить: Центру 35, автономным республикам Абхазии, Аджаристана и Южно-Осетии по 3 места»[13].

როგორც ვხედავთ, აქ აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი ავტონომიურ რესპუბლიკებად არიან დასახელებული. და აქ ოქმის შემდგენლის დაუდევრობასთან კი არ უნდა გვქონდეს საქმე მხოლოდ, არამედ საერთო ტენდენციასთან — აფხაზეთს, აჭარასა და სამხრეთ ოსეთს ამ შემთხვევაში ერთი ტიპის ავტონომიურ (!!) ერთეულებად განიხილავენ.

აჭარის ავტონომიაც განსაკუთრებულ ვითარებაში შეიქმნა. მას საფუძვლად ეროვნული ნიშანი არ დაედებია. საბჭოთა სინამდვილეში ეს იყო უნიკალური შემთხვევა, როცა მთელ ერს და მის შემადგენელ ნაწილს ცალ-ცალკე რესპუბლიკები შეუქმნეს. ცხადია, აჭარის ავტონომიის შექმნა ქართველი ხალხის ინტერესებიდან არ გამომდინარეობდა. იგი რელიგიური და საგარეო-პო-

---

10 მლი ცპა, ფ. 64, აღწ. I, საქ. 2, ფურც. 105.

11 იქვე.

12 სსრ კავშირის 1924 წლის კონსტიტუცია — საბჭოთა კონსტიტუციის ისტორია (1917—1956 წწ.), 1957 (რუს. ენაზე), გვ. 463.

13 მლისფპა, ფ. 14, აღწ. I, საქ. 192, ფ. 215.

ლიტიკური ფაქტორებით იყო განპირობებული. საქმე ისაა, რომ აჭარა — საქართველოს განუყოფელი ნაწილი — ისტორიული ბედუკუღმართობის შედეგად თურქეთის სამსაუკუნოვან მფლობელობაში მოექცა და მხოლოდ რუსეთ-თურქეთის 1877—78 წლების ომში რუსეთის გამარჯვების შედეგად დაუბრუნდა სამშობლოს (ქართველი ხალხი არასოდეს დაივიწყებს რუსეთის ამ ამაგს, თუმცა ისიც ცხადია, რომ რუსეთი მაშინ საკუთარი იმპერიის გაფართოებისათვის ზრუნავდა და არა საქართველოსათვის). თურქეთის ბატონობამ თავისი დაღი დაასვა აჭარელთა ყოფასა და კულტურას. მუსლიმანური რელიგიის მიღების შემდეგ აჭარა თურქეთისა და, საერთოდ, მუსლიმანური აღმოსავლეთის ძლიერ იდეოლოგიურ ზემოქმედებას განიცდიდა.

აჭარამ ბოლომდე ვერ დააღწია თავი ამ გავლენას რუსეთის იმპერიაში შესვლისა და საქართველოსთან შეერთების შემდეგაც. თურქეთმა 1918 წელსაც სცადა აჭარის ხელმეორედ მიტაცება. მან აქ შექმნა თურქოფილური ორგანიზაცია, რომელიც აჭარის კვლავ თურქეთის მფლობელობაში გადასვლას მოითხოვდა. თურქოფილურ ძალებს დაუპირისპირდა სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტი, რომელმაც საქართველოს ფარგლებში აჭარის ავტონომიის ჩამოყალიბების საკითხი დააყენა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ ძირითადად შესაძლებლად მიიჩნია ამ მოთხოვნის დაკმაყოფილება და კონსტიტუციითაც დაადასტურა ეს, მაგრამ მისი რეალური განხორციელება ვერ მოასწრო.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა საქართველოს სსრ რევკომის 1921 წლის 16 ივლისის დადგენილებით შეიქმნა. აჭარაში ავტონომიური მმართველობის დაწესება წინასწარ იყო გადაწყვეტილი რუსეთის სფს რესპუბლიკისა და თურქეთის 1921 წლის 16 მარტის ხელშეკრულებით (ესეც საქართველოს ფიქტიური დამოუკიდებლობის მაჩვენებელი), თუმცა ამ ხელშეკრულებაში არ იყო დაკონკრეტებული აჭარის ავტონომიის ფორმა და ამდენად, შეიძლებოდა არჩევანიც გაკეთებულიყო, უფრო დაბალი ტიპის ავტონომია დაარსებულიყო (ი. ფუტკარაძე), ავტონომიური მმართველობის შემოღება კი გარდაუვალი ჩანდა, რადგან ამ იდეას მაშინ აჭარლებიც თანაუგრძნობდნენ.

აჭარის ავტონომიის ბედი დღეს მთელმა ქართველმა ხალხმა უნდა გადაწყვიტოს, ცხადია, თვით აჭარლების სურვილისა და მოსალოდნელი შედეგების მაქსიმალური გათვალისწინებით. აქ დიდი წინდახედულობა და სიბრძნე გვმართებს. პირველი და გადამწყვეტი სიტყვა ეკუთვნით აჭარლებს, რომელთა ეროვნული თვითშეგნების მაღალი დონე არასოდეს ეჭვს არ იწვევდა.

ამრიგად, საქართველოს სს რესპუბლიკაში, მის კუთვნილ ტერიტორიაზე გასაბჭოების პირველ წელსვე შეიქმნა აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა (რომელიც იმავე წლის დეკემბერში გახდა სახელშეკრულებო, ხოლო მოგვიანებით ავტონომიური რესპუბლიკა), აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა და აყენებდნენ საკითხს სამხრეთ ოსეთის

სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის შექმნის შესახებ. იმისდა მიუხედავად, სამართლიანი იყო თუ არა საკითხის ასეთი გადაწყვეტა, უდავოა, ეს მომენტი კიდევ უფრო ართულებდა საქართველოს კომუნისტების მდგომარეობას, რომელიც წითელი არმიის მიერ საქართველოს ძალდატანებითი გასაბჭოების (ოკუპაციის) პირობებში, ბუნებრივია, ისედაც უაღრესად მძიმე იყო. მკითხველმა იცის, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელმა კრებამ „საქართველოს ხალხის მოღალატეებად" გამოაცხადა საქართველოს რევკომის წევრები, რომლებიც მოუძღოდნენ „რუსეთის საბჭოთა ლაშქარს საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ[14], საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დასამყარებლად.

შექმნილ ვითარებაში ქართველ ბოლშევიკებს საქმით უნდა დაემტკიცებინათ, რომ მათთვის უცხო არაა ქართველი ხალხის ეროვნული ინტერესები. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი ვერ გამონახავდნენ საერთო ენას ქართველ ხალხთან, განსაკუთრებით მის ინტელიგენციასთან. მით უფრო რომ ზოგიერთი ქართული პოლიტიკური პარტია ქართველ ხალხს საბჭოთა ხელისუფლებასთან შეურიგებლობისაკენ მოუწოდებდა, ხოლო კომუნისტურ პარტიას, არცთუ უსაფუძვლოდ, საქართველოს ტერიტორიის მთლიანობის დარღვევას საყვედურობდა. დამახასიათებელია ამ მხრივ გრიგოლ ლორთქიფანიძის გამონათქვამი, რომელსაც აქვე უცვლელად დავიმოწმებთ: „ჩამოჭრილი ტერიტორიების გარეშე დარჩენილი საქართველო ფორმალურად გამოცხადებულ იქნა საქართველოს საბჭოთა დამოუკიდებელ რესპუბლიკათ. მაგრამ თვით ეს საქართველოც ძლიერ დასერა და დასჭრა რუსეთმა პოლიტიკურათ და ტერიტორიალურათ. ამ მიზნით, მან გამოაცხადა აფხაზეთის ჯერ დამოუკიდებელი, შემდევ ავტონომიური რესპუბლიკა, ასეთივე რესპუბლიკა აჭარაში და ავტონომიური ოლქი სამხრეთ ოსეთისა. ყველა ამ ე. წ. რესპუბლიკების შექმნა და მათი საქართველოსადმი დაპირდაპირება და მისგან მაქსიმალურათ ვამოთიშვა ძველი რუსიფიკატორული პოლიტიკის ახალ ფორმაში გაგრძელებაა. აფხაზეთის რესპუბლიკა რუსეთს სჭირია, როგორც საქართველოში შემოსავალი ჭიშკარი და საკოლონიზაციო პოლიტიკისათვის დასაყრდნობი პლაცდარმი. ასეთსავე პოლიტიკურსა და სტრატეგიულ როლს აკისრებს მოსკოვის იმპერიალიზმი ე. წ. სამხრეთ ოსეთს. ნამდვილი ოსეთი კავკასიონის ქედს გადაღმაა კასრის ხეობის იქეთ, მაგრამ იქ რუსეთმა სრულიადაც არ დაინახა საჭიროთ შეექმნა წმინდა ოსური სახელმწიფოებრივი ორგანიზმი ჩრდილო ოსეთისა ან სხვა რამ ამგვარი სახელწოდებისა. იქ ოსები, ინგუშები და სხვები ერთ ავტონომიურ მთის რესპუბლიკაში დასტოვა, ხოლო საქართველოში, სადაც ოსობა წარმოადგენს ხიზნებსა და კოლონისტებს მათთვის ოთხი მაზრიდან (გორის, დუშეთის, შორაპნისა და რაჭის) ხელოვნურათ გამოსჭრა ოსური ავტონომია მრავალ წმინდა

[14] გაზ. «ერთობა», 1921 წლის 23 თებერვალი.

ქართული სოფლების შიგ ჩართვით. ეს ზომაც მართული იყო, რასაკვირველია, იქითკენ, რომ ოსურ-ქართული შური გაღვივებია და საქართველოში შემოსასვლელი ჰიშკრები მოსკოვის ხელში ყოფილიყო სავსებით და ამ მიზნისათვის, ასე წარმოიდგინეთ იმდენათ აწამეს და აჰახრაკეს ავტონომიური ოსეთის საზღვარი, რომ მის ფარგლებში მამისონის გადასავალიც კი მოაქციეს რაჭის მხრიდან"[15].

ამ ნაწყვეტში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე და სამხედრო მინისტრი გრიგოლ ლორთქიფანიძე სიმართლეს ამბობს. ქართველი ხალხის გულისტკივილს იგი ძირითადად სწორად გადმოსცემს. ეს პრობლემა მაშინ ნამდვილად იდგა. თვით კომუნისტების დამოკიდებულება აფხაზეთის, აჭარისა და სამხრეთ ოსეთის სახელმწიფოებრივი მოწყობის სხვადასხვა ასპექტისადმი არაერთგვაროვანი იყო. თუმცა ძირითადად კომუნისტთაგან თითქმის არავინ უარყოფდა ამ რეგიონებისათვის სხვადასხვა ფორმით ავტონომიური უფლებების მინიჭებას. კამათი მხოლოდ ფორმებსა და საზღვრებზე ჰქონდათ.

აქვე უნდა ითქვას, რომ აფხაზეთისა და აჭარისათვის, აგრეთვე ზოგიერთი სხვა რეგიონისათვის ავტონომიური მმართველობის უფლების მინიჭების წინააღმდეგ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობაც არ გამოდიოდა. ეს ნათლად ჩანს საქართველოს კონსტიტუციიდან, რომელიც საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ 1921 წლის 21 თებერვალს დაამტკიცა. მასში ცალკე თავად (მეთერთმეტე) არის გამოყოფილი „ავტონომიური მმართველობა", სადაც ვკითხულობთ: „მუხლი 107. საქართველოს რესპუბლიკის განუყოფელ ნაწილებს — აფხაზეთს (სოხუმის ოლქი), სამუსლიმანო საქართველოს (ბათომის მხარე) და ზაქათალას (ზაქათალას ოლქი) ენიჭებათ ადგილობრივ საქმეებში ავტონომიური მმართველობა. მუხლი 108. წინა მუხლში მოხსენებულ ავტონომიურ მმართველობათა დებულებანი შემუშავებულ იქნება ცალკე კანონით"[16].

მივუბრუნდეთ სამხრეთ ოსეთის რევკომისა და პარტკომის 1921 წლის 6—8 სექტემბრის დადგენილებას. საქართველოს ტერიტორიაზე სამხრეთ ოსეთის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის შექმნის მოთხოვნა კიდევ უფრო მიუღებელი და შეუსაბამო იყო, ვიდრე აფხაზეთისა, რაზეც უკვე ვილაპარაკეთ. ასეთი რესპუბლიკა ჩრდილო კავკასიაში მდებარე ნამდვილ ოსეთშიც არ შექმნილა (მაშინ, სხვათა შორის, ჩრდილო ოსეთში არც ავტონომიური რესპუბლიკა და არც ცალკე ოლქი არსებობდა). ნამდვილად კურიოზული იყო ეს მოთხოვნა, იმდენად კურიოზული, რომ, როგორც შემდეგ ვნახავთ, რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კავბიუროც კი ვერ დააკმაყოფილებს მას.

---

[15] გრ. ლორთქიფანიძე, ფიქრები საქართველოზე (ხელნაწერი), გვ. 270—271.

[16] საქართველოს კონსტიტუცია, მიღებული საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ 1921 წლის თებერვლის 21, ბათუმი, გვ. 31.

სამხრეთ ოსეთის რევკომისა და პარტკომის გადაწყვეტილებით 6—8 სექტემბრის დადგენილებას თან დაურთეს „მოკლე განმარტებითი ბარათი“, რომელშიც მოცემული იყო ცდა დაესაბუთებინათ სამხრეთ ოსეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შექმნის აუცილებლობა.

მოხსენებითი ბარათი შედგებოდა შემდეგი განყოფილებებისაგან: სამხრეთ ოსეთის გეოგრაფიული მდებარეობა და მოსახლეობის რაოდენობა, სამხრეთ ოსეთის ეკონომიკური მდგომარეობა და მისი მოსახლეობის კულტურული განვითარების დონე, ისტორიულ-სოციალური განვითარება, სამხრეთ ოსეთის ღარიბ გლეხთა რევოლუციური ბრძოლის ისტორია, დასკვნა. დავიმოწმოთ ორიოდე ადგილი ამ მოხსენებითი ბარათიდან:

«Общность интересов и усилившееся культурно-политическое развитие масс объединяет осетинских крестьян с грузинскими, и в дальнейшем их деятельность протекает в тесном единении вплоть до разгрома Юго-Осетии. С начала февральской революции до октябрьского переворота внутри Осетии боролись только две мелкобуржуазные группы: С. Д. (меньшевиков) и С. Р. **О глубоком общественно-классовом расслоении не было и речи потому, что движение носило характер национального освобождения, и кулацкий** элемент играл некоторую роль. Беспартийная интеллигенция группировалась в большинстве вокруг С. Р. **Большевистская организация, зародившаяся в** октябре 1917 года в Тифлисе, работала в то время исключительно среди осетинских рабочих и **не имела никакого влияния на крестьян.** В процессе борьбы меньшевики, куда входили главным образом рабочие, побеждают, и временно крестьянские массы идут за ними. К началу октябрьского переворота их изменническая политика начинает проявляться, и массы с наиболее честными рабочими отходят от них... **После ликвидации восстаний с июля 1918 года в Юго-Осетии зарождаются правильные парторганизации большевиков** под руководством Тифлисской секции, перенесшей центр тяжести своей деятельности в деревню. К октябрю 1919 года Юго-Осетия покрывается сетью правильно организованных ячеек, районных организаций (17 райкомов) с числом членов и сочувствующих до 2.000 человек, объединенных уже в Юго-Осетинский партком... Происходившие в этот период народные съезды выдвигают на повестку дня вопрос о политическом самоопределении Юго-Осетии с ориентацией на Тер-

скую, в то время, Советскую республику. Вопрос был поставлен настолько серьезно, что на пять съездов приезжают столпы меньшевизма: И. Церетели, И. Рамишвили и др. **Большевики побеждают, и правительство Жордания разрешает вопрос с помощью германских солдат.** Окончательно же вопрос о самоопределении снимается с повестки дня во: 1. нашествием **карательной экспедиции генерала Каралова** и Горийского уездначальника Карцивадзе, разгромивших Народный Совет в Цхинвале. 2. Нашествием экспедиционных войск меньшевистского правительства под командованием полк. Химшиева, **после неудачного октябрьского выступления. Поход сопровождался расстрелами, поджогами, насилием и тому подобными бесчинствами.** Партия уходит в подполье, наиболее видные товарищи изгоняются в Терскую область. С этого времени по июнь 1920 года меньшевистское правительство держит в разных частях Юго-Осетии значительные войсковые силы. **Бесчинства их и административный произвол делает гнет невыносимым. В июле 1920 года по всей Осетии вспыхивает всеобщее восстание,** в результате чего в Цхинвале объявляется Советская власть на всей территории Юго-Осетии. Ряд неблагоприятных обстоятельств для повстанцев дают меньшевикам возможность **ликвидировать революционное движение с небывалой жестокостью и зверством. К великому несчастью бессознательная часть грузинских крестьян, под влиянием шовинистической агитации меньшевиков, приняли участие в гнусных деяниях правительства.** До февраля 1921 года оставшаяся часть населения Юго-Осетии остается под гнетом правительства, подвергаясь жестким гонениям. **Вот почему главным образом с момента прихода Советской власти трудовые массы Юго-Осетии резко выставляют принцип самоопределения** (ხაზგასმა ყველგან ჩვენია—ლ. თ) ბარათის ავტორები შემდეგ დასკვნებს აკეთებდნენ:

«1. Так как географически Юго-Осетия составляет одно сплошное целое в пределах вышеуказанных границ (ამ საზღვრებში ქართული სოფლებიც იყო მოქცეული—ლ. თ.) население ея этнографически однородно с особым национально-бытовым укладом жизни и хозяйственный быт ее обладает специфическими чертами — необходимо образовать из нее С.С.Р.

2.Степень классового расслоения и самосознания трудовых масс Юго-Осетии (необходимых для нормального развития республики) настолько высока, что обеспечивает республике нормальное развитие культурно-экономических сил ее.

3. Образование такой политической единицы, при данных объективных условиях, создает благоприятную почву для приобщения трудящихся Юго-Осетии к Советской власти (школа, суд и другие учреждения на родном языке) и скорейшего изживания чувства национального угнетения, которое появилось, главным образом, в период меньшевистского господства.

4. Свободное и успешное развитие культурно-экономических сил Юго-Осетии возможно только в том случае, если включить в состав ее те районы со смешанным населением, которые являются единственным культурно-экономическим центром Юго-Осетии и органически связаны с нею»[17].

მაშასადამე, სამხრეთ ოსეთის რევკომი და პარტიული კომიტეტი ადასტურებდნენ, რომ: 1) სამხრეთ ოსეთის გლეხთა მოძრაობა კლასობრივ ნიადაგზე კი არ იყო აღმოცენებული, არამედ იგი ეროვნულ ხასიათს ატარებდა; 2) ბოლშევიკური ორგანიზაციები სამხრეთ ოსეთში მხოლოდ 1918 წლის ივლისის შემდეგ იქმნება, მანამდე თბილისის ბოლშევიკურ ორგანიზაციას სამხრეთ ოსეთის გლეხობაზე არავითარი გავლენა არ ჰქონია. ე. ი. 1918 წლის მარტის შეიარაღებული გამოსვლა ადგილობრივი ბოლშევიკური ორგანიზაციის მიერ მომზადებული არ იყო, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ ბარათის ავტორთა აზრით, ამ გამოსვლას ეროვნული ხასიათი ჰქონდა; 3) 1919 წლის ოქტომბრის შემდგომ პერიოდში სამხრეთ ოსეთში გამართული სახალხო ყრილობები აყენებდნენ სამხრეთ ოსეთის პოლიტიკური თვითგამორკვევისა და თერგის რესპუბლიკასთან მისი შეერთების საკითხს.

ყოველივე ამის შემდეგ აღარ უნდა უკვირდეთ, რომ ქართველი ხალხი და საქართველოს მთავრობა სასტიკად ილაშქრებდნენ ოსი ექსტრემისტების წინააღმდეგ. ბარათის ავტორები მხოლოდ იმ რეპრესიებზე ლაპარაკობენ, რომლებსაც საქართველოს შეიარაღებული ძალები ახორციელებდნენ ოსთა აჯანყებების ჩასაქრობად, ხოლო კრინტსაც არ ძრავდნენ იმაზე, თუ რა ვანდალურ აქციებს მიმართავდნენ ოსი ექსტრემისტები სამაჩაბლოს ძირძველი მოსახლეობის წინააღმდეგ.

მოხსენებითი ბარათის ავტორები აღნიშნავენ, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ ოსეთის საკითხი საბოლოოდ გერმანელ

17 სუიცსა, ფ. 281, აღწ. 2, საქ. 3, ფურც. 165—166.

ჯარისკაცთა დახმარებით გადაწყვიტა. ეს არ არის სწორი, რადგანაც ლაპარაკია 1919 წლის ოქტომბრის შემდგომ პერიოდზე, როცა საქართველოში გერმანელთა ჯარი უკვე აღარ იყო.

ავტორებს ისე გამოუდით, თითქოს ოსთა 1920 წლის ივნისის აჯანყება ოსი მოსახლეობისადმი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ჯარის ნაწილების უდიერმა დამოკიდებულებამ გამოიწვია. ჩვენ უკვე ვნახეთ რამ გამოიწვია ეს აჯანყება და ვინ იყო მისი სულისჩამდგმელი.

ავტორები სინანულით აღნიშნავენ, რომ „ქართველი გლეხობის შეუგნებელი ნაწილი მენშევიკთა შოვინისტური აგიტაციის გავლენით“ მთავრობის ღონსძიებებში მონაწლეობდა. გულსხმობენ ოსთა აჯანყების ჩაქრობაში ქართველი გლეხობის მონაწილეობას. ჩვენ ის გვიკვირს, ნამდვილად გვიკვირს, რომ ექსტრემისტების წაქეზებით ოსი გლეხობის, მართლაც, „შეუგნებელმა ნაწილმა“ ხელი აღმართა საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ, თორემ ის რა გასაკვირია, რომ ქართველმა გლეხობამ (მისმა შეგნებულმა თუ „შეუგნებელმა“ ნაწილმა) მონაწილეობა მიიღო საკუთარ სახლში გაჩენილი ხანძრის ჩაქრობაში, საქართველოს დამოუკიდებლობის დაცვაში.

ისიც გაუგებარია, თუ სამხრეთ ოსეთის რევკომი და პარტკომი რატომ მოითხოვდნენ საქართველოს ტერიტორიაზე სამხრეთ ოსეთის მაინცდამაინც საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შექმნას. განა რა ობიექტური პირობები იყო, ან რა ფაქტები მოიყვანეს ისეთი (თუნდაც ყველა მათგანი მართალი ყოფილიყო), რომლებიც აუცილებელს ხდიდნენ სწორედ ასეთი რესპუბლიკის შექმნას. თანაც თავიდანვე ჰქონდათ გამიზნული სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკაში ქართული სოფლების გაერთიანებაც.

მოხსენებით ბარათში ნახსენებია „გენერალ კარალოვის დამსჯელი ექსპედიცია“. ამასთან დაკავშირებით ერთი დოკუმენტი გვინდა გავაცნოთ მკითხველს. 1922 წლის 11 ივლისს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა სპეციალურად იმსჯელა ამ საკითხზე და საჭიროდ მიიჩნია, რომ სამხრეთ ოსეთის პარტკომის დახმარებით მოეძიათ მასალები მოხსენებისათვის, რომელშიც გაშუქებული იქნებოდა გენერალ კარალოვის დამსჯელი რაზმის საქმიანობა სამხრეთ ოსეთში 1919 წლის მაისში[18].

ცენტრალურ კომიტეტში ამ საკითხის განხილვის საბაბი გახდა ცალკე კავკასიის არმიის განსაკუთრებული განყოფილებიდან 1922 წლის ივნისში შემოსული შემდეგი წერილი:

«В секретариат Ц.К.П. Грузии.

Прошу поручить одному из компетентных членов К.П. Грузии составить доклад о действиях карательного отряда генерала Каралова в Южной Осетии в мае 19-го года и

[18] იხ. მლისფპა, ფ. 14, აღწ. 1, საქ. 192, ფურც. 683.

направить таковой по возможности не позднее 20-го июня в особотдел ОКА.

В докладе желательно осветить, главным образом следующие пункты:

1) Сколько было выступлений в Южной Осетии за время меньшевистского правления; 2) Какой характер (белогвардейский (ხაზგასმა ჩვენია — ლ. თ.), или коммунистический) носили выступления в мае 1919 года; 3) Кто отличался наибольшей активностью из лиц командования в экспедиции генерала Каралова»[19].

მკითხველის ყურადღება გვინდა მივაპყროთ დოკუმენტის იმ ადგილს, სადაც ლაპარაკია იმაზე, თუ რა ხასიათისა იყო გამოსვლები სამხრეთ ოსეთში 1919 წლის მაისში. ეს საკითხი დღესაც აქტუალურია. ყოველ შემთხვევაში დენიკინთან ამ გამოსვლების კავშირი რომ გამოსარიცხავი არ არის, ეს უეჭველია.

სამხრეთ ოსეთის რევკომისა და პარტკომის 1921 წლის 6—8 სექტემბრის გაერთიანებულმა სხდომამ დაამტკიცა აგრეთვე „სამხრეთ ოსეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტი" და „სამხრეთ ოსეთის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის საზღვრების პროექტი". საზღვრების პროექტში სათითაოდაა ჩამოთვლილი სოფლები, რომლებიც სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკაში უნდა გაეერთიანებინათ. მათ შორის მოჰყვა ბევრი ქართული სოფელიც (ქართული და შერეული მოსახლეობით) გორის, დუშეთის, რაჭისა და შორაპნის მაზრებიდან. სამხრეთ ოსეთის საზღვრების პროექტში დასახელებული სოფლები საინტერესოა ქართული ტოპონიმიკის თვალსაზრისით. თვალში გეცემათ სოფელთა სახელწოდებების ქართული წარმომავლობა[20].

„სამხრეთ ოსეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტი" სულ 15 მუხლისაგან შედგებოდა. მასში ჩამოთვლილი იყო სახალხო კომისარიატები, რომლებიც რესპუბლიკაში უნდა შექმნილიყო, განსაზღვრული იყო მათი კომპეტენციის სფეროები (მათგან ზოგი საქართველოს სსრ სათანადო სახალხო კომისარიატებს ექვემდებარებოდა, ზოგიც დამოუკიდებელი რჩებოდა) და სხვ. კონსტიტუციის პროექტში მაგალითად, ნათქვამი იყო:

«Столицей С.С.Р. Юго-Осетии является г. Цхинвали»;

«С.С.Р. Юго-Осетия состоит в федеративной связи с С.С.Р. Грузией»;

«Для борьбы с контрреволюцией организуется особая

19 იხ. მლისფპა, ფ. 14, აღწ. 1, საქ. 192, ფურც. 700.

20 იხ. სუიცსა, ფ. 281, აღწ. 2, საქ. 3, ფურც. 168—169.

Юго-Осетинская конная воинская часть с командованием на русском языке»;

«Всеми финансовыми и техническими средствами С.С.Р. Юго-Осетия снабжается из средств С.С.Р. Грузии»;

«Языком сношения между С.С.Р. Юго-Осетией и С.С.Р. Грузией служит русский язык»[21].

როგორც ვნახეთ, კონსტიტუციის პროექტიდან დამოწმებულ ამონაწერებში რუსული ენის გამოყენების საკითხზე ორჯერ არის ყურადღება გამახვილებული. ეს უმთავრესად აიხსნება ცარიზმის დროს სამხრეთ ოსეთში შექმნილი ენობრივი სიტუაციით, რომლის გამოსწორებას არც ახალი რუსეთი ცდილობდა. გარდა ამისა, აქ აშკარად იგრძნობა ქართული ენის უპატივცემულობაც[22].

გავიხსენოთ ერთი ეპიზოდი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისა და სამხრეთ ოსეთის ეროვნული საბჭოს ურთიერთობიდან. 1919 წლის 4 მარტს სამხრეთ ოსეთის ეროვნული საბჭო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს სწერდა:

«Южно-Осетинский Национальный Совет просит Вас не отказать сделать распоряжение подведомственным учреждениям и должностным лицам о том, чтобы переписку с Осетинским национальным Советом и Осетинскими Обществами велась на русском языке, так как знающих грузинский язык в учреждениях Осетии почти нет, а о содержании переводчиков за отсутствием средств не приходится и говорить»[23].

სამხრეთ ოსეთის ეროვნული საბჭოს ამ თხოვნასთან დაკავშირებით სამთავრობო დაწესებულებებში რამდენიმე დოკუმენტი შეიქმნა. გავეცნოთ ზოგიერთ მათგანს.

1919 წლის 7 მარტს საქართველოს რესპუბლიკის საქმეთა მმართველი კ. ჯაფარიძე შინაგან საქმეთა სამინისტროს კანცელარიის დირექტორს სწერდა (ასლი სხვა უწყებებსაც დაეგზავნა): „გაახლებთ რა სამხრეთ-ოსეთის ეროვნული საბჭოს შუამდგომლობის პირს, მიწერ-მოწერის წარმოების შესახებ რუსულ ენაზე, გთხოვთ, რათა ხსენებული შუამდგომლობა შეწყნარებულ იქმნას"[24].

1919 წლის 11 მარტს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს კანცელარიის დირექტორი რესპუბლიკის საქმეთა მმარ-

---

21 სუიცსა, ფ. 281, აღწ. 2, საქ. 3, ფურც. 167.

22 შდრ. ნ. ხუციშვილი, „შიდა ქართლი — ისტორია და თანამედროვეობა", გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი", 1990 წლის 20 იანვარი.

23 სუიცსა, ფ. 1861, აღწ. 1, საქ. 355, ფურც. 3.

24 იქვე, ფ. 2.

თველობას აცნობებდა: „დამატებით თქვენის ა/წ. მარტის 7-ის № 605 მომართვისა და თანახმად ბ-ნ მინისტრის განკარგულებისა, იუსტიციის სამინისტროს კანცელარია გთხოვთ გვაცნობოთ ვისის განკარგულებით გამოიგზავნა იუსტიციის სამინისტროში საქართველოს ოსთა ეროვნულ საბჭოს შუამდგომლობა მასთან ყველა მიწერ-მოწერის რუსულ ენაზე წარმოების შესახებ და გაქვთ თუ არა ამ საგნის შესახებ რესპუბლიკის მთავრობის ბრძანება, ვინაიდან სამინისტროს კანცელარია აწარმოებს მთელ მიწერ-მოწერას ქართულ ენაზე“[25].

ამ მიმართვაზე საქართველოს მთავრობის საქმეთა მმართველის პასუხი, რომელიც 1919 წლის 17 მარტით არის დათარიღებული, ასეთი იყო: „პასუხათ თქვენი ა. წ. მარტის 11 № 1144 მომართვისა მთავრობის საქმეთა მმართველობა გაცნობებთ, რომ განკარგულება ოსთა ეროვნულ საბჭოს შუამდგომლობის შეწყნარების შესახებ, რომ მიწერ-მოწერა ჩვენ დაწესებულებათა და მათ შორის ხდებოდეს რუსულ ენაზე — მოახდინა მთავრობის საქმეთა მმართველმა. მთავრობის დადგენილება ამის შესახებ არ ყოფილა და არც უნდა ყოფილიყო, რადგანაც თავისთავად ცხადია, რომ სხვა ერებთან მიწერ-მოწერა უნდა სწარმოებდეს მათ ენაზე ან იმ ენაზე, რომელზედაც მათ სურთ რომ მიწერ-მოწერამ იწარმოოს. სხვანაირად მოქცევა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის დაწესებულებებს არ შეუძლიათ, რადგანაც ეს იქნებოდა ღალატი იმ პრინციპებისა, რომელზედაც არის აგებული ჩვენი რესპუბლიკა. და თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ ოსურ ეროვნულ საბჭოს თხოვნა ადვილი დასაკმაყოფილებელია, ამ თხოვნის შეუსრულებლობა უსამართლოც იქნებოდა“[26].

იუსტიციის სამინისტრო არ დააკმაყოფილა მთავრობის საქმეთა მმართველის ამ პასუხმა და 1919 წლის 20 მარტს კვლავ გზავნის ოფიციალურ წერილს მთავრობის საქმეთა მმართველობაში: „პასუხად თქვენის ა. წ. მარტის 7-ის № 605 მომართვისა ოსთა ეროვნულ საბჭოს შუამდგომლობის შეწყნარების შესახებ, რომ მიწერ-მოწერა სამინისტროსი მასთან სწარმოებდეს რუსულ ენაზე, იუსტიციის სამინისტროს კანცელარია გაცნობებთ, რომ მას არ შეუძლიან დაიცვას თქვენს მომართვაში აღნიშნული წესი მიწერ-მოწერისა, ვინაიდან კანცელარიას აქვს ბ-ნ მინისტრის კატეგორიული განკარგულება, რომლის მიხედვით სახელმწიფო ტერიტორიის ფარგლებში იუსტიციის სამინისტროს კანცელარია როგორც სახელმწიფო დაწესებულება, სახელმწიფო ენაზე უნდა აწარმოებდეს მიწერ-მოწერას, თუნდაც ქვეშევრდომი არაქართველ ტომს ეკუთვნოდეს.

ხსენებული განკარგულების გაუქმება ან შეცვლა შეადგენს მხოლოდ მინისტრის ან რესპუბლიკის მთავრობის კომპეტენციას“[27].

---

[25] სუიცსა, ფ. 1861, აღწ. 1, საქ. 355, ფურც. 6.

[26] იქვე, ფურც. 4.

[27] იქვე, ფურც. 1—2.

და კიდევ ერთი დოკუმენტი. 1919 წლის 24 მარტს საქართველოს მთავრობის საქმეთა მმართველი კ. ჯაფარიძე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილეს ე. გეგეჭკორს სწერდა: „6 ამა მარტს მთავრობის თავმჯდომარის სახელზე, ჩემდამი რწმუნებულ მმართველობაში შემოვიდა სამხრეთ-ოსეთის ეროვნული საბჭოს თხოვნა, რომელშიც ხსენებული საბჭო შუამდგომლობს, რომ ჩვენი რესპუბლიკის დაწესებულებათა და მათ შორის მიწერ-მოწერა სწარმოებდეს რუსულ ენაზე, რადგანაც ქართული ენის მცოდნენი მათ თითქმის არ მოეპოვებათ, ხოლო თარჯიმანთა შენახვა, უსახსრობის გამო, არ შეუძლიათ.

ვიხელმძღვანელე რა ამა წლის 1 ოქტომბრის (ასეა დედანში — ლ. თ.) პარლამენტის დადგენილებით, საიდანაც ნათლად სჩანს, რომ პარლამენტს არ თუ არ უფიქრია ეროვნულ უმცირესობათა თავის ენაზე მიწერ-მოწერის წარმოების უფლების შეზღუდვა, არამედ ამის შესახებ ცალკე კანონის გამოცემაც კი საჭიროთ დაინახა და აგრეთვე იმ მოსაზრებით, რომ სხვა ერებთან მიწერ-მოწერა, თანახმად იმ პრინციპებისა, რომელზედაც არის აგებული ჩვენი დემოკრატიული რესპუბლიკა, უნდა წარმოებდეს იმ ენაზე, რომელზედაც მათ სურთ, მე შევატყობინე ყველა სამინისტროებს, რომ ეს სამართლიანი თხოვნა ოსთა ეროვნული საბჭოსი დაეკმაყოფილებინათ. პასუხად ჩემი მიმართვისა (ა. წ. 7 მარტის, № 605), იუსტიციის სამინისტროს კანცელარიის დირექტორი შემეკითხა რა უფლების ძალით გავუგზავნე მას ზემოთ აღნიშნული ჩემი მიმართვა.

ყოველივე გაუგებრობის თავიდან ასაცდენათ ამა თვის 10 მარტს ამ საქმის შესახებ მე თქვენ გაგიკეთეთ მოხსენება და თქვენც, გაიზიარეთ რა ზემოთ მოყვანილი ჩემი მოსაზრება, დამავალეთ მიმეწერა იუსტიციის სამინისტროს კანცელარიის დირექტორისათვის, რომ თხოვნა ოსთა ეროვნული საბჭოსი დაეკმაყოფილებიათ. პასუხად აღნიშნული მიმართვისა, ხსენებული დირექტორი მწერს, რომ მას: „არ შეუძლიან დაიცვას" ჩემს „მომართვაში აღნიშნული წესი მიწერ-მოწერისა". ესე იგი, ის, დირექტორი არ ემორჩილება ჩემს, მთავრობის საქმეთა მმართველის განკარგულებას.

მიმაჩნია რა პირდაპირ დაუშვებლათ ამნაირი საქციელი იუსტიციის სამინისტროს კანცელარიის დირექტორისა, საჭიროდ დავინახე მომეხსენებია ზემოთ აღნიშნული თქვენთვის შესაფერი ზომების მისაღებათ"[28].

ამ დავაში მტყუანისა და მართლის გარჩევისაგან ამჯერად თავი შევიკავოთ. დავიხსომოთ, მხოლოდ თუ როგორ ზრუნავდნენ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში ეროვნულ უმცირესობათა დაცვისა და საქართველოს სახელმწიფო ენის — ქართული ენის ფუნქციის რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე განერცობისათვის. დავიხსომოთ ისიც, რომ ე. გეგეჭკორიცა და კ. ჯა-

---

[28] სუიცსა, ფ. 1861, აღწ. 1, საქ. 355, ფურც. 12—13.

ფარიძეც იმ მთავრობის წარმომადგენლები არიან, რომელიც ჩვენს ისტორიოგრაფიას ეროვნულ უმცირესობათა მჩაგვრელის როლში გამოჰყავდა. მკითხველი იუსტიციის სამინისტროს პოზიციასაც გაგებით მოეკიდება, ცხადია.

ამ მიმოწერიდან ისიც კარგად ჩანს, რომ სამხრეთ ოსეთის მესვეურები იმ დროიდანვე უწყობდნენ ხელს სამხრეთ ოსეთში (გორის მაზრის ოსებით დასახლებულ ტერიტორიაზე) რუსული ენის პოზიციების გაძლიერებას ქართული ენის ხარჯზე.

ახლა ვნახოთ რა ბედი ეწია სამხრეთ ოსეთის რევკომისა და პარტიული კომიტეტის 1921 წლის 6—8 სექტემბრის გაერთიანებულ სხდომაზე მიღებულ დადგენილებას სამხრეთ ოსეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შექმნის თაობაზე. ცხადია, საკითხი უნდა გადაეწყვიტათ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, საქართველოს სსრ რევოლუციურ კომიტეტსა და რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კავბიუროს. ამ უკანასკნელის სიტყვა გადამწყვეტი იყო.

გაერთიანებული სხდომის დადგენილება და მასთან დაკავშირებული სხვა მასალები საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა 1921 წლის 27 სექტემბერს გაუგზავნა საქართველოს სსრ რევოლუციურ კომიტეტს. ამ უკანასკნელმა 1921 წლის 10 ოქტომბერს „სამხრეთ ოსეთის ცალკე ადმინისტრაციულ ერთეულად გამოყოფის საკითხი" განსახილველად გადასცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს. რთული პრობლემის წინაშე აღმოჩნდნენ რესპუბლიკის ხელმძღვანელი ორგანოები. მათ უნდა გადაეწყვიტათ სამხრეთ ოსეთის თვითგამორკვევის ფორმის, მისი დედაქალაქისა და საზღვრების საკითხები. საქმეს რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კავბიურომ მოაბა თავი. 1921 წლის 31 ოქტომბერს მან მოისმინა შ. ელიავას მოხსენება ამ საკითხზე და დაადგინა:

> «1. Предоставить Южной Осетии права Автономной Области; 2. Предложить Ревкому Грузии совместно с Южно-Осетинским Исполкомом определить границы Южной Осетинской Автономной области»[29].

კავბიუროს დადგენილებაში ავტონომიური ოლქის ადმინისტრაციული ცენტრის შესახებ არაფერია ნათქვამი. ეს საკითხი საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა გადაწყვიტა 1921 წლის 17 ნოემბერს, როცა ა. ჯატიევისა და მ. ორახელაშვილის მოხსენების საფუძველზე დაადგინა:

> «Принципиально признать гор. Цхинвали входящим в Южно-Осетинскую автономную область как административный центр последней»[30].

---

29 მლი ცპა, ფ. 64, აღწ. 1, საქ. 2, ფურც. 80.

30 მლისფპა, ფ. 14, აღწ. 1, საქ. 8, ფურც. 7.

1921 წლის 23 ნოემბერს კი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა დაამტკიცა შემადგენლობა კომისიისა, რომელსაც უნდა დაედგინა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საზღვრები, და საქართველოს რევკომს წინადადება მისცა ამ კომისიაში შეეყვანა კაკაბაძე, შოტი, ჯატიევი და გაგლოევი[31].

კომისიის პირველი სხდომა 1921 წლის 5 დეკემბერს გაიმართა. კომისიის თავმჯდომარედ კირილე კაკაბაძე აირჩიეს, მდივნად — სერგო გაგლოევი. იმსჯელეს კომისიის მუშაობის გეგმებსა და მეთოდებზე. დაადგინეს, რომ:

> «При нанесении границ Автономной области Юго-Осетии руководствоваться соображениями целесообразности, удобствами административного управления, экономическим и культурнонациональным тяготением населенных пунктов к тому или иному центру. Причем для практического проведения в жизнь постановления ЦК, о признании Цхинвали административным центром последней, комиссия по ознакомлении на месте считаст достаточным ограничиться пропагандой и разъяснением истинного положения, дабы рассеять распускаемые среди населения слухи»[32].

მაშ ასე, გადაწყდა რომ იქმნება სამხრეთ ოსეთის არა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა და არც ავტონომიური რესპუბლიკა, არამედ ავტონომიური ოლქი. ამ საკითხს რაიმე გართულება არ გამოუწვევია. უთანხმოება მოჰყვა სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციულ ცენტრად ცხინვალის გამოცხადებასა და ოლქისათვის ქართული სოფლების გადაცემას. თუმცა ცხინვალის რაიონის ქართული სოფლების კომუნისტურ უჯრედთა კრებამ 1921 წლის 5 დეკემბერსვე დაადგინა:

> «Выслушав доклад т. Какабадзе об образовании Автономной области Юго-Осетии с центром в гор. Цхинвале собрание комячеек признает правильным постановление ЦК Компартии Грузии об образовании А.О.Ю.О. с центром в Цхинвале и приветствует это постановление»[33].

ცხინვალის რაიონის კომუნისტებმა, რომელნიც პარტიული დისციპლინის ერთგული იყვნენ, მხარი დაუჭირეს ზემდგომი ორგანოების დადგენილებას. კ. კაკაბაძეს აქ დიდი შრომა არ დასჭირდებოდა. სულ სხვა მდგომარეობა შეიქმნა ქართულ უპარტიო მოსახლეობაში. 1921 წლის 5 დეკემბერს ცხინვალში ორი კრება ჩატარდა. ერთზე უკვე ვთქვით. მეორე კრება ცხინვალის რაი-

---

31 მლისფპა, ფ. 14, აღწ. 1, საქ. 8, ფურც. 31.
32 სუიცსა, ფ. 281, აღწ. 2, საქ. 3, ფურც. 172.
33 იქვე, ფ. 281, აღწ. 2, საქ. 3, ფურც. 173.

ონისა და ქ. ცხინვალის ქართველმა მოქალაქეებმა ჩაატარეს. ელერდოვის მოხსენების შემდეგ საერთო კრებამ დაადგინა:

> «Собрание граждан представителей груз. сел большинством голосов высказалось против включения Цхинвали в состав Ав. О. Ю. О. Собрание в большинстве своем состояло из кулацко-меньшевистских элементов. Настроение в селах таково, что местные коммунисты не в состоянии выступать против них по слабости организации»[34].

კრების მესვეურებმა ვერ შეასრულეს პარტიული დავალება — კრებას ვერ მიაღებინეს მონაწილეთა ნების საწინააღმდეგო დადგენილება. ყველაფერი თურმე „კულაკურ-მენშევიკურმა უმრავლესობამ" გადაწყვიტა, ყოველ შემთხვევისათვის ოქმში ასე ჩაწერეს.

230 კაცი აწერდა ხელს სოფლების დვანის, ნულისა და ავნევის მცხოვრებთა ერთობლივ განცხადებას, რომელიც 1921 წლის 26 დეკემბერს დაიწერა: „ჩვენ, ქვემორე ამისა ხელისმომწერელნი გორის მაზრის ცხინვალის რაიონის ს. ს. დვანის, ნულისა და ავნევის მცხოვრებელნი, ამა რიცხვში შევიკრიბენით ს. დვანში საერთო კრებაზე და ვიქონიეთ მსჯელობა ქ. ცხინვალის და მის რაიონის ოსეთის ადმინისტრაციულ მართვა-გამგეობაში მოსალოდნელი გადასვლის შესახებ. ამ მეტად მძიმე და საყურადღებო საკითხის გამოსარკვევად, რათა ხალხს თავიდან აცილებოდა ის პროვოკაცია, რაიც იწვევდა ამ ორ მოძმე ერთა შორის მტრობასა და შუღლსა, სსრ მთავრობის მიერ იყო დანიშნული და გამოგზავნილი კომისია ამხ. კაკაბაძის თავმჯდომარეობით, რომელსაც, როგორც გავიგეთ, ჰქონდა დავალება, რომ შეჰკითხვოდა ქ. ცხინვალისა და მისი რაიონის მოსახლეობას, რომლებიც შესდგება, სულ ქართველებისაგან, სულ მცირედი გამონაკლისით, თუ რა აზრისანი იყვნენ ქ. ცხინვალის სამხრეთ ოსეთის მართვა-გამგებლობაში გადაცემის შესახებ. ამაზეც ყველა სოფლებსა გვყვანდა ქ. ცხინვალში გაგზავნილი ხუთ-ხუთი კაცი, სოფლის ნდობით აღჭურვილი. კრება მოხდა ქ. ცხინვალში, დაახლოებით ამ სამი კვირის წინათ. დაესწრნენ ყველა სოფლის წარმომადგენელნი (45 სოფელი). მოისმინა რა კრებამ კომისიის მოხსენება ცხინვალის ბედ-იღბალზე, რომელმაც თავის მოხსენებას მისცა განმარტება, რომ ქ. ცხინვალის გადაცემა სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციულ ცენტრად, არავითარი საწინააღმდეგო არ უნდა იყოს ქართველობისათვის და ამასთანავე, შეეკითხა კრებას გამოეთქვა აზრი ამ საკითხის შესახებ. კრებამ ერთხმად, კატეგორიულად პროტესტი განაცხადა ქ. ცხინვალის და მისი რაიონის სამხრეთ ოსეთზე გადაცემის შესახებ. ...გარდა ამისა, კრებამ სურვილი გამოსთქვა და დიდი აღფრთოვანებით შეხვდა ოსეთის ეროვნულ თვითგამორკვევას და გაუსვა ხაზი, რომ ეს თვითგამორკვევა მოხდეს თავიანთივე

[34] სუიცსა, ფ. 281, აღწ. 2, საქ. 3, ფურც. 174.

ეროვნულ ფარგლებში. ხოლო რაც შეეხება იმას, რომ ქ. ცხინვალი თავისი რაიონით გადაეცეს სამხრეთ ოსეთს, სცნო რა კრებამ ოსეთის ასეთი მოთხოვნილება მიზანშეუწონლად და უკანონოდ, რაც გამოიწვევს ჩვენი ერის პოლიტიკურად და ზნე-ჩვეულებრივ დაჩაგვრა-დამონავებას, ერთხმად დიდი პროტესტი განუცხადა ქ. ცხინვალისა და მისი რაიონის სამხრეთ ოსეთის მართვა-გამგეობაში გადაცემის შესახებ.

დიდი ხნის ბჭობის შემდეგ ერთხმად დავადგინეთ შემდეგი: რადგანაც დღევანდლამდის ჩვენ ხალხს ამ კომისიის დადგენილების შინაარსი არაფერი არ გაგვიგია, თუ რამდენად ანგარიში გაუწია კომისიამ ხალხის პროტესტს, ან რანაირი რეზოლუცია გამოუტანეს, არის დამაკმაყოფილებელი ხალხის სურვილისა თუ არა. ამაზედ მოვმართავთ სსრ მთავრობას, რათა ჩვენ მიერ ამორჩეულ დელეგატის პირით გვამცნოს ვითარება ამ ფრიად საჭირო საკითხის შესახებ და იმედს გამოვთქვამთ, რომ ვინაიდან ქ. ცხინვალი და მისი რაიონი არის ფართედ დასახლებული ქართველებით, რომელთა რიცხვიც მინიმალურად უდრის ხუთი ათას მეკომურსა და გარდა ამისა, ქ. ცხინვალი ითვლებოდა და ითვლება კიდეც, როგორც გეოგრაფიული მდებარეობით, აგრეთვე მის გარშემორტყმულ ქართველებით დასახლებული სოფლებით, ქართლის შუაგულ კუთხედ. ამისათვის განმეორებით დიდ იმედს გამოვთქვამთ, რომ მუშურ-გლეხური მთავრობა ანგარიშს გაუწევს ხალხის სამართლიან მოთხოვნილებას და მოსალოდნელ ჩვენ და ოსებს შორის ეროვნული შუღლის თავიდან ასაცილებლად ქ. ცხინვალი თავისი რაიონით დასტოვოს სს რესპუბლიკის მართვა-გამგეობის ფარგლებში...“[35].

კიდევ რამდენიმე ამონაწერი ქართული სოფლების მცხოვრებთა საერთო კრებების ოქმებიდან:

„...რისთვის უნდა ვიყოთ მოქცეულნი ოსეთის ფარგლებში ეროვნებათა თვითგამორკვევის აღსასრულებლად. მით უმეტეს, რომ მათი ენა ჩვენთვის სრულიად გაუგებარია და უცხო, მხოლოდ რაც შეეხება ეროვნებათა უმრავლესობას, მთელი ეს ჩრდილოეთი მხარე რაიონისა, მცირე გამონაკლისით, დასახლებულია ქართულ ენაზედ მოსაუბრე, მემკვიდრე ქართველებით“ (სოფ. ძარწემი, 1921 წლის 25 დეკემბერი).

თუ ჩვენს მოთხოვნაზე უარს გვეტყვით „...მთავრობამ მაშინ მოგვცეს ბინა და გადაგვასახლოს შორს სადმე, რომ ჩვენს თვალსა და ყურს ვერ მოსწვდებოდეს ჩვენი ადგილების კვნესა და არ ატირებდნენ ჩვენ ძველად განთქმულ გულგმირულ ჩვეულებას“ (სოფ. ქორდი, 1921 წლის 25 დეკემბერი).

„...ჩვენ მუდამჟამს გვქონდა და ახლაც გვაქვს ოსებთან ძმური, მეგობრული, ნათესაური კავშირგანწყობილება. ეხლაც გულახდილად ვაცხადებთ, რომ

---

35 გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1990 წლის 20 იანვარი, ნ. ჩუციშვილის დასახ. პუბლიკაცია.

მათთან, ოსებთან, ჩვენ მტრობა-ქიშპობას არ გავწევთ. ქართველებმა იცხოვრონ თავიანთ ფარგლებში, ჰქონდეთ განსაზღვრული მიჯნები, ჰყავდეთ თავიანთი მოსამსახურე, მოსამართლე. ოსებმა კიდევ თავიანთ ფარგლებში განაგონ თავიანთი საქმე ისე, როგორც თვითონა სურთ. ეს ორი ეროვნება თავიანთ საზღვრებს ნუ გადავლენ" (სოფ. ტირძნისი, 1921 წლის 26 დეკემბერი).

„...ვატანთ რა ამ დადგენილებას ჩვენს წარმომადგენლებს, იმედს გამოვთქვამთ, მთავრობა ჩვენ სამართლიან მოთხოვნილებას შეიწყნარებს და თავზე არ მოგვახვევს იმას, რაც ხალხს არ სურს" (სოფლები ზემო ნიქოზი, ქვემო ნიქოზი, ზემო ხვითი, ქვემო ხვითი. 1921 წლის 27 დეკემბერი)[36].

ასეთი იყო ქართული მოსახლეობის აზრი. ახლა ვნახოთ რას ფიქრობდა ამ საკითხზე საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი, რომელიც უშუალოდ სწავლობდა შიდა ქართლის ტერიტორიაზე შექმნილ მდგომარეობას (უწყებრივად ევალებოდა) და რომელსაც პრაქტიკულად უნდა განეხორციელებინა ზემდგომი პარტიული ინსტანციების გადაწყვეტილება.

საარქივო ფონდებში დაცულია საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის ბესო კვირკველიას მოხსენებითი ბარათი სამხრეთ ოსეთის ცალკე ადმინისტრაციულ ერთეულად გამოყოფის თაობაზე, რომელიც ჯერ კიდევ 1921 წლის 27 სექტემბერს განსახილველად გაეგზავნა საქართველოს სსრ რევოლუციურ კომიტეტს. იგი ასე იწყება: „სამხრეთ ოსეთის ცალკე ადმინისტრაციულ ერთეულად გამოყოფა სამაზრო ერთეულის უფლებებით გეოგრაფიულ და ეკონომიური მოსაზრებებით, საკითხის დეტალურათ შესწავლის შემდეგ, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს შეუძლებლათ მიაჩნია.

სამხრეთ ოსეთი როგორც მთლიანი გეოგრაფიული ერთეული არ არსებობს. არის მხოლოდ ოსობით დასახლებული ცალკე რაიონები, რომელთაც ურთიერთშორის არავითარი დამოკიდებულება არა აქვთ არც გეოგრაფიულად და არც ეკონომიურათ. თვითეული ამ რაიონთაგანი წარმოადგენს განუყოფელ ორგანულ ნაწილს სხვა და სხვა გეოგრაფიულ და სამეურნეო პროვინციებისას. ეს რაიონები ერთმანეთისაგან დაშორებულნი არიან გადაუვალი მთებით და ამასთანავე თვითეულს მათგანს აქვს სრულიად თავისუფალი გამოსავალი მხოლოდ ბარში. იგინი ერთი მეორეს მოწყვეტილნი არიან წლის განმავლობაში რამდენიმე თვით და თვითეული მათგანი ეკონომიურათ დამოკიდებულია იმ ველთან, რომელთანაც დაკავშირებულია გეოგრაფიულად"[37].

მოხსენებითი ბარათი იწერება იმ პერიოდში, როცა სამხრეთ ოსეთის რევკომი და პარტკომი აყენებდნენ საკითხს სამხრეთ ოსეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შექმნის შესახებ. საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარს კი შეუძლებლად მიაჩნდა არათუ სამხრეთ ოსეთის სს რეს-

---

36 კრებათა ოქმები. იხ. სუიცსა, ფ. 600, აღწ. 2, საქ. 5. გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი, 1990 წლის 20 იანვარი.

37 მლისფპა, ფ. 14, აღწ. 1, საქ. 10, ფურც. 121.

პუბლიკის, ან ავტონომიური რესპუბლიკის, ან თუნდაც ავტონომიური ოლქის შექმნა. არამედ საერთოდ ამ რეგიონის ცალკე სამაზრო ადმინისტრაციულ ერთეულად გამოყოფაც.

სამხრეთ ოსეთის ცალკე სამაზრო ადმინისტრაციულ ერთეულად გამოყოფის მიზანშეუწონლობას (თუ კი მის ფარგლებში ქართული სოფლებიც მოექცეოდა) შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი უმთავრესად გეოგრაფიული, დემოგრაფიული და ეკონომიკური თვალსაზრისით განიხილავდა.

ოსთა კომპაქტური დასახლება ყველაზე მეტად შესამჩნევი იყო გორის, დუშეთის, რაჭისა და შორაპნის მაზრებში. გორის მაზრაში ოსური დასახლებით გამოირჩეოდა მდ. ფრონის სათავეები, ყორნისისა და წენარას რაიონები, სადაც. სახალხო კომისარიატის მონაცემებით, ოსთა მოსახლეობა მცხოვრებთა 88 პროცენტს უდრიდა. დიდი ლიახვის ხეობაში ოსები ცხოვრობდნენ სოფ. კეხვამდე. ამ სოფლის სამხრეთით მხოლოდ ქართველებით დასახლებული სოფლები იყო, სადაც ოსთა რიცხვი მცხოვრებთა 15 პროცენტს არ აღემატებოდა. ასევე იყო პატარა ლიახვის ხეობაშიც, სადაც ოსები სოფ. ვანათამდე ცხოვრობდნენ. ვანათის ჩრდილოეთით განლაგებულია ქართული სოფლები: ველითი, ორი სოწურა, საცხენე, აწრისხევი და სხვ. დუშეთის მაზრაში ოსები ცხოვრობენ არაგვისა და ქსნის სათავეებთან, რაჭის მაზრაში — ჯოჯორას სათავესთან. ჩასავალის რაიონში.

გორისა და რაჭის მაზრებს ერთმანეთისაგან ყოფს გადაუვალი მთა, რომლის სიმაღლე 9 000 ფუტამდე აღწევს. ყველაზე დაბალი ადგილი ამ მთისა 6440 ფუტია. ასე რომ ჩასავალში მცხოვრები ოსების ეკონომიკური და ადმინისტრაციული დაკავშირება გორის მაზრის ოსობასთან, მით უმეტეს ზამთარში, ტექნიკურად დიდ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული, მაშინ როცა რაჭას მაზრის ადმინისტრაციული ცენტრი — ონი სულ რაღაც 7—10 ვერსით იყო დაშორებული ჩასავალის რაიონთან. „ამგვარათ ჩასავალის რაიონის მიწებება გორის მაზრის ოსობასთან იქნება სრულიად ხელოვნური, ბუნების და ეკონომიური ურთიერთობის საწინააღმდეგო კავშირი“, ნათქვამია შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მოხსენებით ბარათში.

ამავე მოსაზრებებს ეყრდნობოდა ბ. კვირკველია, როცა გორისა და დუშეთის მაზრათა ოსობის ადმინისტრაციული და ეკონომიკური გაერთიანების შეუძლებლობას ამტკიცებდა. გორისა და დუშეთის მაზრებს, აღნიშნავდა იგი, ყოფს თოვლიანი მთები, რომელთა სიმაღლე 11.333 ფუტამდის აღის და არსად 7.500 ფუტზე დაბლა არ არის, და ეს მთები წლის განმავლობაში 7—8 თვე სრულიად გარდაუვალია. ამავე ბუნებრივ გეოგრაფიულ მიზეზების გამო არავითარი სამეურნეო კავშირი ამ ორ რაიონს შორის არ არსებობს. კობის რაიონი ე. ი. დუშეთის მაზრის ზემოთაღნიშნული ჩრდილო დასავლეთის სექტორი, სადაც ოსების მოსახლეობა 60% არ აღემატება, დაკავშირებულია ეკონომიურათ დუშეთთან სამხედრო გზით, რომელიც 30—40 ვერსით დაშორე-

ბულია ამ რაიონს. გორის მაზრის ოსობასთან კავშირისათვის კობის რაიონის ოსობა იძულებული იქმნება იაროს წელიწადში რვა თვე მაინც დუშეთზე — მცხეთაზე — გორზე — ცხინვალზე და შემდეგ ოსეთში — რისთვისაც დაახლოებით 150 ვერსის გავლა დასჭირდებათ. ამ რაიონის ერთათ ერთი გამოსავალი მთელი წლის განმავლობაში არის მხოლოთ სამხედრო გზა, რომელიც მას როგორც გეოგრაფიულად, ისე ეკონომიურათ აკავშირებს მხოლოდ დუშეთთან. მაშასადამე, ამ რაიონის მიწებება გორის მაზრასთან ბუნების და ეკონომიკის საწინააღმდეგო კავშირი ექნება".

რჩებოდა მხოლოდ გორის მაზრა, სადაც, როგორც ითქვა, ოსები სახლობდნენ დიდი ლიახვის, პატარა ლიახვისა და ფრონის ხეობებში (სულ 32 000 სული). მაგრამ, ბ. კვირკველიას აზრით, ამ ხეობებში განლაგებული სოფლების ბაზაზეც არ შეიძლებოდა ცალკე სამაზრო აპარატის შექმნა, რადგან ამის საშუალებას ადგილობრივი პირობები არ იძლევაი. ყორნის — წუნარის რაიონი მდ. ფრონის ხეობით ქართლის ველს უკავშირდება და მას „დიდი ლიახვის ხეობისაგან ყოფს რუსთავ-ზარიკოჯახის ქედი, რომლის სიმაღლე 6.230—5.664 ფუტზე დაბალი არ არის და წარმოადგენს ბუნებრივ საზღვარს მთასა და ველს შორის. გზების სრული უქონლობა და ბუნებრივი საზღვარი რუსთავ-ზარიკოჯახის ქედი, მეურნეობის მხრივ ყორნის — წუნარის რაიონს აკავშირებს ქართლის ველთან — ტირიფონასთან და საერთო მას არაფერი აქვს ლიახვის ხეობის ოსობასთან. ამ რაიონის ერთათ ერთი გამოსავალი არის მხოლოდ თიღვა — ოქონაფცა — გომი და არავითარ შემთხვევაში ლიახვის ხეობის ოსობასთან მას კავშირი არა აქვს".

გეოგრაფიული პირობები შეუძლებელს ხდის დიდი და პატარა ლიახვის ხეობების დაკავშირებასაც. „აქაც მთელი ხეობის სიგრძეზე გადაჭიმულია მთების გრეხილი, რომელთა სიმაღლე 11.000—6.000 ფუტზე დაბლა არ არის და ზამთრის თვეებში გადაუვალი სიმაღლენი არიან".

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მოხსენებით ბარათში გაკეთებული იყო ასეთი დასკვნა: „...ოსების მიერ დასახლებული რაიონები მოკლებული არიან გეოგრაფიულ მთლიანობას და შეადგენენ გეოგრაფიულად და ეკონომიურად სრულიად სხვა და სხვა პროვინციების ნაწილებს, ასეთ ჩამონაჭრებიდან ხელოვნურად შემდგარ ადმინისტრაციულ ერთეულის შექმნა განუხორციელებლად უნდა ჩაითვალოს ტოპოგრაფიული პირობების გამო..."

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა თავისი აზრი გამოთქვა იმის თაობაზეც, თუ როგორ უნდა გადაჭრილიყო ეს პრობლემა. მოხსენებით ბარათში ვკითხულობთ: „ზემოთ ნათქვამიდან ცხადია, რომ ხელოვნური გამოკვეთა სამაზრო ერთეულის ოსეთისათვის გორის, დუშეთის და რაჭის მაზრებიდან შეუძლებელია, მაშასადამე, ოსების მოსახლეობა თვითეულ ამ მაზრისა უნდა დარჩეს იმ მაზრაში, რომელშიც იყო აქნობამდისაც. ამასთანავე თვითეულ ამ

რაიონში გარდა წვრილ ადმინისტრაციულ ერთეულისა — თემისა, უნდა შეიქმნას სარაიონო ერთეული. ასეთები იქნება ჩასავალის — რაჭის მაზრაში, კობისა — დუშეთის მაზრაში, ყორნისის, წუნარისა, დიდი ლიახვის ხეობისა და პატარა ლიახვის ხეობის — გორის მაზრაში. ამავე დროს თვითეულ ამ მაზრის რევკომში ოსურ მოსახლეობას ეყოლება წარმომადგენელი, რომელიც დაიცავს ოსთა ინტერესებს მთელ მაზრის მასშტაბში. ამ უკანასკნელს, ე. ი. ოსურ მოსახლეობის წარმომადგენელს სამაზრო რევკომში უფლება უნდა მიეცეს რევკომის დადგენილება, თუ იგი ეწინააღმდეგება ოსურ მოსახლეობის ინტერესებს, გადასაჩივროს საქართველოს რევკომში, რომელიც სადავო საკითხის შესახებ გამოიტანს საბოლოო გადაწყვეტილებას. ამგვარად საკითხის გადაწყვეტას ვუკავშირებთ ოსური მოსახლეობის ადგილობრივი გეოგრაფიული პირობები და მათი ეკონომიური ინტერესი“[38].

ჩვენ უკვე ვიცით სამხრეთ ოსეთის პრობლემაზე გორის მაზრის ქართული მოსახლეობისა და რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის აზრები. ახლა ვნახოთ როგორ წყდებოდა ეს საკითხი ზემდგომ ინსტანციებში. ცხადია, საკითხის სირთულეს ყველა გრძნობდა. ცდილობდნენ ორივე მხარისთვის მისაღები გამოსავალი მოეძებნათ. ვერ ახერხებდნენ. ესეც გასაგებია. კომუნისტი ხელმძღვანელები, როგორც წესი, საკითხის პოლიტიკურ მხარესაც დიდ ყურადღებას აქცევდნენ. ოსთა თვითგამორკვევას ისინი აუცილებლად მიიჩნევდნენ. პოლემიკა მხოლოდ თვითგამორკვევის ფორმასა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ერთეულის საზღვრებს ეხებოდა.

სავსებით დასაშვებია, რომ რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კავბიუროს 1921 წლის 31 ოქტომბრის, ჩვენთვის უკვე ცნობილ, გადაწყვეტილებაზე ერთგვარი გავლენა იქონია საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ზემოაღნიშნულმა პოზიციამაც. ამ დღეს ხომ კავბიურომ გარკვეულწილად კომპრომისული დადგენილება მიიღო — სამხრეთ ოსეთს მიანიჭა სტატუსი არა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა (რასაც სამხრეთ ოსეთის რევკომი და პარტკომი მოითხოვდნენ), არამედ ავტონომიური ოლქისა.

გარკვეული „კომპრომისი“ შეიძლება დავინახოთ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის 1921 წლის 12 დეკემბრის შემდეგ დადგენილებაშიც, რომელიც კ. კაკაბაძის, გ. გაგლოევის (სასაზღვრო კომისია) და ბ. კვირკველიას მოხსენების საფუძველზე იქნა მიღებული (პრეზიდიუმის სხდომას ესწრებოდნენ: მ. ორახელაშვილი, მ. ოკუჯავა, ს. ქავთარაძე, ბ. მდივანი, ლ. დუმბაძე, მ. ტოროშელიძე, ლ. ღოღობერიძე და სხვ.):

«1. Местопребыванием административного центра Автономной области Осетии признать г. Цхинвали с распространением автономной власти на территории, населенные осе-

[38] მლისუპა, ფ. 14. აღწ. 1, საქ. 10, ფურც. 121—122.

тинами, исключая Часавальскос общество, которое остается в составе Рачинского уезда и Кобийского района, остающегося в составе Душетского уезда.

2) Детально границы автономной Осетии будут определены особой комиссией, уже работающей в этом направлении.

3) Впредь до перелома настроения населения Цхинвальского района в пользу включения этого района в Автономную Осетию, власть над городом и окружающими его грузинскими селами, оставить в руках районного ревкома, входящего в состав Горийского уезда»[39].

ეს დადგენილება მოწმობს, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გარკვეულწილად ანგარიში გაუწია ქართული მოსახლეობის პროტესტებს. კერძოდ, მან ჩასავალის საზოგადოება და კობის რაიონი შესაბამისად რაჭისა და დუშეთის მაზრათა შემადგენლობაში დატოვა. თუმცა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ადმინისტრაციულ ცენტრად მაინც ქ. ცხინვალი მიიჩნია. რთული მდგომარეობიდან გამოსავალს ცენტრალური კომიტეტი მაშინ იმაში ხედავდა, რომ ქ. ცხინვალისა და მიმდებარე ქართული სოფლების მმართველობა დროებით გორის მაზრას დაქვემდებარებულ რაიონულ რევკომს მიანდო. ეს ასე უნდა ყოფილიყო მანამ, სანამ ქართული მოსახლეობის განწყობილება სამხრეთ ოსეთისათვის ქ. ცხინვალის გადაცემის სასარგებლოდ არ შეიცვლებოდა. წინ ჯერ კიდევ ბევრი სამუშაო იყო. სასაზღვრო კომისიას საბოლოო დასკვნა ჯერ კიდევ არ წარმოედგინა. კომისია დიდ წინააღმდეგობას წააწყდა. ქართული მოსახლეობის განწყობილება სამხრეთ ოსეთისათვის ქ. ცხინვალისა და მიმდებარე ქართული სოფლების გადაცემის სასარგებლოდ, ცხადია, არ იცვლებოდა.

ამ საკითხთან დაკავშირებულ დოკუმენტთა ერთ წყებას ჩვენ უკვე ვიცნობთ, ინტერესს მოკლებული არ იქნება სხვა მასალებიც. სპეციალური კომისიის მოხსენებით ბარათში, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს რომ წარედგინა, ნათქვამია: 1921 წლის „ოქტომბერ-ნოემბრის თვეებში, როდესაც ხმები გავრცელდა, რომ ცხინვალის რაიონი ქალაქიანურთ უნდა გადავიდეს სამხრეთ ოსეთის ხელისუფლებაზე, მთელმა ქართველმა მოსახლეობამ ცხინვალის რაიონისა, სახელდობრ, სოფლებმა: კეხვამ, ქვემო აჩაბეთმა, ზემო აჩაბეთმა, არბომ, დიცმა, კორდმა, ქვემო ნიქოზმა, ავნევმა, ძარწემმა, დაგვრისმა, ნულმა, ზემო ხვითმა, ქვემო ხვითმა, ზემო ნიქოზმა, ყელქცეულმა, ქემერტმა, ქურთამ, თამარაშენმა, ვანათმა და თვით ცხინვალმა, ესე იგი, 20 სოფელმა წარმოგზავნა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატში თავისი წერილობითი დადგენილებანი, რომლებითაც ისინი თხოულობენ ძველ

---

39 მლისფპა, ფ. 14, აღწ. 1, საქ. 8, ფურც. 44.

ადმინისტრაციულ ე. ი. გორის მაზრის ფარგლებში დარჩენას. შუამდგომლობა ამათი იმდენათ კატეგორიული ფორმით იყო გამოთქმული, რომ არავის ეჭვი ვერ დაებადა მათი ასეთი ნებასურვილის სინამდვილესა და გულწრფელობაში. ზევრი ამ სოფელთაგანი ამასაც კი ამბობდა — სჯობს ცოცხლათ დაგვხოცოთ, სადმე აქედან გადაგვასახლოთ, ვიდრე ოსეთის ხელისუფლების ქვეშ დაგვტოვოთო"[40].

ასეთივე პოზიცია ეკავა თვით ცხინვალის რევკომს, რომელიც საქართველოს სსრ შინსახკომს აცნობებდა, რომ ცხინვალისა და რამდენიმე ქართული სოფლის გლეხობა „აცხადებს, თუ მთავრობა ასეთ ნაბიჯს გადადგამს, ჩვენს მდგომარეობას არ გაეცნობა, ამ შემთხვევაში სჯობს ყველანი დავიხოცოთო"[41]. ცხინვალის რევკომი სთხოვდა რესპუბლიკის ხელმძღვანელობას, რომ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისათვის ცხინვალისა და ქართული სოფლების გადაცემის საკითხს ჯერჯერობით მაინც დადებითად ნუ გადაწყვეტდა, „თორემ, ვიმეორებთ, ჩვენ ნამდვილი ცნობები გვაქვს მიღებული და ღრმათ ვართ დარწმუნებული, რომ სისხლის ღვრა აუცილებელიაო"[42]. სწორედ ასეთ ვითარებას ითვალისწინებდა საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი, როცა 1921 წლის ნოემბერში საქართველოს სსრ რევკომს სთხოვდა „სამხრეთ ოსეთისათვის ადმინისტრაციული ერთეულის შექმნის საკითხის რევოლუციონურ კომიტეტის მსჯელობიდან დროებით მოხსნას, ვიდრე მოწესრიგდებოდეს ურთიერთობა ქართველთა და ოსთა შორის..."[43].

1922 წლის იანვარში საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს გადასცეს ქ. ცხინვალში მცხოვრებ ქართველთა, სომეხთა და ებრაელთა საერთო კრების დადგენილება, „რომლითაც ისინი მოითხოვდნენ ცხინვალისა და მისი რაიონის კვლავ ისტორიულ საზღვრებში დარჩენას"[44].

გავეცნოთ კიდევ რამდენიმე ქართული სოფლის მცხოვრებთა კრებების დადგენილებებს, რომლებიც გაანალიზებულია შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სპეციალური კომისიის ზემოხსენებულ მოხსენებით ბარათში:

„1) **სოფ. ნედლათიდან.** ოქმში, რომელიც დაწერილია 26 თებერვლის (1922 წლისა — ლ. თ.) თარიღით, ნათქვამია, რომ ჩვენ ნედლათის მცხოვრებნი მიწერილი ვიყავით ოქონას. დღეს ოქონა სამხრეთ-ოსეთს დაექვემდებარა და ჩვენც მძიმე პირობებში ჩავცვივდით, სხვათა შორის იმიტომაც, რომ წარმოება რუსულათ და ოსურათააო, რაიც ჩვენთვის გაუგებარიაო. თხოულობენ გორის მაზრის, გომის რაიონის ავლევის თემზე მიწერას, სადაც აქამდე ვიყავით მიწერილიო.

---

40 სცსსა, ფ. 284, აღწ. 1, საქ. 62. ფურც. 81.

41 იქვე.

42 იქვე.

43 იქვე.

44 იქვე.

2) **სოფ. ხუნდისუბნიდან**: ამ სოფლის მცხოვრებნი, ოქონაზე მიწერილნი იგივეს ამბობენ და იმასვე თხოულობენ, რასაც ნედლათის მცხოვრებნი.

3) **სოფ. ბინდარადან**. ამ თემის მცხოვრებნი (ავლევის თემისა გორის რაიონისა) 9 მარტის დადგენილებით ამბობენ: ჩვენ არ გვემხრობა (?! — ლ. თ.) მორჩილება სამხრეთ-ოსეთისა (**შორს არის, გლახა სასიარულო გზები გვაქვს**) და ამიტომ გთხოვთ გორის მაზრაზე გადაგვრიცხოთ.

4. **სოფ. თიღვიდან**. ამ სოფლის მცხოვრებნი ამბობენ· გადაგვრიცხეს ცხინვალზე, ე. ი. ოსეთის ხელისუფლების ქვეშ დაგვაყენესო, წინად კი ვიყავით ავლევის თემში (გორის რაიონი), ეხლაც გვსურს ვიყოთ გორზე მიწერილიო.

5) **სოფ. ალაბარიდან**. ოქმში, რომელიც ა. წ. 15 თებერვლის თარიღითაა შედგენილი, ნათქვამია: ვართ ოქონის რაიონისა, გვეწევიან ცხინვალისაკენ, ჩვენ — კი გვსურს ვიყოთ მიწერილი გორზედ...

6) **სოფ. საცხვნეთიდან**. იანვრის 20-ის დადგენილებაში ამ სოფლის მცხოვრებნი ამბობენ: სოფელი ქართველებითაა დასახლებული. ოსების ხელ-ქვეშ ყოფნას მეტს ველარ შევიძლებთ, ლამის არის ავიყარნოთ და გადავსახლდეთ სადმე, რადგან ოსები დაზარალებულნი არიან, ყველა ხარჯებს მთავრობისა თუ თავის სასარგებლოთ, ჩვენს კისრიდან იღებენო...

7) **სოფ. ზემო და ქვემო ოქონიდან**. ამ სოფლების მცხოვრებნი ა/წ. 22 თებერვლის დადგენილებით თხოულობენ — ზემო და ქვემო ოქონა დარჩეს გორის მმართველობის ქვეშ, როგორც დღემდის იყო, ახლა კი რატომღაც სამხრეთ-ოსეთი გვიერთებსო"[45].

აქვე უნდა ითქვას, რომ ეს დადგენილებები მიღებულია მაშინ, როცა დეკრეტი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნის შესახებ ჯერ კიდევ არ იყო გამოქვეყნებული. ქართული მოსახლეობის პროტესტები მიმართულია მათთვის მიუღებელი მოსალოდნელი გადაწყვეტილების წინააღმდეგ (პროტესტები, როგორც ქვემოთ ვნახავთ, დეკრეტის გამოქვეყნების შემდეგაც არ შეწყდება).

საგულისხმოა, რომ ქართული მოსახლეობის ამ აზრს ოსური მოსახლეობის ნაწილიც იზიარებდა. გორის სამაზრო აღმასკომის შინაგან საქმეთა სამმართველოს განყოფილება 1922 წლის 21 მარტს საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს აცნობებდა:

„ბევრია იმისთანა მაგალითები, რომ **სხვადასხვა რაიონებში ოსები აცხადებენ სურვილს**, რათა ისინი ჩამოვაშოროთ ოსეთის რევკომს, რადგან მათ სურთ ქართველებთან ერთად ცხოვრება, რადგან მათ, ოსებს, ქართველებთან გასაყოფი არა აქვთ და თუ ვინმე ამას მოითხოვს ე. ი. ოსების ცალკე ყოფნას, ყოველივე ეს სიცრუეა ან რაიმე მოსაზრებით დაინტერესებულიაო". აღნიშნავს რა ამას, განყოფილების გამგეს საჭიროთ მიაჩნია საგანგებო კომისიის

---

[45] სუისა, ფ. 284, აღწ. 1, საქ. 62, ფურც. 81.

დანიშვნა შექმნილ მდგომარეობის გამოსაძიებლად. თან ამ მიმართვას დართული აქვს დადგენილება ს. ხურვალეთში ა/წ. 12 მარტს — შემდეგი შინაარსისა: ჩვენ ქვემო-ჭალის რაიონის სოფლების 1) ზემო-ბალების, 2) ქვემო, 3) გუდიანთ-კარის, 4) სალორეთის, 5) ჩაჩანაანთ კარის, 6) მეტესმანის და 7) ღვდულეთის წარმომადგენლებმა დავადგინეთ: რადგანაც არწევის — მე-3 რაიონის აღმასკომი ძალით მოითხოვს ამ სოფლების მცხოვრებთაგან მათთან შეერთებას ადმინისტრაციულათ და ახდენს ჩვენს მიმართ სხვა და სხვა განკარგულებებს, ჩვენ კი მათთან კავშირი არა გვსურს, ვუგზავნით დადგენილებას უმაღლეს მთავრობას, რათა მან წინადადება მისცეს მე-3 რაიონის სოფ. არწევის აღმასკომს (ოსური აღმასკომია), რომ იგი ჩამოგვეხსნას, რადგან ჩვენი ღრმა სურვილია ვექვემდებარებოდეთ ქვემო-ჭალის რაიონის აღმასკომს (ქართველი აღმასკომია), როგორც ეს მთავრობისაგან არის დაწესებული. ამ დადგენილებას ხელს აწერს 14 წარმომადგენელი ყველა ზემოთ დასახელებული სოფლებისა, რომელთა ხელისმოწერას ადასტურებს ქვემოჭალის აღმასკომის თავმჯდომარე საკუთარი ხელისმოწერით და ბეჭდის დასმით.

ამ დადგენილებას მეორე გვერდზე ერთვის ასეთი დამატება: „1922 წ. 13 მარტს — ქვემო-ჭალა. ჩვენ, ხურვალეთის თემის სოფ. წინაგარის მცხოვრებთა წარმომადგენელნი, ხუბულური და ქიჩინაშვილი (ოსებია) ჩვენი სოფლის მცხოვრებთა დავალებით, ვაცხადებთ სურვილს ზემოხსენებულ დადგენილებაში აღნიშნულ სოფლებთან ერთად შევუერთდეთ ქვემო-ჭალის რაიონს, როგორც ვყოფილვართ მამაპაპურათ, რადგან უფრო ახლო და მოხერხებულია ჩვენთვისო“. ამათ ხელის მოწერასაც ადასტურებს იგივე თავმჯდომარე ქვემო-ჭალის აღმასკომისა.

რას გვიჩვენებს ეს საინტერესო დოკუმენტი? ა) **რვა სოფლის ოსობა თხოულობს** — ქართველთაგან ნუ გამოგვთიშავთ და ქვემო-ჭალის ხელისუფლების ქვეშ დაგვტოვეთო; ბ) **ეს რვა სოფელი** ეკუთვნის ისეთ უდავო წმინდა ქართულ ტერიტორიას, როგორიც **არის ხურვალეთის** თემი; გ) პრეტენზიას ძალაუფლების გავრცელებისას, ამ რვა ქართულ სოფლებზე აცხადებს, როგორც სჩანს, არწევის უფრო ჩრდილოეთით მდებარე სოფლის აღმასკომი, **სადაც** ავტონომიური ოსეთის ხელისუფლებაა.

ორივე უკანასკნელი დოკუმენტები კი, — ნათქვამია შემდეგ მოხსენებით ბარათში, — ე. ი. ის, რაც გომის რაიონის ავლევის თემს ეხება და ის, რაც ქვემო-ჭალის რაიონის ხურვალეთის თემს, ნათელყოფს ერთს გარემოებას — ავტონომიური ხელისუფლება სამხრეთ-ოსეთისა ვრცელდება ასეთ რაიონებსა და თემებზე, რომელნიც სრულიად უდავო ქართული ტერიტორიაა. ეს გარემოება, რომლის დასაბუთებას ჩვენ ამ მოხსენების დიდი ნაწილი მოვანდომეთ, იმდენად უდავო და აშკარა იყო თვით მმართველ წრეებისათვის, რომ, როგორც ვსთქვით, მთავრობამ და კომ. პარტიის ცენტრალურმა ხელმძღვანელმა ორგანომ შესაძლებლათ ვერ დაინახეს თავიანთ დადგენილებებში სამხრეთ ოსეთის

ავტონ. ოლქის შესახებ შეეტანათ დუშეთის მაზრის კობის რაიონი და რაჭის მაზრის ჩასავალის საზოგადოება, გარდა იმისა, რომ თვით ქალ. ცხინვალი სამხ. ოსეთის ადმინისტრ. ცენტრათ გამოაცხადეს მხოლოდ პირობით: იგი ასეთ ცენტრათ უნდა მას შემდეგ გამხდარიყო, თუ ადგილობრივი ქართველი მოსახლეობა გამოსთქვამდა სურვილს ავტონომიურ ოსეთში შესვლისას, მანამდი კი ქალ. ცხინვალში და მის რაიონში გორის მაზრის ხელისუფლება რჩება"[46].

დიახ, ასეთ პირობას, როგორც ვნახეთ, მართლაც შეიცავდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1921 წლის 12 დეკემბრის დადგენილება სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ადმინისტრაციულ ცენტრად ქ. ცხინვალის გამოცხადების თაობაზე. ჩვენ ისიც ვნახეთ, რომ ქართული მოსახლეობის დამოკიდებულება ამ საკითხისადმი არ შეცვლილა. მიუხედავად ამისა, რესპუბლიკის ხელმძღვანელობამაც არ შეცვალა ამ საკითხზე თავისი ადრინდელი დადგენილება. 1922 წლის 15 იანვარს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა, რომელსაც ესწრებოდნენ ორახელაშვილი, მდივანი, დუმბაძე, ცინცაძე, ნაზარეტიანი, ეშბა, ლოლობერიძე, ბოლქვაძე, მურდალეიშვილი (ცენტრალური კომიტეტის წევრები) სვანიძე, კაკაბაძე, კახიანი, რუდაკოვი, დევდარიანი, კანდელაკი (მოწვეულნი) და ტექნიკური მდივანი ზირაქაშვილი, მოისმინა კ. კაკაბაძის მოხსენება სამხრეთ ოსეთში გამართული პოლიტიკური კამპანიის შესახებ და დაადგინა:

> «1. Подтвердить прежнее постановление о включении г. Цхинвали в Авт. Юго-Осетинскую область (за 7, пр. 3);
> 2. Вопрос о клине с 12 грузинс. дерев., лежащими севернее Цхинвали, оставить открытым до съезда Советов Грузии»[47].

აქედანაც ჩანს, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს უჭირს ქართული სოფლების ბედის გადაწყვეტა. ეს ურთულესი საკითხი მან საქართველოს საბჭოების ყრილობას მიანდო.

ქართული და ოსური მოსახლეობის ურთიერთობა თანდათან იძაბებოდა, რასაც, შესაძლოა, შეიარაღებული შეტაკება მოჰყოლოდა. ვერც ერთი მხარის ბოლომდე განიარაღება ვერ მოხერხდა. საზღვრების დაუზუსტებლობა კიდევ უფრო ამძაფრებდა მდგომარეობას. 1922 წლის 30 მარტს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა მახარაძის, კაკაბაძის, ორახელაშვილის, საბაშვილის, მამულიას, გასვიანის, ამასის, კანდელაკისა და ზირაქიშვილის (ტექნიკური მდივანი) მონაწილეობით განიხილა საკითხი „Об определении границ Юго-Осетинской автономной области" და დაადგინა:

---

46 სუიცსა, ფ. 284, აღწ. 1, საქ. 62, ფურც. 84—85.

47 მლისფპა, ფ. 14, აღწ. 1, საქ. 189, ფურც. 2.

«Автономию Юго-Осетии в определенных комиссией границах декретировать ВЦИКу. Обязать всех т.т. Горийского уезда проводить это постановление всеми мерами и ответственность возложить на них»[48].

სამხრეთ ოსეთის პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელობა, ცხადია, ყველა ღონეს ხმარობდა, რომ რესპუბლიკის ცენტრალურ ორგანოებს რაც შეიძლება მალე გამოეცათ დეკრეტი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნის შესახებ. 1922 წლის 19 აპრილს ამ საკითხზე სპეციალურად იმსჯელა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალური — აღმასრულებელი კომიტეტისა (ასეთი ორგანო სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის იურიდიულ გაფორმებამდეც არსებობდა) და საოლქო პარტიული კომიტეტის გაერთიანებულმა სხდომამ, რომელმაც დაადგინა, რომ დეპეშა გაეგზავნათ საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისათვის და ეთხოვათ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის იურიდიულად გაფორმების დაჩქარება[49].

მდგომარეობა უთუოდ რთული იყო. ყურადღებას ის იპყრობს, რომ საქართველოს მმართველმა პარტიამ, მიუხედავად ქართული მოსახლეობის წინააღმდეგობისა, საბოლოოდ მაინც სამხრეთ ოსეთის მესვეურთა მოთხოვნის დაკმაყოფილება არჩია — მიზანშეწონილად მიიჩნია ქართული სოფლების მიერთება სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქთან. ქართველ კომუნისტთა იმდროინდელი წარმოდგენებით ეს იყო ეროვნული საკითხის გადაჭრა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის საფუძველზე. ძვირად, ერთობ ძვირად დაგვიჯდა ეროვნული საკითხისადმი ასეთი მიდგომა. ცხადია, საკითხი შეთანხმებული იყო (თუ მეტი არა!) რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კავბიუროსთან.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნის ოფიციალური თარიღია 1922 წლის 20 აპრილი. საქართველოს სსრ ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა და სახალხო კომისართა საბჭომ ამ დღეს მიიღეს დეკრეტი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მოწყობის თაობაზე. გავითვალისწინოთ ჩვენი საზოგადოებრიობის დიდი ინტერესი ამ დოკუმენტისადმი და მთლიანად დავიმოწმოთ იგი:

48 მლისფპა, ფ. 14. აღწ. 1, საქ. 192, ფურც. 365.
49 მლისფპა, ფ. 14, აღწ. 1, საქ. 263, ფურც. 9.

## დეკრეტი № 2

**სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოსი**

**სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის მოწყობის შესახებ**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. მოეწყოს სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქი, როგორც საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის შემადგენელი ნაწილი; აღნიშნული ოლქის ცენტრად იქნეს ქ. ცხინვალი.

2. სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის შედგენილობაში მოთავსდეს ტერიტორია, რომელიც უჭირავს სამხრეთ-ოსეთის ხალხს შემდეგ საზღვრებში:

ა) ჩრდილოეთით სანაპირო ხაზი გაივლის კავკასიონის მთავარ ქედზე მთიულთა ავტონომიური რესპუბლიკის სამხრეთ სახელმწიფო საზღვრის გასწვრივ;

ბ) დასავლეთით — სანაპირო ხაზი იწყება მთიელთა სოც. საბჭ. ავტონომიური რესპუბლიკის საზღვრებიდან მდინარე ჩანჩახის სათავესა და მის შენაკადებთან, გადასჭრის სიმაღლეს 8.872, მიემართება წითელტის ქედის გასწვრივ, გადასჭრის მდინარე ჩანჩახს, შენაკადი გესკეს შესართავში გაგრძელდება სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით გესკეს მთის კალთებზე ამა მდინარის დასავლეთით; გადასჭრის გესკეს მთას, ძვარის მთას, სიმაღლეს 6.062, მდინარე ღარულას სოფ. დაბლა-კვაჟას ქვევით, მდინარე ქვედრულას, სოფ. ქვედის აღმოსავლეთით; დაეშვება ველუანტის მთის კალთებზე, გადასჭრის სიმაღლეს 7.616; გადასვლის ქუდევის მთას, 2.932-ს სიმაღლის ცოტა დასავლეთით; გაგრძელდება აღმოსავლეთ-სამხრეთის მიმართულებით, 6.013 სიმაღლის ძირის გასწვრივ; გადასჭრის მდინარე ყვირილის მარჯვენა შენაკადს სოფ. პერევის ჩრდილო-აღმოსავლეთით, გაივლის სოფ. პერევის აღმოსავლეთით; გადასჭრის მდინარე ყვირილის 2.170 სიმაღლეს აღმოსავლეთით, მიებჯინება პერანგის მთას 5.201 სიმაღლეზე; მიემართება სამხრეთით ამა მთის კალთებზე ძირულის მთის დასავლეთით; გადასჭრის უკანასკნელს და გაივლის კაპრების — სერის ქედს, 4.172 სიმაღლემდე; გაგრძელდება მდინარე ჭარაფ-ხევის ზემო მიმდინარეობით და შემდეგ კაპრების — სერის ქედის კალთების იქით, მდინარე ლოპანის დასავლეთით.

გ) სამხრეთით: სანაპირო ხაზი გაგრძელდება ჭორჭან-წნელისის გზით, გადასჭრის მდინარე ლოპანს, წნელისის ქვევით, მოუხვევს ჩრდილო-აღმოსავლეთით; გაივლის სოფ. ატოცის ზევით, გადასჭრის მდინარე ფრონას სოფ. ოქონის ქვევით, მიიმართება სამხრეთით, მდინარე ფრონის აღმოსავლეთით, გადასჭრის მდინარე ფრონის მარცხენა შენაკადს, სოფ. ქვათეთრის ქვევით; შემდეგ

გადასჭრის მდინარე ფრონას (ყორნისისა) სოფ. და დვანას ზევით; გაივლის დვანი-გუჯაბაურის გზის პარალელურად ჩრდილო-დასავლეთის მხრით; გადასჭრის მდინარე დიდ ლიახვს ქალაქ ცხინვალის ქვევით და სოფელ ერგნეთის ზევით; მიებჯინება სოფ. ერედვას; გადასჭრის მდინარე პატარა-ლიახვს, სოფ. არბოს ზევით, მდინარე ჭარებულას, სოფელ მერეთისა და კოშკის ზევით; მოუხვევს სამხრეთ-აღმოსავლეთით, გადასჭრის მდინარე ოთრევას სოფ. ფლავისმანის ზევით და მდ. ამერას და მეჯუდას, სოფ. აძვისა და მეჯვრისხევის ცოტა ზევით; გრძელდება სოფ. ყირბალისა და ბერშუეთის ჩრდილო-აღმოსავლეთით; გადასჭრის მდინარე ტარტლას სოფ. წინაკარის ქვევით, მდინარე ლეხურის მარჯვენა შენაკადს სოფ. ხურვალეთის ზევით, შემოუვლის სოფელთა ჯგუფს: ორმოწანს, აბრევსა და სხვ., გადასჭრის მდინარე ლეხურს სოფ. საკორინთლისა და ოძისის ჩრდილოეთით; გადასჭრის მდინარე ქსანს სოფ. ოძისის ზევით და მიებჯინება იფნიანის ქედის მთას;

დ) აღმოსავლეთით: სანაპირო ხაზი იფნიანის ქედის მთიდან მოუხვევს ჩრდილოეთით და გადასჭრის ხნარცვსა, გაივლის სოფ. მიქელიანთკარის, ირმის სოფლის და სხვა სოფლების ხაზის დასავლეთით; შემოუვლის ჩრდილოეთით 6 409 სიმაღლის შუა კალთებს, გადასჭრის უკანასკნელს ეკლესიის ნანგრევების ცოტა აღმოსავლეთით; შემდეგ გაგრძელდება ჩრდილოეთისაკენ ქედით მდ. ალევის მიმდინარეობის გასწვრივ ამა მდინარის აღმოსავლეთით; გადასჭრის ჭარტალას მთას 8.283 სიმაღლეზე, საფერშეთის და ტახტის მთებს, გაგრძელდება მდინარე არაგვისა და ქსნის შენაკადების შუა წყალთა გამყოფი ქედის ხაზით; გადასჭრის სიმაღლეებს: ყურყუტსა, მუნჯუხსა და ლომისის უღელტეხილს მონასტრის ნანგრევებთან და მიემართება ჯამურის უღელტეხილამდე; გადასჭრის მდ. არაგვის მარჯვენა შენაკადებს — განისისა, ერეთისა და სხვა სოფლების დასავლეთით; გაგრძელდება ჩრდილო-დასავლეთით მდ. არაგვის ზემო-მიმდინარეობით: მოუხვევს დასავლეთით, გადასჭრის ლაზგ-წითის მთას და მიემართება წყალთა-გამყოფი ქედის ხაზით მდინარე თერგისა და დიდი ლიახვის შენაკადების შუა. გადასჭრის 12.117, 11.333 და 12.572 სიმაღლეებს და მიებჯინება ვალკ-პარსის მთას.

3. სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის მმართველი ორგანოებია ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ადგილობრივი საბჭოები.

4. სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საქმეთა მმართველობისათვის დაარსდება სახალხო კომისარიატები: ა) შინაგან საქმეთა, ბ) იუსტიციისა, გ) განათლებისა, დ) ჯანმრთელობისა; ე) შრომისა და სოც. უზრუნველყოფისა; ვ) მიწათმოქმედებისა, ზ) სასურსათო, თ) ფინანსთა, ი) სახალხო მეურნეობის საბჭო და კ) მუშათა და გლეხთა ინსპექცია.

**შენიშვნა: 1:** სამხრეთ-ოსეთის განსაკუთრებული სახალხო კომისართა საბჭო არ დაარსდება და სახალხო კომისარიატები მოქმედებენ, როგორც ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებანი.

შენიშვნა 2: გარეშე საქმენი და საგარეო ვაჭრობა რჩება საქ. სოც. საბჭ. რესპუბლიკის ცენტრალური ორგანოების გამგებლობაში.

სამხედრო საქმეს განაგებს სამხედრო კომისარიატი, რომელიც უშუალოდ ექვემდებარება საქართველოს სამხედრო და საზღვაო სახალხო კომისარიატს და მოწყობილ იქნება უკანასკნელის მიერ სამხრეთ ოსეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან შეთანხმებით.

კონტრ-რევოლუციასთან ბრძოლა დარჩება საქართველოს საგანგებო კომისიის ორგანოთა გამგებლობაში, რომელნიც მოწყობილ იქნება უკანასკნელის მიერ სამხრეთ-ოსეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან შეთანხმებით.

5. რათა საქართველოს სოც. საბჭ რესპუბლიკის ტერიტორიაზე დაცულ იქნეს და მოეწყოს ერთიანი საფინანსო და სამეურნეო მოქმედება, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო კომისარიატები: სასურსათო, საფინანსო, შრომისა, სახალხო მეურნეობის საბჭო და მუშათა და გლეხთა ინსპექცია დარჩებიან საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სათანადო სახალხო კომისარიატების ქვემდებარეობაში; ამასთანავე უკანასკნელთა ყოველი განკარგულება და ღონისძიება განხორციელებულ უნდა იქნეს სამხრეთ-ოსეთის სახალხო კომისარიატების მიერ სამხრეთ-ოსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მეშვეობით.

შენიშვნა: მეხუთე მუხლში დასახელებული სახალხო კომისრები დანიშნულ იქნებიან საქ. სოც. საბჭ. რესპუბლიკის სათანადო სახალხო კომისარიატების მიერ, სამხრეთ ოსეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან შეთანხმებით და დამტკიცებულ იქნებიან უკანასკნელის მიერ.

6. სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო კომისარიატები: შინაგან საქმეთა, იუსტიციისა, განათლებისა, ჯანმრთელობისა, მიწათმოქმედებისა და სოციალურ უზრუნველყოფისა ავტონომიური არიან თავის მოქმედებაში და პასუხისმგებელნი საქ. სოც. საბჭ. რესპუბლიკის ცენტრალური ორგანოების წინაშე, სამხრეთ-ოსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მეშვეობით.

7. სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქი ყველა საჭირო საფინანსო და ტეხნიკური საშუალებებით მომარაგებულ იქნება საქ. სოც. საბჭ. რესპუბლიკის საერთო სახსრიდან საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს უშუალო განკარგულებისამებრ სამხრეთ-ოსეთისა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მეშვეობით.

8. იმ ადმინისტრაციული ერთეულების ფაქტიურ გადაცემას, რომლებიც მიეთვისება სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქს, აწარმოებს შერეული კომისია, შემდგარი სამხრეთ-ოსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა, მოსაზღვრე დაინტერესებული მაზრის აღმასრულებელი კომიტეტისა და სა-

ქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენელთაგან.

აღნიშნულ კომისიას დაევალება თავისი მუშაობა დაამთავროს არა უგვიანეს ამა 1922 წ. მაისის 1-სა.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**
საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახ. კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ს. ქავთარაძე.**
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **თ. კალანდაძე.**

1922 წ. აპრილის 20.

ტფილისი-სასახლე[50].

დეკრეტის გამოქვეყნების შემდეგ გორისა და სხვა მაზრების ქართული მოსახლეობის უკმაყოფილება კიდევ უფრო გაცხოველდა. მოსახლეობა იმ ქართული სოფლებისა, რომლებიც დეკრეტის ძალით სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქს მიაკუთვნეს, კვლავ უგზავნიდა საჩივრებს საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს. ეს საჩივრები (კრებათა დადგენილებები, განაჩენები) გაანალიზებულია სპეციალური კომისიის ზემოაღნიშნულ მოხსენებით ბარათში, რომელიც 1922 წლის 16 დეკემბერს გაეგზავნა სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის ა. გეგეჭკორის ხელმოწერით. გავეცნოთ ამ დოკუმენტსაც:

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს

ვარდგენ რა ამასთანავე შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებულ სპეციალურ კომისიის მოხსენებას, ფაქტიურ მასალით დასაბუთებულს, და მიმაჩნია რა საჭიროთ, რომ ორ მეზობელ ერთა შორის ერთხელ და სამუდამოდ მოეღოს ბოლო ყოველივე უთანხმოება-კონფლიქტებს, ტერიტორიალურ ნიადაგზე აღმოცენებულს, და დამყარდეს მათ შორის მშვიდობიანი ურთიერთობა და თანამშრომლობა, ვშუამდგომლობ სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის წინაშე, რათა მიღებულ იქმნას ჯერჯერობით მხოლოდ პრინციპიალური გადაწყვეტილება — გადასინჯულ იქმნას დეკრეტი ნომერი მე-2. რაც შეეხება იმ საკითხის დეტალურ გარკვევას, თუ რა ცვლილებანი იქმნას შეტანილი ამ დეკრეტში, ეს მიენდოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს, რომელსაც დაევალოს საკითხის გან-

---

[50] სუიცსა, ფ. 284, აღწ. 1, საქ. 26, ფურც. 5—6.

ხილვა სპეციალურ კომისიაში სამხრეთ-ოსეთის წარმომადგენლის მონაწილეობით.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი — ა. გეგეჭკორი[51].

ახლა დავიმოწმოთ მოხსენებითი ბარათის ის ადგილები, რომლებიც ქართული მოსახლეობის უკმაყოფილებას ეხება:

«1. ოქმი, ა. წ. მკათათვის 11-ს შემდგარი, საერთო კრებისა ქვემოდ დასახელებულ 10 სოფლისა: თიღვისა, ოქონისა, სუნისისა, ნაბაკევისა, ტყის უბნისა, შინდარისა, ნედლათისა, ალი-ბარისა, ახალშენისა და ხუნდისუბნისა. ოქმში ვკითხულობთ: «სამხრეთ ოსეთის ხაზის გავლების დროს მოვყევით მის ფარგლებში, რაც წარმოადგენს ეკონომიური თვალსაზრისით დიდ უხერხულობას — ა) ცხინვალში სიარული არ გვეხერხება, ძველთაგან ჩვეულნი ვართ გორში, სურამში და გორში სიარულს, რომელთა ბაზრითაც ვსარგებლობდით მუდამ და სადაც საღდება ყოველი ჩვენი ნაწარმოები; ბ) ცხინვალის გზები იმდენად ძნელი სასიარულოა, რომ ყოვლად აუტანელია ჩვენთვის და ჩვენი საქონლისათვის და გ) დაწესებულებებში სიარულის დროს, ჩვენი საქმეებისა გამო, მიგვაქვს იმავე დროს გასასყიდლათ ყოველი ჩვენი ნაწარმოები და ამით ვიმატებდით სამუშაო დღეებსო... დავადგინეთ: ვინაიდან სამხრეთ ოსეთის ოლქზე მიწერა გამოიწვევს ჩვენს დაღუპვას, კატეგორიულად მოვითხოვთ, რათა ჩვენი სოფლები დარჩეს გორის მაზრის ფარგლებში და მიეწეროს მახლობელ საციხურის თემს.

2. სოფ. ჭარების მცხოვრებნი ა. წ. 23 აგვისტოს განაჩენით თხოულობენ: ჭარები გადადის ოსების, სახელდობრ: ცხინვალის აღმასკომზე, რომელიც დაშორებულია ჩვენგან 30 ვერსით; ჩამოდის მდ. პატარა ლიახვი, რომელმაც მოდიდება იცის 1 თებერვლიდან სექტემბრის გასვლამდი, ასე რომ ამ მიზეზით კაცი ვერ გადის... გარდა ამისა ჩვენ ქართველები ვართ და არ ვიცით ოსური ენა... ამ მოსაზრებათა გამო, გვინდა არა ოსების, არამედ ტყვიავის რაიონის აღმასკომზე ვიყვეთ მიწერილნი, რომელიც ჩვენზე ახლოა.

3. ტყვიავის თემის სოფელ დისევის და კულბითის მცხოვრებნი ა/წ 26 აგვისტოს განაჩენით აცხადებენ: „სამხრეთ-ოსეთზე ჩვენი მიწერა არც ისტორიულად, არც გეოგრაფიულად, არც ეთნოგრაფიულად და არც ეკონომიურად მიზანშეწონილათ და სამართლიანად არ მიგვაჩნია, ამიტომ იმედი გვაქვს, რომ მთავრობა ჩვენ ქართველებს გვარტომობით, უცხო ტომის ხელში არ გადაგვცემს, რომელთანაც ჩვენ არ გვაკავშირებს როგორც ზემოხსენებული გარეუბანი, ისე არც ენა და არც ზნე-ჩვეულებანიო".

4. რაჭის მაზრის აღმასკომი ა/წ 20 აგვისტოს თარიღით ატყობინებდა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს: „რაჭის მაზრის ქართველ გლეხობის სა-

---

51 სუიცსა, ფ. 284, აღწ. 1, საქ. 62, ფურც. 79.

ბეთებით შექენილი უძრავი ქონება, სახნავი, საძოვარი მიწები და ტყეები მოჰყვა სამხრეთ-ოსეთის ოლქში და დღეს თითქმის სადაოთ ხდება ეს მათი საკუთრება, რადგან ამ ადგილებს ოსები თავიანთ საკუთრებათ სთვლიან... გლეხობისათვის ტყით სარგებლობა იმ მხრითაც უხერხული ხდება, რომ ნებართვის ასაღებათ მათ ცხინვალში უნდა წავიდნენ, რომელიც 70 ვერსის მანძილზეა... ალმ. კომიტეტი თხოულობს: შეჩერებულ იქმნას ოსეთის ფარგლებში შეტანა იმ ტყეებისა, რომელნიც ქართველ გლეხობის საკუთრებას შეადგენს, წინააღმდეგ შემთხვევაში კონფლიქტი ოსებსა და ქართველებს შორის მოსალოდნელიაო".

5. ამასვე ადასტურებენ რაჭის მაზრის წედისის თემის სოფ. წედისის, ქვედის... მცხოვრებთა რწმუნებულნი, რომელნიც თავიანთ განცხადებაში ა/წ. 6 სექტემბერს დაწერილში, ამბობენ: „ოსების საზღვრებში მოხვდა ზემო-რაჭის თითქმის ყველა სატყეო აგარაკები, სათიბები და სახნავი ყანები, რომელთა შორის უფრო საყურადღებოა წედისის თემის სატყეო აგარაკი, სახნავი და სათიბი ადგილები, რაიც ზემოაღნიშნულ სოფლების საკუთრებას შეადგენს; ეხლა კი ოსეთის განკარგულებაში გადავიდა. უნდა მოვახსენოთ ცენტრ. ალმასკომს (განცხადება ცენტრ. ალმ. სახელზეა), რომ თუ ის არ მიაქცევს ყურადღებას ასეთს მნიშვნელოვან საკითხს, იძულებული გავხდებით ყველამ თავები დავიხოცოთ და ჩვენი ოჯახები წყალში ჩავყაროთ, მაგრამ ჩვენ იმედი გვაქვს, ჩვენს აგარაკს, სათიბებს, სახნავ მიწებს ისევ ჩვენ დაგვიბრუნებთ ე. ი. მოაქცევთ საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაში". ალბათ უნდოდათ ეთქვათ „რაჭის მაზრის ფარგლებშიო", თორემ საქართველოს ტერიტორიაში ხომ ახლაც არის — ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორია საქართველოა (ამ განმარტებას თვით შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი იძლევა — ლ. თ.).

6. სოფ. ძვილეთის მცხოვრებლებმა შემდეგი თხოვნით მიმართეს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს (თხოვნას ა/წ 5 მკათათვის თარიღი აქვს): „სოფ. ძვილეთი აღმოსავ. დასავლეთით და სამხრეთით გარს შემორტყმულია ქართულ სოფლებით და ეს სოფლები და თვით ძვილეთი ეკუთვნიან ზემო ქართლს. წინად ვიყავით მიწერილი დირბის საზოგადოებაზე ანუ შემდეგ დირბის თემზე, ახლა მიგვაწერეს სამხრეთ-ოსეთის ოლქზე. ჩვენ პიტალო ქართველები ვართ, ოსური ენა სრულიად არ ვიცით. დირბის სასამართლო ჩვენგან სამ ვერსზეა, ხოლო თუ სამხრეთ-ოსეთის ფარგალში დავრჩით, მაშინ წუნარში 15 ვერსტზე მოგვიხდება სიარული. ამასთანავე მდ. დვანის ფრონე დიდია და ჩვენთვის ძალიან ძნელია იქ სიარული, ამიტომ გთხოვთ მიგვაწეროთ ისევ დირბის თემზე, გორის მაზრაზეო და

7. ქსნის თემი (დუშ. მაზ.) შუამდგომლობს (დადგენილებით ა/წ 21 ოქტ. მიღებულით):

„გამოგვეცხადა რა, რომ ქსნის თემი გადადის სამხრეთ-ოსეთზე, ჩვენ ეს ყოვლად შეუძლებლათ მიგვაჩნია: ა) ცხინვალი დაშორებულია ჩვენს თემზე 50 ვერსით მეტზე და ამ სიშორეზე სიარული საჩივრებისა თუ სხვადასხვა საქმისა გამო შეუძლებელია, რადგან მოითხოვს მუშა-კაცისაგან მოცდენას, წასვლა-წამოსვლაში არა ნაკლებ 3—4 დღისა, რაიც დამღუპველი იქნება იქ სიარული, მაშინ, როდესაც დუშეთი ჩვენზეა 18 ვერსის მანძილზე... რაც უნდა გაგვიჭირდეს ჩვენ ცხინვალში ვერ ვივლით და ბევრი უსამართლობა და ჩვენი გაჭირვება დარჩება მთავრობას გაუგებარი. ძლიერ მნიშვნელოვანია ისიც, რომ მეზობელ სოფლებთან, რომლებიც მდებარეობენ დუშეთისაკენ, გვაქვს ახლო დამოკიდებულება მამულის და სხვა საქმეებისა გამო და ამათთან საქმის მოსაგვარებლათ უნდა ვიაროთ დუშეთს და ისინი კი თუ ჩვენზე საჩივარი ექნებათ, — ცხინვალს.ამნაირად სულ აგვეწეწება საქმე, ამიტომ, ვთხოვთ მთავრობას მიგვაწეროს ისევ დუშეთს და აგვაცდინოს მრავალი გაჭირვება და უსიამოვნება... ამგვარად, ქართველი მოსახლეობა გორის მაზრისა დაჟინებით კატეგორიულათ ერთსა და იმავეს ითხოვს, არაერთხელ, — სხვადასხვა დროს, სხვადასხვა სახით (წერილობით თუ პირადად დეპუტაციის საშუალებით). ერთსა და იმავე სურვილს გამოსთქვამს ოთხჯერ — არ დაუმორჩილონ იგი ოსთა ხელისუფლებას“[52].

მაშასადამე, ქართული მოსახლეობა ვერ ურიგდებოდა იმ აზრს, რომ მრავალი ქართული სოფელი სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქს უნდა შეერთებოდა. როგორც ვნახეთ, ქართული მოსახლეობის უკმაყოფილება არ ჩაცხრა მას შემდეგაც, რაც გამოქვეყნდა საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დეკრეტი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მოწყობის შესახებ.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მიერ საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმისათვის 1922 წლის 16 დეკემბერს წარდგენილ ზემოაღნიშნულ მოხსენებით ბარათში ამასთან დაკავშირებით ნათქვამია: „...ქართველი მოსახლეობა დღემდი განაგრძობს ამ გარემოებით გამოწვეულ უკმაყოფილების გამოთქმას, დრტვინვას და ასეთ უკმაყოფილების მიზეზზე ჩვენ უკვე მივუთითეთ, სახელდობრ: ა) სამხ. ოსეთის ავტონომიურ ოლქში შეტანილია დეკრეტით № 2 დასავლეთით რაჭის და შორაპნის მაზრების ნაწილები; ბ) აღმოსავლეთით დიდი ნაწილი დუშეთის მაზრისა და გ) სამხრეთით მთელი წყება სოფლებისა, რომელნიც თანახმად მთავრობისა და პარტიის ზემოდ აღნიშნულ დადგენილებათა (მუხ. მე-3) შეტანილ უნდა ყოფილიყვნენ ამ ტერიტორიაში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გორის მაზრის ქართველი მოსახლეობა, ოსთა მეზობლათ თუ ოსთა შორის მცხოვრები, თავის კატეგორიულ სურვილს გამოსთქვამდა დაემორჩილოს ოსეთის ავტონომიურ

[52] სუიცსა, ფ. 284, აღწ. 1, საქ. 62, ფურც. 82—84.

ხელისუფლებას, მანამდი კი ეს ქართველი მოსახლეობა გორის მაზრის ხელისუფლების ქვეშ უნდა დარჩენილიყო“[53].

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მიერ გამოთქმული ეს საყვედური საფუძველს მოკლებული არ არის. როგორც ზემოციტირებული დოკუმენტები მოწმობენ, ქართული მოსახლეობის აზრი უცვლელი დარჩა, იგი ბოლომდე წინააღმდეგი იყო სამხრეთ ოსეთისათვის ქართული სოფლების გადაცემისა. დეკრეტის გამოცემისას კი ეს მომენტი უგულებელყვეს.

აქვე გვინდა მკითხველს შევთავაზოთ სია იმ ქართული სოფლებისა, რომლებიც საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1922 წლის 20 აპრილის დეკრეტით (№ 2) სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქს გადაეცა. ამ სიაში, რომელიც საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სპეციალურმა კომისიამ (თავმჯდომარე გრ. გველესიანი, წევრები: დ. კარიჭაშვილი და ს. გიორგაძე) შეადგინა, ნაჩვენებია ქართულ სოფელთა ეროვნული შემადგენლობაც. მთლიანად დავიმოწმოთ სპეციალური კომისიის მოხსენებითი ბარათის სათანადო ადგილი (სოფელთა დასახელებაში მოსალოდნელი უზუსტობისათვის მკითხველს წინასწარ ვუხდით ბოდიშს):

„აქაც ჩვენი აზრის გასამუქებლათ, ფაქტიურ მასალას მივმართავთ. ჩამოვთვლით იმ ქართულ სოფლებსა, თუ ქალაქს, რომელნიც ოსეთის სამხრეთით მდებარეობენ და დეკრეტით (№ 2) სამხრეთ-ოსეთზე გადავიდენ.

1. თამარაშენის საზოგადოებისა:

12 ქართული სოფელი*, სახელდობრ:

| | ქართ. | ოსები | სხვ. ეროვნებისა | სულ |
|---|---|---|---|---|
| ზემო აჩაბეთი<br>ქვემო აჩაბეთი<br>თამარაშენი<br>პატარა ძარწემი<br>დიდი ძარწემი<br>საბაწმინდა<br>ქემერტი<br>ხეითი<br>დგვრისა<br>ქურთა<br>კეხვი<br>სვერი | 4119 | 525 | 6 | 4650 |

53 სუიცსა, ფ. 284, აღწ. 1, საქ. 62, ფურც. 85.

*) ქართულ სოფლებათ ვსთვლით ისეთ სოფლებს, სადაც ოსები 50% ნაკლებია.

| | ქართ. | ოსები | სხვ. ეროვ-ნებისა | სულ |
|---|---|---|---|---|
| **2. ცხინვალის საზოგადოება:** | | | | |
| I. ქალაქი ქ. ცხინვალი | 1185 | 0 | 2697 | 3832** |
| ს. გუჯაბაური | 186 | 40 | 0 | 226 |
| **3. წუნარის საზოგადოებისა:** | | | | |
| I. სოფელი, ნული | 413 | 24 | 0 | 437 |
| **4. დირბის საზოგადოებისა:** | | | | |
| I, სოფელი ძველთი | 324 | 10 | 10 | 344 |
| **5. ავლევის საზოგადოებისა:** | | | | |
| 11 სოფელი, სახელდობრ: ხუნდის უბანი, შინდარა, თილევა, ძალეთი, ზემო ოქონა, ქვემო ოქონა, ნედლათი, სუფნისი, ნაბაკევი, ჯერისისი, ბზისხევი | 1526 | 334 | 0 | 1860 |
| **6. მერეთის საზოგადოებისა:** | | | | |
| 6 სოფელი, სახელდობრ: სნეკვი, ზარდიანთ-კარი, ქსუისი, ჰარები, კუბითი, დისევი | 1536 | 119 | 0 | 1655 |

**) 1917 წლის სამეურნეო აღწერაში ცხინვალის მოსახლეობის სტატისტიკა არ მოიპოვება. 1886 წლის საოჯახო სიებიდან შედგენილ სტატისტიკურ ნუსხით სულ 3832 მცხოვრებია, 1915 წლისათვის კი ადმინისტრაციის მიერ შეკრებილ ცნობების მიხედვით, — სულ 4618. დღეისათვის ეს ციფრი უნდა გაორკეცდეს.

### 7. ორტევის საზოგადოებისა:

| | ქართ. | ოსები | სხვა ეროვნებისა | სულ |
|---|---|---|---|---|
| 1 სოფელი, სახელდობრ ვანათი | 432 | 48 | 0 | 480 |

### 8. ბოლოთის საზოგადოებისა:

| | ქართ. | ოსები | სხვა ეროვნებისა | სულ |
|---|---|---|---|---|
| 8 სოფელი, სახელდობრ: | | | | |
| აწვსრიხევი | 299 | 0 | 0 | 299 |
| საცხენეთი | 289 | 0 | 0 | 289 |
| ხაშურა | 135 | 0 | 0 | 135 |
| ხადურიანთ-კარი* | 22 | 0 | 0 | 22 |
| ბელოთი | 220 | 0 | 0 | 220 |
| ზემო ავნევი* | 287 | 0 | 0 | 287 |
| ქვემო ავნევი* | 127 | 0 | 0 | 127 |

სულ გადასულია 40 ქართული სოფელი და 1 ქალაქი, სადაც ოცათასამდე ქართველია, ხოლო ოსთა რაოდენობა უდრის — 1100 სულს".

აი, ასე შეიქმნა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი მასში მრავალი ქართული სოფლის გაერთიანებით. დეკრეტის გამოცემას, ბუნებრივია, ქართული მოსახლეობის უკმაყოფილება მოჰყვა. საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი იძულებული გახდა სულ მალე შეეტანა ზოგიერთი კორექტივი 20 აპრილის დეკრეტში. 25 აპრილსვე მან დაადგინა: „ქართულ სოფლებში ადმინისტრაცია და მილიცია დარჩეს ქართული" და „კობის რაიონი ადმინისტრაციულად მიეწეროს დუშეთის მაზრას"[55]. ამ შესწორებებმა შექმნილი მდგომარეობა, ცხადია, საბოლოოდ ვერ განმუხტეს. შეიარაღებული შეხლა-შემოხლის საშიშროება კვლავ რჩებოდა. გახშირდა ექსცესები ორივე მხრიდან სამეურნეო თუ სხვა ყოფითს საკითხებზე. ამიტომ იღებდნენ ზომებს მოსახლეობის განიარაღებისათვის. 1922 წლის 26 მაისს სამხრეთ ოსეთის საოლქო პარტიულმა კომიტეტმა დაადგინა:

> «Произвести разоружение по всей области беспартийных элементов. Для разоружения и подавления бандитизма в некоторые районы послать отряды с представителями обл. парткома, ЧОН и Политбюро. Одновременно обратиться

*) 1917 წლის სამეურნეო აღწერაში ამ სამი სოფლის მცხოვრებთა რაოდენობა აღნიშნული არ არის, ამიტომ ჩვენ აქაც 1886 წლის საოჯახო სიებიდან ამოღებულ ცნობებით ვსარგებლობთ და დღეისათვის ვაორკეცებთ.

54 სუიცსა, ფ. 284, აღწ. 1, საქ. 2, ფურც. 85—86.

55 იქვე, ფ. 284, აღწ. 1, საქ. 62, ფურც. 87.

Ц.К.К.П. Грузии, ЧОН, Наркомвоенмор и Грузчека о немедленном разоружении беспартийных в смежных с областью районах, где масса настроена контрреволюционно.

Особое мнение тов. Завадина: создать смешанную комиссию из представителей А.О.Ю.О. и смежных уездов для совместного разоружения районов не только входящих в А.О.Ю.О., но и в смежных, входящих уезды. Председатель Вл. Санакоев. Секретарь А. Чочиев»[56].

მკითხველი მიხვდება, რომ აქ ჩვეულებრივი ბანდიტების განიარაღებაზე როდია საუბარი. სიტყვა «ბანდიტიზმის“ მოშველიებით დადგენილების ავტორები ცდილობენ გაიოლებულად წარმოაჩინონ საქმე. „კონტრრევოლუციურად განწყობილ მასაში“ კი უმთავრესად სამხრეთ ოსეთისათვის ქართული სოფლების გადაცემით უკმაყოფილონი იგულისხმებიან. აქვე ნახსენები „პოლიტბიურო“ საგანგებო კომისიის ადგილობრივი ორგანოს იმდროინდელი სახელწოდებაა.

სამხრეთ ოსეთის საოლქო პარტიული კომიტეტის ამ დადგენილებაზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის რეაგირება ასეთი იყო: 1922 წლის 12 ივნისს მან მახარაძის, ოკუჯავას, ქავთარაძის, ცინცაძის, საბაშვილის, კანდელაკის, ბიბინეიშვილის, თუმანოვისა და ზირაქიშვილის მონაწილეობით განიხილა:

«Постановление Юго-Осетинского парткома с просьбой разоружить беспартийное население Юго-Осетии» და დაადგინა:

а) Предложить парткому постановление это в жизнь не проводить,

б) Предложить парткому дать сведения в ЦК, в каких местностях население должно быть разоружено и по каким мотивам, в) Поручить ЧК выяснить вопрос о необходимости и возможности разоружения. Материалы представить в ЦК на рассмотрение»[57].

როგორც ვხედავთ, მოსახლეობის განიარაღება ადვილ საქმედ არ ჰქონდათ წარმოდგენილი. მას, შეიძლება, ახალი გართულება მოჰყოლოდა. ამიტომაც ფრთხილობდნენ...

საგულისხმოა, რომ როცა სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქს ხელოვნურად ქმნიდნენ და მასში ქართულ სოფლებსაც ძალით აერთიანებდნენ, მაშინ, როგორც ითქვა, კავკასიონის იქეთა ოსეთს, რომელიც ოსთა ნამდვილი თავდაპირველი სამშობლოა, არავითარი საკუთარი ავტონომია არ გააჩნდა. ჩრდილო ოსეთის ავტონომიური ოლქი მხოლოდ 1924 წელს წარმოიქმნა რუ-

---

56 მლისფპა, ფ. 14, აღწ. 1, საქ. 192, ფ. 583.

57 მლისფპა, ფ. 14, აღწ. 1, საქ. 192, ფურც. 559.

სეთის სფს რესპუბლიკაში. 1936 წელს ამ ავტონომიურ ოლქს ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსი მიეცემა, მაგრამ ვიდრე ეს მოხდებოდა, გარკვეული ძალები სამხრეთ ოსეთისა და ჩრდილო ოსეთის გაერთიანებას ცდილობდნენ. გადაიდგა სათანადო ნაბიჯებიც, რომელთა შესახებ, ალბათ, მოკლედ ჩვენც უნდა ვისაუბროთ. საკითხი განიხილეს ჩრდილო ოსეთის, სამხრეთ ოსეთის, სრულიად საქართველოსა და ამიერკავკასიის საბჭოთა წარმომადგენლობითმა ორგანოებმა[58].

გაერთიანების ინიციატივა ოფიციალურად ჩრდილო ოსეთიდან მომდინარეობდა. იქ ეს საკითხი 1925 წლის იანვარში, ჩრდილო ოსეთის საბჭოების პირველ ყრილობაზე წამოიჭრა. ამ პრობლემის გადაწყვეტა უშუალოდ ეხებოდა რუსეთის სფს და საქართველოს სს რესპუბლიკებს. ამიტომაც ორივე რესპუბლიკაში გაჩაღდა მოსამზადებელი მუშაობა. უწინარეს ყოვლისა უნდა გარკვეულიყო, თუ რომელ სახელმწიფოში (რუსეთის სფს თუ საქართველოს სს რესპუბლიკაში) შევიდოდა გაერთიანებული ოსეთი. აქ აუცილებლად გასათვალისწინებელი იყო ქართველი ხალხის აზრი. იგი, ბუნებრივია, ვერ შეურიგდებოდა ქართული ტერიტორიის (ოსებით დასახლებული გორის მაზრის ნაწილის) გასხვისებას. ადვილად გადასაწყვეტი არც ჩრდილო ოსეთის შემოერთების საკითხი იყო, რადგან ისიც უნდა განეჭვრიტათ, თუ რა შეიძლებოდა მოჰყოლოდა ამ შემოერთებას მომავალში.

მოვლენები ასე განვითარდა: 1925 წლის 27—31 მარტს გაიმართა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების V ყრილობა, რომელმაც მე-10 საკითხად განიხილა:

> «Сообщение представителя Северо-Осетинского ЦИК тов. Каргиева о решении 1-го съезда Северной Осетии по вопросу объединения с Юго-Осетией» და დაადგინა:
>
> «1. Выслушав заявление представителя ЦИК Северной Осетии тов. Харитона Каргиева о состоявшемся решении съезда Советов Авт. области Северной Осетии об объединении Северной и Южной Осетии, 5-й съезд Советов Автономной области Юго-Осетии приветствует решение 1-го съезда Советов Автономной области Северной Осетии и считает своевременным постановку этого вопроса.
>
> 2. 5-й съезд Советов Юго-Осетии мыслит осуществление этого объединения Северной и Южной Осетии в пределах ССР Грузии.
>
> 3. 5-й съезд Советов поручает новому ЦИКу Юго-Осетии совместно с ЦИКом Северной Осетии образовать объединен-

---

58 ამ ისტორიულ-იურიდიულ ფაქტს თავისი შეფასება მისცა ი ა კ ო ბ ფ უ ტ კ ა რ ა ძ ე მ გაზეთ „კომუნისტში“ 1989 წლის 13 დეკემბერს გამოქვეყნებულ სტატიაში „სალი ძახილი“.

ную специальную комиссию по изучению вопроса объединения обеих Осетий.

4. По изучению комиссией вопроса объединения окончательное разрешение его, т. е. объединения обеих Осетий поручить соответствующим ЦИКам»[59].

როგორც ვხედავთ, სამხრეთ ოსეთის საბჭოების ყრილობამ აშკარად და გარკვევით გამოთქვა თავისი აზრი — სამხრეთ ოსეთისა და ჩრდილო ოსეთის ავტონომიური ოლქების გაერთიანება საქართველოს სსრ ფარგლებში უნდა მოხდესო. გინდა ირწმუნო სამხრეთელ ოსთა ამ სურვილის გულწრფელობა, რადგანაც, ჯერ ერთი, მათ კარგად იცოდნენ, რომ საქართველოში ოსთა დენაციონალიზაციის ნაკლები საშიშროება არსებობდა (თუ კი ამას გაურბოდნენ), ვიდრე, ვთქვათ, რუსეთის ფედერაციაში; მეორე, ასევე ცნობილი იყო ქართველი ხალხის უკმაყოფილება საქართველოს სსრ რესპუბლიკაში შემავალი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისათვის გორის მაზრის ქართული სოფლების გადაცემის გამო, და ძნელი მისახვედრი როდი იყო, რომ უფრო მეტად გაძლიერდებოდა ქართველი ხალხის უკმაყოფილება და წინააღმდეგობა, თუ კი მთელი ე. წ. სამხრეთ ოსეთი სხვა რესპუბლიკას გადაეცემოდა. ამ წინააღმდეგობას შეეძლო ჩაეშალა საქმე, გაეძნელებინა მთავარი მიზნის მიღწევა, რაც ოსი ხალხის გაერთიანებაში მდგომარეობდა. ამიტომ სამხრეთელ ოსებს სრული საფუძველი ჰქონდათ ეფიქრათ, რომ მათ მიერ არჩეული გზა ნაკლებ წინააღმდეგობრივი იქნებოდა. და კიდევ ერთ გარემოებასაც მივაქციოთ ყურადღება. ჩრდილო ოსეთში ოსები თავიანთ ისტორიულ სამშობლოში ცხოვრობენ. ჩრდილო ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორია ოსთა ისტორიული კუთვნილებაა და ამ ქვეყნის (ტერიტორიის) ბედის გადაწყვეტა იდეალურ ვითარებაში, უწინარეს ყოვლისა, თვით ოსების საქმედ უნდა მიეჩნიათ. ამიტომ თუკი მთელი ოსი ხალხი გადაწყვეტდა საბჭოთა საქართველოსთან შეერთებას, საფიქრებელი იყო, რომ საბჭოთა რუსეთი ხალხის ნების წინააღმდეგ არ გაილაშქრებდა, ყოველ შემთხვევაში მას საამისო მორალური საფუძველი არ ექნებოდა. ყოველივე ამის გამო შეიძლება დავუშვათ, რომ ორი ოსური ავტონომიის საქართველოში გაერთიანების იდეას ორივე ავტონომიურ ოლქში მართლაც გულწრფელად უჭერდნენ მხარს. თუმცა, ისიც აშკარაა, რომ ძნელი იყო მათი ნამდვილი გულის წადილის ამოცნობა. ვინ იცის, იქნებ ეს გეგმა მომავალში „ქართული მიწა-წყლის მიტაცების შუალედურ ეტაპადაც“ (ი. ფუტკარაძე) კი ჰქონდათ წარმოდგენილი. ყოველ შემთხვევაში არ იყო გამორიცხული, რომ საქართველოსათვის ეს ერთი შეხედვით უვნებელი (თითქოს სასარგებლოც კი) წამოწყება მეტად ძვირი დაუჯდებოდა თვით საქართველოს მომავალში,

59 სუიცსა, ფ. 284, აღწ. 1, საქ. 170, ფურც. 3.

იმ ქარტეხილების დროს, საბჭოთა ქვეყნის ხელმძღვანელთა შეცვლას რომ მოჰყვებოდა ხოლმე უმთავრესად.

ასე იყო თუ ისე, საქმე დაიძრა. მას შემდეგ, რაც სამხრეთ ოსეთში მოიწონეს ოსთა ორივე ავტონომიის გაერთიანების იდეა და ისიც განსაზღვრეს, რომ ეს გაერთიანება საქართველოს ფარგლებში მოხდება, ჩრდილო ოსეთის ხელმძღვანელობამ სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს აცნობა: „ჩრდილოეთი და სამხრეთი ოსეთი ერთიანდებიან ერთ ავტონომიურ საბჭოთა რესპუბლიკად და შედიან საქართველოს რესპუბლიკის შემადგენლობაში"[60].

სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს ამ იდეისათვის წინააღმდეგობა არ გაუწევია. „თანახმა გახდა საკითხის ასე დაყენებაზე" ჩრდილო კავკასიის საოლქო აღმასრულებელი კომიტეტიც. თავისი სიტყვა უნდა ეთქვა საქართველოს. და აი, 1925 წლის 15 ივლისს საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სესიამ ამ საკითხზე მოისმინა ჩრდილო ოსეთის ავტონომიური ოლქის წარმომადგენლის ტაკოევის მოხსენება და ერთხმად მოიწონა საქართველოს ფარგლებში ჩრდილოეთ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიების გაერთიანების იდეა. დავიმოწმოთ რამდენიმე ადგილი ამ სესიაზე ტაკოევის გამოსვლიდან, რომელთა შესახებ იაკობ ფუტკარაძემ მოუთხრო გაზეთ „კომუნისტის" მკითხველებს ზემოდასახელებულ სტატიაში. ტაკოევმა განაცხადა: სამხრეთ ოსეთი „გადაჭრით მოითხოვს ჩრდილოეთ ოსეთისაგან, რომ... გაერთიანება მოხდეს საქართველოს ფარგლებში", ჩრდილოეთ ოსეთი „სურვილს აცხადებს რსფსრ-ს ჩამოშორდეს და შევიდეს საქართველოს სსრ-ს შემადგენლობაში". კიდევ უფრო საგულისხმოა ტაკოევის მიერ გაცემული პასუხი მის მიერვე დასმულ კითხვაზე: „იქნება ვისმე ეგულისხმება რატომ არის ორიენტაცია აღებული საქართველოზეო? იმიტომ, რომ ოსეთი არსებობდა და მხარდამხარ ვიდოდა საქართველოს რესპუბლიკასთან, ჩრდილოეთ და სამხრეთ ოსეთის მშრომელნი, და მით უფრო პასუხისმგებელი მომუშავენი, თვალნათლივ ჰხედავენ, რომ სადი ნაციონალური პოლიტიკა ისე მიზანშეწონილად არსად არ ხორციელდება, როგორც საქართველოს რესპუბლიკაში". გარდა ამისა, სამხრეთ ოსეთი კატეგორიულად აყენებს საკითხს, რომ იგი მხოლოდ მაშინ გაუერთიანდება ჩრდილო ოსეთს უკეთუ ეს უკანასკნელი თანახმა იქნება საქართველოს სსრ-ს შემადგენლობაში შესვლაზე". ამავე სესიაზე ითქვა: «სამხრეთ ოსეთის მშრომელნი აცხადებენ, რომ მათ კულტურულ მოთხოვნილებათ და სამეურნეო საჭიროება საქართველოს რესპუბლიკა მთლად, სრულიად და უცილობლად აკმაყოფილებს. ამიტომ ისინი სცნობენ, რომ არავითარი საჭიროება არ არის და სრულიად უსარგებლოც იქნება რაიმე ახალი ექსპერიმენტის მოხდენა ე. ი. საქართველოდან გამოყოფა. აშკარაა, რომ სამ-

---

60 გაზ. „კომუნისტი", 1989 წლის 13 დეკემბერი, ი. ფ უ ტ კ ა რ ა ძ ი ს დასახ. სტატია.

ხრეთ-ოსეთის ეს სადი ძახილი ყოველ მხრივ ყურადღების ღირსია". ამ გამონათქვამთან დაკავშირებით სწორად შენიშნავს ი. ფუტკარაძე, რომ ოსი კაცის ეს ბრძნული სიტყვები უფროსი თაობის პოლიტიკურ ანდერძად გაცხადდა სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სესიაზე[61].

მაშასადამე, საქართველოს ფარგლებში სამხრეთ და ჩრდილოეთ ოსეთის გაერთიანების სასარგებლოდ თავიანთი აზრი გამოთქვეს, საქართველოსა და რუსეთის საბჭოთა წარმომადგენლობითმა ორგანოებმა. რა აზრისა იყვნენ ამ საკითხზე მაღალი პარტიული ინსტანციები? ამ კითხვაზე ნაწილობრივ პასუხს იძლევა ი. ბ. სტალინის დეპეშა, რომელიც გ. კ. ორჯონიკიძემ სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1925 წლის ივლისის სესიამდე დაახლოებით 2 კვირით ადრე მიიღო. დეპეშაზე მხოლოდ თვე და რიცხვია აღნიშნული, მაგრამ შინაარსის მიხედვით შეიძლება გაირკვეს, რომ იგი 1925 წელს განეკუთვნება. აი ისიც:

> «Подана из Москвы 29.VI. Получена и расшифрована 30.VI. Тифлис. Заккрайком — Орджоникидзе.
>
> Лично я не возражал против плана Осетии, но, ввиду поступивших возражений Юго-Востока, очень колеблюсь и не решаюсь дать никаких советов. Очень бы просил тебя отложить ответом до нашей совместной встречи с Микояном. Сталин»[62].

ამ დეპეშიდან ჩანს, რომ ი. ბ. სტალინს არაფერი ჰქონდა საწინააღმდეგო საქართველოს შემადგენლობაში ჩრდილოეთ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქების გაერთიანებისა („ოსეთის გეგმა"), მაგრამ იმის გამო, რომ „სამხრეთ-აღმოსავლეთს" საწინააღმდეგო მოსაზრებები გამოუთქვამს, გადაჭრით ვერაფერს ურჩევდა გ. კ. ორჯონიკიძეს, რომელსაც, უნდა ვივარაუდოთ, სწორედ რჩევა უთხოვია მისთვის. დეპეშაში დასახელებულია ა. ი. მიქოიანი, რომელიც მაშინ პარტიის ჩრდილო კავკასიის სამხარეო კომიტეტის მდივანი იყო. ბუნებრივია, მისი აზრიც უნდა მოესმინათ ამ საკითხის გადაწყვეტისას. ა. ი. მიქოიანი ადრე რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის სამხრეთ-აღმოსავლეთის ბიუროს ხელმძღვანელობდა. ამიტომ, დეპეშაში მოხსენიებული „სამხრეთ-აღმოსავლეთი" იქნებ თავის დროზე ამ ორგანოს საგამგებლოში შემავალ რეგიონს ნიშნავდეს. თუმცა ცნობილია, რომ სამხრეთ-აღმოსავლეთის ბიურო მხოლოდ 1924 წლის მაისამდე არსებობდა, ი. ბ. სტალინის ეს დეპეშა კი 1925 წლის ივნისს განეკუთვნება.

ი. ბ. სტალინის დეპეშას ჩრდილოეთ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიების გამაერთიანებელი მოძრაობა თითქოს უნდა შეეჩერებინა (დროებით მაინც).

---

[61] იხ. გაზ. „კომუნისტი", 1989 წლის 13 დეკემბერი.

[62] მლი ცპა, ფ. 558, აღწ. 1, საქ. 3333, ფურც. 1.

მაგრამ ეს ასე არ მოხდა. როგორც ვნახეთ, 1925 წლის 15 ივლისს ამ თემაზე მსჯელობა ჰქონდა საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს; იმავე წლის 7 აგვისტოს კი ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმმა (საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წარდგინებით) განიხილა (27-ე საკითხად) ორი ოსური ავტონომიის გაერთიანების საკითხი და დაადგინა:

«Против постановления 2-й сессии Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета от 15-го сего июля об объединении Автономных областей Северной и Южной Осетии в одну Автономную социалистическую советскую республику не возражать.

Особое мнение члена Президиума ЗакЦИКа тов. Назаретяна А.: «Ввиду того, что в ближайшие пять-десять лет экономическое объединение невозможно, за отсутствием путей сообщения (перевал, соединяющий Сев. Осетию с Южной, закрывается на 9 месяцев), разрешение вопроса об объединении автономных областей Северной и Южной Осетии считаю преждевременным»[63].

ამრიგად, ჩრდილო და სამხრეთ ოსეთის გაერთიანების გზაზე სულ ცოტა ორნაირი წინააღმდეგობა გამოიკვეთა: ერთი — „სამხრეთ-აღმოსავლეთისა", რაც, საფიქრებელია, იმაში მდგომარეობდა, რომ არ სურდათ საქართველოს ფარგლებში გაერთიანება (ვერ თმობდნენ ჩრდილო ოსეთს); მეორე — ამაიაკ ნაზარეტიანის პირით გაცხადებული (სამიმოსვლო გზების უქონლობა, საუღელტეხილო მოძრაობის სეზონურობა), რომელმაც, უნდა ვივარაუდოთ, ბოლო მომენტში გადამწყვეტი გავლენა იქონია გაერთიანების საკითხის უარყოფითად გადაწყვეტაზე. დიახ, ჩრდილო ოსეთისა და „სამხრეთ ოსეთის" გაერთიანებისათვის აუცილებელი იყო მუდმივმოქმედი დამაკავშირებელი გზების გაყვანა, რაც მომავალში უნდა გაკეთებულიყო. აქედან გამომდინარე, ადვილი მისახვედრია, თუ რა მნიშვნელობას ანიჭებდნენ როქის უღელტეხილის მშენებლობას.

და თუ ჩრდილო და „სამხრეთ ოსეთის" თუნდაც საქართველოს ფარგლებში გაერთიანება შემდგომ თვით საქართველოსთვის საზიანო აღმოჩნდებოდა (!), უნდა ვაღიაროთ, რომ მაშინ ა. ნაზარეტიანის პირით გაცხადებულ „განსაკუთრებულ აზრსა" და მის მხარდამჭერებს გადავურჩენივართ.

ოსეთის საკითხთან დაკავშირებით გვინდა მკითხველს გავაცნოთ ი. ბ. სტალინის კიდევ ერთი დეპეშა, რომელიც სხვა საინტერესო საკითხსაც ეხება და ამიტომ მთლიანად დავიმოწმებთ მას:

---

63 სეიცსა, ფ. 607, აღწ. 1, საქ. 320, ფურც. 70.

«Подана из Москвы 17.IX. Получена и расшифрована 18.IX. Тифлис — Заккрайком РКП(б). Орджоникидзе. Жалею, что шутки о Мингрелии приняты всерьез легковерными товарищами. Можешь заявить от меня, что я не высказывался и не намерен высказаться в пользу Автономии Мингрелии. Можешь заявить об этом в той форме, в какой найдешь целесообразным. Насчет Осетии поговорим по приезде. Сталин»[64].

„სამეგრელოს ავტონომიის“ საკითხი ცალკე საუბრის თემაა. რაც შეეხება დეპეშის ბოლო ფრაზას, ოსეთს რომ ეხება, იგი მიგვანიშნებს, რომ ი. ბ. სტალინი 1925 წლის (დეპეშაში გამოგზავნის წელი არ არის მითითებული, მაგრამ უეჭველია, რომ ისიც 1925 წელს განეკუთვნება) სექტემბერშიც ყოყმანობს და გარკვეულ დირექტივას ვერ აძლევს გ. კ. ორჯონიკიძეს ამ საკითხში. ჩრდილო და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქების ერთ ავტონომიურ რესპუბლიკად გარდაქმნისა და საქართველოში მისი გაერთიანების საკითხს, ცხადია, საბოლოოდ ი. ბ. სტალინი გადაწყვეტდა. ღვთის მადლით, გადაწყდა იგი უარყოფითად და ამით არც არაფერი დაშავებულა.

მაგრამ იდეა გაერთიანებისა (უფრო სწორად — ქართული მიწა-წყლის მიტაცებისა) თურმე არ ჩამკვდარა. ამაზე მეტყველებს სამხრეთ და ჩრდილო ოსეთიდან ცენტრში გაგზავნილი წერილები, რომელთა ავტორები ყალბ ბრალდებას უყენებენ ქართველ ხალხს, ულვთოდ ამახინჯებენ ქართველი და ოსი ხალხების ურთიერთობის ისტორიას, ცდილობენ დაარწმუნონ ზემდგომი პარტიული და საბჭოთა ინსტანციები, რომ სამხრეთელი ოსები იმყოფებიან აუტანელ მდგომარეობაში, რომელიც მათ თითქოს ქართველმა ხალხმა შეუქმნა და მოითხოვენ სამხრეთ და ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიების გაერთიანებას რუსეთის სფს რესპუბლიკაში.

60-იან წლებში ოსი ინტელიგენციის ერთმა ნაწილმა აშკარა ანტიქართული კამპანია გააჩაღა, რაც, რასაკვირველია, შეუმჩნეველი არ დარჩა ქართულ საზოგადოებრიობას. ერთ-ერთ დოკუმენტში, რომელიც 1973 წლის ივლისს განეკუთვნება ვკითხულობთ:

«В последнее время в произведениях некоторых осетинских писателей особенно будируется тема Давида Сослана в нездоровом антиисторическом аспекте. В этой связи назовем поэму Д. Хетагурова «Гоцци», выдержавшую два издания на осетинском языке в гор. Орджоникидзе. В поэме грузины названы «подзащитным народом», «утопающим в гря-

64 მლი ცპა, ფ. 558, აღწ. 1, საქ. 3339, ფურც. 1.

зи», говорится, что грузины якобы насильственно отторгли исконные земли Осетии («урвали долину реки Риони»). В поэме «Гоцци» Давид Сослан представлен как кондотьер, наемник... Можно было бы не вспомнить эту... поэму, публикации которой на русском языке в 1960 году решительно воспрепятствовало Московское издательство «Советский писатель», если бы с этих же позиций не относились к данной теме некоторые писатели Юго-Осетии, в том числе З. Хостицоева, Х. Дзуццати и др. Надо сказать, что стихотворение Ш. Джикаева «Печаль Давида Сослана» (опубликованное в 1966, 1967, 1970 гг.) является прямым перепевом вышеуказанной поэмы «Гоцци». В произведении Ш. Джикаева также говорится о том, что «стонут свои (т. е. осетины) на свободе», «что стонет своя страна в цепях», что потомки никогда не помянут добрым словом Давида Сослана, что ему «на их пиру никогда не будет места», ибо «когда родичу ты будешь чужд, — другому никогда не будешь родственником... Умрешь у них под забором».

В свое время некоторые осетинские критики выступили против подобных тенденций в литературе. — В стихотворении Ш. Джикаева, — писал Х. Джиоев, — показана реакционная идеология... Национальная вражда представлена здесь как идеал (журн. «Мах Дуг» № 5, 1967). К сожалению, ни автор, ни его сторонники не прислушались к голосу критики. Все современные «проблемы» национального «недовольства» некоторых писателей носят явно искусственный характер... Об этом свидетельствует хотя бы письмо Ф. Гаглоити (Гафеза), бывшего ответственного секретаря Юго-Осетинского отделения союза писателей Грузии. «Нам нужен патриотизм, может быть и национализм, — делился он своими мыслями (18.XII. 1966 г.) в письме, адресованному к писателю Р. Тедети. — Если бы положение сегодня у осетинского народа было таким же, как у грузинского или у русского народов, тогда бы ни один осетин не показал своих национальных чувств... Посмотри-ка на азербайджанцев, они тоже действуют точно, как наши соседи. Во имя будущности своего языка они накрыли своими лапами маленькие народы, живущие вокруг них. Ты же в России находишься, посмотри-ка вокруг: их литература, их искусство — все делается с целью укрепить руссизм (руссификацию). Пушкин заложил им хо-

роший фундамент: «Здесь русский дух, здесь Русью пахнет». Теперь посмотри на Шолохова, Твардовского, Грибачева, Федина и на многие сотни других. О чем они пишут? Заботятся ли, чтобы воспеть «дружбу между культурами и народами?» Черта с два!... Теперь все поставлено так, чтобы маленькие племена влились в утробу акул. Знакомясь с образцами художественного творчества Н. Джусойты, опубликованными на осетинском языке, и его статьями и публицистическими выступлениями, напечатанными на русском языке в центральной прессе, нетрудно заметить разительное противоречие. В своих статьях Н. Джусойты выступает как страстный поборник дружбы народов, сторонник тесных взаимосвязей братских литератур... Защищая... бесспорно правильную точку зрения на всесоюзной арене, Н. Джусойти... к сожалению, не всегда придерживается ее в своем художественном творчестве»[65].

ეს ვრცელი ამონაწერი დავიმოწმეთ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ შექმნილი სპეციალური კომისიის მოხსენებითი ბარათიდან, რომელსაც ხელს აწერენ ო. ნოდია, რ. მიმინოშვილი, ი. ბოგომოლოვი, გ. ციციშვილი, ვ. შადური, მ. კიკვაძე, ნ. წერეთელი. არაფერია გასაკვირი იმაში, რომ ოსი ინტელიგენციის ერთი ნაწილი საკუთარი ხალხის გასაჭირზე ფიქრობს, მის ბედზე წუხს, რაც აშკარად ჩანს ამ ამონაწერიდანაც. მაგრამ უმადურობაა შენთვის მზრუნველს მტრობა დააბრალო, მთელი სოფლების მჩუქებელს გადამგვარებელი უწოდო. ასეთ რამეებში კაცს მისამართები არ უნდა შეგეშალოს, აქცენტებიც სწორად უნდა დასვა. აქ დამოწმებული აზრებიდან ჩვენთვის, ცხადია, ბევრი მიუღებელი და უსაფუძვლოა. სხვა ხალხების მიმართ გამოთქმულ საყვედურებზე პასუხის გაცემაც სხვათა მოვალეობად მივიჩნიოთ. ამჯერად დავჯერდეთ მხოლოდ ორი ფაქტის კონსტატაციას: პირველი, ოსი ინტელიგენციის ერთი ნაწილი აშკარა ანტიქართულ განწყობილებას ქართულ ენის სახელმწიფო პროგრამის შემუშავებამდე დიდი ხნით ადრე ამჟღავნებდა, მეორე, ოსი ინტელიგენციის ეს ნაწილი პრეტენზიებს უყენებს არა მარტო ქართველ, არამედ რუს ხალხსაც. თანამედროვე ეტაპზე კი, როგორც ცნობილია, მას ბრძოლის მახვილი მხოლოდ ქართველი ხალხის წინააღმდეგ აქვს მიმართული. ამის შესახებ საზოგადოებრიობა ფართოდ არის ინფორმირებული.

კიდევ ერთი დოკუმენტი, რომელთა ავტორები მხოლოდ და მხოლოდ უმადურ ექსტრემისტთა სახელს იმსახურებენ. ეს გახლავთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ი. ვ. ანდროპოვის სახელზე 1983 წლის 10

65 მლისფპა, ფ. 14, აღწ. 46. საქ. 157, ფურც. 62—64.

მაისს გაგზავნილი საჩივარი, რომელსაც ხელს აწერენ იურისტი ს. ჯიოევი, ვაჭრობის მუშაკი ზ. დრიაევი, მძღოლი ტ. კუჩმაზოვი და პედაგოგი სიუკაევი. კონვერტზე, რომელშიც საჩივარი იყო ჩადებული, გამგზავნის ასეთი მისამართია აღნიშნული: 355045, ქ. სტავროპოლი, ტამანის ქ. № 26, ს. ა. ჯიოევი. ეს მისამართი და გვარიც, შეიძლება, ფიქტიური იყოს, მაგრამ, ცხადია, ეს არაა მთავარი. მთავარია წერილის შინაარსი, მისი პროვოკაციული ხასიათი და ის, რომ ეხება სამხრეთ ოსეთის ამბებს. საჩივარი შეიცავს ისტორიულ ნაწილს, გაუკუღმართებულს, ტენდენციურად და პრიმიტიულად შედგენილს. ავტორები ზოოლოგიურ სიძულვილს ამჟღავნებენ ქართველი ხალხის მიმართ, ყოველივე იმის მიმართ, რაც კი წმიდათა წმიდაა ქართველი და ოსი ხალხების ურთიერთობაში.

მკითხველის წინაშე ბოდიში უნდა მოვიხადოთ და კვლავ ვრცელი ამონაწერები დავიმოწმოთ. საჩივრის ავტორები ი. ვ. ანდროპოვს სწერდნენ:

> «В 1920 г. меньшевикам стало известно о том, что у наших бойцов нет уже ни одного патрона и тогда они направили свою гвардию против Юго-Осетии. Бойцы наши со слезами на глазах вынуждены были со своими семьями отступать через Главные Кавказские хребты в Северную Осетию. Имущество их разграбили меньшевистские негодяи, все деревни, села были сожжены дотла. Из 75 тысяч беженцев остались живыми не более 50%, остальные погибли от азиатской холеры.
>
> Свидетельством тому является телеграмма В. И. Ленина от 18 декабря 1920 г. на имя Владикавказского Ревкома об оказании немедленной помощи беженцам, бежавшим от грузинских меньшевистских банд».
>
> «...22 апреля 1922 г. ЦИК Грузии издал декрет, коим Ю/Осетия включается в состав Грузии, как автономная область, конечно, без согласия нашего народа. В то время в Центре нашего государства в верхах находились грузины и поддержали их».
>
> «В 1979 г. была издана книжонка Издательством политической литературы в Москве, автор Э. Шеварднадзе, где он описывает интересные вещи, а именно: во время гражданской войны за власть Советов боролись яростно грузинские трудящиеся, а что Ю/Осетия кровь проливала за Советскую власть ему неизвестно, ему также не ведомо, что Ю/О была безжалостно сожжена меньшевиками, а в Грузии и гусиного хлева не повредили. Ему же неизвестно, что через Главные Кавказские горы перешла 2-я Ю/Осетинская брига-

да вместе с Ю/О повстанческими отрядами и они разгромили меньшевиков. Он же пишет, что в школах детей обучают на любом языке, не допуская никаких привилегий, ограничений или принуждений в употреблении тех или иных языков, т. е. получать образование на родном языке. На территории собственно Грузии проживает не менее 100 тыс. осетин, за пределами автономной области, где до господства Берия в школах преподавали предметы на русском и осетинском языках, а теперь на грузинском языке, т. е. происходит грузинизация осетинских детей... По переписи населения в 1926 г. население Ю/Осетии состояло из 130 тыс. человек, из них осетин 81%, грузин — 16%, остальные армяне, евреи и др. (см. Путеводитель транспечати НКПС, под редакцией Э. С. Батенина, стр. 470, издания 1927 г. Москва)»...

«Далее, за последнее время в газетах пишут такие статьи, которые не признают существования Ю/Осетии, т. е. враждебные, именно: строительство транскавказской Рокской автотрассы окончено, которая соединила Северную Осетию с Южной Осетией.

Половина длины этой дороги проходит по территории СО АССР, а вторая половина этой дороги проходит только по территории Юго-Осетинской авт. обл. За эту дорогу вся осетинская нация вовеки будет благодарить наших верховных руководителей, которые положительно решили этот вопрос, но возмутительно то, что без шовинизма, без антиосетинской политики и здесь не обошлось и не обходится. Все время в газетах: «Заря Востока», «Вечер. Тбилиси», т. е. во всех газетах пишут, что транскавказская автострада соединит Северную Осетию с Грузией, т. е. наша авт. обл. Юго-Осетия исчезла, похоронили ее живьем. Отсюда простой вывод: грузинские меньшевистские банды открыто проводили политику: Южную Осетию растворить среди грузин, чтобы там ни одного осетина не было. Вот эта политика проводится и сейчас. Разве это не шовинизм?

Удивительно и то, что наши руководители проходят мимо такого отвратительного национализма. Неужели им неизвестно о том, что эта дорога проходит только по территории Северной и Южной Осетии, а в газетах читают, что указанная дорога соединила Северную Осетию с Грузией, но никто из руководителей нигде не задает вопрос шовинистам, а

куда же делась автономная область Ю/Осетии? Возникает вопрос, когда же будет положен конец антиосетинской политике и кто положит такой конец и когда?»

«Юрий Владимирович, можно ли совместить такое отношение к нашей нации с Конституцией СССР? А если нет, то почему бы не объединить южную часть Осетии с Северной Осетией в составе РСФСР, ведь территория наша единая, теперь провели и первоклассную шоссейную дорогу с г. Алагира СО АССР и до центра Юго-Осетии г. Цхинвали. В крайнем случае провести среди юго-осетинского населения плебисцит и тогда народ скажет свое слово, как это принято в международном праве... Мы просим провести плебисцит населения Ю-Осетии об объединении с Северной Осетией и чтобы единая Осетия избавилась от географических названий север, юг, а была единая Осетинская автономная советская социалистическая республика в составе РСФСР — ОА ССР. Тогда все вышеприведенные вопросы будут решены легко».

ი. ვ. ანდროპოვის სახელზე გაგზავნილი ეს საჩივარი სხვა დაუსაბუთებელ მტკიცებებსა და ცილისმწამებლურ გამოხდომებსაც შეიცავს (საჩივარი, ცხადია, მთლიანად არ მოგვყავს). ბრალდებები, რომლებსაც მომჩივანნი ქართველ ხალხს უყენებენ, მკითხველმა იცის, არ ახალია. ბევრ მათგანს, თანამედროვე ადამონნიხასელებიც რომ იმეორებენ, ქართულ პრესაში დამაჯერებელი პასუხიც გაეცა. მაგრამ, ვინაიდან ი. ვ. ანდროპოვის სახელზე გაგზავნილი საჩივრის თვით ფაქტი და მასში წამოყენებული ზოგიერთი პრეტენზია ფართო საზოგადოებრიობისათვის უცნობია, გარკვეული პასუხი, ალბათ, ჩვენც გვმართებს.

დავიწყოთ იმით, რომ საჩივრიდან დამოწმებულ პირველივე ამონაწერში დამახინჯებულად არის გააზრებული საკმაოდ ცნობილი ისტორიული ფაქტი. კერძოდ, მომჩივანთა აზრით ვ. ი. ლენინი 1920 წლის 18 დეკემბრის დეპეშაში ვლადიკავკაზის რევკომს სთხოვდა სასწრაფო დახმარება აღმოეჩინა იმ ოსი ლტოლვილებისათვის, რომლებიც თითქოს „ქართველ მენშევიკთა ბანდებმა“ სამხრეთ ოსეთიდან განდევნეს 1920 წლის ივნისის ოსთა აჯანყების ჩაქრობის შემდეგ. სინამდვილეში კი ვ. ი. ლენინის ამ დეპეშაში სრულიად სხვა ლტოლვილებზე საუბარი, რაც ახლავე გახდება ცხადი. გავეცნოთ თვით დოკუმენტს.

«Телеграмма Владикавказскому Ревкому. Владикавказ, Ревком.

Копия члену реввоенсовета Кавфронта Орджоникидзе.

По полученным в Совнаркоме сведениям, беженцы гражданской войны, бежавшие от контрреволюционных банд

в 1919 г. из селения Алагир в количестве, свыше 300 семей, находятся в станице Ардонской и в городе Владикавказе в чрезвычайно бедственном положении. Несмотря на все наши хлопоты, беженцы до сих пор не могут добиться возвращения в родные места или помощи по переезду и устройству на новых местах. Срочно удоблетворите законные требования беженцев и окажите им действительную помощь по устройству на постоянное жительство.

Написано 18 декабря 1920 г. Предсовнаркома Ленин»[66].

როგორც ვხედავთ, ვ. ი. ლენინის ამ დეპეშაში გარკვევით არის ნათქვამი, რომ საქმე ეხება არა სამხრეთ ოსეთიდან ჩრდილოეთ ოსეთში 1920 წელს გაქცეულ ოსებს, არამედ ჩრდილოეთ ოსეთში მდებარე სოფელ ალაგირიდან იმავე ჩრდილოეთ ოსეთის სტანიცა არდონსა და ქ. ვლადიკავკავში 1919 წელს გაქცეულ ლტოლვილებს. შეიძლებოდა ყოველივე ეს უბრალო ფაქტობრივ უზუსტობად მიგვეჩნია და ყურადღებაც არ გაგვემახვილებინა მასზე. შეიძლებოდა წერტილიც დაგვესვა აქვე, მაგრამ იმის გამო, რომ საქმე გვაქვს ისტორიული სინამდვილის არა მარტო ფაქტობრივ, არამედ პოლიტიკურ გაუკუღმართებასთანაც, იქნებ სჯობდეს მკითხველს მოკლედ მოვუთხროთ, თუ ნამდვილად ვისზე ზრუნავდნენ ამ შემთხვევაში ვ. ი. ლენინი და გ. ვ. ჩიჩერინი, ვინ იყვნენ ეს ალაგირელი ლტოლვილები?

აბსოლუტურად დადგენილია, რომ საქმე ეხება ქართველ ლტოლვილებს, იმ ქართულ ოჯახებს, რომლებიც 1919 წლის იანვარში იძულებული გახდნენ მიეტოვებინათ სოფელი ალაგირი, სადაც კომპაქტური ქართული დასახლება ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-იან წლებში გაჩნდა. 1918 წლამდე ალაგირელ ქართველებს კეთილმეზობლური ურთიერთობა ჰქონდათ ოსებთან, რაც სამოქალაქო ომის დროს მტრობით შეიცვალა. ამ წლის ივნისში ალაგირელმა ქართველებმა უმასპინძლეს ს. გეგეჭკორის შეიარაღებულ რაზმს, რომელიც საქართველოდან ჩრდილოეთ ოსეთში გადავიდა საბჭოთა ხელისუფლებისათვის საბრძოლველად. რაზმის წევრები ალაგირელ ქართველთა ოჯახებში დაბინავდნენ. ზოგიერთი ალაგირელი ქართველი ს. გეგეჭკორის რაზმშიც ჩაეწერა, რასაც სათანადო რეაქცია მოჰყვა ოსეთში იმ დროს არსებული სხვა პოლიტიკური, კერძოდ, ანტისაბჭოთა ძალების მხრიდან. ეს სტუმრობა ძვირად დაუჯდათ ალაგირელ ქართველებს. იგი გახდა ერთ-ერთი მიზეზი მათი დარბევის, აწიოკებისა და ქონებრივი გაპარტახებისა.

საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ განწყობილი ოსთა შეიარაღებული რაზმები ცდილობდნენ არაოსი მოსახლეობისაგან გაეწმინდათ თავიანთი მხარე

---

[66] В. И. Ленин, Полн. собр. соч. т. 52, გვ. 299—300.

დეპეშას ხელს აწერდა გ. ვ. ჩიჩერინიც.

და ამით ქონებრივადაც მოეთბოთ ხელი. ისინი გასაქანს არ აძლევდნენ ქართველებს: ართმევდნენ გალეწილ პურს, ფქვილით დატვირთულ ურმებს, ცხენებს, ალაგირსა და მის მიდამოებს არბევდნენ ვ. ვანიევის, პოლკოვნიკ უგალუკ ცალიკოვის, ს. ურუმოვის, ა. ურუმოვის, ყ. რევაზოვისა და სხვათა შეიარაღებული რაზმები, რომლებსაც განზრახული ჰქონდათ ალაგირზე თავდასხმა, იქაური ქართული და რუსული მოსახლეობის განადგურება, მათი სახლკარისა და ქონების დაპატრონება. ალაგირზე პირველი თავდასხმა ოსთა შეიარაღებულმა რაზმებმა 1919 წლის 6 იანვარს მოაწყვეს, მაგრამ ქართველებმა წითელ გარნიზონთან ერთად უკუაგდეს ისინი. მეორე თავდასხმის მოგერიება კი შეუძლებელი შეიქნა: 1919 წლის 11 იანვარს მრავალრიცხოვანი შეიარაღებული რაზმები შეიჭრნენ ალაგირში და საშინელი ხოცვა-ჟლეტა მოუწყვეს ქართველებს, არ ზოგავდნენ ბავშვებსა და მოხუცებს. 75 წლის ალექსი ლობჯანიძე, პელაგია პოტიომკინა და მისი მცირეწლოვანი შვილები თოკებით შეკრეს, თავიანთ სახლებში ჩაკეტეს, ცეცხლი წაუკიდეს და ისე დაწვეს, ბევრი დახვრიტეს, ბევრს ყელი გამოჭრეს.

სწორედ ამ ამბების შედეგად აიყარა ალაგირიდან 300 ოჯახი და თოვლიან გზას გაუდგა. ბევრი ლტოლვილი გზაში დაიღუპა. თავდამსხმელებმა დაწვეს სახლები, გაანადგურეს და დაიტაცეს სურსათ-სანოვაგე, წაიყვანეს საქონელი, გაძარცვეს ეკლესია, თავდამსხმელთა უმრავლესობა ქართველთა მიერ მიტოვებულ ბინებში მოკალათდა, მათ ჭირნახულსაც დაეუფლა. კანონიერი მეპატრონეებისათვის სახლ-კარი შემდეგაც არ დაუბრუნებიათ[67].

 აი ამ ლტოლვილებზეა საუბარი ვ. ი. ლენინისა და გ. ვ. ჩიჩერინის 1920 წლის 18 დეკემბრის დეპეშაში. ი. ვ. ანდროპოვის სახელზე გაგზავნილი საჩივრის ავტორებმა კი ეს ფაქტი სრულიად გაუკუღმართებულად წარმოაჩინეს.

ალაგირელი ქართველების ტრაგიკული ისტორიის ცოდნას გარკვეული მნიშვნელობა აქვს საქართველოსა და ოსეთის ურთიერთობათა ზოგიერთი ჩრდილოვანი მხარის სრული წარმოდგენისათვის (ს. რეხვიაშვილი), ჩვენც მხოლოდ ამ მიზნით მოვიხსენიეთ ეს აღმაშფოთებელი ფაქტი, რაც მუდამ შავ ლაქად დარჩება ქართველი და ოსი ხალხების ურთიერთობათა ისტორიაში. აქაც საჩივრის ავტორებმა გვაიძულეს.

გარდა აღნიშნულისა, საჩივარი ბევრ შეუსაბამობას შეიცავს, მაგრამ როგორ დავღალოთ მკითხველი ისეთ საყოველთაოდ ცნობილ ფაქტებზე საუბრით, როგორიცაა, მაგალითად, რომ:

— 1920 წელს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების მიერ სამხრეთ ოსეთის აჯანყების ჩაქრობის შემდეგ ჩრდილო ოსეთში გადავიდა არა 75000 სამხრეთელი ოსი ლტოლვილი, არამედ დაახ-

---

67 დაწვრ. იხ. ს პ ა რ ტ ა კ რ ე ხ ვ ი ა შ ვ ი ლ ი ს სტატია «ალაგირელ ქართველთა ტრაგედია», რომელიც «სახალხო განათლების» 1929 წლის 18 ოქტომბრის ნომერში გამოქვეყნდა.

ლოებით 20000 (იხ. Известия Ю.—Осетинского научно-исследовательского Института краеведения, Выпуск II, Сталинир, 1935, с. 122, 127 და სხვ.).

— სამხრეთ ოსეთი საქართველოს შემადგენლობაში შედიოდა მუდამ და საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახკომსაბჭოს 1922 წლის 20 აპრილის დეკრეტმა ეს მხოლოდ დაადასტურა;

— „ჩვენი სახელმწიფოს ცენტრში" იმ დროს მყოფი ქართველი ხელმძღვანელი მუშაკები (ალბათ ი. ბ. სტალინსა და გ. კ. ორჯონიკიძეს გულისხმობენ) ოსთა და საერთოდ არაქართველთა უკანონო პრეტენზიებსაც კი უფრო მეტი პატივისცემით ეპყრობოდნენ, ვიდრე ქართველთა სამართლიან მოთხოვნებს.

— ედუარდ შევარდნაძე თავის 1979 წელს გამოცემულ წიგნში, როცა საბჭოთა ხელისუფლებისათვის «საქართველოს მშრომელთა ბრძოლაზე» ლაპარაკობს, რასაკვირველია, სამხრეთ ოსეთის მშრომელებსაც გულისხმობს. ის სავსებით სწორად მიუთითებს, რომ საქართველოში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობებს აქვთ საშუალება მშობლიურ ენაზე მიიღონ განათლება.

— საგაზეთო ცნობა იმის თაობაზე, რომ როქის ავტოტრასამ (ტრანსკავკასიის ავტოსტრადა) ჩრდილო ოსეთი საქართველოსთან დააკავშირა, არ შეიძლება ქართული „შოვინიზმისა" და „ანტიოსური პოლიტიკის" გამოვლინებად მივიჩნიოთ, რადგან სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი საქართველოს ნაწილია (ე. ი. იგივე საქართველოა) თუმცა, ცხადია, არც ის იქნებოდა შეცდომა, თუ დაწერდნენ, ამ ავტოსტრადამ ჩრდილოეთ ოსეთი სამხრეთ ოსეთთან დააკავშირაო.

— 1926 წლის აღწერით სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში ცხოვრობდა არა 130 000 ოსი (ანუ მოსახლეობის 81%), როგორც საჩივრის ავტორები წერენ, არამედ 60 351 ოსი (მოსახლეობის 69.1%) და 23 538 ქართველი (მოსახლეობის 26,9%).

კმარა. ქართველი ხალხის მიმართ საჩივარში წამოყენებულ უსაფუძვლო ბრალდებებზე უფრო ფართო მსჯელობა ცალკე საუბრის თემად მივიჩნიოთ. ამჟამად ჩვენი მთავარი ამოცანაა იმის დადასტურება, რომ რუსეთის სფს რესპუბლიკაში სამხრეთ ოსეთისა და ჩრდილოეთ ოსეთის გაერთიანების საკითხი გარკვეულმა ძალებმა, როგორც ზემოთ ვნახეთ, ჯერ კიდევ 1983 წელს (იქნებ ადრეც) დააყენეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის წინაშე. ასე რომ თანამედროვე ადამონნიხასელები ამ ძალთა სულიერი მემკვიდრენი არიან.

დიახ, ასეთ პრობლემებზეც გვიხდება დღეს საუბარი, სამწუხაროდ 20-იანი წლების ქართული საზოგადოებრივი აზრი თითქოს წინასწარ გრძნობდა მომავალ გართულებებს. მან ხომ თავიდანვე საქართველოს ტერიტორიის მთლიანობის ხელყოფად აღიქვა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ხელოვნურად ჩამოყალიბება, რესპუბლიკის ტერიტორიაზე სხვა ავტონომიური

ერთეულების შექმნა. თუმცა იგი ტრადიციას არ ღალატობდა და აუცილებლად მიიჩნევდა საქართველოში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობათა თუ ეთნიკური ჯგუფების უფლებათა დაცვას, მათ სამართლიან ეროვნულ-კულტურულ მოთხოვნათა დაკმაყოფილებას. მაგრამ არც იმის დავიწყება შეიძლება, რომ ცივილიზებულ საზოგადოებაში ეროვნულ უმცირესობებს უფლებებთან ერთად გარკვეული მოვალეობებიც უნდა ჰქონდეთ. ქართველ ხალხს არასოდეს არ უნდა მოეშალოს თავის გასაჭირში ეროვნულ უმცირესობათა თანადგომის იმედი. ეროვნული უმცირესობები კი ქართველ ხალხში მათს ქომაგს, დამცველსა და მფარველს უნდა ხედავდნენ. ეს უნდა იყოს ჩვენი ხალხების ურთიერთობის ამოსავალი წერტილი, რაც ყველამ უნდა შევიგნოთ. აქ ისტორიამაც ბევრი რამ უნდა გვასწავლოს. ისტორიის გაკვეთილები კი იმას მოწმობენ, რომ საბოლოოდ გონიერება იმარჯვებს უგუნურებაზე. ზღვარგადასული ემოციები როცა იქნება ჩაცხრება. ჩვენმა ხალხებმა კი ერთად უნდა იცხოვრონ. სხვა გზა არა გვაქვს. ჩვენ თავს ჩვენ თვითონ უნდა მოვუაროთ. სხვის იმედზე ყოფნა მდგომარეობიდან საუკეთესო გამოსავალი როდია. ურთიერთდათმობა, კომპრომისი, მიტევება და შერიგება, — აი რამ უნდა გადაგვარჩინოს და კვლავაც დაგვაახლოვოს. ამაში უთუოდ დაგვეხმარება მართალი ისტორიის ცოდნა. უნდა ვიცოდეთ, თუ ვის, როდის, ვის მიმართ რა ცოდვა აქვს ჩადენილი. ისტორიული მეხსიერება მერმისის განჭვრეტასა და სამომავლო გაკვეთილების გამოტანას გაგვიადვილებს. მაგრამ ისტორიიდან მხოლოდ ის უნდა ავიღოთ, იმას მივაქციოთ განსაკუთრებული ყურადღება, რაც გვაახლოებს ერთმანეთთან. ისტორიკოსის მთავარი ამოცანა ეს უნდა იყოს. თუმცა, სამწუხაროდ, ამ ნაშრომში ქართველ და ოს ხალხთა ურთიერთობის ნეგატიურ მხარეებზე მოგვიხდა საუბარი. მკითხველი ალბათ დარწმუნდა, რომ ჩვენ მხოლოდ თავს ვიცავთ, ვუპასუხებთ, ვცდილობთ მიუკერძოებლად და დოკუმენტურად დავასაბუთოთ უსაფუძვლობა ქართველი ხალხის მიმართ წამოყენებული ბრალდებებისა. აბა, როგორ არ უნდა ვთქვათ, მაგალითად, რომ სისასტიკე, რომელიც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებულმა ძალებმა გამოიჩინეს 1920 წელს ოსთა აჯანყების ჩაქრობისას, გაპირობებული იყო კიდევ უფრო ულმობელი სისასტიკით, რომელსაც აჯანყებული ოსები იჩენდნენ ქართველთა მიმართ 1918—1919 წლებში. ასეთი ულმობლობის გამართლება არასაკადრისია კლასობრივი ბრძოლის თვალთახედვითაც. იგი ახალ კონფრონტაციამდე მიგვიყვანს.

საქართველოში მცხოვრები ეროვნული უმცირესობებისა თუ ეთნიკური ჯგუფებისათვის ძნელი გასაგები არ უნდა იყოს, რომ ქართველი ხალხი არასოდეს შეურიგდება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევას, ქართული მიწა-წყლის მიტაცებისა და სხვა სახელმწიფოსთან მიერთების მცდელობებს. ვინ ვინ და მათ ხომ კარგად იციან საქართველოს ეთნიკური და დემოგრაფიული სიტუაცია, არც ის არის ძნელი მისახვედრი, რომ სწორედ ამ

სიტუაციის გამო ქართველ ხალხს უკანდასახევი გზა აღარ აქვს. „მიდიხართ ამოდენა გზაზე სამხრეთ საქართველოსკენ, აქეთ-იქიდან საუკეთესო მინდვრეში, ველებია გადაშლილი, სოფლიდან სოფელში შედიხართ... გარშემო კი ქართულ მიწაზე ერთი ქართული სახლი არ მოიძებნება, ერთი ქართველი არ შეგხვდება, ერთი ღერი ქართული არ ისმის...“ (ირინა ტალიაშვილი). გულისშემძვრელია ეს ვითარება. ისიც ცხადია, რომ ამ რეალობამაც განაპირობა ქართული ეროვნული მოძრაობის აღმავლობა. შეცდომა, საბედისწერო შეცდომა იქნება, თუ ჩვენი ეროვნული უმცირესობები დაუპირისპირდებიან ამ მოძრაობას. ამით საერთო მტრის საქმე გაკეთდება. ქართული ეროვნული მოძრაობის პროგრამაში კი თვალსაჩინო ადგილი უნდა დაიკავოს რესპუბლიკაში მცხოვრები ყველა ხალხის ეროვნულ-კულტურულ სამართლიან მოთხოვნათა დაკმაყოფილებისათვის საქმიანმა ზრუნვამ.

ყველაფერი ისე უნდა გავაკეთოთ, რომ მომავალმა არ დაგვძრახოს. ვიფიქროთ, ყველამ ვიფიქროთ ამაზე. გაგებით მოვეკიდოთ სხვათა გასაჭირსაც. დღეს არავის არ ულხინს. ჩვენი გაჭირვება, უმთავრესად, ავტორიტარიზმის, მბრძანებლურ-ადმინისტრაციული სისტემის ტოტალიტარული ბატონობის ეპოქამ მოიტანა. ნუ დავადანაშაულებთ ამაში რუს, ქართველ, აფხაზ, ოს თუ სხვა ხალხებს.

ნუ გვიწყენს ნურავინ, თუ ქართველი ხალხი მტკიცედ მოითხოვს, რომ საქართველოში მცხოვრებმა ეროვნულმა უმცირესობებმა პატივი სცენ ქართულ კულტურას, ისტორიას, ტრადიციებს, იზრუნონ რესპუბლიკის სახელმწიფო ენის — ქართული ენის დაუფლებისათვის.

ქართველი ხალხი იმასაც მოითხოვს, რომ არაქართველებით დასახლებული ქართული მიწა-წყალი არ გადაიქცეს ქართველთა და არაქართველთა დენაციონალიზაციის კერად. და ეს არავის არ უნდა აღიზიანებდეს...

ერთი სიტყვით, უნდა ვაღიაროთ, რომ ეროვნული საკითხი ჩვენში ახალ გადაწყვეტას ელის. ეს არც არის გასაკვირი. ბუნებრივია, რომ წითელი არმიის მიერ ძალდატანებით გასაბჭოებულ საქართველოში იგი სამართლიანად ვერ გადაწყდებოდა. ამასთან დაკავშირებით, ვფიქრობთ, მკითხველისათვის ინტერესს მოკლებული არ იქნება ი. ბ. სტალინის აზრი, რომელიც მან. რკპ(ბ) XII ყრილობის მიერ შექმნილი ეროვნული საკითხის სექციის სხდომაზე გამოთქვა 1923 წლის 23 აპრილს. ლენინის (იგი სხდომას არ ესწრებოდა), ხოჯაევის, რაკოვსკის, ტროცკისა და სხვათა საპასუხოდ სტალინმა ამ სხდომაზე განაცხადა:

> «...Тут говорили, что я мастер по национальным вопросам. Товарищи, я должен сказать, что никогда я на это звание не претендовал. Я дважды отказывался от доклада по национальному вопросу и оба раза мне единогласно приказывали делать доклад. Я скажу, что я несведущ в этих делах,

кое-какие знания я имею в этом вопросе, но мне это надоело хуже горькой редки. Почему это обязательно Сталин должен делать доклад. Где это написано. Почему он должен отдуваться за грехи, которые творятся на местах. Это нигде не написано. Однако мне приказали и в качестве подневольного человека, я на съезде выступил, как докладчик. Это ответ тов. Ходжаеву...

2-я палата это не то же самое, что Наркомнац. Я два года дрался за уничтожение Наркомнаца и получил отказ. Это орган, ничего не делающий и тормозящий работу. Меня не освобождали от наркомства. Я и здесь был подневольным человеком. Все-таки то, что я предложил, это не есть наркомнац. Наркомнац — комиссариат агитационный, никаких административных прав наркомнац не имеет, а предлагал создать 2-ю палату... Вот узда (2-я палата) против великорусского шовинизма... У тов. Раковского неясность по национальному вопросу. Вы полагаете, что если НКИД в республиках будут упразднены, а на этом настаивает тов. Ленин, чтобы они были слиты (голос: объединены)... извините, никакого союза у нас не будет, если у каждой республики будет свой наркоминдел.

Тов. Ленин забыл, он много забывал в последнее время. Он забыл, что вместе с ним мы принимали основы Союза (голос — он не был на пленуме). Тов. Ленин забыл резолюцию, принятую на октябрьском пленуме о создании союза, где говорится о влиянии 5-ти комиссариатов, объединении пяти и оставлении нетронутыми 6-ти комиссариатов. Это тов. Ленин принял и утвердил. Затем это внесли в ЦК, который тоже это утвердил. Я готов представить любой документ.

Вы скажите прямо, тов. Раковский, что вы против объединения, это я пойму. У Вас сорвалась фраза — конфедерация, Вы не за Союз, а за конфедерацию. Это я пойму. Вы скажите прямо, что Вы требуете того, чтобы в Донбассе руководила не центральная власть, а украинская (Раковский — неправда) .Пока Вы этого не скажете, я Вам отвечать не буду. Относительно конфедерации, я хотел рассказать историю.

Я был на фронте, на Юге, тов. Ленин перед 2-м конгрессом Коминтерна прислал свой проект по национальному

вопросу и просил меня отозваться, также как и других. Там говорилось, что мы, Коминтерн, будем добиваться федерирования национальностей и государств. Я тогда сказал, это все хранится в архивах ЦК, — не пройдет это. Если Вы думаете оставаться в рамках федерирования национальностей старой России, — это еще понятно, но если Вы думаете, что Германия когда-либо войдет к Вам в федерацию на правах Украины, — ошибаетесь. Если Вы думаете, что даже Польша, которая сложилась в буржуазное государство со всеми атрибутами войдет в состав Союза на правах Украины, — ошибаетесь. Это я говорил тогда. И тов. Ленин прислал грозное письмо — это шовинизм, национализм, нам надо Центральное мировое хозяйство, управляемое из одного органа.

Старый ленинист Раковский склоняет и спрягает фамилию товарища Ленина, но не мешало бы ему посмотреть кое-какие документы о конфедерации. Вы, товарищ Раковский, должны знать, что по вопросу о конфедерации даже в рамках международных, тов Ленин стоял решительно против...

Нельзя обижать националов, нельзя поляка называть полячком, туркестанца называть татарской лопатой, нельзя грузина назвать капказским человеком. Да, поляка нельзя назвать полячком, а ковырять Польшу штыком можно? Прощупать Польшу штыком можно? Оказывается, что с точки зрения национального самоопределения это сделать можно. Нельзя туркестанца назвать татарской лопатой, хорошо, оставлять там войска русские можно? Тов. Троцкий сказал кусочек правды. Но не всю правду, а вся основа в этом. Нельзя (გაურკვეველი სიტყვა—ლ. თ.) человека назвать капказским человеком, а оставлять там войска с точки зрения национального самоопределения можно? Нельзя бухарца назвать — я даже не знаю как его назвать — но вводить туда свои войска можно? С точки зрения определения прав национальностей этого делать нельзя. В чем же дело? В том то и дело, что в национальном вопросе есть свои пределы. Это важный вопрос, но есть другой более важный вопрос, о власти рабочего класса. Вот в чем дело. Мы обязаны проводить в жизнь принцип самоопределения народов, безусловно, но кроме этого есть право рабочего класса на свою власть...

Вы должны честно и открыто сказать всем националам (национал, кажется, теперь ругательное слово), что мы иног-

да вынуждены идти против права самоопределения национальностей, против их интересов, за сохранение рабочими своей власти.

В этом не вина, а беда наша. И те, которые здесь охотно раздают обещания, должны это сказать честно, что мы нарушаем право на самоопределение и не можем не нарушать. Ибо вопрос национальный есть подчиненный вопрос в отношении к вопросу рабочему. Вам нужны цитаты из книги тов. Ленина? Я могу представить сколько угодно цитат. Национальный вопрос у тов. Ленина есть вопрос подчиненный высшему вопросу — рабочему вопросу. ...к поправке тов. Троцкого я вношу дополнение — чтобы начать формирование национальных частей, грузинских, армянских, азербайджанских, украинских и т. д. Нельзя, конечно, торопиться, так как было в Грузии, но начать это дело постепенно и подсечь основу недовольства в республиках, которое там имеется, выведя наши войска. Первое требование самоопределения — это вывод войск. Сейчас мы себе этой роскоши позволить не можем. Вот в чем беда. Если вывести войска из Грузии, туда войдут турки, пострадает революция»[68].

ძვირფასი დოკუმენტია. იგი ერთხელ კიდევ გვიდასტურებს, რომ ი. ბ. სტალინს XII ყრილობაზე „უჭირდა". მის ველიკორუსულ პოლიტიკას „ნაციონალები" დაუპირისპირდნენ. ი. ბ. სტალინის მოწინააღმდეგეთა შორის მთავარი ადგილი ეჭირა ქართველ კომუნისტთა ერთ ჯგუფს, რომელსაც მაშინ ვ. ი. ლენინიც უჭერდა მხარს. ვ. ი. ლენინს ამ დროს უკვე დაწერილი ჰქონდა ცნობილი ნაშრომი „ეროვნებათა საკითხისათვის ანუ «ავტონომიზაციის» შესახებ". ამ ნაშრომსა და ვ. ი. ლენინის სხვა ბოლოდროინდელ დოკუმენტებში მკაცრადაა გაკრიტიკებული ი. ბ. სტალინი, ფ. ე. ძერჟინსკი და გ. კ. ორჯონიკიძე. ვ. ი. ლენინი მათ „გარუსებულ სხვატომელებს" უწოდებს და ბრალსა დებს ეროვნებათა მიმართ ველიკორუსული სულისკვეთების გამოვლინებაში. ი. ბ. სტალინისათვის ყველაფერი ეს ცნობილია. მან თავი უნდა იმართლოს. ამიტომ იგი იძულებულია ყველაფერი ბოლომდე თქვას და შეულამაზებლად წარმოაჩინოს საბჭოთა კავშირში ეროვნული საკითხის გადაწყვეტის პრაქტიკა. ი. ბ. სტალინი აღიარებს და მარქსისტული დოქტრინის საფუძველზე ამართლებს კიდეც, რომ რევოლუცია ზოგჯერ იძულებულია არათუ პატივი არ სცეს ერთა თვითგამორკვევის უფლებას, არამედ გაილაშქროს კიდეც მის წინააღმდეგ. ი. ბ. სტალინი ვ. ი. ლენინსაც გადასწვდა. საქმეში ჩახედული მკითხველი უთუოდ მიხვდება, რომ ი. ბ. სტალინის მიერ დამოწმებული სიტყვები, პოლო-

---

68 მლი ცპა, ფ. 50, აღწ. 1, საქ. 48, ფურც. 59—67.

ნელის, ქართველის, თურქესტანელისა თუ სხვა ხალხების წარმომადგენელთა ეროვნული ღირსების შელახვის დაუშვებლობას რომ ეხება, ვ. ი. ლენინს ეკუთვნის (იხ. ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 36. გვ. 692). ი. ბ. სტალინიც, რასაკვირველია, დაუშვებლად მიიჩნევს „ნაციონალთა“ სიტყვიერ შეურაცხყოფას. აქ ის ეთანხმება ვ. ი. ლენინს. მაგრამ ამასთან იგი აღნიშნავს, რომ „ნაციონალთა“ ეროვნული ღირსების, მათი უფლებების უფრო მეტი შელახვა სწორედ მაშინ მოხდა, როცა წითელი არმია პოლონეთს ხიშტით შიადგა, საქართველოსა და თურქესტანში კი დაუპატიჟებლად შევიდა და დარჩა. აქვე უნდა ითქვას, რომ ი. ბ. სტალინი როდი გმობს წითელი არმიის ნამოქმედარს. პირიქით, იგი ვ. ი. ლენინთან და სხვებთან ერთად, თვით გახლდათ დასახელებული ქვეყნების მიმართ წითელი არმიის მიერ განხორციელებული აქციების ერთ-ერთი სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი. ი. ბ. სტალინმა უბრალოდ ის დაადასტურა, რომ ერთიც დაუშვებელია და მეორეც, მაგრამ სხვა გამოსავალი არა გვაქვსო...

სხვა გამოსავალი მაშინ ვერ „იპოვეს“. იგი მალე უნდა გამოინახოს.

•
• •

აქვე მკითხველს დ ა ნ ა რ თ ი ს სახით ეთავაზობთ რამდენიმე დამახასიათებელ მასალას (ზოგჯერ ურთიერთსაწინააღმდეგო) 1918 და 1920 წლების ქართულ პრესაში გამოქვეყნებული ზოგიერთი სტატიიდან, რომლებიც, ვფიქრობთ დაეხმარება მას სამხრეთ ოსეთის აჯანყებათა ხასიათის გარკვევაში.

**გაზეთი „საქართველო“. 1918 წლის 23 მარტი. შ. ამირაჯიბის სტატიიდან „ცხინვალის ფრონტი“.**

„...ჩვენი ხელმძღვანელი წრეები ჯერ კიდევ ანგარიშს არ უწევენ იმ მთავარ მოვლენას, რომელმაც რევოლუციის ხაზი მოზნიქა ჩვენში და სხვა მიმართულება მისცა მას. არ უწევენ ანგარიშს იმას, რომ კავკასიაში უკვე მოხდა კოლიზია რევოლუციონური სულისკვეთებისა და დროშა რევოლუციისა ის აღარ არის უკვე, რომელსაც მივდევდით ჩვენ რევოლუციის პირველ ნახევარში. მთელი ტრაღედია ქართველი დემოკრატიისა იმაში გამოიხატება, რომ იმ დროს, როცა ქართველი დემოკრატია ისევ სოციალური რეფორმების და დემოკრატიზმის ნიადაგზე სდგას, სხვა დანარჩენი ერები კავკასიისა ნაციონალურ პოლიტიკას აწარმოებენ. ასეთია მდგომარეობა ამიერკავკასიის აღმოსავლეთ ნაწილში და ასეთი სურათი იშლება დღეს საქართველოშიც. ის. რაც მოხდა თათარ-სომეხთა შორის, უნდა მომხდარიყო საქართველოშიც — ამის მაჩვენებელია სწორედ ცხინვალის ამბებიც. შეეძლო განა ოსობას, მომწყვდეულს საქართველოს ჩრდილოეთ მაღლობზე, ადრე თუ გვიან არ გაეზიარებინა ის გეზი პოლიტიკისა, რომელსაც იზიარებენ დღეს ყველა ერები ჩვენში, გარდა ქართველებისა, პოლიტიკა წაგლეჯისა. აი, რა არის დღევანდელი ლოზუნგი და ოსებმაც აშკარად განაცხადეს: ცხინვალი ჩვენია, საქართველოს მაღლობი — ოსეთია! . . . თვით ჩვენ დროშიც, რევოლუციისა და ერთა თვითგამორკვევის ხანაში, ეს იდეა ავაზაკურ იდეათ დარჩება. ჩაუფიქრდით ამ იდეის ბუნებას. ჩვენ არ ვიცით საქართველო უფრო ქართული, ვიდრე ის ადგილი საქართველოსი, სადაც ამჟამად ოსები სცხოვრობენ. ეს არის ზურგი საქართველოსი, მისი ხერხემალი... ჩვენ გვსმენია მრავალი პოლიტიკური ფანტაზია, მაგრამ ოსეთის სახელმწიფო საქართველოში — არა. მაგრამ ჩვენ არავითარი საბუთი არა გვაქვს ვიფიქროთ, რომ ასეთი სულისკვეთება ძირიანად შეცვლილი არ არის დღეს ოსებში და ისინი საფუძვლიანად არ ისწრაფიან თავიანთა „იდეალების“ განხორციელებას. დღეს უკვე აშკარად ლაპარაკობენ, რომ მთელ ამ სამწუხარო ისტორიას დიდი კავ-

შირი აქვს ჩრდილოეთ-კავკასიის უკანასკნელ დროის ამბებთან და, შესაძლებელია, პოლიტიკური იდეალის ტვირთი, რომლის ზიდვა მას არ შეუძლიან, სულ სხვა გარეშე ძალამ აჰკიდა ოსობას. ჩვენ ვცხოვრობთ ისეთ დროს, როდესაც სცდებიან და ავანტიურაში ებმებიან არა მარტო ცალკე პირნი, არამედ მთელი ერებიც. შესაძლებელია უკულტურო და პატარა ერს ადვილად მოეჩვენა ამ ტვირთის ზიდვა და ჩაება ავანტიურაში. თუ არაფერი გამოვიდა და დავმარცხდით, ჩვენ დაგვსჯიან როგორც უბრალო დამნაშავეთ, თუ გამოვიდა — გაუმარჯოს თავისუფალ ოსეთს! აი, როგორ მსჯელობენ, ალბათ, ოსის „პოლიტიკოსნი“. მაგრამ ცხინვალის ამბები საშიში მოჩვენებაა საქართველოს მომავლისათვის და საჭიროა არა მარტო მისი სასწრაფო ლიკვიდაცია, არამედ სიმკაცრეც, რომ იგი არ განმეორდეს“.

**გაზეთი „საქართველო“. 1918 წლის 24 მარტი. სტატიიდან „ცხინვალის ამბები და მთავრობის გამჭრიახობა“ (სტატია ხელმოუწერელია):**

„...საქართველოს შუა გულში მოკალათებული, საქართველოს მიწა-წყალზე დასახლებული ოსობა რევოლუციის დასაწყისიდანვე სცდილობდა საქართველოდან დამოუკიდებელი „ოსეთის“ შექმნას და ჩრდილოეთის ოსეთის შეერთებას. სხვის მიწა-წყალზე საკუთარი სახელმწიფოს დაარსება ჰქონდათ განძრახული. თავისთვის მოიწყვეს მილიციები, კომისარიატები და ყოველივე მართვა-გამგეობა, ჯარი და ეროვნული საბჭო. ეხლა, როცა საქართველოს მდგომარეობა გართულდა და მას ყოველ მხრიდან მტერი ერტყმის, ოსებმა დრო იხელთეს და ჩრდილოეთის ოსების შემწეობით და ბოლშევიკების ფულით ქართველ ერს ომი გამოუცხადეს, რომ დაიჭირონ და დაიმკვიდრონ ცხინვალი და ყველა ის კუთხეები, სადაც ოსების მოსახლეობა არის გარეული ქართველობაში. მაგრამ ჩვენი მთავრობისა და სოციალ-დემოკრატიული პარტიის ბელადებისათვის მემამულეთა წინააღმდეგ ამბოხებისა და ბოლშევიკ სალდათების აჯანყების გარდა არა არსებობს რა. აქედან ცხადია, როგორი იქნება მთავრობის პოლიტიკა ცხინვალის აჯანყების შესახებ. დამარცხებული ოსები ამიერ-კავკასიის მთავრობას დაემორჩილებიან. მათ მიტინგებს გაუმართავენ და მეთაურებს დარიგებას მისცემენ. ოსები კი განაგრძობენ თავის ეროვნული მიზნების განხორციელებას — საქართველოში „დამოუკიდებელი ოსეთის“ აშენებას. საქართველოს საუკეთესო მიწები მათ მუქთად ეძლევათ. ქართველ ხალხს არც ერთს კუთხეში არ ხვდება იმდენი საუკეთესო მიწები, რამდენიც მათ უჭირავთ, მაგრამ მათ ესეც არ აკმაყოფილებს და არც არის გასაკვირველი, რომ უპატრონო ქვეყანას ასე თავხედურად ეპატრონებიან“.

**გაზეთი „ერთობა“. 1918 წლის 24 მარტი. ცხინვალის ამბების თვითმხილველის კირილე ნინიძის (ამიერკავკასიის სეიმის წევრ გიორგი გაგლოევთან ერთად არეულობის დროს ცხინვალში იმყოფებოდა) სტატიიდან „არეულობა ცხინვალის რაიონში“:**

„...2. ს ა დ ა რ ა ჯ ო  პ ო ს ტ თ ა ნ. ტყვიავში და განსაკუთრებით ტირძნისში, შეიარაღებული ჯარისკაცები დაგვხვდნენ. ისე დადიოდნენ ხიშტიანი თოფებით, გეგონებოდათ საომრად აპირებენ წასვლასო. ტირძნისში (ცხინვალამდე 7 ვერსია) გვითხრეს: ცხინვალს გასაჭირი ადგომია, შეგვიძლია ასი შეიარაღებული კაცი გაგატანოთ საშველადო. ჩვენ მადლობა გადავუხადეთ და გზას გავუდექით. ის იყო სამი ვერსით დავუახლოვდით ცხინვალს, რომ იმ ადგილას, სადაც მატურებია, შეიარაღებული ჯარისკაცები დავინახეთ სათრებში ჩამსხდარნი, საფრიდან ორი სალდათი გამოხტა. გაგვაჩერეს და ბოდიშის მოხდით გაგვჩხრიკეს. ერთმა გაზეთი გვთხოვა და გაგლოევმაც „საქართველო“ დაუტოვა, დაიძრა თუ არა ფაიტონი, იქვე ახლო სანგრებიდან სხვა სალდათები გამოვიდნენ და იმათაც გაგვაჩერეს. ჯერ იმათაც ბოდიშის მოხდით დაგვიწყეს ჩხრეკა, მაგრამ მალე კიდევ გაჩნდა ორი სალდათი (როგორც ლაპარაკზე შევატყვე, ოსები უნდა ყოფილიყვნენ) და ჩვენს კეთილ განწყობილებაში სრული დისონანსი შეიტანა. რატომღაც მე არ მოვეწონეთ და თითის დაქნევით ფაიტონიდან ჩამოსვლა მიბრძანეს. სახეზე რაღაც ბოროტი განზრახვა ეხატებოდა. გაგლოევმა მოინდომა საქმის გამოკეთება და სეიმის წევრობის მოწმობა ამოიღო. ამან ცეცხლზე ნავთი გადაასხა, ის ხახნავებში გადაიყვანეს, ჯაშუში ყოფილხარო, უთხრეს და შემდეგ მეც ჩამომაბრძანეს ფაიტონიდან, ისინი ოსურად ლაპარაკობდნენ და გაგლოევის სახეზე ამოვიკითხე, რომ ჩვენი დახვრეტა უნდოდათ. დიპლო-

მატობა საჭირო აღარ იყო და მე პირდაპირ ვკითხე გაგლოევს მგონი მოკვლას გვიპირებენ-მეთქი, რაც მან თავის დაქნევით დაადასტურა, ჩვენ მათ „რეჩით“ მივმართეთ, ავუხსენით, რომ ჩვენი მოკვლა არ არის ვაჟკაცობა და სხვა ასეთები. ჯერ უკან მოაბრუნეს ფაიტონი, მაგრამ შემდეგ უკან დაბრუნებაც აგვიკრძალეს. გვეუბნებოდნენ: რისი გეშინიათ, ჩვენ არ მოგკლავთ, მხოლოდ სოფელში ჩაგიყვანთო. ცხინვალში მაინც რა გინდათ, იმათთან ჩვენ ბრძოლა გვაქვს, დღეს საღამოს შევალთ და ყველას ამოვხოცავთ და ვერც თქვენ გადარჩებითო. როცა ბრძოლის მიზანი გამოვკითხეთ, გვითხრეს **თავადები და წითელი გვარდია შეერთდენ და ხალხს ეპრძვიანო** (ხაზგასმა ჩვენია — ლ. თ.). ცხადია, ჩვენ გორში დაბრუნება ვარჩიეთ, მაგრამ ისინი სოფელში გვეპატიჟებოდნენ. ბოლოს ორმა სალდათმა „გვიხსნა“ — ერთი ოსი იყო და ერთიც ქართველი — იმათი რჩევით ცხინვალში წასვლის ნება მოგვცეს, ის იყო ადგილიდან დავიძარით, რომ ერთმა სალდათმა ჩვენი თვალის წინ გადასჭრა ტელეგრაფის მავთული, აშკარათ ვიგრძენით, რომ გალიაში მივდიოდით, მაგრამ სხვა გზა არ იყო: სალდათებთან „სტუმრათ“ ყოფნას, ისევ ჩვენს ამხანაგებთან სიკვდილი გვერჩია და ცხინვალში შევედით“.

„3. მ ი ტ ი ნ გ ზ ე. პირდაპირ მიტინგზე გავეშურეთ. ხუთი საათი იქნებოდა, ის იყო მაჩაბელი რეზიუმეს უკეთებდა სხვების ნალაპარაკევს, უკანასკნელი სიტყვა მე მეკუთვნისო თქვა. მეტი არ იქნება ამ სახალხო გმირის სიტყვების მოყვანა. „ამხანაგებო“, თქვა მან: 1905-ში გადაწყვეტილი მქონდა სიკვდილი და შემთხვევამ სიცოცხლე მაჩუქა. მას შემდეგ ჩემი სიცოცხლე ერთგვარი საჩუქარია. მე სიკვდილის არ მეშინია, მაგრამ მომეცით ნება იქ მოვკვდე, სადაც ეს საჭიროა, გამიშვით ისევ აწყურის პოსტზე. რაც შეეხება თქვენს მოთხოვნებს — მიმართა მან დელეგატებს — იმას ჩვენ სავსებით ვღებულობთ. აი, ეს მოთხოვნები: თქვენ ითხოვდით გორის მაზრიდან თავადაზნაურების გაძევებას, მაგრამ შემდეგ ჩვენ დავეთანხმეთ ერთმანეთს, რომ ასეთ დადგენილებისათვის ქვეყანა სასაცილოთ აგვიგდებდა. ეს კითხვა ხომ მოეხსენით. მართალია, მართალიაო შესძახეს აქეთ-იქიდან. მეორე თქვენი მოთხოვნაა — ხარებოვის და სხვების განთავისუფლება — ესეც ადვილი საქმეა, მესამე — ყაზიშვილის, ილ. მაისურაძის, გოგინოვის და კიდევ ერთის აქედან წაყვანა — ამასაც ვასრულებთ, რაც შეეხება იმას, რომ სიტყვის თავისუფლებას, იარაღის გადაცემას აღმასრულებელი კომიტეტების განკარგულებაში — ეს ხომ ჩვენი დიდი ხნის სურვილიაო. მოკლე სიტყვით მიმართა დამსწრეთ გიორგი გაგლოევმა. თუმცა კამათი შეწყვეტილი იყო და სიტყვა მომცეს მე, როგორც მუშათა ცენტრის წევრს, მაგრამ ტრიბუნაზე აიჭრა რაიონის კომისარი კულუმბეგოვი და გაცხარებით წარმოთქვა: კმარა ლამაზი სიტყვები და დაპირებები, საქმე ასრულებაო. ყველაფერი აირია. ავედი და დავიწყე ლაპარაკი, მინდოდა მდგომარეობა გამომეკეთებია, მაგრამ მოულოდნელათ გორაკებიდან თოფების სროლა ატყდა და ხალხი დაიფანტა. უცებ მომაგონდა სალდათების ნათქვამი, ცხინვალში მივალთ და ყველას ამოვხოცავთო, დავუპირდაპირე ამას მავთულის გადაჭრა, ახირებული მოთხოვნილებები და მთავრობის წარმომადგენლის კომისარ კულუმბეგოვის სიტყვები და საბოლოოთ დავრწმუნდი: რა ოსტატურათ გაებათ ვიღაცეებს პროვოკაციის ქსელი, რომლის ნაყოფიც მალე ვიგემეთ“.

„...გადავსწყვიტეთ ტყვეების დაკითხვა, რომ გაგვეგო, რა ხალხი გვებრძოდა. რასაკვირველია, მტერი სიმართლეს არ გვეტყოდა, მაგრამ მაინც ბევრი რამ გავიგეთ. დაჭერილებმა არაფერი იცოდენ იმ მოთხოვნილებების, რომელსაც ზემოთ გავეცანით. დაჭერილების უმრავლესობას ოსები შეადგენდენ, მაგრამ იყვნენ ქართველებიც. ხელმძღვანელობდა ვინმე ხასიევი, სამხედრო პირი, მოსულები იყვნენ შორეულ სოფლებიდან. **ზოგისთვის ეთქვათ ცხინვალს თათრები შემოესიენ და საჭიროა დაცვაო, ზოგი კი თავადების და გვარდიელების წინააღმდეგ საბრძოლველათ წამოსულიყო. რა აზრისაც არ უნდა ვიყოთ ამათ ჩვენებას შესახებ, ერთი რამ უცილობლო იყო: გვებრძოდენ და არაფერი იცოდენ იმ მოთხოვნილების შესახებ, რომელიც დელეგატებმა წამოგვიყენეს“** (ხაზგასმა ჩვენია — ლ. თ.).

„8. ო ს ი შ ა ვ ლ ე გ. სამისნახევარზე იძულებული გავხდით ჩვენი შტაბი მიგვეტოვებია და ერთი სომხის სახლში გადავსულიყავით... მალე სროლა აუტეხეს ჩვენი სადგომის ზედა

საროულს. სროლის შემდეგ ალაყაფის კარებს მოადგენ და ჩვენც იძულებული ვიყავით მივგებებოდით. ჩვენი დანახვა და „დავხვრიტოთო“ ერთი იყო... მაგრამ ჩვენს გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა ერთი ხიშტიანი სალდათი მოიჭრა ჩვენთან და ჩემი გვარი ახსენა. ეს იყო ოსი შავლეგ კოჟაევი. ერთხელ შენ გადამარჩინე, ახლა მე უნდა გადაგარჩინოვო. ამ ოთხი წლის უკან სასამართლოში 102 მუხლით ასამართლებდნენ, მე მისი უფასო დამცველი ვიყავი და, უშველის ღმერთმა, სამხედრო სასამართლომ ის გაამართლა. აი ამ შავლეგამ გადაგვარჩინა დახვრეტას ხუთი კაცი. ძალიან გაგვეხარდა ასე ადვილად გადარჩენა, მაგრამ ისევ შავლეგამ დაგვაჭწარა სიხარული: ჩვენს შეკითხვაზე, თუ რათ აიღეს იარაღი, შავლეგმა აგვიხსნა: *რა ვქნათ, თავადები და წითელი გვარდია გვებრძვიანო*“ (ხაზგასმა ჩვენია — ლ. თ.).

„9. *მოქალაქენი*. როგორია მოქალაქეთა სულიერი განწყობილება. ჩემს დღეში ისეთი სიძულვილი არ მიგრძვნია ადამიანისადმი, როგორიც ამ დღეებში ვიგრძენი. როცა ჯარისკაცები მოქალაქეთა ქონებას ეზიდებოდნენ, როცა ერთ სახლს ცეცხლი წაუკიდეს და ცხინვალს გადაბუგვა მოელოდა — აუტანელი იყო მათი მდგომარეობა, მაგრამ ჩვენ რას ვეერჩოდნენ: წყევლა-კრულვით გვეგებებოდნენ ქუჩებში. ენა გაუხმეს იმას, ვინც პირველად თავისუფლებაზე დაიწყო ლაპარაკიო. ეს ჩვენ გვეხებოდა. და ამავე დროს ერთი ოსი ამოღებული ხანჯლით მოგვყვებოდა უკან. საკმაო იყო ხანჯალი დაერტყა, რომ სხვა ჯარისკაცები მოშველებოდნენ. მაგრამ ამ შავლეგამ თოფის კონდახით გამოუდგა და ბრბო გაფანტა, ხანჯლიანი ოსიც მოგვაშორა და ერთ ქოხში მიგვიყვანა ლიახვის პირათ... ჯერ კიდევ არ ბნელოდა, როცა გამოვედით. ჯარისკაცები ნატაცებ ნივთებს ეზიდებოდნენ იქით-აქეთ...“

„12 *ჩვენი ნაციონალისტები*. ჩვენი ნაციონალისტები გადაჭრილათ აცხადებენ ცხინვალის ამბებს ოსურ ეროვნულ მოძრაობასთან აქვს კავშირიო. ჩემას ფიქრით ეს შეცდომაა. ოსი ნაციონალისტები რომ მეშაობენ, ეს ცხადია, მაგრამ ხალხი აქ არაფერ შუაშია. იმდენათ ძლიერია ოსებში ინტერნაციონალიზმი, რომ „აჯანყებულებმა“ ცხინვალის დაპყრობის შემდეგ მეთაურათ სოციალ-დემოკრატი აირჩიეს. დეე მარტო სახელს ატარებდეს ის სოციალ-დემოკრატის — ეს სულერთია. ოსების მასას, სხვას რომ თავი დავანებოთ, კარგათ ესმის, რომ ქართველებთან ომით მას ხეირი არ დაეყრება. არ გრძნობენ მხოლოდ ოსი ნაციონალისტები. ეს არც გასაკვირია, როცა ოსებში ჯერ კიდევ ძლიერი გავლენა არ ყოფილა სტრაჟნიკებს და მთავრობის მაშასახლისების. მაინც საინტერესოა, როგორ მოახერხეს ნაციონალისტებმა ამოდენა ხალხის ამოძრავება. საკმაოა თვალი გადავავლოთ დამცემთა შემადგენლობას: მათში ოსებიც არიან და ქართველებიც და თუ ოსობა სჭარბობს, მხოლოდ იმიტომ, რომ ამ რაიონში თითქმის მარტო ოსობა ბინადრობს. და როგორც ოსები, ისე ქართველები ფრონტიდან მოსული ჯარისკაცებია, რომელნიც „ბალშევიზმის“ ძლიერ გავლენის ქვეშ იმყოფებიან. მოკლეთ, რომ ვთქვათ — ცხინვალის აჯანყება — ეს არის ოსი ნაციონალისტების და გახულიგნებული ჯარისკაცების შეერთებული გამოლაშქრება რევოლუციის წინააღმდეგ. ჩვენ საქმე გვაქვს აშკარა კონტრრევოლუციურ გამოლაშქრებასთან და ეს კარგად უნდა დავიხსომოთ“.

**გაზეთი „ერთობა“. 1016 წლის 25 მარტი. სტატიიდან „ოს ინტელიგენტთა საყურადღებოდ (ცხინვალის ამბების გამო)“ (სტატია ხელმოუწერელია):**

„ჩვენი წინაგრძნობა ასრულდა. ცხინვალის ამბები ნაციონალისტებმა თავისებურად გამოიყენეს. ამბობენ ეს ოსეთის აჯანყებააო. ზოგიერთების ფანტაზია ისე შორს წავიდა, რომ ცხინვალის ამბებში თერგის ოლქის და ადგილობრივი ოსების შეერთებული მოქმედება დაინახეს, ასტეხეს განგაში: ოსებს ცალკე ერთეულის შექმნა სურთ, ბარში ჩამოსვლა განუძრახავს და ქართველების მთაში გარეკვას ცდილობენო.

პირველ რიგში, რასაკვირველია, ჩვენებურ ყოფილ თავად-აზნაურთა დამცველი ორგანოები ჩადგენ. „საქართველო“, „ევროპიდენიე“, „ჩვენი რესპუბლიკა“ ერთმანეთს ეჯიბრებიან შეუმოწმებელ ცნობების ბეჭდვაში და სენსაციური აზრების გამოთქმაში. ყოველი რიგიანი ადამიანი, მით უმეტეს გაზეთი, უნდა ცდილობდეს ამ საერთო არევ-დარევას დროს ჭეშმარიტების ძიების გზას არ ასცდეს და არ გაავრცელოს ისეთი ხმები და აზრები, რომელსაც მდგომა-

რეობის გამწვავება შეუძლია, აღნიშნული გაზეთები კი თითქოს განზრახ ხუჭვენ თვალებს სინამდვილეზე და საკუთარი ღვარძლიანი გულისნადები სიმართლედ გამოაქვთ...".

„ცხინვალის მოძრაობა დიდს საფრთხეს წარმოადგენს რევოლუციისათვის და ამიტომ არის, რომ წითელი გვარდია ასე თავგანწირულად იბრძვის მის ჩასაქრობათ, კერძოდ, ჩვენმა პარტიამ თავისი საუკეთესო წევრები შესწირა მის ლიკვიდაციას. დამნაშავენი უნდა აღმოჩენილ იქნან და სასტიკათ დაისაჯონ. დამნაშავეთა რიცხვში უეჭველია, პირველ ადგილს დაიჭერენ ოსი ნაციონალისტები: ისინი ამღვრევენ წყალს, ისინი სთესვენ შურსა და მტრობას ორ მეზობელ ერს შორის. ეს დღეს ცხადია. მაგრამ არანაკლების სისასტიკით უნდა იქნან დასჯილნი ჩვენი ნაციონალისტებიც. ისინი ცდილობენ ქართველ ხალხს თვალები აუხვიონ და ძმათა სისხლი დაანთხევინონ. ასე რომ არ იყოს საიდან გაიგო „საქართველომ", ვითომ ოსობა სამკვდრო-სასიცოცხლო ომს უცხადებდეს ქართველობას. ჩვენ ვიცით, რომ ნაციონალისტების სალა-როში არ მოიპოვება არც ერთი დამამტკიცებელი საბუთი. სამაგიეროთ ისინი ორ დიდ ტყუილს ავრცელებენ. ტყუილია, ის, ვითომ გორის მაზრის ოსობა ჩრდილოეთ კავკასიის ოსო-ბასთან შეერთებას და საქართველოს წინააღმდეგ გამოლაშქრებას ცდილობდეს. ოსთა ყრილო-ბამ და საზოგადოთ ოს გლეხობის მოქმედებამ საკმაოთ დაგვიმტკიცა ეს. ტყუილი და საში-ნელი პროვოკაციაა აგრეთვე ის, ვითომ ოსთაგან ბევრს 100—120 დესეტინა საუკეთესო მიწა ქონდეს, უმრავლესობას კი 30—40 დესეტინა. პირიქით, ოსობის უმრავლესობას სწორეთ უმი-წობა ახრჩობს და ამიტომ შეიძლება გასავალი ექნეს ოს ნაციონალისტების მოწოდებას ბარში შესევისა და იქიდან ქართველების გარეკისადმი. ეს, რასაკვირველია, ფუჭი და მავნე ოცნებაა: არავითარ ძალას არ შეუძლია ბარში მოსახლე ქართველების აყრა, როგორც შეუძლებელია ოსების აყრა და სხვაგან გადასახლება. დემოკრატია შესძლებს ახალი მიწის კანონი ცხოვრე-ბაში გაატაროს და ამ კანონის ძალით განსაზღვრულ ტერიტორიაზე მცხოვრეპი თანასწორათ იქნება დაკმაყოფილებული მიწით მიუხედავად იმისა ოსი იქნება ის თუ ქართველი, რუსი თუ სომეხი.

ნაციონალისტი ყველგან ნაციონალისტია: ოს ნაციონალისტებს სურთ ცხინვალის რაიონი-დან ქართველების გარეკვა, როგორც ქართველი ნაციონალისტები ოცნებობენ საქართველოს საზღვრებიდან ოსების გარეკვას. ისინი ანგარიშს არ უწევენ სინამდვილეს. მაგრამ ხალხი ბრიყ-ვი არ არის. მას აქვს სალი ალღო, ის ინსტიქტით გრძნობს, რომ ნაციონალისტების ავანტიურა დამღუპველია. ამიტომ ჩვენ ეჭვი არ შეგვაქვს იმაში, რომ ოსობა, როგორც ხალხი ცხინვალის არეულობაში მონაწილეობას არ იღებს. აქ, როგორც ვთქვით, მოქმედებენ გახულიგანებული ჯარისკაცები და ოსი ნაციონალისტები. შესაძლებელია ქართველი ნაციონალისტებიც არ აკლებ-დენ ხელს, მაგრამ ამის შესახებ ჯერჯერობით ცნობები არ მოგვეპოვება.

ასეთ მდგომარეობიდან გამომდინარეობს ჩვენი მოქმედების ხაზი. მთელი ჩვენი პარტიული ძალები უნდა აეამუშაოთ, ყველგან მიტინგები და კრებები უნდა გავმართოთ და ხალხს საქმის მდგომარეობა აეუხსნათ. ამას გარდა ენერგიულათ უნდა შევუდგეთ საჭირო რეფორმების გან-ხორციელებას. ეს არის თავი და თავი და არა რეპრესიები, როგორც ჩვენი ნაციონალისტები ფიქრობენ. რასაკვირველია, ვერც რეპრესიებზე ავიღებთ ხელს, მაგრამ რეპრესიები მიმართუ-ლი უნდა იყოს არა ხალხის წინააღმდეგ, არამედ საზოგადოების იმ ნაწილების, რომელნიც ცხოვრების არევ-დარევას უწყობენ ხელს... უნდა დატყვევებულ და დასჯილ იქნან ის ნაციონა-ლისტები, რომელნიც საქმეს რევენ. ასეთი ზომების მიღება საჭიროა როგორც ოსების, ისე ქართველების სოფლებში.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ოსებში მუშაობა გაცილებით უფრო ძნელია, ვინემ ქართულ სოფლებში. ოსებს თითქმის არა ყავს ინტერნაციონალური ინტელიგენცია. ოსების სოფლებში ყოფილი სტრაჟნიკები და მთავრობის ნამამასახლისრები ითვლებიან პირველ კაცებათ.

ამიტომ საჭიროა ენერგიული მუშაობა აწარმოვოს ინტელიგენტების იმ მცირე ჯგუფმა, რომელიც დღეს არსებობს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ სულაც არ არის საჭირო სოციალისტობა იმისათვის, რომ ყალბ გზას ავსცდეთ. ოსის ინტელიგენტებმა უნდა შეიგნონ, რომ ოსების და ქართველების დაპირდაპირება საფრთხეს წარმოადგენს ქართველობისთვისაც, მაგრამ ოსობისათვის პირდაპირ დამღუპველი იქნება. ამიტომ მხოლოდ ნასტრაჟნიკლები და აშკარა პროვოკატორები თუ იცდებიან დღევანდელ პირობებში ოსობაში არეულობის მოხდენას. ყველა შეგნებული და პატიოსანი ოსი ვალდებულია უთხრას ხალხს სიმართლე და ექსცესებში არ ჩააბას ის".

**გაზეთი „რევოლუციური ნობათი". 1918 წლის 27 მარტი:**

„სამხრეთ ოსეთის ეროვნულ საბჭოსაგან".

„ცხინვალში მომხდარ ამბების გამო საზოგადოებაში დადის სხვადასხვა ყალბი ხმები. ამ ხმების მიხედვით ცხინვალის ამბებში ვითომცდა დამნაშავე არიან მხოლოდ ოსები, და ვითომც მოძრაობას აქვს ეროვნული ხასიათი. სამხრეთ ოსეთის ეროვნული საბჭო სთვლის თავის მოვალეობათ აცნობოს საზოგადოებას, რომ იმ ცნობებას მიხედვით, რომლებიც მას ხელთ აქვს, ცხინვალის ამბების გაშუქება სრულებით არ შეესაბამება სინამდვილეს და რომ ის არ მომხდარა ეროვნულ ნიადაგზე.

ამ მოძრაობაში, რომელიც დაიწყო ქართული სოფლიდან, ერედვიდან, მონაწილეობას იღებენ ფრონტიდან დაბრუნებული ჯარისკაცები, როგორც ოსები, ისე ქართველებიც და ისინი მოქმედობენ შეთანხმებულათ ადგილობრივი მემამულეების და მთავრობის აგენტებას წინააღმდეგ და თუ ოსები რიცხვით სჭარბობენ ქართველებს, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ამ რაიონში მოსახლეობენ უმთავრესათ ოსები.

სამხრეთ ოსეთის ეროვნული საბჭო სიამოვნებით ყოველთვის აღნიშნავდა ორი ხალხის ოსების და ქართველების ძმურ განწყობილებას, რომელიც არ დარღვეულა მრავალ ხნობის განმავლობაში და თუ ცხინვალის ამბებს სხვანაირათ აშუქებენ ამის წინააღმდეგ სამხრეთ ოსეთის ეროვნული საბჭო აცხადებს პროტესტს.

**ს ა მ ხ რ ე თ ო ს ე თ ი ს ე რ ო ვ ნ უ ლ ი ს ა ბ ჭ ო".**

**გაზეთი „ერთობა". 1918 წლის 28 მარტი. სტატიიდან „ცხინვალის ამბები" (სტატია ხელმოუწერელია):**

„გუშინ, 27 მარტს, გორიდან დაბრუნდა ცხინვალის ამბების გასაცნობათ წასული კირილე ნინიძე, რომელმაც შემდეგი გვიამბო: ...მოძრაობის ხასიათი ჯერ სავსებით არ არის გამორკვეული, მაგრამ ერთი რამ დღესვე ცხადია: ცხინვალის ამბოხება არ არის ოსური ამბოხება, თუმცა ზოგიერთს ძალიან სურთ ოსური მოძრაობის ხასიათი მისცენ მას... ცხინვალიდან მოსული ცნობებით მეამბოხეთ უკვე ეტყობა დაქსაქსვა: დელეგაცია დელეგაციაზე მოდის და შერიგებას ითხოვს, სიტყვას იძლევიან იარაღს დავაბრუნებთო. ჩვენები კატეგორიულ მოთხოვნას უყენებენ დაუყოვნებლივ დააბრუნონ იარაღი და გასცენ მოთავეები. თანდათან ირკვევა, რომ მეამბოხეთ ხელმძღვანელობენ სამხედრო ხელოვნების მცოდნე პირები: საუცხოო ქონიათ მოწყობილი სანგრები. საზოგადოთ კარგი ორგანიზაცია აქვთ. ერთი სოფლის აღების დროს

შეუნიშნავთ, რომ ქალების დიდი რიცხვი გადიოდა სოფლიდან და შემდეგ იმ ადგილიდან, სადაც ქალების კვალი ქრებოდა, სროლის ხმა მოისმოდა. როცა სოფელი აიღეს, იმ ალაგას, აუარებელი ქალის ტანისამოსი იპოვეს, იქვე სისხლი იყო დაქცეული. ეტყობა გადაკმულები გაეიდენ. ყველგან პროვოკაციის ძლიერი ქსელია გაბმული. ოსებში ლაპარაკობენ: მთავრობას გადაუწყვეტია რვა წლის ზევით ყველა ოსი მამაკაცის დახოცვაო. ამასვე ამბობენ ქართველების სოფლებში ქართველების შესახებ. ავრცელებენ აგრეთვე ხმებს მემამულეები და წითელი გვარდია შეერთდენ და ახალ მთავრობას ებრძვიანო..."

„...როგორც უკვე აღვნიშნე ცხინვალის რაიონში დიდ პროვოკაციას აქვს ადგილი. ეიმეორებ, ოსი ნაციონალისტების მოღალატური მოღვაწეობა აშკარაა, მაგრამ ხალხს ნაციონალისტურ მოძრაობაში წილი არ უდევს. აი საბუთებიც: ცხინვალის რაიონი შესდგება ორი საბოქაულოსაგან: ცხინვალის და ოსეთის (горно-осетинский). ცხინვალის საბოქაულოში ქართველები ცხოვრობენ უმთავრესად. ოსები სჭარბობენ მხოლოდ ოსეთის ნაწილში (ჯავის ხეობა). მოძრაობა კი ძლიერია არა მარტო ჯავის რაიონში, არამედ მთელს ცხინვალის ნაწილში და აგრეთვე მეჯვრისხევის და გომის რაიონში, ტყვიავში და ტირძნისში ჩვენს რაზმს შეტაკებაც კი მოუხდა შეიარაღებულ ჯარისკაცების ჯგუფთან. გარდა ამისა, იმ პოსტზე, რომელიც ცხინვალის ახლოს იდგა და მე და გაგლოევს დახვრეტა დაგვიპირა 18 მარტს, როგორც ოსები, ისე ქართველებიც იდგნენ. ამაზე ადრე დაიწყო მოძრაობა სოფ. ერედვიდან, ერედვი კი ქართული სოფელია. სწორედ აქ დაიწყო პირველი შეტაკება".

**გაზეთი „ალიონი». 1918 წლის 20 მარტი. სტატიიდან „ცხინვალის ტრაღედიის გამო" (ხელს აწერს: „ისევ ის"):**

„გაბოლშევიკებულმა ჯარისკაცებმა უთხრეს გლეხებს· ხომ ჰხედავთ, მიწას არ გაძლევთ, გასწყვიტეთ თავადაზნაურობა და წაიღეთ მიწებიო.

გლეხები ასე მოიქცენ. მთავრობამ მათ წინააღმდეგ ზომები მიიღო. — ჰხედავთ, როგორ იცავენ თავადაზნაურობას მთავრობა და წითელი გვარდია. ეგენი თქვენი მტრები არიან და თავადების დამცველები.

ჩააწვეთეს ბოლშევიკებმა ხალხს ყურში. მთავრობა და წითელი გვარდია თავადაზნაურობის მომხრეა — აი რა მოედო სოფლებს ყველგან.

უნდობლობა და უკმაყოფილება ნელანელა გაიზარდა და მან წარმოშვა ცხინვალის ტრაღედია, ლეჩხუმის ამბები.

გუშინ თუ თავადებსა და მათს ბავშვებს ჰხოცდა ბრბო შეუბრალებლად, დღეს იგივე ბრბო ხალხისათვის თავდადებულ პირებს და პარტიულ მუშაკებს ჰხოცავს. ლევან დადეშქელიანის, მაჩაბლის, კეცხოველის მკვლელებმა განა იცოდენ ვისა ჰკლავდენ?

რომ სცოდნოდათ არც მოჰკლავდენ. ისინი ღრმად იყვნენ დარწმუნებული, რომ ხალხის მტრებსა ჰკლავდენ. ასე ჩააგონეს ხალხს, ხალხიც ასე მოიქცა..."

„აბა ჩაუკვირდეთ ცხინვალის ამბებს. ცხინვალს იკლებენ, სძარცვავენ, მიცვალებულებსაც კი ჰხდიან ტანისამოსს. ეს წმინდა წყლის ყაჩაღობაა. მენშევიკებს საზიზღრათ ჰხოცავენ და ამავე დროს გაიძახიან: ბაქოდან ამხანაგები მოგვეშველებიან და ჩვენი საკუთარი მთავრობა გვეყოლებაო. ეს უკვე ბოლშევიზმია. რუთენ გაგლოევის ქართველი ამხანაგები აწამეს და ისე დახოცეს. რუთენს კი ოსები შტაბის უფროსათ და დიქტატორათ ირჩევენ. ეს ინტერნაციონალიზმიაო, გვარწმუნებს კ. ნინიძე. არა, ეს ნაციონალიზმია. ოსების გლეხობა, რასაკვირ-

ველა, ყველა ამ კითხვებში ვერ გაერკვევა, მაგრამ მათ მეთაურობენ შეგნებული პირები, რომლებმაც იციან, რასაც სჩადიან. მათი მიზანია თავისუფალი ოსეთი საქართველოს შუაგულში".

„ქართველ ერს აბა რა ექნება თავისუფალი ოსეთის წინააღმდეგ? სრულებით არაფერი. თავისუფლება ყველასათვის აუცილებელია, საჭირო და სასურველი. მაგრამ ჩვენ ვიცით ოსეთი მხოლოდ თერგის ოლქში, საქართველოში კი არა. საქართველოში არიან ოსები, რომლებთანაც ქართველ ხალხს მუდამ კეთილი განწყობილება ჰქონია. მაგრამ ნათქვამია, სიკეთისათვის სიკეთე ვის მიუზღავსო. ჩვენს ოსებს სრული უფლება აქვთ თავისუფლად მოეწყონ საქართველოს საზღვრებში, ხოლო ისინი უნდა დაექვემდებარონ საქართველოსა და ამიერ-კავკასიის მთავრობას. ოსეთის მთავრობა იქ არის შესაძლებელი და საჭირო, სადაც ოსების მიწა-წყალია — თერგის ოლქში. როდესაც ისინი ცდილობენ საქართველოს შუაგულში საკუთარი დამოუკიდებელი მთავრობის შექმნას, ეს არის საქართველოს დანაწილება, დაგლეჯა, რის ნებასაც ქართველი ერი არავის არ მისცემს, სანამ პირში სული ედგმება. ოსების ნაციონალისტები ამოუდგნენ გვერდში ბოლშევიკებს, მათ უკან გაჰყვნენ ჩვეულებრივი მძარცველები და სამივემ ერთად მოიწადინეს ქართველი ერის შიგ გულში ლახვარის ჩაცემა სწორედ იმ დროს, როდესაც საქართველო უდიდეს გასაჭირს განიცდის".

**გაზეთი „ერთობა". 1918 წლის 24 მაისი. სტატიიდან „ოსების ეროვნული ყრილობა" (ხელმოწერა — „გ."):**

„28 მაისისთვის ახალი სტილით ს. ჯავაში ოსურმა ეროვნულმა საბჭომ დანიშნა მესამე ეროვნული საერთო ყრილობა... უმთავრესი განსახილველი კითხვა უნდა იქნეს საერთო პოლიტიკური მდგომარეობა ამიერკავკასიისა და ოსების დამოკიდებულობა... მეორე საყურადღებო კითხვა ეხება ცხინვალის ტრაგედიას, რომელიც მოხდა 19—20 მარტს. უნდა გამოითქვას უკანასკნელი სიტყვა აქაც და ეროვნულმა ავტორიტეტულმა ყრილობამ დაგმოს ეს სამარცხვინო, ველური გამოსვლა, რომელსაც მოჰყვა ამხანაგების ვერაგულად დახოცვა და მთელი ცხინვალის დარბევა-დაწიოკება. ეროვნულმა ყრილობამ ოსების მშრომელ ხალხს უნდა მოხსნას ეს სამარცხვინო ჩირქი, რამდენადაც იგი ეხება მას და ნათელი მოფინოს თუ რა გარემოებაში მოხდა ეს აჯანყება. ..."

**გაზეთი „ერთობა". 1918 წლის 5 ივნისი. ა. ფარნიევის სტატიიდან „ამიერკავკასიის ოსების წარმომადგენლების მესამე კრება":**

„28 მაისს სოფ. ჯავაში შესდგა ამიერ-კავკასიის ოსების წარმომადგენლების მესამე კრება. კრებას დაესწრო 70-მდე წარმომადგენელი და ოსი ინტელიგენცია თითქმის გამოუკლებლათ. იყო ჩრდილოეთ-კავკასიის ოსების ეროვნული საბჭოს წარმომადგენლებიც. კრებას დაესწრნენ, აგრეთვე ამიერ-კავკასიის მუშათა ორგანიზაციების სოციალ-დემოკრატული საოლქო კომიტეტის წარმომადგენელი ი. რამიშვილი და ბოლშევიკების წარმომადგენლები ფ. მახარაძე, გ. ჩხეიძე, აკოფიანი და სიხარულიძე. ი. რამიშვილმა კრებას ამიერკავკასიის მუშათა ორგანიზაციების სოციალ-დემოკრატული საოლქო კომიტეტის სახელით მისასალმებელი სიტყვა უთხრა და უსურვა სახალხო საზოგადო საქმეების წარმატება და საქმიანობა. ჩრდილოეთ-კავკასიის ოსების ეროვნული საბჭოს წარმომადგენელმა მ. ზორაევმა მოხსენება გააკეთა იქაურ ოსების მდგომარეობის შესახებ და დაასკვნა, რომ არსაიდან შველა არ არის, სულ ტყუილია, თითქოს ბოლშევიკები თავიანთი ჯარით გვიწევდენ დახმარებას, ჩვენ მათ არ ვხედავთ, ჩვენ ერთადერთი იმედი გვაქვს, რომ თქვენ გაგვიწევთ დახმარებასო. თქვენ კეთილ განწყობილებაში ხართ

თქვენ მეზობლებთან, ჩვენ კი ჩვენი მეზობლებისაგან განადგურებას ყოველდღე მოველითო. 28 მაისს ი. რამიშვილმა გააკეთა მოხსენება მიმდინარე მომენტის შესახებ. მან დაასკვნა, რომ რუსეთის რევოლუცია დაღუპეს ანარქისტებმა და კონტრრევოლუციონერებმაო... მოხსენების შემდეგ მრავალი შეკითხვა მისცეს ი. რამიშვილს. ეკითხებოდნენ:

1) მაშ ოსები ხომ ამიერიდან დამოუკიდებელნი ვართ და ხომ უფლება გვაქვს თუ მოვინდომეთ არ შემოვიდეთ საქართველოს რესპუბლიკაშიო?

2) რით ვართ უზრუნველყოფილი, რომ ხვალ-ზეგ სოციალისტები არ მიატოვებენ მთავრობას და გაბატონდებიან ნაციონალ-დემოკრატებიო?

3) რით ვართ უზრუნველყოფილი, რომ ოსმალეთი გაგვანებებს თავს და არ ჩაიგდებს ხელში საქართველოს ტერიტორიასო?... მეორე და მესამე შეკითხვაზე ი. რამიშვილმა დამაკმაყოფილებელი პასუხი მისცა. პირველ შეკითხვაზე უპასუხა, რომ ეს საკითხი არ გაგვირჩევიაო".

„კრებას მალ-მალე გამოუცხადებდნენ ხოლმე: ფ. მახარაძე სიტყვას იტყვის შუადღის შემდეგ, ფ. მახარაძე სიტყვას იტყვის საღამოზე, ფ. მახარაძე სიტყვას იტყვის დილაზე. მაგრამ კრება ვერა და ვერ ეღირსა და მახარაძე წავიდა ჩრდილოეთ კავკასიაში კრების დაბოლოს, ფ. მახარაძე და მისი ამხანაგები ცალკე ოთახში იყვნენ მოთავსებული და იქიდან ახდენდა ამა თუ იმ განკარგულებას, ამა თუ იმ პირს ავალებდა ეთქვა რამე. საზოგადოთ ბოლშევიკებსა და ზოგიერთი სოც.-რევოლ. შორის არავითარი განსხვავება არ იყო და თითქმის ერთი და იგივეს აკეთებდნენ და ლაპარაკობდნენ, რაიცა იყო მიმართული სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ..."

„ოსებში ათასგვარ ცნობებს ავრცელებენ ვიღაცეები. ამბობენ. ოსებს, სომხებს და რუსებს ადგილებიდან ითხოვენო, ოსები, სომხები და რუსები შეერთდნენ ქართველების წინააღმდეგო და ვინ იცის კიდევ რას არ გაიგებთ. რომ დემოკრატიის მტრებმა არ გამოიყენონ ყველაფერი ეს და ნამდვილ ფაქტათ არ გადასცენ ქართველ დემოკრატიას, ამისათვის საჭიროთ მიმაჩნია ვაუწყო, რომ ოსის დემოკრატია არ აჰყვება ხალხის მტრებს, არ დაიჯერებს მათ ნათქვამს და არ წავა თავისი მოძმე ქართველი დემოკრატიის წინააღმდეგ. ვინც იცნობს ოსების ეკონომიურ მდგომარეობას, ვინც იცნობს ოსების და ქართველების გეოგრაფიულ პირობებს, ვინც იცის ოსების პოლიტიკური მიმართულება, ყველა დამერწმუნება, რომ ოსები არ არიან დაინტერესებული ქართველი დემოკრატიის დასუსტებაში და თუ ზოგიერთი პირები ცდილობენ ამ ორ ერს შორის აამღვრიონ წყალი, ეს ოსებს არ უნდა მიეწეროს როგორც ერს. ერი არ არის პასუხისმგებელი ამა თუ იმ უპასუხისმგებლო პირისათვის... ოსი გლეხები რატომღაც ყველა კრებებზე დაბეჯითებით აცხადებენ ხოლმე: „ნასწავლებმა დაგვღუპეს, ნასწავლები გვღუპავენო..."

**გაზეთი „ერთობა". 1918 წლის 11 ივნისი. ა. ფარნიევის სტატიიდან „ოსები საქართველოში (შესაძლებელია თუ არა ოსების დამოუკიდებლობა საქართველოში)":**

„...ჩვენ დავსახლდით ქართველ დემოკრატიასთან ახლოს, ბევრ ადგილებში განსხვავებასაც ვეღარ ამჩნევს კაცი, ბევრ სოფლებში სანახევროთ ოსებია დასახლებული... ოსების გალობა გაიგო ქართველმა გლეხობამ. მან გაიგო, რომ ოსებს შიათ, მან არ დაუწყო კითხვა ვინ ხარ, საიდან ჩამოფრენილხარ, რა ენაზე გალობ, და დღემდის ძმურათ იცხოვრეს. არც ერთხელ არ უთქვამთ ერთმანეთისათვის, შენ ჩემი მტერი ხარ, მე მშიან, შენ მაძღარი ხარ, მე ქართველი ვარ, შენ ოსი ხარ, მე ნასწავლი ვარ, შენ უსწავლელი.

შარშან, ამიერკავკასიის ოსების წარმომადგენლების პირველ კრებაზე 5 ივნისს სოფ. ჯავაში გ. ნ. ჯიოევმა გაუბედავათ, გაუგებრათ აღძრა ოსებას ცალკე გამოყოფის — დამოუკიდებლობის საკითხი, კრებამ უარი უთხრა. იგივე ჯიოევმა შარშან ვლადიკავკავში ამიერკავკასიის და ჩრდილოეთის კავკასიის ოსების წარმომადგენლების პირველ კრებაზე 17 ივნისს აღძრა ოსების გამოყოფის და დამოუკიდებლობის საკითხი, კრებამ არც მაშინ მიიღო. 28 მაისს ამა წელს ამიერკავკასიის ოსების წარმომადგენლების მესამე კრებაზე სოფ. ჯავაში პ. ვ. პ. თედეევმა და ბ. კოჩიევმა აღძრეს ოსების გამოყოფის — დამოუკიდებლობის საკითხი. ამ კითხვას საბოლოვოთ გადასაწყვეტათ ამა თვის 15-ში მოწვეულია ოსების წარმომადგენლების მეოთხე კრება. რამდენი მომხრე აღმოუჩნდებათ ბ. ბ. ნ. ჯიოევს, პ. თედეევს და ბ. კოჩიევს მე არ ვიცი".

„ქართველი დემოკრატია არას დროს არ უზღუდავდა უფლებებს ოსის დემოკრატიას. ქართველ დემოკრატიას არასდროს არ დაუტანებია ძალა ოსის დემოკრატიისათვის სამშობლო ენაზე ხელი აიღეო ... მე ვფიქრობ, ისინი, ვინც ოსების დამოუკიდებელ სახელმწიფოს შექმნაზე ოცნებობენ, მათ არაფერი გაეგებათ ქვეყნიერების ავ-კარგისა ანდა განგებ სურთ შეატაკონ ქართველი და ოსის დემოკრატია ერთმანეთს და დაიღუპონ ის, რაც მოიპოვა ხალხმა".

**გაზეთი „სახალხო საქმე". 1920 წლის 23 მაისი. გლეხიშვილის სტატია „ბოლო უნდა მოეღოს!".**

„არაერთხელ წაგვიკითხავს გაზეთებში ცხინვალისა და როკის რაიონებში სამხედრო მოქმედების თაობაზე. წაგვეიკითხავს და ცოტა არ იყოს გაგვკვირვებია: განა რა მოხდა ამ პიმართულებით, რომ აქ ჩვენი ჯარები დარაზმულან. არაფერი ბატონებო, მე აქ ვცხოვრობ მუდმივ და ერთხელაც ვერ ვნახე თათრების, ან ლეკების, ან სხვა რომელიმე მტრის ჯარები. თუმცა ჩვენები კი ბევრჯელ მეტყვიან: მაშ ვინ აიკლო ცხინვალი 1918 წ. მარტში ვინ გადასწვა იგი, ვინ მოიტაცა მშრომელი ხალხის ქონება და მისი ვაი-ვაგლახით შეძენილი ავლადიდებაო? ვინ და ჩვენი რესპუბლიკის უმადურმა შვილებმა. ეს უმადური შვილები არიან თავისი ცრუინტელიგენტების მიერ თავგზა არეული ოსები. ამ ცრუ-ინტელიგენტებს არ მოეწონათ ჩვენი დამოუკიდებლობის გამოცხადება, რადგან ამით თბილი ადგილები ეკარგებოდათ და დაიწყეს ჩრდილოეთისაკენ ყურება და მისი იმედებით ცხოვრება.

ცხინვალის ოს-ინტელიგენტებს ზოგიერთი დაშნაკელებიც უჭერდნენ მხარს და დამეგობრებულებმა იწყეს ხალხში პროვოკაციის გავრცელება საქართველოს წინააღმდეგ. აიარაღებდნენ ხალხს, ემზადებოდნენ რაღაც ამბებისათვის და იყვნენ ერთ ამბავში. არა ერთსა და ორს ოსს უთქვამს, რომ ყველა მამაკაცი დავალებულია შეიძინოს იარაღი და ვინც თავისი ნებით არ შეიძენს, იმას ძალათ გაუყიდიან ძროხას ან ხარს და შეაძენინებენ იარაღსო. აგიტაციამ და პროვოკაციამ თავისი საქმე გააკეთა, ხალხი არივ-დარია. როცა შინაური არეულობით და გარედან მტრის მუქარით ისარგებლეს, დაესხნენ ცხინვალს და ააწიოკეს. ლოზუნგი ასეთი იყო: „ქარძიმ ბახარ მცხეთა!" (პური ვჭამოთ მცხეთაშიო). მაგრამ ეს მათი ავანტიურა მათთვისვე ზარალით დამთავრდა. მაშინ ჩვენი სამხედრო ძალის საუკეთესო ნაწილი აქ იყო დაბანდებული, ბათომი კი ჯერ კიდევ გაუწვრთნელის, ახალგაზრდა გამოუცდელი ჯარის ანაბარად იყო.

მას შემდეგ არა ერთხელ და ორჯელ შეუჩოჩქოლებია ცხინვალი ოსეთს. რა წამს რომელიმე ძალას დაინახავენ ჩვენს წინააღმდეგ მომართულს, მაშინვე თვითონაც სამზადისს შე-

უდგებიან და აბა ცხინვალელებს, იყავით შიშში და ვაი-ვაგლახში. ბოლშევიკები ვართ, კარგია ღმერთმანი, ბოლშევიკდება ყველა ის, ვისაც კი საქართველო სძულს, და ნეტავი მაცოდინა, რატომ სძულთ ოსებს საქართველოს რესპუბლიკა? ხარჯებს ისინი არ იხდიან, სალდათად არ მიდიან, რესპუბლიკას არაფრით ეხმარებიან და ყოველისფერს კი სარგებლობენ. აუარებელი ხარჯები მიდის მათზე და განა იმიტომ, რომ მტრულად იყვნენ ყოველთვის! დენიკინი იყო კავკასიაში, ისინი დენიკინთან გარბოდნენ, ბოლშევიკები არიან და იმათთან გარბიან. ეს ყოველისფერი კი მათი ინტელიგენციის საქმეა, თორემ მე ხალხისაგან ხშირად გამიგონია გულწრფელი ჩივილი: დაგვანებონ თავი, ჩვენ არაფერი გვაქვს საჩხუბარი და სადავიდარაბოო. დიახ, ვიტყვი და მუდამ ვამბობ, ეს მათი ინტელიგენციის საქმეა. ცხინვალში გახსნეს სკოლა ასე წოდებული „Ирон гимназ“, სადაც მხოლოდ რუსულ ენაზეა სწავლება, აქ, რა თქმა უნდა, ოსის ბავშვები არიან და ბევრმა დაშნაკელმა თავისი შვილი მიიყვანა ამავე „Ирон гимназ“-ში, თუმცა თვითონ [მას] კი საქართველო „ემსახურება“ და ჯამაგირებს საქართველოს ხაზინიდან იღებს. ჰო, და აი სასწავლებელში ისე მოწამლეს (დედანშია — „მოსწავლეს“ — ლ. თ.) ახალი თაობა, რომ დაფარულმა სიძულვილმა ბოვშვებში იჩინა თავი და მათ კიდეც წაუკიდეს შენობას ცეცხლი, სადაც ცხინვალის უმაღლეს დაწყებითი სასწავლებელია მოთავსებული. ეს კიდევ არაფერი, რომელნიც მოზრდილები იყვნენ გაიქცნენ ამ ცოტა ხანში კავკავში და ბოლშევიკებს შეუერთდნენ. რა თქმა უნდა მათ სოციალიზმისაკენ კი არ უნდოდათ წასვლა, არამედ ცხინვალისაკენ და, საერთოდ, საქართველოს წინააღმდეგ. მათი მშობლები კი არხეინად დასეირნობენ ცხინვალში.

ეხლა კიდევა სდგას ჯარი ცხინვალში და მიემგზავრება ჯავა-როკში. მე მგონია ეხლა კი უნდა უკანასკნელად გადაწყდეს საკითხი: ვისთან გვაქვს საქმე, თუ ყაჩაღებთანა გვაქვს, მაშინ ყაჩაღების წინააღმდეგ ჩვენ ომს არ ვიწყებთ, მხოლოდ მათ სასტიკადა ვსჯით და თუ მტრის წინააღმდეგ, მაშინ მათ ჩვენი რესპუბლიკის ფარგლებში ყოფნა არა სდომიათ და მათი გამოსვლები ისე უნდა აიხსნას, როგორც ომის გამოცხადება.

ასეთ გარემოებაში ყოფნა კი, როგორც აქამდე იყო, ყოვლად შეუძლებელია, ვინაიდან ყოველთვის შიშით და კანკალით ძოვლიან ცხინვალის მცხოვრებლები ან დღეს ჩამოვლენ ბრბოები და აგვაწიოკებენ ან ხვალაო“.

**გაზეთი „ერთობა“. 1920 წლის 12 ივნისი — „ისევ ოსებზე“ (სტატია ხელმოუწერელია).**

„ოსები კვლავ ამოძრავდნენ. ისინი ფიქრობენ საქართველოს რესპუბლიკას დანგრევას და ჩვენს „ჩამორჩენილ“ კუთხეებში თავისი კულტურის შეტანას. ამ „კულტურის“ მეთაურნი არიან ყოფილი ძველი მოხელეები, ხოლო სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის საძირკველი ძველი, ჩვენს ხალხში საკმარისად ცნობილი „სტრაჟნიკები“. მათ ეჯავრებათ ჩვენი დემოკრატია, რომელმაც დაამხო ძველი წესწყობილება. მათ სძულთ ჩვენი რესპუბლიკა, რომელიც მათ აღმზრდელ და მასაზრდოებელ რუსეთის თვითმპყრობელობის სრულს წინააღმდეგობას წარმოადგენს. ამ სამი წლის განმავლობაში, ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხეებში, ძველი პსიხოლოგიით და სულისკვეთებით გაჟღენთილმა წრეებმა რამოდენიმეჯერ მოახდინეს შეიარაღებული გამოსვლები. რესპუბლიკამ ბოლო მოუღო მათ გამოსვლებს და ყველგან დემოკრატიული წეს-რიგი დაამყარა. ოსებს კი ვებოდიშებოდით. გვეგონა, რომ შეიგნებდნენ თავიანთ მოვალეობას რესპუბლიკის წინაშე. ამ ორი წლის განმავლობაში მათ ერთი ჯარის კა-

ცი არ მოუციათ სახელმწიფოსათვის. ერთი შაური არ შეუტანიათ რესპუბლიკის ხაზინაში და როგორც პარაზიტები ცხოვრობდნენ რესპუბლიკის დანარჩენ მოქალაქეების ხარჯზედ. ეს მათ არ იკმარეს, როგორც ეტყობა, მათ მეთაურებს გადაუწყვეტიათ, რომ უკეთესი იქნება, რომ მოსაგებიც, თუ ცხინვალის რაიონში მცხოვრებ ქართველ დემოკრატიას დაიმონავებდნენ, მათ ქონებას ხელში ჩაიგდებდნენ და ჩვენ მოქალაქეებს ხარკს დაადებდნენ კონტრიბუციის-სახით ყოველდღიურ ხარჯებისათვის.

იმ ადამიანებს, რომელთაც ამ ორი წლის განმავლობაში არავითარი ვალი არ მოუხდიათ რესპუბლიკის წინაშე, სურთ ჩვენი მშვიდობიანობის სიყვარული ბოროტად გამოიყენონ. დღეს რესპუბლიკამ უნდა სთქვას „კმარა". და მთელი თავისი სიძლიერით უნდა შეაგნებინოს თავაშვებულ ბრბოებს, თუ რას ნიშნავს რესპუბლიკანური წეს-რიგის დაცვა და მოქალაქის ელემენტარულ მოვალეობის ასრულების საჭიროება. აჯანყებულ ოსებს მეთაურობენ ჩრდილოეთიდან მოსული შეიარაღებული მოყაჩაღე ბრბოები. ასე ესმით კავკავის კომუნისტებს ხელშეკრულების ასრულება. ჩვენ გვარწმუნებენ, რომ მოსკოვის მთავრობამ ეს არ იცის, რომ ის წინააღმდეგია თავისი „პერიფერიების" ამნაირ გამოსვლებისაო. შეიძლება მართლაც ტაქტიკური მოსაზრებით დღეს არ უნდოდეს მოსკოვს გაამწვავოს დამოკიდებულება ჩვენს რესპუბლიკასთან. თუ ეს ასე არის, მით უარესი მოსკოვის მთავრობისათვის. მაშასადამე, მას არ შესწევს ძალა ალაგმოს მისი ბანდები. რესპუბლიკის მთავრობა ერთხელ და სამუდამოდ ალაგმავს ქვეყნის მოღალატეებს. ის ვალდებულია სამუდამოთ ბოლო მოუღოს ამ ვანდეიას.

ის მკაცრი ზომები, რომელსაც ჩვენი რესპუბლიკა იძულებული ხდება მიმართოს მესამეთ აჯანყებულ ოსეთის რაიონის ასალაგმავათ, იქნება წმინდა თავდაცვითი აქტი ჩრდილოეთიდან შემოჭრილი მტრის წინააღმდეგ, ეს იქნება მოძალადეებთან და მტარვალებთან ბრძოლა ადგილობრივ მცხოვრებთა დასაცავათ, რესპუბლიკის და დემოკრატიის დასახსნელად".

გაზეთი „კომუნისტი". 1020 წლის 18 ივნისი. „ყველას გასაგონათ (სამხრეთ ოსეთის აჯანყების გამო)". სტატია ხელმოუწერელია.

„ოსეთი კვლავ აჯანყდა და თავის შინ მან საბჭოთა ხელისუფლება (მთავრობა) გამოაცხადა; ის ისწრაფვის ეროვნული თვითგამორკვევისაკენ. ასეთი აჯანყება იქ დაახლოებით ამ ორი უკანასკნელი წლის განმავლობაში მესამეჯერ ხდება. აქედან აშკარაა, თუ რანაირ სერიოზულ მოვლენასთან გვაქვს ჩვენ აქ საქმე. თითოეული პოლიტიკური პარტია ვალდებულია ნათლად და გარკვევით გამოთქვას თავისი დამოკიდებულება ოსეთის აჯანყების შესახებ. თავისთავად იგულისხმება, რომ საქართველოს სხვადასხვა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიების დამოკიდებულება იმ წვრილ ეროვნებათა ნაციონალური თვითგამორკვევის საკითხთან, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე ცხოვრობენ, წინდაწინვე ყველასათვის აშკარაა: ეს პარტიები არავითარ თვითგამორკვევის უფლებას არ ცნობენ არა თუ საქმით, არამედ სიტყვითაც კი და ამიტომ ისინი გადაჭრით ძალადობის მომხრენი არიან და ითხოვენ, რომ სამხრეთ ოსეთის აჯანყება იარაღის საშუალებით იქნას ჩაქრობილი. ნათელი და აშკარაა აგრეთვე საქართველოს კომუნისტური პარტიის დამოკიდებულება ამ აჯანყებასთან, რომელ-

საც მიზნათ აქვს დასახული ეროვნული თვითგამორკვევა კომუნისტების პროგრამა ყველას გასაგონათ ამბობს, რომ ყველა ეროვნებას აქვს უფლება ნაციონალური თვითგამორკვევისა სრულ გამოყოფამდე და ცალკეულ სახელმწიფოს დაარსებამდე. მაშასადამე ამ უფლებას ვერ წავართმევთ ჩვენ ვერც სამხრეთ ოსეთის მცხოვრებთ, რამდენადაც მათ განსაზღვრული ტერიტორია უჭირავთ და რამდენადაც ისინი სხვა ეროვნებათა ტერიტორიას თავს არ ესხმიან. ამას თხოულობს ნამდვილი, ჭეშმარიტი დემოკრატიზმის პრინციპი, და ამიტომ ნაციონალური მოძრაობის ყოველივე ძალდატანებითი ჩაქრობა დაუშვებელია და დასაგმობია.

ასეთია ორი ერთი მეორეს ძირიანათ საწინააღმდეგო შეხედულება კონკრეტულათ ოსეთის ხალხის თვითგამორკვევაზე. პირველი შეხედულება სავსებით გამოხატავს ბურჟუაზიის იმპერიალისტურ სულისკვეთებას, მეორე დგას პროლეტარიატის თვალთახედვის წერტილზე და ეყრდნობა მუშათა ინტერნაციონალის საფუძველზე. მაგრამ არის კიდევ მესამენაირი დამოკიდებულება სამხრეთ ოსეთის აჯანყებასთან, რომელიც სიტყვით სცნობს ერთა თვითგამორკვევის უფლებას, მაგრამ საქმით მას უარყოფს. ასეთია ქართველ მენშევიკების დამოკიდებულება სამხრეთ ოსეთის საკითხთან. სიტყვით ეს პარტია სცნობს ერთა თვითგამორკვევას, მაგრამ საქმით ის როგორც მმართველი პარტია საქართველოში, ოსების ნაციონალურ მოძრაობას ძალდატანებით აქრობს. ჩვენ ვამბობთ, რომ მენშევიკების ასეთი პოლიტიკა ვერ გამართლდება მუშათა ინტერნაციონალის პრინციპებით; მისი გამართლება შეიძლება მხოლოდ კაპიტალისტური ან იმპერიალისტური იდეოლოგიით.

მენშევიკების გაზეთები „ბორბა“ და „ერთობა“ ენერგიულათ შეუდგნენ ასეთი პოლიტიკის გამართლებას. კიდევ მეტი ისინი მოითხოვენ რომ ჩვენ, კომუნისტებმა, დავადასტუროთ ეს ძალმომრეობის პოლიტიკა წვრილ ერთა მიმართ. მენშევიკებს გონიათ, რომ ჩვენ განგებ არაფერს ვამბობთ აქამდის, მაგრამ ჩვენ არა ვართ ჩვეული სიჩუმეს, როცა ეს საჭიროა, მით უმეტეს ასეთ საკითხში.

თავის პოლიტიკას სამხრეთ ოსეთის შესახებ მენშევიკები ამართლებენ შემდეგი საბუთებით: 1) სამხრეთი ოსეთის თვითგამორკვევა ნიშნავს საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ გალაშქრებას. 2) ოსეთის შეიარაღებული აჯანყება საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ რუსეთთან საზავო ხელშეკრულების დარღვევაა; 3) ოსეთის მოძრაობა, ეს ჩამორჩენილი კუთხის მოძრაობაა, ისაა მოძრაობა საშუალო საუკუნოების ახალი დროის დემოკრატიის წინააღმდეგ, რასაც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა წარმოადგენს, ერთი სიტყვით, ოსეთი ქართული ვანდეაა, რომელიც რევოლუციის და დემოკრატიის სახელით დასჯილი და დამარცხებული უნდა იქნასო. ვერც ერთი ამ საბუთთაგანი კრიტიკას ვერ უძლებს. რით უნდა შეუშალოს ხელი პატარა ოსეთის თვითგამორკვევამ შედარებით დიდ საქართველოს დამოუკიდებლობას. აშკარაა, თუ დიდი რუსეთის არსებობა, ხელს არ უშლის პატარა საქართველოს არსებობას, ის პატარა ოსეთის არსებობა ხელს ვერ შეუშლის საქართველოს არსებობას, რომელიც სრულებით არ საჭიროებს პატარა ოსეთის ტერიტორიას. მეორე მხრით, საბჭოთა რუსეთთან დადებული ხელშეკრულება აქ არაფერ შუაშია. საბჭოთა რუსეთმა, თანახმათ მის მიერ აღსარებულ პრინციპისა ეროვნული თვითგამორკვევის უფლებისა, მან იცნო საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობა, მან უარი განაცხადა მის ყოველგვარ სუვერენულ უფლებებზე, მის შინაურ საქმეებში ჩარევაზე. მაგრამ ეს სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ სხვა წვრილ ეროვნებათ, რო-

გორიც არიან თუნდაც ოსები, ეროვნული თვითგამორკვევის უფლება ამ ხელშეკრულების ძალით აღარ აქვთ. ამის მტკიცება პირდაპირ აბსურდია. მაგრამ მენშევიკები ამბობენ, რომ აჯანყებას საიდუმლოთ ხელი შეუწყო და დაეხმარა საბჭოთა რუსეთიო. მაგრამ ოსეთი წინათაც ორჯერ აჯანყდა, როცა საბჭოთა რუსეთს მისთვის არავითარი დახმარების აღმოჩენა არ შეეძლო და რათ არ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ ახლაც ის დამოუკიდებლათ აჯანყდა? მაშასადამე, საზავო ხელშეკრულების არავითარ დარღვევას აქ ადგილი არ აქვს. მაგრამ მენშევიკებს აქვთ კიდევ მესამე საბუთი.

ოსეთი, იმათი აზრით, წარმოადგენს საქართველოს ვანდეას, ის იბრძვის რევოლუციის წინააღმდეგ, ის იცავს საშუალო საუკუნოების წეს-წყობილებას, მას აქვს მტაცებლობითი და ყაჩაღური ხასიათი; და გარდა ამისა, ოსეთის აჯანყებამ ვერ წამოაყენა ვერავითარი ლოზუნგი, ვერც ნაციონალური და ვერც სოციალური. ჯავის აჯანყებულთ არასოდეს არ წამოუყენებიათ თავის დროზე რაიმე გარკვეული და განსაზღვრული ლოზუნგები, რომელთა სახელით ისინი იბრძვიან; ისინი იღებენ მათთვის სრულებით უცხოს და გაუგებარს ლოზუნგებსო და სხვ. ყველა ამის ძალით საქართველოს დემოკრატია, მენშევიკების აზრით, ვალდებულია ჩააქროს ჯაველ ოსების მოძრაობა იარაღის საშუალებით. რომ სამხრეთ ოსეთი საქართველოსათვის არ წარმოადგენს ვანდეას, რომ ის არ იბრძვის რევოლუციის წინააღმდეგ, ეს ყველასათვის აშკარაა, მაგრამ ყველაზე უფრო გაუგებარია აქ ის, რომ ოსეთის მოძრაობას თითქო არავითარი ლოზუნგი არ წამოეყენებიოს. როგორც ჩანს ბოლშევიკური კომუნისტური ლოზუნგები, ლოზუნგები საბჭოთა ხელისუფლებისა, მენშევიკებისათვის ლოზუნგები არაა, ვინაიდან ეს ლოზუნგები მათ არ მოსწონთ. მენშევიკები ვერ უარყოფენ იმ ფაქტებს, რომ სამხრეთ ოსეთი საბჭოთა მთავრობის დროშის ქვეშ იბრძვის, მაგრამ ეს მისი უფლებაა. ისე, როგორც ქართველი დემოკრატია მოითხოვს თავის თვითგამორკვევას და წინააღმდეგობას უწევს ყველა იმათ, ვინც მათ ძალით თავს ახვევს თავის ნებისყოფას, ისევე ჯავის ოსებს სრული უფლება აქვთ ჭეშმარიტი დემოკრატიზმის სახელით მოითხოვონ რომ ძალდატანებით მათ ნურავინ მოახვევს თავის ნების ყოფას.

— თქვენ არ მოგწონთ საბჭოთა პრინციპები, მაგრამ ნება მოგვეცით ჩვენ შინ განვახორციელოთ ეს პრინციპებიო — აი რას ამბობენ და რას მოითხოვენ საქართველოს დემოკრატიისაგან ჯავის ოსები.

ერთი სიტყვით, შეიარაღებული ძალით ჯავის მოძრაობის ჩაქრობა არ მართლდება საერთაშორისო სოლიდარობის პრინციპებით, ეს ეწინააღმდეგება მუშათა ინტერნაციონალის ყველა საუკეთესო იდეებს. პარტიას, რომლის პროგრამაში ერთა თვითგამორკვევის უფლებაა აღიარებული, არ შეუძლია ოსეთის ხალხის თვითგამორკვევას შეებრძოლოს ტლანქი ძალით. ეს იქნება თავისი პროგრამის უარყოფა, ეს იქნება დანაშაული ინტერნაციონალური პროლეტარიატის წინაშე.

მეზობელ ხალხთა ძმური სოლიდარობის სახელით, ჩვენ ვთხოულობთ, რომ ოსებზე ძალდატანება არ იქნას ხმარებული, რომ ამ ნიადაგზე არ დაიღვაროს ქართველ და ოს მუშების და გლეხების სისხლი. თუ მართლა არსებობს ერთა თვითგამორკვევის უფლება, თუ მენშევიკებს არ ამოუშლიათ ეს უფლება თავის პროგრამიდან, იმათ არ აქვთ არავითარი საფუძველი ოსეთზე ძალდატანების გასამართლებლათ. ამას თხოულობს არა თუ სოციალიზმის, არამედ უბრალო დემოკრატიზმის პრინციპი. და გარდა ამისა ამასვე თხოულობს თვით საქართველოს

დამოუკიდებლობის ინტერესი იმ დროს, როცა ამ დამოუკიდებლობას გარეშე მტრები ემუქრებიან, ვინაიდან ასეთ დროს საჭიროა, რომ მას ზურგი გამაგრებული ქონდეს და არ საჭიროებდეს იმ სამხედრო ძალების დაბანდებას. საქართველოს ინტერესები თხოულობენ, რომ ოსეთთან ის მეგობრულ განწყობილებაში იყოს, და ის შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რომ საქართველოს დემოკრატია იცნობს ოსების ეროვნულ თვითგამორკვევას. თუ ასეთი ცნობა არ მოხდა, თუ ოსეთის აჯანყება უხეში ძალით იქნა ჩაქრობილი, მაშინ მთელი პასუხისმგებლობა ამ ძმათა შორის სისხლის ღვრაში თავს დაატყდება საქართველოს მენშევიკების პარტიას და სხვას არავის. ეს კიდევ არაფერი. ამით საფრთხეში ჩავარდება თვით საქართველოს დამოუკიდებლობა, რომლის დაცვას თითქო ასე ენერგიულათ ცდილობენ მენშევიკები. მაშ ძირს სისხლის მღვრელი ომი მოძმე ხალხთა შორის, და გაუმარჯოს ძმურ, სოლიდარულ განწყობილებას! გაუმარჯოს ერთა თვითგამორკვევის უფლებას“.

გაზეთი „ერთობა“. 1918 წლის 15 ივნისი. „კიდევ ოსეთზე“ (სტატია ხელმოუწერელია).

„ბოლშევიკებმა ხმა ამოიღეს მათ თქვეს თავის გულის ნადება, მაგრამ ისე, როგორც შეფერის მათ იდეურობას.

ისინი წინააღმდეგი არიან, რომ საქართველოს ჯარმა იარაღით გასცეს პასუხი აჯანყებულ ჯავის ხეობას. რათა? იმიტომ ხომ არა, რომ ეს აჯანყება თითონ მათ მოაწყვეს და მათი ლოზუნგების საფარველ ქვეშ დააყენეს ის ნასტრაჟნიკალი და ნაპრისტავალი ხელმძღვანელები, რომელნიც ყაჩაღებთან ერთად ამყარებენ ცხინვალის რაიონში ბალშევიკურ „სოციალიზმს“?

ერთა თვითგამორკვევის — ამ დიადი იდეის სახელით ამართლებენ ბალშევიკები ოსების მუხანათურ თავდასხმას.

ოსები თავს დაგვესხნენ მაშინ, როცა, ჩვენ ფრონტი გვქონდა ადერბეიჯანის საზღვარზე და ბათომის ოლქში. იმას ეძახიან ჩვეულებრივ ენაზე — მოღალატეობას, დემოკრატიისათვის ზურგში მახვილის ჩაცემას, რაც ჯავის ოსებს მათი ბალშევიკური ყაჩაღების ლიდერობით სისტემათ გადაექცათ, და თუ ჩვენ ამის წინააღმდეგ გავილაშქრეთ, ესე იგი თავდამსხმელი მოვიგერიეთ, ეს არის თურმე „თვითგამორკვევის უფლების შელახვა“.

მერე მართალია ბოლშევიკების იდეური წუწუნი? „კომუნისტების“ პროგრამა ყველას გასაგონათ ამბობს, რომ ყველა ეროვნებას აქვს უფლება ნაციონალური თვითგამორკვევისა, სრულ გამოყოფამდე და ცალკე სახელმწიფოს დაარსებამდე“. კეთილი! მაგრამ ერთი ვიკითხოთ, მართლა ახორციელებს ამას კომუნისტების ლაშქარი და კომისრები?

ავიღოთ ჩრდილო-კავკასია, სადაც იმყოფება ასეთი მთავარი ტერიტორია. ბოლშევიკები ჯავის ხეობის გადმოსახლებულ ოსებს ურიგებენ სახელმწიფოებრივ უფლებებს — რატომ ჩრდილო ოსეთის, ესე იგი ოსეთის ნამდვილ ტერიტორიაზე არ ახორციელებენ ამ თავის პროგრამას, რატომ ვერ ღებულობენ დამოუკიდებლობას, ან კიდევ ყაზახები და სხვ.? რათ დაუყენეს მათ-
რამას? იქ ხომ საქართველო აღარ ყავთ ხელის შემშლელი! ან ჩეჩნები, დაღესტნელები რა-

სათავეში ზევიდან დანიშნული კომისრები და წითელ არმიელთა სისხლიანი ხიშტებით ახშობენ მათ თავისუფლებას?

როცა გაზ. „კომუნისტი", რომელიც თფილისში გამოდის, ასე ებღაუჭება ამ დიდ ლოზუნგს, ამავე დროს, რათ ხდება, რომ კავკავის გაზ. „კომუნისტი" რუსულ ენაზე, ძირითადად უარყოფს ამ ლოზუნგს? იგი ამბობს „რომ ბურჟუაზიული რევოლუციის ხანაში 1917 წელს ხალხთა თვითგამორკვევის პრინციპი იყო მომენტის შესაფერი ლოზუნგი იმისათვის რომ დაენგრია მეფისა და მემამულეთა სახელმწიფო, ძირი გამოეთხარათ მისი ცენტრალიზმისათვის და ასე დაესუსტებიათ იგი".

ახლა კი, ცხადია, თავის კომუნისტურ ცენტრალიზმისათვის ძირის გამოთხრა არ სურთ.

ამრიგათ, ბოლშევიკების ეს იდეა ბუშმენურ წესით ტარდება. იგი კარგია, როცა იმით სხვის სახელმწიფოს არღვევ. ცუდია, თუ იგი შენ სახელმწიფოს გირღვევს.

ახლა ყველასათვის ცხადია, თუ რა მიზანს ემსახურება თფილისელი „კომუნისტი", როცა ჯავის ხეობაში უნდა შექმნას საბჭოთა დამოუკიდებელი რესპუბლიკა და იმავე დროს მთავარი ოსეთისათვის თვითგამორკვევაზე სიტყვის თქმაც კი კონტრრევოლუციონერობათ მიაჩნია.

დიახ, ცხადია, რომ ჯავის თვითგამორკვევა არის საქართველოს დარღვევის ბოროტ-სურვილით წამოყენებული, ხოლო გაზეთი არწმუნება, რომ ჯავა არ ესაჭიროება საქართველოსო, და სხვა ლათაიები, მხოლოდ ფარისევლობაა ამ შავი განზრახვების დასაფარავათ მოყვანილი.

მაგრამ მათი ორმაგი თვალთმაქცი პოლიტიკის კუდი კალთიდან მოსჩანს და ამხელს მათს აზრსა და მოქმედებას.

მაშ ასე, ბოლშევიკები ორპირობენ. იდეურ ცუღლუტობას ეწევიან, რომ თავის ავანტიურების წუურვილი ჩვენი დემოკრატიის წინააღმდეგ როგორმე მაღალი ფრაზების სამოსელში გაახვიონ.

მაგრამ იქნება ჩვენთვის, დემოკრატიისათვის არის სავალდებულო, ოსთა თვითგამორკვევა ჯავის ხეობაში? ჩვენ ხომ მართლა მომხრე ვართ ეროვნული თვითგამორკვევის, ვავსინჯოთ ესეც:

ყოველ ერს აქვს უფლება თვითგამორკვევის. ეს მართალია. მაგრამ ამ შემთხვევაში უნდა დაისვას საკითხი მთელი ერის. ანუ მისი დიდი უმრავლესობის შესახებ. ოსებს აქეთ უფლება თვითგამორკვევისა, ეს უდაოა. მაგრამ ყველა ოსის სოფელს, ან თემს ასეთი უფლება არ აქვს.

საქართველო დამოუკიდებელია დღეს, მაგრამ მასში არ შედიან არც სოჭის ოლქის ქართველები, არც კავკავის, არც მინერალურ წყლების რაიონში მცხოვრებნი, რამდენადაც ისინი ადგილობრივი მკვიდრნი არიან. განა მათი ყოფნა იმ რაიონებში, შეიძლება გახდეს საბუთი კავკავისა და სოჭისაგან ქართულ სახელმწიფოს შექმნისა?

რასაკვირველია არა. ეს არც ბოლშევიკებს მოსვლია თავში. ჩვენ, მით უმეტეს.

გორის მაზრაშიც რამდენიმე სოფელია და ერთი-ორი თემი არის ოსებისგან შემდგარი. მაგრამ განა მათაც ისე არ უნდა ვუყუროთ როგორც ქართველთა კოლონიას ჩრდილო კავკასიაში!? ცხადია, ეს არის მცირე ნაწილი ერისა, რომელიც მეორე ერის ფარგლებში მოყოლია ხალხთა ნარევათ ცხოვრების გამო. ოსები არიან კახეთში, ალაზან გაღმა, არიან ატენის ხეობაში, არიან ტრიქსის ხეობაში, ჯავაში, რაჭაში, საჩხერის მაზრაში, მაგრამ ესენი შეადგენენ რამდენიმე სოფელს, რომელიც საქართველოს უდავო ტერიტორიაში შედის, ამიტომ

მათ ეროვნულ განცალკევებაზე ლაპარაკი შეუძლებელია. აქ შეიძლება საკითხის დასმა მხოლოდ მათი კულტურული განვითარების უზრუნველყოფაზე. არც მეტი, არც ნაკლები. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ მივიღებდით ისეთ დებულებას, როცა უმრავლესი ერი უნდა გახდეს მსხვერპლი უმცირესობის, რომელიც მის საზღვრებზე ნარევათ ცხოვრობს და ამით მის ტერიტორიას აპრელებს.

სად გაგონილა, რომ რამდენიმე მილიონი მცხოვრები შეწიროდეს მსხვერპლად რამდენიმე ათასეულს! ჯავის ხეობის დამოუკიდებლობა, კახეთის ოსების და სხვა წვრილ ეროვნულ ნაშთების, იქნებოდა საქართველოს დარღვევა, მისი საზღვრების მოშლა და ადვილათ დასაპყრობათ გადაქცევა. ბოლშევიკებს რომ ეს სურთ, ჩვენთვის ეს ყოველ ეჭვს გარეშეა, მაგრამ როცა ისინი ამ იდუმალ ზრახვას ერთა თვითგამორკვევის იდეას ახვევენ თავზე, ეს იდეური შანტაჟია და მეტი არაფერი. თვითგამორკვევის უფლება სრულ დამოუკიდებლობამდე აქვს ერებს, და არა ერთა მცირე ნაშთებს, რომელნიც გადასახლებულან სხვა ეროვნების ფარგლებში და არც ერთ სოციალისტს არ უქადაგნია აქამდე ყოველი სოფლის და თემის თვითგამორკვევა. არამედ აღიარებდენ თვითგამორკვევას მთელი ერის, როგორც ასეთის.

ოსეთის თვითგამორკვევა ამ პრინციპის მიხედვით უნდა მოხდეს ე. წ. ჩრდილო ოსეთში, სადაც ოსთა ოთხმოცდაათი პროცენტი ცხოვრობს და არა ჯავაში, სადაც სულ რამდენიმე სოფელია ოსის.

ეს გახლავთ სოციალისტური სიმართლე და არა ის, რასაც ბოლშევიკები გაიძახიან მეხანათური მიზნით ყველას გასაგონათ, თვით გაზეთის ფურცლებზე.

ამ პრინციპს ვადგევართ ჩვენ, ქართველი სოციალ-დემოკრატები საერთაშორისო პროლეტარიატის დიდებულ მოძღვრებთან ერთად.

ხოლო ბოლშევიკების აჯანყების მართლებას საკუთარ სახელს ვაძლევთ, ეს არის მოღალატეობა საერთაშორისო სოციალიზმის, ეს არის მოღალატეობა საქართველოს დემოკრატიის და მისი რესპუბლიკის".

**გაზეთი „ერთობა". 1920 წლის 18 ივნისი. „ოსების აჯანყება და ჩრდილო-კავკ. კომუნისტები" (სტატია ხელმოუწერელია).**

„კავკავის კომუნისტების გაზეთი „სალდატ. რევოლუციის" 4 ივნისის ნომერი სხვათა შორის შემდეგსა სწერს „აჯანყება, რომლის შესახებაც ჩვენ თავის დროზე ვწერდით, ფართოვდება და ფეხს იკიდებს. სამხრეთ ოსეთის პროლეტარიატი ემზადება სამკვდრო-სასიცოცხლო ომი გამოუცხადოს ქართველ ჯალათებს — ჟორდანიას მთავრობას.

როდესაც განმათავისუფლებელი მოძრაობის ტალღები შეიჭრნენ ჩრდილოეთიდან სამხრეთ ოსეთში, მშრომელი მთის ოსებმა გამოაცხადეს თავიანთ ქვეყანაში საბჭოთა მთავრობა. მიმართავენ რა რუსეთის საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელებს, სამხრეთ ოსეთის ყრილობის წარმომადგენლები, პროტესტს აცხადებენ, რომ ისინი ძალით შეუერთეს ბიუროკრატიულ რუსეთის ნაბუშარ სოციალ-გამყიდველების საქართველოს რესპუბლიკას. მთას ესმის ეს ხმა,

ესმით გამხეცებულ მენშევიკების კბილების კრაჭუნი და წინასწარვე გრძნობენ, რომ დაკოჭებული ხელები რუსეთის პროლეტარიატის, მიეშველება მათ".

ასე „იცავენ“ და „ასრულებენ“ მოსკოვში საქართველოსთან დადებულ ხელშეკრულებას ჩრდილო კავკასიის კომუნისტები!

ვის უნდა მოეთხოვოს პასუხი?“

# ОБРАЗОВАНИЕ ЮГО-ОСЕТИНСКОЙ АВТОНОМНОЙ ОБЛАСТИ

## Резюме

Автор обосновывает необходимость всестороннего изучения грузино-осетинских взаимоотношений, дабы показать несостоятельность некоторых положений, утвердившихся в советской историограпии, о национальном угнетении осетин правительством Демократической республики Грузии (1918—1920 гг.).

Осетины проникли в Грузию из Северного Кавказа, через Главный Кавказский хребет. В течение столетий они постепенно занимали грузинские земли и местами (в частности, на территории Шида Картли, называемой сегодня Южной Осетией) создавали компактные поселения. Этот тезис не является спорным. Спорным может быть лишь то, впервые когда, в каком веке и в каком количестве переселились осетины в Грузию.

До революции 1917 года между населением Грузии и Южной Осетии не было вооруженных столкновений. В 1918—1920 годах в Южной Осетии под руководством большевиков устраивались вооруженные выступления за установление Советской власти, отторжение Южной Осетии от Грузии и присоединение ее к РСФСР. Восставшие убивали, грабили т. н. «классовых врагов», коими зачастую оказывались представители грузинского населения. Эти восстания направлялись, главным образом, грузинскими большевиками, стремившимися использовать их в борьбе за свержение правительства Демократической Республики Грузии. Участвовала в них и незначительная часть жителей грузинских селений, главным образом, вернувшиеся с фронта большевистски настроенные солдаты.

Самым крупным из этих выступлений было начатое по указанию Кавбюро ЦК РКП(б) вооруженное восстание в Южной Осетии в мае-июне 1920 года, до предела обострившее отношения между

грузинским и осетинским народами. Восставшие под руководством большевиков установили Советскую власть и объявили Южную Осетию «неотъемлемой частью РСФСР», что явилось попранием национально-территориальных прав грузинского народа, явным посягательством на территориальную целостность республики, гнусной попыткой отторгнуть исконные грузинские земли.

Требования восставших, направленные против независимой Грузии, были осуждены не только грузинским народом, но и осетинами, проживающими за пределами Южной Осетии, в разных уголках Грузии. Они шли вразрез и с договором, заключенным 7 мая 1920 года между Советской Россией и Демократической республикой Грузии, по которому Южная Осетия признавалась как неотъемлемая часть Грузии. После этого договора само Кавбюро потребовало прекращения восстания. Однако организаторы восстания не сделали из этого нужных выводов.

После неоднократных попыток, не приведших к мирному урегулированию конфликта, правительство Демократической республики Грузии с целью защиты территориальной целостности и политического строя республики, было вынуждено дать указание своим вооруженным силам прибегнуть к осуществлению репрессивных мер против восставшихся. Хотя эти репрессии носили ответный, оборонительный характер (грузинская сторона ни разу не выступала в роли первоначинателя репрессий) со стороны грузинского правительства, тем не менее они оказались слишком жесткими, нанесшими человеческие и материальные убытки населению Южной Осетии (в первую очередь жителям селений, являвшихся очагами восстания). Ответственность за это падает, главным образом, на организаторов восстания.

Анализируя причины, вызвавшие восстания в Южной Осетии за годы существования независимой Грузии, а также требования, выставляемые восставшимися, автор приходит к следующему выводу:

Восстания, инспирированные большевиками в Южной Осетии в в 1918—1920 годах, ставили себе целью установление Советской власти, отторжение исконной грузинской земли (Шида Картли) от Грузии и присоединение ее к РСФСР. Вооруженные выступления осетин, населяющих Шида Картли, против независимой Грузии были обусловлены национальным (точнее, ложным, нереальным представлением восставших о национальном самоопределении), классово-идеологическим и социальным факторами.

Дело в том, что правительство Демократической республики Грузии за время своего кратковременного существования, в условиях труднейших внутренних и внешних осложнений, не смогло до конца урегулировать острые социальные проблемы, хотя и были предприняты серьезные меры по их разрешению. Это вызывало определенное недовольство части крестьян, чем и воспользовались антиправительственные политические силы, прежде всего, большевики, сумевшие с помощью привлекательных лозунгов (земля крестьянам, фабрики и заводы рабочим, мир и самоопределение народам и т. д.) сагитировать часть населения вступить в борьбу за Советскую власть, за свержение законного правительства независимой Грузии. Здесь же следует отметить, что большевикам удавалось инспирировать антиправительственные выступления не только в Южной Осетии, или, скажем, в Абхазии, но и в других регионах Грузии: в Рача-Лечхуми, Мегрелии, Душети и т. д.

В работе обосновывается необходимость поиска путей к восстановлению и упрочению дружеских отношений между грузинским и осетинским народами, чему, по мнению автора, будет способствовать глубокое знание правдивой истории.

Автор на основе анализа многочисленных документальных материалов прослеживает процесс образования Юго-Осетинской автономной области в составе Грузинской ССР.

После долгой подготовительной работы Юго-Осетинская автономная область была образована в апреле 1922 года. В ее состав, наряду с деревнями, населенными осетинами, были включены грузинские селения (с центром в г. Цхинвали), что вызвало законное недовольство со стороны грузинского населения.

Официальные протесты, направленные сельскими (грузинскими) сходами по этому поводу в высшие инстанции Грузинской ССР, не были учтены партийным и советским руководством республики, что было воспринято общественностью как ущемление национальных интересов грузинского народа.

В работе содержится попытка раскрыть причины, обусловившие обострение межнациональных отношений, обосновывается необходимость политического урегулирования отношений между грузинским и осетинским народами.

LEVAN TOIDZE

# FORMATION OF SOUTH-OSSETIAN AUTONOMOUS OBLAST

## Summary

The author substantiates the urgency of a comprehensive study of Georgian and Ossetian national interralations in order to prove the untenability of some stereotyped images of national opression of Ossetians by the government of the Georgian Democratic Republic in 1918—1920, that have been established in the Soviet historiography.

Ossetians had come to Georgia from North Caucasia penetrating through the Main Caucasian Range. For centuries they were gradually occupying Georgian territories ereating in places compact settlements (such as the territory of Shida Kartli now called South Ossetia). This statement is indisputable. One may only argue on the time the first Ossetians had migrated to Georgia and what their number was.

There had never been any armed clashes between Georgian and Ossetians before the revolutions of 1917. However, in 1918—1920 some Bolshevik-organized armed actions took place in South Ossetia and were aimed at establisment of the Soviet power, separation of South Ossetia from Georgia and its joining the RSFSR. The rebels killed and sobbed their so-called „class enemies"who quite frequently turned out to be Georgians. Those revolts were mainly led by Georgian Bolsheviks who were directing them toward overthrowing the government of the Democratic Republic of Georgia. Among the participant were also a few representa—this of Georgian villages, mostly, Bolshevik-minded former soldiers.

The largest of those uprises provoked by the order of the Caucasian Bureau of the Central Committee of the Workers and Peasant Party (Bolsheviks) was an armed revolt in South Ossetia in May-Gune, 1920, which aggravated to the utmost the relations between the Georgian and Ossetian peoples. The rebels led by Bolsheviks established the Soviet rule and declares South Ossetia „an integral part of the RSFSR", which was, in fact, infringement upon the national — territorial rights of the

Georgian people, a clear encroachment on the territorial integrity of the Republic, a dirty attempt to annex indigenous Georgian lands.

The claims set forth by the rebels and directed against independent Georgia were condemned both by the Georgian people and by numerous Ossetians living in various parts of Georgia. They contradicted the terms of the Treaty signed on 7 May 1920, by Soviet Russia and the Democratic Republic of Georgia, according to which South Ossetia was recognized as an integral part of Georgia. After that Treaty had been signed the Caucasian Bureau itself demanded that the revolt should be stopped. However, the leaders of the uprise did not make proper conclusions.

After several failures to achieve a peaceful settlement of the conflict, the government of the Georgian Democratic Republic was obliged to give orders to its armed forces to resort to repressive measures against the rebels in order to defend the territorial integrity and political order of the Republic. Although those repressions were a kind of response, or defence on the side of the Georgian government which had never been an initiator of such actions, they turned out to be too cruel and caused both human and economic losses in South Ossetia (in the first place, in those villages that were the centres of the uprise). The responsibility for all that should be borne by the leaders of the revolt.

Analysis of the reasons that instigated that revolt in South Ossetia in the years of Georgia's independence and of the rebels claims has led the Author to the fellowing conclusions:

The revolt inspired by Bolsheviks in South Osseitia in 1918—1920 were aimed at establishing the Soviet rule, at annexing the indegenous Georgian land (Shida Kartli) and joining it to the RSFSR. The armed actions of the Ossetians inhabiting Shida Kartli against independent Georgia were caused by national (more strictly speaking, erroneous, inrealistic ideas of the rebels concerning national self-determination), class ideological and social factors.

The point is, that the government of the Georgian Democratic Republic failed to settle completely the most acute social problems during their brief existence, under conditions of extreme internal and external hardships, despite serious steps taken towards their solution. This gave rise to

certain discontent among some peasants; consequently, the antigovernmental political forces, in the first place, Bolsheviks, caught at the opportunity and drew part of the population into the struggle for rightful government of independent Georgia, using the most appealing slogans—„Land to peasant", „Plants and factories to workers", „Peace and independence to peoples", ete. It is also worth mentioning that Bolsheviks managed to inspire antigovernmental actions not only in South Ossetia, or Abkhazia, but also in other regions of Georgia, viz, Racha — Lechkhumi, Samegrelo, Dusheti and others.

In this works the Author substantiates the necessity of searching ways to improve and strengthen friendly ties between the Georgian and Ossetian peoples, and expresses an opinion that a fruthtul, profound knowledge of history will contribute to that search.

Having analysed numerous documents the Authors traces back the process of formation of the South—Ossetian Autonomous Oblast (region) within the Georgian SSR.

The South Ossetian Autonomous Oblast was formed in the april of 1922 after a long preparatory work. Besides the villages inhabited by Ossetians, it contained Georgian villages (with the centre in the town of Tskhinvali), this latter fact causing quite legitimate discontent among the Georgian population.

Official protests addressed to the highest authorities of the Georgian SSR by the Georgian village meetings were ignored by the party and soviet auhorities, and this was considered by the society, as infringement upon national interes s of the Georgian people.

The Author attempts to reveal factors causing strained national relations, gives reasons for the urgency of political settlement of relations betwen the Georgian and Ossetian peoples.

## ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ

### ᲗᲐᲕᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ

ქართველ და ოს ხალხთა ურთიერთობის ისტორიიდან (1917—1920 წწ.) . . . 3

### ᲗᲐᲕᲘ ᲛᲔᲝᲠᲔ

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნა . . . . . . . . . . . 49
დანართი . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 111
Образование Юго-Осетинской автономной области (Резюме) . . . . . . . . . . . 128
Formation of South-Ossetian Autonomous Oblast (Summary) . . . . . . . . . . 131

გამომცემლობის რედაქტორი ნ. ქავთარაძე
მხატვრული რედაქტორი გ. ლომიძე
ტექრედაქტორი ც. ქამუშაძე
კორექტორი დ. ჯვარშეიშვილი
გამომშვები ე. მაისურაძე

გადაეცა წარმოებას 25.12.1990; ხელმოწერილია დასაბეჭდად 18.I.1991; ქაღალდის ზომა 70×90 1/16; ქაღალდი № 2; ბეჭდვა მაღალი; პირობითი ნაბეჭდი თაბახი 10,2; სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 8,66;

ტირაჟი 25.000 შეკვეთა № 105

ფასი 3 მან.

გამომცემლობა „მეცნიერება", თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქართველოს რესპუბლიკის მეცნ. აკადემიის სტამბა
Типография АН Грузии, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

**Тоидзе Леван Малхазович**

# ОБРАЗОВАНИЕ ЮГО-ОСЕТИНСКОЙ АВТОНОМНОЙ ОБЛАСТИ